

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-9/2  
 1986

ისტორიის  
 არქეოლოგიის  
 ეთნოგრაფიისა და  
 ეთნოლოგიის ისტორიის  
 სერია

95

1. 1986

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის  
ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1986, № 1

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაგნიტური  
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

ისტორიის, არქეოლოგიის,  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

СЕРИЯ  
ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ,  
ЭТНОГРАФИИ И  
ИСТОРИИ ИСКУССТВА



თბილისი  
ТБИЛИСИ

1. 1986

ქურონალი დაარსებულია 1971 წელს  
Журнал основан в 1971 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Выходит раз в 3 месяца

**სარედაქციო კოლეგია:** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ი. კაჭარავა  
(რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი  
(რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, Ю. М. Качарава  
(зам. редактора), Р. К. Кикнадзе (зам. редактора), Г. А. Меликишвили (редактор),  
Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე  
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-86-82    Телефон

ანაწყოების ზომა 7×11; ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; პირობ. ნაბეჭდი 16,8;  
პირ. სალ. გატარება 17,1; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,0;  
გადაეცა წარმოებას 29.XII.85; შუკ. 4203; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.III.86;  
პირ. ნაბეჭდი თ. 16,8;

უე 04567

ტირაჟი 950

ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниერება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

საბჭოთა კავშირის კომუნისტების დიდი ფორუმი (სკკ XXVII და საქართველოს<sup>1</sup> კბ XXVII ყრილობები) . . . . . 5

**წერილები**

ი. უთურაშვილი, საქართველოს ისტორიის ზეპირ წყაროებზე მუშაობა . . . . .	17
რ. კილასოვი, თურქი ხალხის დიდი შვილი — მუსტაფა სუბჰი . . . . .	25
ვ. ვინოგრადოვი, ტ. ნერადინკო, ყოზანური ტომების სამხრეთული კავშირების შესახებ . . . . .	37
ჯ. გვასალია, კახეთის ქალაქების ისტორიული გეოგრაფიისათვის . . . . .	58

**ცნობები და შენიშვნები**

ბ. ბაქრაძე, თეიმურაზ I-ის ბექედები . . . . .	69
ი. ცეცხლაძე, არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან . . . . .	73
ბ. ჯაფარიძე, ერთი ტომის შესახებ იაპია ანტიოქიელის „ისტორიაში“ . . . . .	83
ბ. მთხვარეშვილი, სტელა ნაეკლესიარ „ბერიკვარადან“ . . . . .	88
თ. ივანეშვილი, ქალის დანიშვნის ზოგიერთი თავისებურება ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით . . . . .	95
ნ. ანთელაძე, ნათესაურ ურთიერთობათა ბუნებრივი საკითხისათვის . . . . .	107
შ. მირიანაშვილი, მსახლეობის სოციალური სტრუქტურის საკითხისათვის ფშავ-ხევსურეთში . . . . .	117
დ. ახვლედიანი, კრამიტის წარმოების ზოგიერთი საკითხი . . . . .	133
ნ. ხახუტაშვილი, ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთი ადრეკინის ხანაში . . . . .	138
მ. კენიანი, ლაღის მაცხოვრის ეკლესიის უძველესი მხატვრობა . . . . .	146

**სამეცნიერო ცნობრება**

დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემატიკა და მისი კვლევის მდგომარეობა . . . . . 166

**კრიტიკა და ბიბლიოგრაფია**

ბ. არახაძე, ი. ანთელაძე, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI—XIII სს. . . . .	174
ბ. შიპაშვილი, ს. ალიევი, ნავთობი და ირანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარება XX ს. . . . .	176

**ძრონება და ინფორმაცია**

ვ. შამილაძე, ეთნოგრაფთა VII რესპუბლიკური სამეცნიერო სესია ქ. სოხუმში . . . . .	180
მ. კიკნაძე, მ. ძალბაძე, წყაროთმცოდნეთა საქართველოს მეცნიერო სესია ქ. ბათუმში . . . . .	185
თ. კახუაშვილი, ვ. გუჩუას ხსოვნა . . . . .	191



## СОДЕРЖАНИЕ

XXVII съезд КПСС и XXVII съезд Компартии Грузии . . . . . 5

### СТАТЬИ

И. УТУРАШВИЛИ. О работе над устными источниками по истории Грузии . . . . .	17
Р. КИЛАСОВ, Великий сын турецкого народа — Мустафа Субхи . . . . .	25
В. ВИНОГРАДОВ, Т. НЕРАДЕНКО, К вопросу о южных связях кобанских племен . . . . .	37
Дж. ГВАСАЛИА, К исторической географии городов Кахети . . . . .	58

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

А. БАКРАДЗЕ, Печати царя Теймураза I . . . . .	69
О. ЦКТИШВИЛИ, Из истории освободительной борьбы грузинского народа против арабского владычества . . . . .	73
Г. ДЖАПАРИДЗЕ, Об одном топониме в «Истории» Яхьи Антиохийского . . . . .	83
Г. ОТХМЕЗУРИ, Стела из «Бериджвари» . . . . .	88
Т. ИВЕЛАШВИЛИ, Некоторые особенности обручения по грузинским этнографическим данным . . . . .	95
Н. АНТЕЛАВА, К вопросу о природе родственных отношений . . . . .	107
Ж. ЭРИАШВИЛИ, К вопросу о социальной структуре горского населения Восточной Грузии . . . . .	117
Д. АХВЛЕДИАНИ, Некоторые вопросы производства черепицы . . . . .	133
Н. ХАХУТАИШВИЛИ, Междуречье Чолоки-Очхамури в эпоху раннего железа . . . . .	138
М. КЕНИЯ, Древнейшая роспись церкви Спаса в с. Лагами . . . . .	146

### НАУЧНАЯ ЖИЗНЬ

Д. МУСХЕЛИШВИЛИ, Проблематика исторической географии Грузии и состояние ее исследования . . . . .	166
---	-----

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. АРАХАМИА, И. АНТЕЛАВА, Центральное и местное управление Грузии в XI—XIII вв. . . . .	174
Г. ЧИПАШВИЛИ, С. М. АЛИЕВ, Нефть и общественно-политическое развитие Ирана в XX в. . . . .	176

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

В. ШАМИЛАДЗЕ, VII Республиканская научная сессия этнографов в г. Сухуми . . . . .	180
М. КИКНАДЗЕ, М. КАДАГИДЗЕ, Всесоюзная научная сессия источниковедов в г. Батуми . . . . .	185
Т. ПАПУАШВИЛИ, Памяти В. Гучуа . . . . .	191

18781

საბჭოთა კავშირის კომუნისტების დიდი ფორუმი

(სკვ XXVII და საქართველოს კვ XXVII ყრილობები)

1986 წლის 25 თებერვალს კრემლის კურანტებმა პლანეტის მოსახლეობას აუწყეს სკვ XXVII ყრილობის დაწყება. ამავე დღეს მსოფლიოს ორმა მილიარდმა ადამიანმა ნახა ყრილობის გახსნის დღესასწაული. კოსმოსურმა თანამგზავრებმა, კავშირგაბმულობის საკაბელო და სარელეო არხებმა თითქოს გადასწიესო კრემლის ყრილობათა სასახლის კედლები და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მყოფი ადამიანები საბჭოეთის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენის თვითმხილველებად გადააქცია. „ინტერვიზის“ და „ევროვიზის“ სისტემებით, ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს ყველა პროგრამით მიმდინარეობდა სკვ XXVII ყრილობის მუშაობის პირდაპირი ტრანსლაცია.

სკვ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში გააქეთა ყრილობაზე სკვ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. საზღვარგარეთელი მსმენელებისათვის პირდაპირი რეპორტაჟი წარმოებდა ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

ყრილობას ესწრებოდა კომუნისტური, მუშათა, რევოლუციურ-დემოკრატიული, სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული, ლეიბორისტული და სხვა პარტიების 152 დელეგაცია, დემოკრატიული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ისინი ჩამოვიდნენ მსოფლიოს 113 ქვეყნიდან. ამით კიდევ ერთხელ გამოვლინდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმა პატივისცემა, მისი დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ყრილობებზე, სამხარეო და საოლქო პარტიულ კონფერენციებზე სკვ XXVII ყრილობის 5000 დელეგატი აირჩიეს. ჭეშმარიტად თავიანთი საუკეთესო წარმომადგენლები გაგზავნეს საბჭოთა კომუნისტებმა პარტიულ ყრილობაზე.

მოსხენების პირველი სიტყვებით იმის შესახებ, რომ „სკვ XXVII ყრილობა შეიკრიბა ქვეყნის, მთლიანად თანამედროვე მსოფლიოს ცხოვრების მკვეთრი გარდატეხის მომენტში. ჩვენ მუშაობას ვიწყებთ პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე დაკისრებული პასუხისმგებლობის ღრმა გაგების გრძნობით“ — მაშინვე ხაზი გაესვა ყრილობის წარუვალ, ჭეშმარიტად ისტორიულ მნიშ-

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. საბ. ბესსუბ.  
ბიბლიოთეკა

ენელობას. პოლიტიკური ანგარიშის ღენინურმა პათოსმა აღაფრთოვანა არა მარტო საბჭოთა ადამიანები, არამედ მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში ჩვენი მეგობრები, მთელი პროგრესული კაცობრიობა. ისინიც კი, ვინც არასოდეს ყოფილა გამსჭვალული სიმპათიით ჩვენი საზოგადოებრივი წყობილებისადმი, ყურადღებით უსმენდნენ მოსკოვის ხმას.

„ჩვენი ამოცანაა, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, ფართოდ, ღენინურად გავიზაროთ ახლანდელი დრო, შევიშუშაოთ რეალისტური, ყოველმხრივ აწონდაწონილი სამოქმედო პროგრამა, რომელშიც მიზნების სიღიადე და შესაძლებლობათა რეალიზმი, პარტიის გეგმები ორგანულად შეერწყმის ყოველი ადამიანის იმედებსა და მისწრაფებებს. XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი განსაზღვრავენ, თუ რა ხასიათი და ტემპი ექნება ჩვენს წინსვლას წლებისა და ათწლეულების მანძილზე, წინსვლას საბჭოთა სოციალისტური საზოგადოებისთვისებრივად ახლებური მდგომარეობისაკენ“.

პოლიტიკურ ანგარიშში ფართო ადგილი დაეთმო საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებას. საგანგებოდ ითქვა კაპიტალიზმის კრიზისის ისეთ საშიშ გამოვლენაზე, როგორც არის ანტიკომუნისმი და ანტისაბჭოურობა. ალბათ, თავისი არსებობის არც ერთ სხვა პერიოდში კაცობრიობას არ განუცდია სიყალბისა და სიცრუის თავზე მოხვევის ისეთი ცდა, როგორსაც ახლა განიცდის. ბურჟუაზიული პროპაგანდა დღენიადაგ ცდილობს მთელი მსოფლიოს ხალხებს თავს მოახვიოს ხელოვნურად დამახინჯებული ინფორმაცია.

იმპერიალიზმის მიერ გაჩაღებულ „ფსიქოლოგიურ ომს“ სხვა არაფერი შეიძლება ეწოდოს, თუ არა აგრესიის, ინფორმაციული იმპერიალიზმის განსაკუთრებული ფორმა, ფეხქვეშ რომ თელავენ ხალხთა სუვერენიტეტს, ისტორიას, კულტურას. ეს არის უშუალო პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური საომარი სამზადისი, რომელსაც საერთო არა აქვს რა არც შეხედულებათა ნამდვილად თავისუფალ ჭიდილთან და არც იდეების „თავისუფალ გაცვლასთან“, თვალთმაქცურად რომ გაიძახიან კაპიტალის სამყაროში.

„ფსიქოლოგიური ომი“ — ეს არის ბრძოლა ადამიანთა გონების, მსოფლგაგების, მათი საარსებო, სოციალური და სულიერი ორიენტარებისათვის. ჩვენ საქმე გვაქვს გაწაფულ კლასობრივ მოწინააღმდეგესთან, რომლის პოლიტიკური გამოცდილებაც მრავალფეროვანია და საუკუნეებს ითვლის. მან შექმნა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი მასირებული პროპაგანდის გიგანტური მანქანა, რომელსაც სოციალიზმის გამოწვევრთნილ მოძულეთა უზარმაზარი აპარატი ემსახურება. ამიტომ არის რომ დღეს პარტიის თეორიული აზროვნების ფოკუსშია მოქცეული იმ პრობლემათა რთული კომპლექსი, რომლებიც ჩვენი საზოგადოების, საერთოდ მსოფლიოს განვითარების თანამედროვე, გარდამტეხი ხასიათიდან გამომდინარეობს.

იდეათა ბრძოლაში დიდი ამოცანა ეკისრება საზოგადოებრივ მეცნიერებებს. ამიტომ, ჩვენ უაღრესად გვჭირდება სერიოზული ფილოსოფიური გან-



ზოგადებანი, დასაბუთებული ეკონომიკური და სოციალური პროგნოზები, ღრმა ისტორიული გამოკვლევები. აქედან გამომდინარე სრულიად დროულია, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში შემავალმა ინსტიტუტებმა გადასინჯონ მეთორმეტე ხუთწლედის სამეცნიერო მუშაობის გეგმები და მათში შეიტანონ XXVII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით დასახულ ამოცანათა შესაბამისი ცვლილებები.

ჩვენი სადღეისო და სახვალიო გეგმების საფუძველშივეა მშვიდობიანი შრომისაკენ, ადამიანის კეთილდღეობისა და ზედნიერებისაკენ დაუცხრომელი მისწრაფება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა მიმდინარე საუკუნის დამლევამდე ბირთვული და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის სრული ლიკვიდაციის მთლიანი პროგრამა. თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით ეს პროგრამა ისტორიულია.

ყოველი საქმის წარმატებას ადამიანები წყვეტენ. მათი ცოცხალი შემოქმედება დღეს ჩვენი მუშაობის ყოველ რგოლშია საჭირო. იგი აუცილებელია, რათა განვხორციელოთ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე. რათა უმოკლეს დროში გადავწყვიტოთ სურსათით ქვეყნის სრულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემა, რასაც ისახავს მიზნად პარტიის აგარული პოლიტიკა. ამისათვის სკკპ გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია, უწინარეს ყოვლისა, საწარმოო პოტენციალის უკეთ გამოყენება, შრომის სტიმულირების ქმედითობის გადიდება, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცება, უყაირათობის დაძლევა. პარტიის მიზანია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის გადაქცევა თითოეული იმ ადამიანის საქმედ, რომელიც პარტიეს სცემს თავის შრომას, უფრთხილდება საწარმოს ღირსებას და მთელი ხალხის ინტერესებს.

დაჩქარება — ეს, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარებაა. დაჩქარების არსია ზრდის ახალი თვისება: წარმოების ყოველნაირი ინტენსიფიკაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ეკონომიკის, მართვის. შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი ფორმების სტრუქტურული გარდაქმნის საფუძველზე.

დაჩქარების კურსი ითვალისწინებს აქტიური სოციალური პოლიტიკის განხორციელებას, სოციალისტური სამართლიანობის პრინციპის თანმიმდევრულ დამკვიდრებას. დაჩქარების სტრატეგია გულისხმობს საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფას, პოლიტიკური და იდეოლოგიური ინსტიტუტების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების განახლებას, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებას, ინერციის, უძრაობის და კონსერვატიზმის დაძლევას — ყოველივე იმის დაძლევას, რაც საზოგადოებრივ პროგრესს აფერხებს.

საბჭოთა ქვეყანაში ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება მშრომელი ადამიანისათვის. სოციალისტურ სფეროში, როგორც ყრილობაზე აღინიშნა, ინერგება ეკონომიკური საქმიანობის შედეგები, რომლებიც ეხება მშრომელთა საარსებო ინტერესებს, ხორციელდება სოციალიზმის უმაღლესი მიზნები. მრავალმხრივია პარტიის მიერ შემუშავებული სოციალური პოლიტიკა. ადამიანთა კონკრეტული საჭიროებებისათვის, ინტერესებისათვის ზრუნვა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების, პროფკავშირების, თითოეული ხელმძღვანელის შეუწელებელი ყურადღების საგანი უნდა გახდეს.

ნოვატორული მიდგომა, შემოქმედებითი ძიება, ღროს მოთხოვნებზე ცხოველი გამომსაურება საჭიროა ჩვენი მუშაობის ყოველი მიმართულებით. აქ მაგალითს კომუნისტები უნდა იძლეოდნენ. 19 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს თავის რიგებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. პარტიის ძალა ის არის რომ, იგი გრძნობს ღროს, ცხოვრების მაჯისცემას, მუდამ მასების შუაგულშია, და ყოველთვის, როცა ქვეყნის წინაშე ახალი ამოცანები დგება, პარტია პოულობს მათი გადაწყვეტის გზებს, ცვლის, გარდაქმნის ხელმძღვანელობის მეთოდებს.

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებები გულგრილს არავის ტოვებს. იგი აღძრავს ფიქრებს, აქტიური მოქმედებისათვის მოგვიწოდებს თითოეულს. ასეთ ოპტიმისტურ რწმენას გვინერგავს ის, რომ ჩვენს გეგმებს საფუძვლად უდევს მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება. ეს არის სოციალიზმის უდიდესი შესაძლებლობების, მასების ცოცხალი შემოქმედების რწმენა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას აქვს მუშათა კლასის, გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის, ქალების, ახალგაზრდების, შრომისა და ომის ვეტერანების, ჩვენი ქვეყნის ყველა სოციალური ჯგუფის, ერისა და ეროვნების მხარდაჭერის იმედი. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას აქვს ამ მხარდაჭერის იმედი, ვინაიდან პარტიის პოლიტიკა ეს ის პოლიტიკაა, რომელიც გამოხატავს მთელი საბჭოთა ხალხის იმედს, ინტერესებსა და მისწრაფებებს. ეს ყოველივე ცხოველყოფელად აისახა პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა საზოგადოების ერთიანობას, „მაგრამ სოციალისტური საზოგადოების ერთიანობა, — აღნიშნავს მ. ს. გორბაჩოვი, — სულაც არ არის საზოგადოებრივი ცხოვრების ნიველირება. სოციალიზმი ავითარებს ადამიანების ინტერესების, მოთხოვნების, უნარის მთელ მრავალფეროვნებას, აქტიურად უჭერს მხარს ამ მრავალფეროვნების გამომხატველი საზოგადოებრივი ორგანიზაციების თვითმოქმედებას. უფრო მეტიც, სოციალიზმს სჭირდება ასეთი მრავალფეროვნება, იგი ადამიანების შემოქმედებითი აქტიურობის, ინიციატივის, გონებისა და ნიჭის შეჭიბრების შემდგომი აღმავლობის აუცილებელ პი-

რობად მიაჩნია, ურომლისოდაც საერთოდ წარმოუდგენელია სოციალისტური ცხოვრების წესი, წარმოუდგენელია წინსვლა“.

მ. ს. გორბაჩოვმა ნათელი და ამომწურავი დახასიათება მისცა საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხის გადაჭრის თანამედროვე მდგომარეობას და, საერთოდ, ეროვნულ ურთიერთობებს მრავალეროვნულ სახელმწიფოში. „საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოსათვის — აღნიშნა თავის მოხსენებაში მ. ს. გორბაჩოვმა, — უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ურთიერთობის განვითარებას. ეროვნული საკითხის გადაწყვეტას ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ჩაუყარა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. ემყარება რა ვ. ი. ლენინის მოძღვრებას, სოციალიზმის მონაპოვრებს, კომუნისტურმა პარტიამ გიგანტური გარდამქმნელი მუშაობა გასწია ამ დარგში. მისი შედეგებია სოციალიზმის თვალსაჩინო მონაპოვარი, რომელმაც გაამდიდრა მსოფლიო ცივილიზაცია. ერთხელ და სამუდამოდ მოისპო ყველა ფორმისა და გამოვლინების ეროვნული ჩაგვრა და ეროვნული არათანასწორუფლებიანობა. ათმილიონობით ადამიანის შეგნებაში დამკვიდრდა ხალხთა ურდვევი მეგობრობა. ყველა ხალხის ეროვნული კულტურისა და ეროვნული ღირსების პატივისცემა. საბჭოთა ხალხი თვისებრივად ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობაა, რომელიც შედეგადღებულა ეკონომიკური ინტერესების, იდეოლოგიისა და პოლიტიკური მიზნების ერთიანობით.

მაგრამ ჩვენმა მიღწევებმა არ უნდა შეგვიქმნას ეროვნული პროცესების უპრობლემობის წარმოდგენა. წინააღმდეგობა ახასიათებს ყველანაირ განვითარებას, გარდაუვალი იგი ამ სფეროშიც. მთავარია ვხედავდეთ მათს ასპექტებსა და წახნაგებს, რომლებიც ნიადაგ იჩენს თავს, ვეძებდეთ და დროულად ვცემდეთ სწორ პასუხს კითხვებს, რომლებსაც ცხოვრება აყენებს. მით უმეტეს, რომ აქ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი და ზოგჯერ მტკივნეულად იჩენს თავს ეროვნული კარჩაკეტილობის, კუთხურობისადმი მისწრაფება, სხვისი მოიმედობა.

როცა პერსპექტივისათვის ეროვნული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ვამუშავებთ. განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ, რომ ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებაში ყველა რესპუბლიკის წვლილი შეესაბამებოდეს მათს გაზრდილ ეკონომიკურ და სულიერ პოტენციალს. რესპუბლიკების საწარმოო კოორპირაციის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების განვითარება ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს და თითოეული რესპუბლიკის უმაღლეს ინტერესებს ემსახურება. პარტიული ორგანიზაციების, საბჭოების ამოცანა ის არის, რომ უფრო სრულად გამოიყენონ არსებული საშუალებანი საერთო ინტერესებისათვის, მტკიცედ დაძლიონ კუთხურობის ყოველი გამოვლენა.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ საბჭოთა მრავალეროვნული სოციალისტური კულტურის მიღწევებით. ითვისებს რა ეროვნული ფორმების და ფერების სიმდიდრეს, იგი უნიკალური მოვლენა ხდება მსოფლიო კულტურაში. მაგრამ საჭიროა, რომ ჯანსაღი ინტერესი ყოველივე ღირებულებებისადმი, რაც აქვს

თითოეულ ეროვნულ კულტურას, არ გადაიქცეს ეროვნული კულტურების ურთიერთმოქმედებისა და დაახლოების ობიექტური პროცესისაგან გამიჯვნის ცდად. ეს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მაშინაც, როცა ეროვნული თავისთავადობის ნიღბით ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგიერთ ნაწარმოებში, მეცნიერულ შრომებში ცდილობენ იდილიური ტონებით წარმოგვიდგინოს რეაქციულ-ნაციონალისტური და რელიგიური გადმონაშთები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ჩვენს იდეოლოგიას, სოციალისტური ცხოვრების წესს, მეცნიერულ მსოფლმხედველობას.

ჩვენი პარტიის ლენინური ტრადიციანა განსაკუთრებული გულისხმიერება და წინდახედულობა ყველაფერში, რაც ეხება ეროვნულ პოლიტიკას, თითოეული ერისა და ეროვნების ინტერესებს, ადამიანის ეროვნულ გრძობებს, და ამავე დროს პრინციპული ბრძოლა ეროვნული შეზღუდულობისა და ყოყონობის, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყველანაირი გამოვლენის წინააღმდეგ, რა სამოსელშიც უნდა იყვნენ ისინი გახვეულნი. ჩვენ, კომუნისტები, განუხრელად უნდა ვასრულებდეთ ბრძნულ ლენინურ ანდერძს, შემოქმედებითად ვიყენებდეთ მას ახალ პირობებში, ვიყოთ უაღრესად ყურადღებიანი, პრინციპული ეროვნულ ურთიერთობაში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ხალხის ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის“.

სკკ XXVII ყრილობაზე დიდი ადგილი დაეთმო სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებსა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებს. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ნ. ი. რიჟკოვმა მოხსენების საფუძველი გახდა ძირითად მიმართულებათა პროექტი, რომლის განხილვაში დაახლოებით 110 მილიონი მოქალაქე მონაწილეობდა.

საანგარიშო პერიოდში საბჭოთა ადამიანების გარჯით მნიშვნელოვანი წვლილი შეემატა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებას. ამ საფუძველზე უმჯობესდებოდა სახალხო კეთილდღეობა, უმჯობესდებოდა საპენსიო უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, საგრძნობლად გაუდიდათ სახელმწიფო დახმარება ბავშვიან ოჯახებს. მნიშვნელოვანი რესურსები მოხმარდა განათლების სფეროს, სკოლის რეფორმის განხორციელებას. ისევე, როგორც წინა ხუთწლეულებში, დიდი გაქანებით მიმდინარეობდა საბინაო მშენებლობა. საექსპლუატაციოდ გადაეცა 10 მილიონზე მეტი ბინა. პარტიის დებულებათა შესაბამისად გრძელდებოდა სოფლის სოციალური გარდაქმნის, სოფლისა და ქალაქის მკვიდრთა ცხოვრების დონის დაახლოების პროცესი. ჯეროვან დონეზე რჩებოდა ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობა.

ეროვნული შემოსავალი ხუთწლეულის წლების მანძილზე გაიზარდა 17 პროცენტით, მრეწველობის პროდუქტია 20 პროცენტით. ინდუსტრიის დარგთან სწრაფად ვითარდებოდა გაზის მრეწველობა. ჩვენმა ქვეყანამ გაზის მოპოვების მოცულობის მხრივ პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოში. ერთიორად და მეტად გაიზარდა ელექტროენერჯიის გამომუშავება ატომურ ელექტროსადგურებში. უპირატესი ტემპით მატულობდა ცალკეულ სახეობათა მანქანათმშენებლო პროდუქციის გამოშვება. ერთგვარი ძვრები მოხდა მშენებ-

ლობაშიც. განხორციელდა სასურსათო პროგრამის რეალიზაციის დიდი ღონისძიებანი.

ამავე დროს ყრილობაზე პირდაპირ ითქვა, რომ ხუთწლიანი გეგმის დავლებანი მთლიანად ვერ განხორციელდა, მთლიანად ხუთწლედში დაგვაკლდა 35 მილიონი ტონა მზა ნავლინი, 145 მილიონი ტონა ქვანახშირი, 50 მილიონ ტონაზე მეტი ნავთობი, 16 მილიარდი მანეთის ფართო მოხმარების საგნები. მანქანა-მოწყობილობის სტრუქტურა, ტექნიკური დონე და ხარისხი ყოველთვის როდი შეესაბამებოდა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს. სისტემატურად ჩამორჩებოდა ქიმიური, ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობა. წლითიწლობით ვერ ასრულებდნენ გეგმებს ძირითადი საერთო-სამშენებლო სამინისტროები. ვერ მივიღეთ ჯეროვანი უწყება იმ დიდი რესურსებისაგან, რომლებიც სოფლის მეურნეობას მოხმარდა. ქრონიკულად ვერ სრულდებოდა ეფექტიანობის დაეალებანი, ღუწედ მიმდინარეობდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

ყოველივე ამას არ შეიძლებოდა დალი არ დაესვა ეკონომიკის განვითარებისათვის, ქვეყანამ დაკარგა მილიარდობით მანეთის ეროვნული შემოსავალი. ამის შედეგად ვერ შესრულდა მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების დაეალებანი ისეთ სფეროში, როგორც არის რეალური შემოსავალი, საცალო საქონელბრუნვა. გართულდა ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის მდგომარეობა,

პარტიის გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგიის პრაქტიკული რეალიზაციის პირველი და ფრიალ პასუხსაგები ეტაპია მეთორმეტე ხუთწლედში. ამ წლებში უნდა უზრუნველყოთ ჩვენი ეკონომიკის არსებითი ზრდა და გადავიყვანოთ იგი განვითარების უფრო მაღალ ტრეკტორიაზე.

სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ეკონომიკისა და მისი ეფექტიანობის ზრდა მყარ საფუძველს უქმნის არსებითს წინსვლას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საპროგრამო დებულებათა რეალიზაციაში, რომლებიც ითვალისწინებენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის თვისებრივ ამაღლებას. მათი შრომისა და ცხოვრების პირობების განუხრელი გაუმჯობესების უზრუნველყოფას.

პარტიის კურსი, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას ისახავს მიზნად, სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას. პარტია ხელმძღვანელობს იმით, რომ თანამედროვე მსოფლიოში საარსებოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური და სამეცნიერო კავშირთა თვითობის აქტიური განვითარება, სულ უფრო ღრმა მონაწილეობა შრომის საერთაშორისო განაწილებაში.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივებს დიდი ინტერესით შეხვდნენ საზღვარგარეთ. ბუნებრივია, რომ მისდამი დამოკიდებულება ვერ იქნება ერთგვაროვანი. ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგენი და ავისმდომნი ცდილობენ გააუქლდმართონ დასახული გეგმების აზრი და მიზნები. მაგრამ, რა თქმა უნდა, მათ არ შეუძლიათ არ ცნონ ჩვენი გეგმების მასშტაბურობა და სითამამე. ჩვენი მეგობრები და, უწინარესად, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხები ამ დოკუმენტს მიიჩნევენ დამაჯერებელ გამოვლენად, რომელიც ცხადყოფს საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობებს, მის უნარს — გადაჭრას თანამედროვეობის ძირეული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ამას უკავშირებენ ისინი ჩვენი თანამეგობრობის,

სოციალიზმის, მთელი პროგრესული ძალების პოზიციების განმტკიცებას, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებას.

საბჭოთა კომუნისტების დიდი ფორუმის დამთავრებისთანავე თვალსაჩინო გახდა, რომ პარტიისა და ხალხის გმირულ ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს სკკპ XXVII ყრილობა, რომელსაც ახასიათებდა პრინციპულობა და ერთიანობა, მომთხზვნელობა და ბოლშევიკური სიმართლე, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების დაუფარავი გამოძლევენება, ჩვენი საზოგადოების განვითარების საშინაო და საგარეო პირობების ღრმა ანალიზი.

ლენინური პარტიის ისტორიაში შევიდა კიდევ ერთი შესანიშნავი ყრილობა. ყოველი ყრილობა დიდმნიშვნელოვანი ნიშანს ეტია პარტიისა და ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. დღემდე სულ ჩატარდა 27 ყრილობა, მათ შორის — 6 დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე და 21 — საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში.

კომუნისტური პარტიის დამაარსებელი ვ. ი. ლენინი შემოქმედებითა და ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყრილობების მუშაობაში. ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ კი საბჭოთა კომუნისტები, ხელმძღვანელობენ რა დიდი ბელადის ძვირფასი იდეური მემკვიდრეობით, ლენინურად წარმართავენ კომუნისტთა ფორუმებს და სახავენ კომუნისტური საზოგადოების აშენების გეგმებს, მათი განხორციელების გზებსა და მეთოდებს.

საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობაში საერთო-საკავშირო ყრილობებთან ერთად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარ ყრილობებსაც. ყრილობა ხომ პარტიის ერთადერთი საკანონმდებლო ორგანოა. ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყრილობა „ხწორედ ის კოლეგიაა, რომელიც წყვეტს „ღირიფორის ჯოხის“ საკითხს“<sup>1</sup>.

1986 წლის 24—25 იანვარს თბილისში მიმდინარეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა. ყრილობის მუშაობაში 1400-ზე მეტი დელეგატი მონაწილეობდა. ესენი იყვნენ დედაქალაქის, ინდუსტრიული ცენტრებისა და სასოფლო რაიონების, ავტონომიური რესპუბლიკების — აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

რესპუბლიკის მშრომელებმა ვადამდე, 1985 წლის 18 დეკემბრისათვის შეასრულეს სამრეწველო წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის ხუთწლიანი დავალება. ვადამდე განხორციელდა ბევრი უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურისა და მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო გეგმები. ვადამდე შესრულდა სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო მოცულობის გეგმა. შესრულდა ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებანი<sup>2</sup>. აღსანიშნავია, რომ ყრილობის გახსნისათვის 50-ათასზე მეტმა მშრომელმა, 20-ზე მეტმა სამრეწველო საწარმომ, 250 საამქრომ და 1500 ბრიგადამ შეასრულეს იანვრის საგეგმო დავალება<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 7, გვ. 198—199.

<sup>2</sup> ვ. ი. პატიაშვილის მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე, გაზ. „კომუნისტი“, 1986, 25 იანვარი.

<sup>3</sup> იქვე.

ყრილობის დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და აღიქვეს მოხსენება ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა და სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის, პარტიის წესდების (შემოთავაზებული ცვლილებებითურთ) პროექტების გამო, რომელიც გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

ჯ. ი. პატიაშვილის მოხსენებაში მეტად ღრმად, მეცნიერულად არის განალიზებული რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების დარგში, განსაზღვრულია შემდგომი წინსვლის, მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზები და მეთოდები.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა“ პროექტის დამტკიცების შესახებ. მოისმინა და დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის სარევიზო კომისიის, აგრეთვე სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელშიც მეტად შთაბეჭედავად წარმოჩინდა ყრილობის დელეგატის განზოგადებული პორტრეტი.

როგორც ყრილობაზე აღინიშნა, საანგარიშო პერიოდი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში რამდენადმე მნიშვნელოვანი გარდატეხის წლები იყო. ამ გარდატეხას კი დასაბამი მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის ცნობილმა დადგენილებამ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ.

ამ დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლის პროცესში ჩამოყალიბებული მუშაობის სტილის, მეთოდების გაუმჯობესება და გამდიდრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების გადაწყვეტილებათა, პარტიის პროგრამის ახალი რედაქციისა და წესდების ცვლილებათა პროექტების მოთხოვნის მიხედვით — აი როგორ უნდა გვესმოდეს პარტიისა და ხალხის ერთობლივი მუშაობით მოპოვებული წარმატებების მემკვიდრეობითობა.

მრავალი მაგალითი, კონკრეტული შედეგი თვალნათლივ მოწმობს, რომ გასულ ხუთწლეულში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი ბიუროსა და სამდივნოს, ადგილობრივი პარტიული კომიტეტების ყურადღების ცენტრში იყო წარმოების ეფექტიანობის ზრდის, დაგეგმვისა და მართვის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების და შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური ხარჯვის, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცების, აგრეთვე მთელი რიგი სხვა აქტუალური საკითხები.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები გამუდმებით ეძებენ წარმოების დამატებით რეზერვებსა და საშუალებებს. ფართო გზა მიეცა ეკონომიკურ ექსპერიმენტებს, აღამიანთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას.

გასული ხუთწლედი აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის თავისებური გამოცდელი იყო. აბაშელთა მაგალითით აგროსამრეწველო გაერთიანებები შეიქმნა რესპუბლიკის ყველა რაიონში. ახლა კი რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი თავის პირველ ნაბიჯებს დგამს.

რესპუბლიკის მშრომელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ყრილობის საქმიანი და კრიტიკული პათოსი. არ დარჩენილა არც ერთი მწვავე და საჭირობოროტო პრობლემა ჩვენი ცხოვრებისა, რაზედაც საუბარი არ ყოფილიყოს მოხსენებასა და გამოსვლებში.

ყრილობაზე იდეოლოგიური მუშაობის ვრცელი პანორამა გამოიკვეთა. მასების იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის სამსახურში დგას დღეს იდეოლოგიური ზემოქმედების ისეთი მძლავრი საშუალებანი, როგორცაა პრესა, რადიო, ტელევიზია, ლიტერატურა და ხელოვნება. ხალხური შემოქმედება. იდეოლოგიურ სამსახურში დგას ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემო ხდება — და ეს განსაკუთრებით ხაზგასმით ითქვა მოკამათეთა გამოსვლებში. — ყოველი ხარვეზი, თვით ისეთ იდეოლოგიისაგან „შორს მდგომ“ დარგებში, როგორცაა საქალაქო მეურნეობა, ტრანსპორტი და ათასი სხვა რამ, თავის უარყოფით გაუღენას ახდენს მასების განწყობილებაზე და ამდენად, უარყოფითი ხასიათის ემოციებს იწვევს. ხოლო იქ, სადაც ნაკლებად ვხვდებით მოშვეულობისა და გულგრილობის ფაქტებს, სადაც ყველაფერს ბეჯითი, გამარჯვება და პატიოსანი პატრონის თვალის და მარჯვენა განაგებს, მასების იდეური რწმენა უფრო მაღალია, სამომავლო შორიზონებში — უფრო ვრცელი და სამომავლო გეგმებიც უფრო რეალური.

ყრილობაზე სამართლიანად ითქვა, რომ იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში, მშრომელთა სულიერ გამდიდრებაში პასუხსაგები მისია ეკისრება ლიტერატურასა და ხელოვნებას, რომ რესპუბლიკის კულტურის ოსტატები მნიშვნელოვანი წარმატებებით შეიგებნენ პარტიის ყრილობას, რისი მკაფიო დადასტურებაცაა სამშობლოს უმადლესი ჯილდოები და საერთაშორისო პრიზები, რომლებიც ბოლო წლების მანძილზე საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებს მიენიჭა.

მაგრამ, როგორც სამართლიანად მიუთითა ყრილობამ, სწორი არ იქნება ლიტერატურისა და ხელოვნების ახლანდელი მდგომარეობის შესახებ მხოლოდ მათი მიღწევების მიხედვით მსჯელობა. ყრილობაზე ხაზგასმით გამოიკვეთა ის ნაკლოვანებანიც, რომლებიც თვალსაჩინოა ჩვენი შემოქმედებითი კავშირების მუშაობაში.

ამასთან დაკავშირებით ყრილობამ აღნიშნა: გვაშფოთებს ზოგიერთი იმ ნაწარმოების იდეურ-მხატვრული უმწიფრობა, უფერულობა, უსახურობა, რომლებიც პერიოდიკის ფურცლებზე, საგამოფენო დარბაზებში და საკონცერტო ესტრადებზე ჩნდება. გვაშფოთებს ისიც, რომ სათანადო სიფხიზლესა და პოლიტიკურ სიმახვილეს ვერ იჩენენ მთელი რიგი რედაქციებისა და გამომცემლობების თანამშრომლები, ჭეროვნად არ აფასებენ ზოგიერთი საიუბილეო დონისიების იდეოლოგიურ და აღმზრდელობით დატვირთვას.



ადამიანთა აქტიურობის დონის ასამაღლებლად, მათდამი მომთხოვნელობის გასაძლიერებლად ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის კომპლექსურ ღონისძიებებს როცა ვსახავთ, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენში კიდევ ბოგინობენ არაკეთილსინდისიერი ადამიანები, მუქთახორები, წამგლეჯები.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია დიდ ბრძოლას ეწეოდა კერძომესაკუთრულ ტენდენციებთან და სხვა ნეგატიურ მოვლენებთან. მაგრამ ეს ბრძოლა ყველგან და ყველას მიმართ სათანადოდ როდი ხორციელდებოდა. ამ მიმართულებით პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებანი დასახა საქართველოს კომუნისტების ფორუმმა.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ, რომელმაც მეტად მკაცრად შეაფასა ნეგატიური მოვლენების ფაქტები, აღშფოთებით, ყველას გასაგონად განაცხადა რომ ამ მხრივ რაიმე დანდობა, შებრალება არ მოხდება, რომ ბრძოლა არასოდეს შენელებება. პირიქით, უფრო გამკაცრდება, უფრო შემტევი გახდება. აქედან გამომდინარე ყრილობამ კონკრეტული ამოცანები დაუსახა რესპუბლიკის ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას—საბჭოებს, პროფკავშირებს, კომკავშირს, თითოეულ სამინისტროსა და უწყებას, ადმინისტრაციულ, სავაჭრო, სატრანსპორტო, მომსახურების სფეროს, კულტურის, განათლების, სამეცნიერო და სხვა დაწესებულებებს.

დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, განუზომლად იზრდება მომკითხველობა რესპუბლიკის თითოეული კომუნისტისადმი არა მარტო საკუთარი ცოდნის დონის ამაღლებისათვის, თავისი ცხოვრებისა და ქვეყნისათვის, არამედ სხვა პარტიული ამხანაგებისთვისაც, გვერდით მომუშავეთათვისაც, ყოველივე იმისათვის, რაც მის გარშემო ხდება.

სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას კომუნისტური პარტია განუხრებლად უკავშირებს კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების ლენინური პრინციპების მტკიცედ გატარების საკითხს.

მუშაობის ლენინური სტილი მოითხოვს, რომ ყოველ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკს უნდა ახასიათებდეს თავმდაბლობა, წესიერება, პრინციპულობა. ყველგან უნდა იდევნებოდეს ტრაბახი, სიტყვების კორიანთელი, მუშაობის შედეგების გაზვიადება, საერთოდ, ორგანიზაციული ფაცაფუცი. ამ მიმართულებით კომუნისტური პარტიის მოღვაწეობას მხარს უჭერს რესპუბლიკის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ე. ხარაძემ ყრილობაზე აღნიშნა, რომ „მეცნიერები ერთხულოვნად იწონებენ ყველანაირი ნეგატიური მოვლენის დაძლევისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კურსს“<sup>4</sup>.

ჩვენი ცხოვრება, მუშაობის გამოცდილება და პრაქტიკა ყოველდღიურად ადასტურებენ, თუ რაოდენ ეფექტიანი და შედეგიანია ხალხთან უშუალო ურთიერთობა, მათთან გულახდილი დიალოგი, მათი აზრების, წინადადებების, სურვილებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ, კიდევ ერთხელ მთელი ძალით გამოაჩინა პარტიისა და ხალხის მიზნების, საფიქრალისა და მოქმედების ერთიანობა, დასახა რესპუბლიკის საერთო წინსვლისა და აღმავლობის ნათელი პროგრამა. ყრილობა ის გადასახედი გახდა, საიდანაც ხელისგულივით გამოჩნდა მთელ საანგარიშო პერიოდში, მთელი ხუთი წლის მანძილზე დიდი შრომით და რუდუნებით შექმნილ-მიღწეული.

იოსებ უთუხაშვილი

ზეპირ ისტორიულ წყაროებზე მუშაობა

18287

როგორც ცნობილია, საქართველოს ახალი ისტორიის მკვლევართა მიერ გამოყენებული ისტორიული წყაროები, რომლებიც შეიცავენ პირველად ცნობებს ამა თუ იმ ფაქტსა და მოვლენაზე, თავისი ხასიათის მიხედვით სამ ძირითად სახეობად იყოფა: წერილობითი, ზეპირი და ნივთიერი წყაროები.

საქართველოს ახალი ისტორიის შესასწავლად უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული წყაროების ისეთ ჯგუფს, როგორცაა ზეპირი წყაროები. ამ რიგის წყაროთა მნიშვნელობა განსაკუთრებულია ახალი პერიოდის წერილობითი წყაროების უსრულობის გამოც. წერილობითი წყაროების ეს უსრულობა აიხსნება მრავალი მიზეზით, რომელთა შორის ორს დეფსახელებთ: ერთი ის, რომ შიდა რუსეთის გუბერნიებისაგან განსხვავებით საქართველო-ამიერკავკასიაში ერობა და საერობო სტატისტიკა არ არსებობდა, მეორეც, ჩვენი რესპუბლიკის ისტორიული არქივის ფონდებმა თავის დროს დიდი დანაკლისი განიცადა. არქივი დაზარალდა განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის დროს მასალის ნაღიკში ევაკუაციისას, აგრეთვე 20-იან წლებში, როცა, თვითმხილველთა გადმოცემებით, არქივის არაერთი საყურადღებო წერილობითი საბუთი თბილისის ბაზრებში პარკების სახით იყიდებოდა.

რაც შეეხება თავის დროზე ამიერკავკასიაში მოქმედ სტატისტიკას, ის, საერობო სტატისტიკიდან განსხვავებით, ძალზე ნაკლებად შეიცავს ჩვენში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ცვლილებების ამსახველ ცნობებს.

წერილობითი ისტორიული წყაროების სიმცირე, ნაკლებობა და უსრულობა რამდენადმე შეივსება თუ მივმართავთ ისტორიული წყაროების სათავეს, — ხალხს. მოსახლეობაში მოიპოვება დიდძალი მასალა, რომელშიც ასახულია ჩვენი ხალხის ისტორიის სოციალური, პოლიტიკური, სულიერი ცხოვრების პროცესების არაერთი მხარე. მოსახლეობაში შემონახული ზეპირი წყაროების ფიქსირებას შეუძლია შეგვძინოს მალალი ღირებულების მასალა ჩვენი ქვეყნის ისტორიის როგორც კერძო, ასევე კარდინალურ საკითხებზე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული მეცნიერებისათვის ზეპირი წყაროები თითქმის ისეთივე დიდი განძია, როგორცაა ნივთიერი კულტურა, რაც უპირატესად არქეოლოგიური კვლევა-ძიების ობიექტს შეადგენს. მაგრამ ჩვენი დამოკიდებულება საერთო განძის ამ ორი სახეობისადმი ძალზე განსხვავებულია.

მეცნიერებათა აკადემია, და ყველა ვისაც ეს ეხება, უდიდესი ყურადღებით ეკიდება არქეოლოგიურ სამუშაოებს, ყოველწლიურად ეწყობა არქეოლოგიური ექსპედიციები, რაც საეხებით ბუნებრივია, — სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. სამწუხაროდ ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ ასეთივე ყურადღებით ვეკიდებოდეთ ხალხში შემონახულ ზეპირ წყაროებს. დრო კი არ ითმენს,

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
აკადემია

რადგან, გასაგები მიზეზების გამო, სულ უფრო მცირდება იმათი რიცხვი, ვისაც შეუძლია ჩვენი ცოდნა კონკრეტულ-ისტორიული ხასიათის მასალით შეაფასოს. რა დასაძალია, ჩვენს ტერიტორიაზე უხვად შემონახული არქეოლოგიური ძეგლების უმეტესობა დიდი ხანია მიწაშია შემონახული და მას საუკუნეები ბევრს ვერაფერს დააკლებს, ხოლო ზეპირი წყაროების „მატარებელი“ მოსახლეობა, თაობათა ცვლის ბუნებრივი პროცესის წყალობით, ხელიდან გვეცლება, ისე, რომ წარსულზე თავის ზეპირ ცოდნას ახალი თაობა, ბევრი გარემოების გამო, მემკვიდრეობად ვერ ღებულობს.

ამ უცილობელი გარემოების ძალით, უეჭველია, რომ არქეოლოგიური ძეგლების ამთავითვე გამოვლენაზე არანაკლებ საჩქარო და საშურია ხალხში, უფრო ზუსტად, მოსახლეობის უფროს თაობებში უხვად გაბნეული ზეპირი წყაროების აღნუსხვა.

როცა საუბარია ზეპირი წყაროების მოპოვებაზე შესაძლოა ასეთი აზრი წარმოიშვას: რაკი მოსახლეობაში ზეპირი წყაროების შეკრებას ეწევიან ფოლკლორისტებიც და ეთნოგრაფებიც, ისტორიკოსები ხომ არ დაიწყებენ ამ მასალის მოპოვების დუბლირებას. ვფიქრობთ, ასეთი დუბლირების საშიშროება არ არსებობს.

რომ არაფერი ვთქვათ ფოლკლორისტებზე, რომელთაც ძალზე გამოკვეთილი ამოცანების გადაწყვეტა უხდებათ (ხალხური, მუსიკალური, თეატრალური და ა. შ. შემოქმედების ნიმუშების შეკრება-დამუშავება), ეთნოგრაფიის მიმართ უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერების ეს დარგი, ხალხის წარმოშობის, ყოფისა და კულტურის, განსახლებისა და კულტურულ-ისტორიული კავშირის შემსწავლელი ჰუმანიტარული მეცნიერებაა. ხოლო ხალხის ტრადიციული ყოველდღიური ყოფითი კულტურის ნიშნების (რომლებიც ხალხის ეთნიკურ სახეს ჰქმნიან) შესწავლა ეთნოგრაფიის ძირითადი საგანია (ი. ბრომლი).

არქეოლოგიასა და ისტორიასთან ერთად ეთნოგრაფია ადგენს მოსახლეობის ეთნიკურ ისტორიას დასაბამიდან დღევანდლამდე. ხელოვნებათმცოდნეობასა და ფოლკლორისტიკასთან ეთნოგრაფიას აკავშირებს ხალხური შემოქმედების შესწავლის პრობლემატიკა. ეკონომიკურ მეცნიერებებთან და სოციოლოგიასთან სამეურნეო საქმიანობისა და სოციალური სტრუქტურის კვლევა. ეთნოგენეზს სწავლობს აგრეთვე ანთროპოლოგია, მიგრაციულ პროცესებს, სხვა დარგებთან ერთად, დემოგრაფია და ა. შ.

ასე, რომ ეთნოგრაფიულ მეცნიერებას ფრიად მრავალმხრივი საზრუნავი აქვს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერების ეს დარგი მნიშვნელობას არ ანიჭებდეს და არ ზრუნავდეს ხალხში შემონახულ ისეთ ზეპირ წყაროებზე, რომლებიც თავისი ხასიათით კონკრეტულ-ისტორიული შინაარსის მატარებელნი არიან. ასეთ მასალას ეთნოგრაფებთან ვხვდებით და მათი გამოყენება უეჭველად სასარგებლო საქმეა. ამასთან, ისტორიული მეცნიერება ვერ დაკმაყოფილდება მხოლოდ ეთნოგრაფთა მიერ მოპოვებულ კონკრეტულ-ისტორიული მასალით. მისი გამოვლენა-შეკრება და სათანადო შესწავლა ისტორიკოსთა პირდაპირი მოვალეობაა. ისტორიული მეცნიერების თანამედროვე დონეზე, მისი ესოდენ მკვეთრი სპეციალიზაციის დროს, შეუძლებელია, ვთქვათ, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალისტებმა თვითონ არ გამოავლინონ და არ შეკრიბონ შესაფერისი მასალა, რომლის

გათვალისწინების გარეშე რომელიმე გამოკვლევა სრულყოფას ძნელად თუ მიუახლოვდება.

XIX—XX საუკუნეთა ჩვენი მკვლევრები საკმაოდ ხშირად მიმართავდნენ ზეპირი წყაროების მონაცემებს, რაც, რა თქმა უნდა, მათ თხზულებებს მნიშვნელოვნად ამდიდრებდა. გავიხსენოთ თუნდაც პლატონ იოსელიანის „ცხოვრება გიორგი XIII-სა“, სადაც პირდაპირ მითითებულია წყარო: „ვიტარცა მიაშო დეკანოზმა სიონისმა გაბრიელ ქართველოვამა“-ო. ისტორიკოსი ალექსანდრე ორბელიანი თავისი ნაშრომების შექმნისას თითქმის მხოლოდ ზეპირ წყაროებს ემყარებოდა. ანდა ავღოთ საყოველთაოდ აღიარებული გამოკვლევების შვიდ ტომიანი კრებული (Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края) რასაც მავ დროს წყაროს მნიშვნელობაც აქვს, ის თითქმის მთლიანად, წარსული საუკუნის 80-იან წლებში მოსახლეობაში შეკრებილ ფაქტობრივ მასალას ემყარება.

მაგრამ რევოლუციური ხანის მკვლევრებმა ფაქტობრივი მასალის მხოლოდ შედარებით მცირე ნაწილი მოიპოვეს, მასთან შედარებით, რისი შეგროვებაც შეიძლებოდა. იმ დროს ზეპირი წყაროების შეკრებას არასისტემატური ხასიათი ჰქონდა.

ზეპირი წყაროების მოპოვების საქმე რამდენადმე გაუმჯობესდა საბჭოთა პერიოდში. ამ მხრივ საყურადღებოა ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით განხორციელებული მუშაობა — მასალის შეკრება (1935 წელი) შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის საკითხებზე. ეს საქმიანობა სარეწაო კოოპერაციამ დააფინანსა. ზეპირ წყაროებზე მუშაობის მხრივ აგრეთვე ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თაოსნობა და, განსაკუთრებით ჩვენი ინსტიტუტის ახალი ისტორიის განყოფილების საქმიანობა, რის შედეგადაც გამოვლენილი და ფიქსირებულია მასალის გარკვეული რაოდენობა. მაგალითად, კონკრეტული ხასიათის ჩვენი ცოდნა, ვთქვათ სოფლის ბურჟუაზიაზე, სოფლის პროლეტარიატზე ძირითადად ზეპირი წყაროებიდან მიღებულ მასალას ემყარება.

მაგრამ განსაკუთრებული ჯერ კიდევ ძალზე ბევრია, ხოლო ზეპირ წყაროებზე მუშაობა, მათი ფიქსირების მიზნით, ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას: კვალიფიცირებული ისტორიკოსი მკვლევრების მოსახლეობაში ვასვლა მასალის შესაკრებად შემთხვევით, სპორადულ ხასიათს ატარებს.

აღსანიშნავია, რომ ზეპირ წყაროებზე მუშაობას უცხოელი ისტორიკოსებიც არ თავილოებენ. მაგალითად, ამერიკელმა ისტორიკოსმა გროსმა ინგლისის ერთი სოფლის (მანორი) ისტორია ძირითადად ზეპირ წყაროებზე დაამყარა (1930 წ.).

ზეპირ წყაროებს მიმართავდა და მიმართავს მხატვრული ლიტერატურაც. მნიშვნელოვანია მაგალითი, რაც ა. პუშკინის სახელთანაა დაკავშირებული. 1824 წლის იანვარში ოდესაში ყოფნისას ა. პუშკინმა შეიტყო, რომ ბენდერში ცხოვრობდა 135 წლის მოხუცი ნიკოლოზ ისკრა, რომელიც სიჭაბუკეში ნაყოფი იყო ბენდერის მახლობლად სოფელ ვარნიკაში მდებარე შედების სამხედრო ბანაკში და არაერთხელ ნახე შედების მეფე კარლს XIII. პუშკინი ვარაუდობდა მოენახა მანუბას საფლავი ბენდერის მიდამოებში. როცა პუშკინი გაემართა ისკრასთან შესახვერდად, მან თან წაიღო ნორდბერგის „კარლოს XII ისტორია“ და დე ლა მოტრეის „მოგზაურობა“, რომელშიც მოცემულია ბენდერის მახლობლად 1709—1714 წლებში მდებარე შედების

გამაგრებული ბანაკის დაწვრილებითი აღწერა. მოხუცი ისკრას მონათხრობი კარლოს XII-ზე, მის გარეგნობაზე, ტანსაცმელზე, მის ჩვევებზე სარწმუნო აღმოჩნდა. მან ასევე ზუსტად აღწერა შვედების ბანაკი. მაგრამ ისკრამ მანუაზე ვერაფერი ცნობა ვერ მიაწოდა და პუშკინი უკმაყოფილო დაბრუნდა.

ასევე საყურადღებოა ლ. ტოლსტოის მაგალითი. ტოლსტოი „ჰაჯი-მურათში“ აღწერილი უმნიშვნელოვანესი ამბების თანამედროვე და თვითმხილველი იყო. იგი იყო საბრძოლო შეტაკებების უშუალო მონაწილე და ცხოვრობდა იმ დასახლებულ პუნქტებში, რომლებზეც „ჰაჯი-მურათში“ მოთხრობილი. მიუხედავად ამისა, მწერალი შესაძლებლად არ თვლიდა დაყრდნობოდ მხოლოდ თავის საქმეში ჩახედულობას და ისწრაფოდა გულდასმით შემოქმედებინა ყოველი დეტალი. დიდი მწერალი ეყრდნობოდა კავკასიის ომების შესანიშნავი სპეციალისტის ა. ზისერმანის ნაწერებს. მაინც პირადად შეხვდა ისტორიკოსს და ესაუბრა. გამოჰკითხა ბევრი რამ, მაგრამ ის ამით არ კმაყოფილდება, კითხულობს დამატებით ლიტერატურას, თხოულობს ცნობებს არქივიდან, სწავლობს ამბების მონაწილეთა პირად შთაბეჭდილებებს. კერძოდ, ციხე-სიმაგრე ვოზდვიენსკოისთან რუსების მხარეზე ჰაჯი-მურათის გადასვლასთან დაკავშირებით, თავისი წარმოდგენების დასაზუსტებლად, 1903 წლის მარტში სთხოვდა თავის თბილისელ ნაცნობს ი. ნაკაშიძეს, რათა ამ უკანასკნელს მოეძებნა რომელიმე ძველი ქვეითი ოფიცერი და მასთან გაერკვია: იგზავნებოდა თუ არა ამ სიმაგრეიდან გუშაგები; თუ ასეთი არ იგზავნებოდა, მაშინ სად იდგნენ ხოლმე გუშაგები მტრის მოულოდნელი თავდასხმის ასაცილებლად; როგორი წესით იდგნენ მოსულ მსტოვრებს გუშაგები და როგორ მიჰყავდათ ისინი თავის უფროსებთან.

ტოლსტოი შესანიშნავად იცნობდა კავკასიური საგუშაგოების მოქმედების წესს და ასეთი საგუშაგოს მოქმედება აღწერა კიდევ „ყაზახებში“. მაგრამ „ჰაჯი-მურათში“ საქმე ეხებოდა კონკრეტულად ვოზდვიენსკოის ციხე-სიმაგრეს და მწერალიც ყოველი ღონით ცდილობდა ნაწარმოებში წარმოდგენილი ყოველი ფაქტი რაც შეიძლება მეტად დაეზუსტებინა.

ასე აკეთებდნენ მხატვრული სიტყვის ოსტატები. მაგრამ ვინ იტყვის, რომ ისტორიკოსებს მხატვრული სიტყვის ოსტატებზე ნაკლებად სჭირდებოდათ ფაქტობრივი მასალის დაზუსტება, კონკრეტულ-ისტორიული ვითარების ცოდნის დაზუსტება, იმის გათვალისწინება, რის მიღებაც მათ, ვთქვათ, ზეპირი წყაროებიდანაც შეუძლიათ.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებდა ჩვენი ხალხის ეკონომიკური თუ იურიდიული ცხოვრების და ზნე-ჩვეულებების ამსახველი ზეპირი ცნობების შეკრების საჭიროებაზე. 1887 წლის „ივერიაში“ იგი აღნიშნავდა: „ჩვენმა ინტელიგენციამ ხელი მოჰკიდა მარტოდ-მარტო სახალხო პოეზიის შეკრებას. ეს საკმაო არ არის. არა თუ საკმაო, იქნება ბევრჯერ მავნებელიც იყოს და ხალხის ცხოვრების შესახებ შეცდომაში შეგვიყვანოს ამ პოეზიამ. რისთვის, როგორ? — გვკითხავს განცვიფრებული მკითხველი. აი რისთვის და როგორ: პოეზია, და მეტადრე სახალხო პოეზია, თქვენც მოგესხენებათ, უფრო ფანტაზიის ნაყოფია და ფანტაზია კიდევ მაგრე-რიგად არ ეწყობა და ემორჩილება ზნეობით კანონის მოთხოვნილებას. ხშირად მდაბიო ხალხი, გატაცებული ფანტაზიის აღმაფრენით, დამღერის და დაჰხარის ისეთს საგანს და მოვლენას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება ცხოვრების სიკეთესა და ცრუმორწმუნეობაზედ

არის აშენებული. რასაკვირველია, მარტო პოეზიის მიხედვით დასკვნა და მსჯელობა ხალხის ცხოვრების საჭიროებაზე და მის მოთხოვნილებაზე შეცდომა იქნება და ამ შეცდომას საზარალო შედეგი უნდა მოჰყვეს. თუ ამ შემთხვევაში შეცდომის თავიდან აცილება გვსურს, პოეტურ შეხედულების გარდა ხალხის სხვა შეხედულობას და მსჯელობასაც ყური უნდა ვათხოვოთ, და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ხალხის ყველაგვარი ნაწარმოები შესწავლილი გვექნება. ჩვენი დედაბრი ეს არის: ხალხის ცხოვრება ყოველ-მხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ; იმის ყოველგვარი გონებითი ნაწარმოები უნდა შევკრიბოთ. ჩვენ ამჟამად დავასახელებ ნაწარმოები ორის სფეროდაც — ეკონომიურის და იურიდიულის ცხოვრებიდან<sup>4</sup>.

ილია მოითხოვდა სათანადო ცნობები და მონაცემები გარკვეული პროგრამის მიხედვით შეეკრიბათ.

ზეპირი წყაროების სახით ჩვენს წინაშეა ფაქტობრივი მასალის უდიდესი მარაგი.

ჩვენ შეიძლება მოვიპოვოთ დამატებითი კონკრეტული ცნობები ისეთ საკითხებზე, როგორცაა, მაგალითად, დასახლებული პუნქტების წარმოქმნა, მოსახლეობის საგადასახლებო მოძრაობა, სამიმოსვლო და სავაჭრო გზები, ტრანსპორტი, კაპიტალისტური საზოგადოების კლასების ფორმირება, კლასობრივი და შინაკლასობრივი ურთიერთობანი, საწარმოო ძალების განვითარების მდგომარეობა (კერძოდ, მწარმოებელთა სამეურნეო და შრომითი ჩვევები და გამოცდილება, შრომის იარაღები, შრომის ორგანიზაცია), სამრეწველო, სავაჭრო და სავაზშო კაპიტალის წარმომადგენელთა საქმიანობის შედეგები, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, პროლეტარული მოძრაობა, ცნობები მოსახლეობის განათლებასა და სულიერ კულტურაზე და სხვ. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ფართო, მრავალმხრივი და სრული, უფრო ნათელი წარმოდგენა შევქმნათ გარკვეული პერიოდის საქართველოს მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაზე, ეკონომიკურ ურთიერთობებზე, საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციაზე, სულიერ ცხოვრებაზე და ა. შ.

ვფიქრობთ, ასევე სასარგებლო იქნება გადმოცემების შეკრება საქართველოს ისტორიის ფეოდალურ ხანას რომ ეხება, მაგალითად, გადმოცემების საფუძველზე ჩანაწერებისა და ჩანახაზების გაკეთება ცალკეული ბრძოლების შესახებ და ა. შ.

ალბათ, ასევე გამართლებული იქნება თუ შეიკრიბება მასალა საბჭოთა პერიოდისათვის, მოსახლეობის სოციალური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების პროცესებს რომ ასახავს. ყოველივე ეს, ვიმეორებთ, მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ჩვენს წარმოდგენებს ცალკეულ ისტორიულ პერიოდებზე.

მასალის შეკრება უნდა განხორციელდეს კომპლექსურად, საფუძვლიანად მოფიქრებული და განხილული სათანადო პროგრამის საფუძველზე. ადგილზე მასალა კითხვარის მიხედვით შეიკრიბება. ასეთი კითხვარი არაერთი იქნება და ის უნდა შედგეს ქვეყნის, შესასწავლი დარგის, ამა თუ იმ რეგიონის თავისებურებათა სრული გათვალისწინებით.

იგულისხმება, რომ დაინტერესებული განყოფილებები მონაწილეობას მიიღებენ კითხვარების შედგენაში, რათა უკეთ იქნეს გათვალისწინებული მათი კვლევის ინტერესები. კითხვარები არ უნდა იყოს მეტად ვრცელი, არამედ-რაც შეიძლება მოკლე, ზუსტად და მკაფიოდ ჩამოყალიბებული.

სასურველი იქნება თუ განყოფილებათა მუშაკები უშუალო მონაწილეობას მიიღებენ მასალის შეკრებაში.

მასალის მოპოვების ძირითად მეთოდს როგორც ჩანს, ფაქტობრივი მასალის მცოდნე პირებთან მეცნიერ მუშაკების უშუალო შეხვედრა და მასალის ჩაწერა წარმოადგენს. მთხრობელთან შეხვედრისას რაიმე შაბლონი გამოუსადეგარია. მეცნიერი მუშაკი მთხრობლისაგან იღებს მასალას, რაც მთხრობელმა უკეთ იცის.

ზეპირი წყაროების მასალა დღემდე თითქმის მხოლოდ სოფლად იკრიბებოდა. საჭიროა მასალის შეკრება როგორც სოფლად, ისე ქალაქად. მასალა უნდა შეიკრიბოს არამარტო მთის მოსახლეობაში, არამედ უპირატესად ბარის მოსახლეობაში.

საკითხი ისტორიულ პერსპექტივაშიც უნდა განვიხილოთ. ზეპირი წყაროების შეკრების საქმის უყურადღებოდ დატოვებით ჩვენი მომდევნო თაობებიც მადლიერნი არ დაგვრჩებიან, — და არამარტო მომავალ თაობებს გამოადგებათ ეს მასალა. ზეპირი წყაროები დიდ დახმარებას გაუწევს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებზე მომუშავე ბევრ მკვლევარს. აქვე უნდა გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას საყვედური იმ ისტორიკოსებისადმი, რომლებიც მასალას ხალხში არ ეძებენ, შინ, კაბინეტებში ჩაეკტილან და იქ ჩხირკედლობენ, და მუდამ მასალის უქონლობას უჩივიანო.

ილია პირდაპირ მიუთითებდა: უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა; მაგრამ არც მხოლოდ წიგნებითაა გრძელი.

ვგონებ დავას არ უნდა იწვევდეს, რომ ამ ისრის გაგრძელებაში, ჩვენი თვალთახედვის გაფართოებაში დიდი როლის შესრულება სწორედ რომ ხალხური ცოდნა-გამოცდილებით დაბრძენებულ ადამიანებსაც შეუძლიათ: ვისაც უმუშავნია ზეპირი წყაროების შეკრებაზე, დამემოწმება, რომ, იმ მოხუცთაგან ჩვენ რომ მასალას ვიწერთ, არაერთ მათგანს თავისი მეხსიერების მონაცემებით, დიდი ცხოვრებისეული ჩვევებით და გამოცდილებით თითქოს ახალ სამყაროში შეეყვართ ხოლმე.

ეფიჭრობ, უფლება არა გვაქვს საისტორიო მეცნიერებას დავეუაროთ ხალხში შემონახული დიდი ღირებულების მქონე ისტორიული მასალა. ზეპირი წყაროები წერილობით წყაროებად უნდა ვაქციოთ.

საკითხის ისტორიისათვის. ზეპირი წყაროების მოძიება-შეკრების საქმე ჩვენს ინსტიტუტში და მეცნიერებათა აკადემიის გარკვეულ ინსტიტუტებში არაერთხელ განხილულა. სახელდობრ, 1973 წლის ოქტომბერში შედგა ზეპირი წყაროების შეკრების საქიროების საკითხთან დაკავშირებით ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შექმნილი კომისიის სხდომა (გ. ჩიტაია, ი. ანთელავა, მ. დუმბაძე, ი. კაპარავა, პ. რატიანი, მ. გეგშიძე, ი. უთურაშვილი). კომისიამ დადგენილებით სთხოვა ინსტიტუტის ხელმძღვანელობას დირექციასთან შექმნილიყო ზეპირ წყაროებზე მომუშავე საგანგებო ჯგუფი.

1974 წლის 20 ივლისს საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი და თხოვნით მიმართა მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ-მეცნიერებათა განყოფილებას მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ზეპირ წყაროებზე მომუშავე საგანგებო ჯგუფის შექმნის თაობაზე. ეს შუამდგომლობა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ბიურომ





1974 წლის 19 ნოემბერს განიხილა და მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ზეპირ წყაროებზე მომუშავე საგანგებო უჯრედის შექმნა მიზანშეუწონლად მიიჩნია. აქვე მიუთითა, რომ საქართველოს ისტორიის ზეპირი წყაროების გამოვლენა-შეკრება ევალება ისტორიის ინსტიტუტს.

1977 წლის ივლისში საკითხი შეისწავლა მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა ა. ფრანგიშვილმა. მისი დავალებით მომზადდა მიმართვის ტექსტი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. სირაძის სახელზე, აგრეთვე შედგა ხარჯთაღრიცხვა ზეპირ წყაროებზე მომუშავე ჯგუფის დასაფინანსებლად. მაგრამ ეს მიმართვა ხელმოუწერელი და, მავსადამე, გაუგზავნელი დარჩა.

სიღნაღის ვალაენის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მაღალი ბურჯია, ალბათ, ყველაზე მაღალი ვალაენის შემორჩენილ ბურჯებს შორის. ისიც, ისევე როგორც მთელი ვალაენი და სხვა ბურჯები რიყის ქვით დულაბზეა ნაგები, მაგრამ თითქოს უფრო არქაულად გამოიყურება სიღნაღის სხვა მშენებლობათა ფონზე. ბურჯს აქვს არა ვიწრო სათოფურები, არამედ საკმაოდ მოზრდილი „ჭრილები“, შესაძლოა საისრებები. ბურჯის გვერდით წმ. სტეფანეს დარბაზული ეკლესიის ნანგრევებია.

ჩვენი აზრით, სიღნაღის მიდამოებში აღრიდანვე უნდა ყოფილიყო სიმაგრეთა ნაშთები, მაგრამ სიღნაღის—ამ ციხე-ვალაენის და ციხექალაქის შექმნა ერეკლე II-ის სახელთანაა დაკავშირებული.

ქალაქი სიღნაღი მნიშვნელოვან სტრატეგიულ და დაწინაურებული კულტურულ-რელიგიური ცენტრების უშუალო სიახლოვეს წარმოიშვა. მისგან 2-3 კმ-ზეა დაშორებული ბოდბეს კათედრალური ტაძარი, სადაც ტრადიციით წმ. ნინო დაკრძალული და მალარო—კახეთის მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია.

ი. გიულდენშტედტი წერს: „მე მოვაწყე ექსკურსია სიღნაღის ციხისკენ, რომელიც ერთადერთი ციხეა ქიზიყის მხარეში. ის მდებარეობს პირველი სამხრეთი მთისწინეთის ჩრდილოეთ კალთის ძირას, სოფლების საქობოს და მაშნაარის ახლოს“<sup>26</sup>.

სხვა ადგილას იგი აღნიშნავს: „სიღნაღი ამჟამად არის ამ მხარის ერთადერთი სიმაგრე. ის მდებარეობს სამხრეთის მთისწინეთის ჩრდილო ფერდობზე, კირიანი მთის პირდაპირ, სოფლების საქობოს და მაშნაარის ახლოს. მისი, 10 ფუტი სიმაღლის, 4 ფუტი სისქის ქვიშაქვის და კირქვის (Kalksteingeschieben);<sup>27</sup> კირით ამოყვანილი კედელი აძლევს მას 80 საყენის დიამეტრის კვადრატის ფორმას და [აქვს] სამი მხრით კარები. მისი თავდაცვა შედგება 5 ექვსფუნტიანი (ალბათ, ფუტიანი—ჯ. გ.) ქვემეხისაგან, რომლებიც მოდარაჯე გარნიზონის ხე-

<sup>22</sup> ვახტანგი, ისტორიები აღწერა; ს. კაკაბაძის გამ., გვ. 34.

<sup>23</sup> ომან ხერხეულიძე, ცხოვრება მეფის ირაკლი მეორისა, ქართლის ცხოვრება, II, ს. 3, 1854, გვ. 499.

<sup>24</sup> შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1983, გვ. 222.

<sup>25</sup> ივ. შაიშველაშვილი, ქიზიყი, თბ., 1973, გვ. 40—41.

<sup>26</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 27.

<sup>27</sup> ეს სიტყვა: ალბათ, უნდა ითარგმნოს, როგორც „რიყის ქვა“.

ლში მას აქაური იოლი მტრისთვის აღუდებელს ხდის, ისე კი კედელი სუსტია. 1772 წ. მისი მცხოვრებლები შესდგებოდნენ 84 სომხური კომლისაგან, რომლებიც ავრეთვე იცავენ მას, თუმცა უმეტესად კედლის გარეთ ცხოვრობენ. გაჭირვების შემთხვევაში აქ მოედინება ყველაფერი, და ყველა გამოქცეული მამაკაცი აძლიერებს გარნიზონს. თბილისის და გორის შემდეგ, რომლებიც მტკვარზე მდებარეობენ, ის [სიღნაღი] არის უდიდესი და უძლიერესი სიმაგრე მთელ საქართველოში»<sup>28</sup>.

ს. ბურნაშოვი, რომელიც ასახავდა კახეთის მდგომარეობას 1786 წლისათვის, წერდა: «Главный город Телав, не укрепленный».

В Кизиках Сигнах представляет большое пространство, обнесённое каменными стенами, где во время сильного нашествия неприятеля все окрестное население, со всем своим имуществом и скотом могут вместились. Впрочем, во всей Грузии монастыри и все почти деревни, которые состоят из землянок, имеют каменные замки, где сохраняются от набегов неприятелей»<sup>29</sup>.

3. ბუტკოვი სიღნაღის შესახებ აღნიშნავდა: «Около 1780 года царь Ираклий построил на правой стороне Алазани, верстах в 18 от берегов ея, на источниках, крепость Сигнах (примечание: Но Сигнах уже Гюльденштедт описывает в 1772 году. Разве потом расширен? Значит по-турецки убежище) от Тифлиса в 114, а от Телави в 70 верстах. Крепость обширная, имеет в длину версты полторы, лежит на горе, фигура неправильная; обнесена стенами из дикого камня со многими башнями, высота стены 3 сажени, а толщина 2 аршина; поместить может до 20 т. семей. От сел до Белекан верст 40, и видны белеканские жилища в хорошую погоду»<sup>30</sup>.

არტემ არარატელი, რომელმაც სიღნაღი ინახულა 1795 წლის სექტემბერში, მის შესახებ წერდა: «... прибыли в Сигнах благополучно. Город сей пограничный с Дагестаном, стоит на горе; имеет много виноградных садов и плодоносных деревьев, а особливо винных ягод, и производит хорошее вино. В нем находится один большой грузинский монастырь св. великомученицы Ноны, гостинный двор и крепость»<sup>31</sup>.

არტემ არარატელის ცნობაში საინტერესოა ის, რომ იგი სიღნაღში გულისხმობს ბოდბის წმ. ნინოს კათედრალს. სიღნაღი იმ დროს იყო საუფლისწულო ქალაქი და ა. არარატელი გიორგი ერეკლეს ძეს (შემდეგში გიორგი XII) უწოდებს „სიღნაღელ უფლისწულს“ (Сигнахский царевич)<sup>32</sup>.

სიღნაღელი სომხების შესახებ ა. არარატელი აღნიშნავს: «Здесьние армяне большею частию совсем не знают по-армянски, а говорят по-грузински»<sup>33</sup>.

<sup>28</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 259.

<sup>29</sup> С. Д. Бурнашев, Картина Грузии, Тифлис, 1889, გვ. 9.

<sup>30</sup> П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год., ч. I, С.—П., 1869, გვ. 337.

<sup>31</sup> Жизнь Артемия Араратского, М., 198, გვ. 95.

<sup>32</sup> იქვე.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 96.



იგივე ავტორს დაუცავს ცნობა სიღნაღის ვალაენის შიგნით მდებარე წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობის შესახებ, რომელსაც აგებდა თურქეთიდან სიღნაღში გადმოსახლებული ექიმი მათე (Матеос): «Он (Матеос—Дж. Г.) на собственном иждивении строил тогда в помянутой крепости каменную церковь во имя св. великомученика и победоносца Георгия»<sup>34</sup>.

ა. არარატელი გიორგი ერეკლეს ძის შესახებ აღნიშნავს: «Царевич жил на большой горе в доме Маурава»<sup>35</sup>.

„დიდ მთაში“ ხომ არ იგულისხმება სოფ. მალარო, რომელშიც კახეთის მეფეებს ჰქონდათ საზაფხულო რეზიდენცია?

დღეს სიღნაღის ახლო-მახლო სიღნაღის ვალაენის გარდა ციხესიმაგრენი არ ჩანს. რა მდგომარეობა უნდა ყოფილიყო უწინ? თვით მალაროში, რომელიც წყაროთა ერთობლივი ჩვენებით, მეფეთა საზაფხულო რეზიდენციაა, სიძველეთა კვალი გამჭრალაია. სიმაგრეები არაა ნუკრიანშიც, რომლის ერთი ნაწილი XIX ს-ში ქალაქ სიღნაღის ფარგლებში ექცეოდა. ნუკრიანში რომ უნდა ყოფილიყო სიმაგრე, ამაზე მიუთითებს ტოპონიმი „ციხისთავიანი“, რომელიც ნუკრიანის სამხრეთით მინდორს ჰქვია (დღეს იქ კვალიც კი არაა ნაგებობებისა). სტრატეგიულად მეტად ხელსაყრელი მდებარეობა აქვს ნუკრიანის აღმოსავლეთით მდებარე დიდწვერის გორას (დღეს იქ სიღნაღის ტურბაზაა), საიდანაც როგორც ხელის გულზე ჩანს ნუკრიანი, ზემო მალარო, ზემო ბოდბე, ზემო მაჩხაანი, ქვემო მაჩხაანი, ტიბაანი, ქედელი, ძველი ანაგა, ჯუგაანი, ბოდბისხევი, ასანური, კვენაკელი, წნორი, საქობო, მაშნაარი, ვაჭირი. ძნელი წარმოსადგენია, რომ სტრატეგიულად ამ მეტად მარჯვე ადგილისათვის ჩვენ წინაპრებს არ მიეჭქათა ყურადღება და აქ ციხე ან საღაზვეერო კოშკი მაინც არ აეგოთ.

სიღნაღის ტოპოგრაფიაზე მსჯელობა შედარებით ადვილია, რადგან შემორჩენილია XIX ს. დასაწყისის გეგმა<sup>36</sup>. მასზე დატანილ შესასვლელებს და კოშკებს (თუ ბურჯებს) აქვთ წარწერები იმ სოფლების მიხედვით, რომელთა მიმართულებითაც ისინი მდებარეობენ. შესასვლელები ყოფილა: მალაროს, ბოდბის, მაშნაარის, ვაჭირის, ზიარისა და ფხოველის («Зиар ховелинские»).

რაც შეეხება კოშკებს, მათი თანმიმდევრობა ასეთია: 1. მეფისა ანუ ჯუგაანის, 2. კახეთის I, 3. კახეთის II, 4. შილდის, 5. ნარიყალა (Нарикале), 6. ზირბ-ხოველიანისა (ზიარ-ფხოველის). ამას მოსდევს ორი უსახელო, 7. ვაჭირის, 8. კარდანახის, 9. ბაკურციხის, 13. საქობის, 14. მაჩხაანის I, 15. მაჩხაანის II, 16. ქიზიყის ანუ გორის ბურჯი, 17. ველისციხის, 18. ბოდბის, 19. მალაროს I, 20 მალაროს II, 21. მირზაანის.

სიღნაღის ციხე-სიმაგრის შესასვლელებისა და კოშკების სახელწოდებანი მიუთითებდნენ იმ სოფლებზე, რომლებიც სიღნაღის ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი არა მხოლოდ სტრატეგიული, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც. თითოეულ სოფელს სიღნაღთან აკავშირებდა გზა-ბილიკები.

ერეკლეს მიერ შექმნილ სიღნაღის ციხე-ვალაენს შეეძლო მტრის თავდასხმისას, ლეკთა ხშირი თარეშის ვითარებაში, მთელი ქიზიყის მოსახლეობა შეფარებინა.

<sup>34</sup> Жизнь Артемия Араратского, გვ. 96.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 97.

<sup>36</sup> პ. ზაქარაიძე, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობები, თბ., 1962, გვ. 63.

სიღნაღზე, უფრო ზუსტად იმ ტერიტორიაზე, სადაც მოგვიანებით აღმოცენდა ქალაქი სიღნაღი, ძველთაგანვე გადიოდა სამიმოსვლო გზები. ნიშანდობლივია, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით წმ. ნინო თავისი მისიონერული მოღვაწეობის გზაზე მიღწევს ბოდბეს, სადაც აღესრულება კიდევც.

მოსე კალანკატუელის თხზულებიდან კარგად ჩანს, რომ რანის გზა ჰერეთზე იდო და ამ გზით ჰერეთი უშუალოდ ბარდაეს უკავშირდებოდა. როგორც ირკვევა, სწორედ ამ გზით გამგზავრებულან ბარდავიდან VII საუკუნეში (684 წ.) ალბანეთის მთავრის ვარაზ-თრდატის ელჩები ხაკან ალფ-ილიტვერთან, რომლის რეზიდენციაც ქ. ვარაჩანში იყო. მოსე კალანკატუელის ცნობების ანალიზის საფუძველზე ს. ერემიანს დადგენილი აქვს ამ ელჩობის მარშრუტი. პეროზ-აპატი (=ბარდაეს)—ევლახ-მინგეჩაური-ნუხა-კახი. აქ ელჩები ალაზანზე გადასულან და გზა ასეთი მიმართულებით გაუგრძელებიათ: ბოდბე-სიღნაღი (ივარაუდება მერმინდელი სიღნაღის მიდამოები-ჭ. გ.)-თელავი-ალავერდი-ნაფარეული-ყადორის უღელტეხილი-ანდიის ყოისუს კანიონი-ბუნიაკსკი. აქედან კი ელჩები პირდაპირ ქ. ვარაჩანში ჩასულან<sup>87</sup>.

1772 წელს ი. გიულდენშტედტმა მეფე ერეკლესთან ერთად იმოგზაურა კახეთში. მის დღიურებში დაცული მონაცემები იძლევიან საშუალებას აღვადგინოთ იმ პერიოდის სამიმოსვლო გზები. მოვიტანოთ გიულდენშტედტის მოგზაურობიდან ის ადგილები, რომელიც ასახავს თბილისი—სიღნაღის მარშრუტს.

აკადემიკოსმა თბილისიდან გეზი აიღო კახეთისაკენ. ხილთ გადავიდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე, გაიარა ნავთლული, მდ. ლოჭინი და გადაკვეთა მდ. იორი ხაშმის ციხის ქვემოთ 3 კმ-ზე. შემდეგ გაიარა პატარა ქუელი, ნინოწმინდა, საგარეჯო, ბეჟანბალი, ქოდალო. აქედან დაეშვა ქვევით დიდ ხევში და ჩაყვა მდ. ლაკელს (ლაკბე?—ჭ. გ.), საიდანაც ამოვიდა და ავიდა მთისწინეთის თხემზე 3/4 საათის შემდეგ მივიდა სოფ. მელაანში, სადაც გაჩერდა. მელაანიდან წავიდა პირველი მთისწინეთით სოფ. მალაროში, კიშას მიმართულებით (უნდა იყოს ქიზიყი—გ. ველ.) აქედან მოინახულაა წმ. ნინოს მონასტერი (ბოდბე—ჭ. გ.)-ვაჭირი-მაშნარი-საქობო-ასანური-ჯუგაანი-გუმბათის წყარო-ხირსა—ტიბაანი-ბრასიანი-არბოშკი-მირზაანი-მაჩხაანი (ამ მხარის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სოფელი)—ბოდბე-მალარო-ნუკრიანი-ჭოტორი-ანაგისკარი („დიდი“ ღრმა ხეობა)—ანაგა-სიღნაღის ციხე. აქედან გაემართა ბაიდარისკენ („მკუთვნის უკვე კახეთის სხვა მხარეს და არა ქიზიყს“)<sup>88</sup>.

მ. მაჩაბელი იძლევა ცხვრის მარშრუტებს, რომლებითაც XIX ს-ში და, ალბათ, ადრეც შირაქის ველი უკავშირდებოდა კახეთის მთას და კერძოდ თუშეთს. სანტერესა, რომ სამივე მარშრუტი გაივლიდა ალვანის მინდორს.

ჭიაურის გზა გაივლიდა სოფ. საქობოს, წნორს, ჭიაურის ხიდს, კაბალას, გავაზს, ყვარელს, შილდას, საბუეს, ნაფარეულს და ალვანის მინდორს.<sup>89</sup>

<sup>87</sup> С. Т. Еремян, Моисей Каланкатуйский о посольстве албанского князя Варзатрата к хазарскому хакану Алп-Илитверу, Записки Института востоковедения АН СССР, т. VII, 1939, გვ. 139, 150.

<sup>88</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 15—40.

<sup>89</sup> М. В. Мацабели, 1 ЭК. быт. гос. крестьян ионетского уезда. Тифлисской губернии, в книге: Мат. для изуч. эк. быта гос. крестьян Закавказья, края т. V, Тифлис, 1887, გვ. 419.

მეორე გზა, რომელსაც წინამხრისა ეწოდებოდა, გაივლიდა ბოდბისხევის, ქვემო მაჩხაანს, ვაჭირს, ანავას, ტიბაანს, ჯარაანს, საქობოს, კარდანახს, სილნალ—თელავის გზას, ხორხელს და მიდიოდა ალვანის მინდორზე<sup>40</sup>.

მესამე გზა—უკანამხრისა გაივლიდა მირზაანს, მაჩხაანს, ბოდბისხევის, ბოდბეს, მალაროს, დამალას, მანავს, თელავის გასწვრივ კახეთის შარას, მდინარე თეთრ-წყალს, ხოდაშენის შარას და აღწევდა ალვანის მინდორს<sup>41</sup>.

თანამედროვე მთხრობელთაგან ჩაწერილი გზების მარშრუტები ასე გამოიყურება:

თელავი-წინანდალი-ქვემო ხოდაშენი-აკურა-ვაჩნაძიანი (დღ. შრომა)-ველისციხე-ჩუმლაყი-ახტალა-ვეჯინი-ბაკურციხე-კარდანახი-ვაჭირი-ანავის ხევი-სილნალი. ბაკურციხედან აღნიშნული მიმართულების გარდა გზა იღო სოფლებზე: ბარჯისხევი-ჩალაუბანი-ნუკრიანის კალოები (უკანამხრისაკენ)-ნუკრიანი-სილნალი ჩალაუბნიდან სილნალამდე იღო მეორე გზაც, რომელიც გადიოდა სოფლებზე; ქვემო მალარო, ქვემო ბოდბე, ზემო მალარო, ნუკრიანი, სილნალი.

სილნალიდან ლაშინი ხევით გზა ჩადიოდა საქობოზე. ბოდბისხევიში გზა ჩადიოდა ქედელზე.

სილნალი ნუკრიანის საშუალებით უკავშირდებოდა: ბოდბეს, მალაროს და თბილისს. ეს უკანასკნელი გზა შემდეგი მიმართულებისაა: სილნალი-ნუკრიანი-ნუკრიანის კალოები-მელაანი-კაჭრეთი-ბაღიაური...თბილისი.\*

როგორც ვხედავთ, სამომოსვლო გზებმა უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე მცირე ცვლილებები განიცადა. გზის მიმართულებანი კახეთში და, კერძოდ, ქიზიყში ტრადიციული დარჩა.

ქალაქების—სილნალისა და ყარაღაჯის აღმოცენება ჰერეთის ანუ ცივ-გომბორის ქედსა და მის ჩრდილოეთით, სავსებით კანონზომიერია. ცივ-გომბორის ქედი, რომელიც გადაჭიმულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, ყოფდა რა ალაზნისა და იორის ხეობებს, ქმნიდა ამ ორი მდინარის „შუამდინარეთს“ და ფაქტობრივად წარმოადგენდა ერთიან ქვეყანას. ცივ-გომბორის ქედი იორ-ალაზნის შუამდინარეთში ისეთსავე როლს ასრულებდა, როგორც ლომის-ალევის ქედი ქსანი-არაგვის შუამდინარეთში<sup>42</sup>. რა თქმა უნდა, ცივ-გომბორის ქედის შემთხვევაში უფრო დიდ ისტორიულ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-პოლიტიკურ მასშტაბებთან გვაქვს საქმე (ისევე როგორც სხვა მასშტაბებია, ერთი მხრივ, ალაზან-იორი და, მეორე მხრივ, ქსან-არაგვი).

კახეთის წინამხარი და უკანამხარი ერთიანი ქვეყნის ორი ნაწილია. კანონზომიერია, რომ სწორედ ცივ-გომბორის ქედზე წარმოიქმნება კახეთის ერთ-ერთი ცენტრი ბოჭორმა, ქალაქი ჭერემი, ქალაქი და საეპისკოპოსო ხორნაბუჯში, საეპისკოპოსო ბოდბეში, მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია მალაროში.

ხორნაბუჯის ძველ ნაქალაქარს, უფრო ზუსტად მის სამეურნეო ქვეყანას, უნდა მოეცვა თანამედროვე ხორნაბუჯის ციხის როგორც ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია(ყოლონთოს ანტიკური და ადრეფეოდალური ძეგლები, ყარაღაჯ-

<sup>40</sup> М. В. Мачаџели, დასახ. ნაშრომი, გვ. 420.

<sup>41</sup> იქვე.

\* როგორც ჩანს, ერთა გზა ცივ-გომბორას ქედს თანემს მთელ სიგრძეზე მისდევდა.

<sup>42</sup> იხ. ვ. გეასალია, ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, 1970; მისივე, საკანდ. დისერტაციის ავტორეფერატი, 1971, გვ. 16; შტრ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 356.

ში აღმოჩენილი III ს. მონეტა ამისი მოწმენია), ისე აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ტერიტორია. ყარაღაჯი უნდა ყოფილიყო ძველი ხორნაბუჯის ერთ-ერთი უბანი<sup>43</sup>. XIV ს.-შიც, აოხრების შემდეგაც, ყარაღაჯი ეკონომიკურად მაინც დაწინაურებულია (მონეტების განძი; ზარაფხანა?). XVII ს. ნუმისმატიკური მასალა ყარაღაჯიდან მიგვანიშნებს მის კანონზომიერ მოწინავეობაზე XVII ს.-ში.

ასევე კანონზომიერია სიღნაღის ციხე-გალანისა და ქალაქის აღმოცენება მაღაროსა და ბოდბეს სიახლოვეს. ცივ-გომბორის ქედის თხემების ათვისება განპირობებული იყო მათი სატრატეგიული მოხერხებულობით და მათზე გამავალი მრავალი გზა-გადასასვლელებით, რომლებიც აკავშირებდნენ წინამხარსა და უკანამხარს. ცივ-გომბორის ქედისა და მასზე განლაგებულ სიმაგრეთა თუ ცენტრებთან მიმართებაში უნდა აიხსნას ქალაქების—სიღნაღისა და ყარაღაჯის აღმოცენება—განვითარება.

ДЖ. Г. ГВАСАЛИА

## К ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ ГОРОДОВ КАХЕТИ (Карагаджи, Сигнахи)

Резюме

Города Карагаджи и Сигнахи сформировались в позднее средневековье. Их появление на Цив-Гомборском хребте и к северу от него вполне закономерно. Цив-Гомборский хребет, разделяя ущелья рек Иори и Алазани, образовал между ними «междуречье». Цинамхари и Уканамхари Кахети представляли две части единой страны. Естественно, что именно на Цив-Гомборском хребте возникли политические и религиозные центры Кахети: Бочорма, Черемы, Хорнабуджи, Бодбе, Магаро.

Территория Карагаджи являлась частью хозяйственного района города и крепости Хорнабуджи античного и раннефеодального периода. С другой стороны, территория Сигнахи примыкает к старым центрам Бодбе и Магаро. Возникновение городов Сигнахи и Карагаджи объясняется их связью с Цив-Гомборским хребтом и на нем расположенными укреплениями и центрами.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებთან აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებამ

<sup>43</sup> იქნებ ამის მოწმობა იყოს ისქანდერ მუნშთან დაკუთმე ციხის სახელი ყორღანყუჯი; შეიძლება ფონეტიკურად დაკავშირდეს ერთმანეთთან ყორღანყუჯი (ხორნაბუჯი) და ყარაღაჯი.

ანა ბაჩრაძე

თეიმურაზ I-ის გეგლები<sup>1</sup>

XVII ს-ის შუა წლებიდან სამეფო კარიდან გასულ ყველა საბუთს აქვს ბეჭედი (ზოგჯერ მას სცვლის ხელრთვა). დოკუმენტებში შემოინახა ქართველი მეფეების—როსტომის, ვახტანგ V-ის და VI-ის, ერეკლე I-ისა და მეორის, იმამყული-ხანის, ბაქარის, არჩილის, თეიმურაზ II-ის და დასავლეთ საქართველოს მეფეთა ბეჭდების ანაბეჭდები. საქართველოს საარქივო ფონდებში არ გვხვდება მხოლოდ საქართველოს მეფეთაგან თეიმურაზ I-ისა და გიორგი XI-ის ბეჭდები (თუ არ ჩავთვლით ერთ შემთხვევას, სადაც გიორგის ბეჭედი ჩასმულია ორთავიანი არწივის ნახატ გამოსახულებაში და მასზე მოთავსებულია შემდეგი ლეგენდა: „მონაღოსისა, ძე დავითისა, გიორგი“)<sup>2</sup>; როგორც წესი ამ მეფეთა მიერ გაცემულ საბუთებზე მათი ხელრთვაა.

მ. ბროსეს მიერ გამოცემულ ნაშრომში ქართველი მეფეების მიმოწერა რუსეთის იმპერატორებთან უცხოურ ენებზე მთელ რიგ შემთხვევებში აღნიშნულია რომ თეიმურაზ I-ის მიერ გაგზავნილი წერილების ბოლოს დასმული ყოფილა მისი ბეჭედი.<sup>3</sup> სამწუხაროდ, ბროსეს ამ ბეჭდების ლეგენდები არ მოჰყავს.<sup>4</sup>

მ. ბროსე თავის იმავე შინაარსის ნაშრომში მხოლოდ ფრანგულ ენაზე „Correspondance en grec des rois géorgiens du Cakheth avec la Russie pendant le XVII e siècle (tiré du Bulletin scientifique publié par l'Académie impériale de Sciences de S. Pt t. X, N 7, 8)“ იძლევა თეიმურაზ I-ის ორი ბეჭდის ფოტორეპრდუქციას<sup>5</sup>. ორივე ბეჭედი უზის თეიმურაზის მიერ გაგზავნილ წერილებს რუსეთის იმპერატორებთან. პირველი მათგანი დათარიღებულია 1639 წლის 25 აპრილით, ხოლო მეორე 1652 წლით.<sup>6</sup>

ორივე ბეჭედი მსხლისებური ფორმისაა (პირველი ზომით 8×6 სმ, მეორე 4,5×3,8) სმ. პირველი ბეჭდის შუაგულში ჭრის გამოხატულებაა, რომლის

<sup>1</sup> მოხსენდა 1985 წ. 17—19 ოქტომბერს ბათუმში გამართულ წყაროამცოდნეობის საკავშირო სესიას.

<sup>2</sup> ა. ბ ა ქ ა ძ ე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, თბ., 1978, № 29.

<sup>3</sup> М. Броссе, Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, 1861, გვ. 64, 77, 79, 80.

<sup>4</sup> მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოაქვს ლეგენდის რუსული თარგმანი, «Милостию божиею царь Грузии Теймураз». იქვე გვ. 64.


<sup>5</sup> ბეჭდების ფოტოები ბროსეს ამონაბეჭდში გადმოღებული აქვს ცალკე გაშლილ ფურცლებზე.

<sup>6</sup> წერილები დაცული მოსკოვის ძველი აქტების ცენტრალურ საისტორიო არქივში ЦГАДА, Ф. 110, Сношение Грузии с Россией, оп. 2, д. 3, გვ. 1—14; დ. 5, გვ. 1.

ხოლო ამ წერილების ფოტოები ინახება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში № 57—59. ერთ-ერთი ამ ბეჭდის ფოტო-სურათი მოტანილი აქვს ს. ბარნაველს თავის ნაშრომში „საქართველოს საბეჭდადები და სხვა გლობტიკური მასალა, თბ., 1965, ტაბ. VIII, სურ. 3. ს. ბარნაველს ბეჭდის ლეგენდა წაკითხული არ აქვს.

მკლავებში ასომთავრული ასოებია ჩასმული.<sup>7</sup> გარშემო კიდეების გასწვრივ მხედრული ლეგენდაა, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: „წყალობითა ღთისათა [თეიმ]ურაზ მეფე ყოვლისა საქართველოსა“. წერილს აქვს ვრცელი ხელრთვაც. „მეფე თეიმურაზ ქართველთა, წყალობითა ღთისათა“ (სურ. 1).

მეორე ბეჭდის ზემოთა მხარეს ჯვრების გამოხატულებაა; ჯვრების ქვეშ სამეფო გვირგვინია; კიდეებზე მხედრული ლეგენდაა, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: „მეფე თეიმურაზ [სა]ქართველოსი“ (სურ. 2).



თეიმურაზ I-ს მესამე ბეჭედიც ჰქონდა. ამ ბეჭდის ფოტო და მისი ლეგენდის წაკითხვა მოცემული აქვს პროფ. ი. ტაბალუას მის მიერ გამოქვეყნებულ საგანზეთო წერილში სათაურით „ეპისტოლე ესე“.<sup>8</sup> ბეჭედი მრგვალი ფორმისაა.<sup>9</sup> გარშემო კიდეების გასწვრივ ასომთავრული ლეგენდა შემდეგი შინაარსის: „მეფე თეიმურაზ ქართლის მტკიცედ მპყრობელი“. ბეჭედი დასმული ყოფილა თეიმურაზ I-ის მიერ რომის პაპთან ურბან VIII-თან გაგზავნილ წერილზე, რომელიც შედგენილი იყო 1626 წლის 20 ნოემბერს.

როგორც გვქონდა აღნიშნული საქართველოში თეიმურაზის საბუთებში არც ერთხელ არ გვხვდება მისი ბეჭედი, რომელსაც სცვლის ყველგან მისი ხელრთვა. ისმება კითხვა რატომ არის შემორჩენილი თეიმურაზის ბეჭდები მხოლოდ მის მიერ უცხოელ მოღვაწეებთან მიმოწერაში?

რუსული და ირანული სფრაგისტიკის ცნობილი მკვლევრები ნ. ლიხაჩოვი და რობინო დე ბორგომალე (Robino de Borgomale) აღნიშნავენ, რომ ერთი და იმავე პირს რამდენიმე ბეჭედი ჰქონდა, რომლებსაც ისინი სხვადასხვა შემთხვევისათვის ხმარობდნენ: «Византийцы, как и в настоящее время на Востоке, имели по несколько печатей, на востоке обычно три. Официальная печать была с именем и титулом, малая же печать, служившая для частных писем, когда иногда даже нежелательно, чтобы по надписи на

<sup>7</sup> წარწერა ვერ იკითხება. მეორე სტრიქონში შეიძლება იკითხებოდეს „ძლევა“ ძხუნი.

<sup>8</sup> ვახუთი „კომუნისტი“, 1982 წ. 23 თებერვალი.

<sup>9</sup> წერილი უკვე აწუხობილი იყო, როდესაც გამოვიდა ი. ტაბალუას ნაშრომი („საქართველო ევროპის არქივებსა და წინასაცავებში“, ტ. II, თბ., 1986), სადაც დაბეჭდილია ბეჭდის ფოტო, გვ. 285.



булле было видно, от кого идет послание, нередко содержала только изречение без имени». <sup>10</sup>

«На Востоке письма и документы были скреплены печатями, но не личными подписями. Должностное лицо имело по несколько печатей. Одну официальную, больших размеров, четырехугольной или овальной формы с именем и полными титулами владельца. Он пользовался также и другими печатями меньших размеров для своей деловой переписки, контрактов и еще более маленькой только с его именем, которая была предназначена для скрепления личных писем к друзьям. Были, наверно, еще и другие для специального пользования». <sup>11</sup>

საქართველოშიც, როგორც სფრაგისტიკული მასალებიდან ჩანს, ერთ და იმავე პირს ორი, სამი და ხშირად მეტი ბეჭედი ჰქონდა. დღემდე საბუთებში შემონახულია ერეკლე II-ის შვიდი ქართული ბეჭედი, <sup>12</sup>თეიმურაზ II-ისა და გიორგი XII-ის რვა-რვა ბეჭედი, დარეჯან დედოფლის ორი, ნაზარალიხანის ხუთი იმერეთის მეფის სოლომონის ოთხი და ა. შ. ასევე რამდენიმე ბეჭედი ჰქონდათ თანამდებობის მქონე დიდებულებს და სხვა მოხელეებს.

ეს ბეჭედები იხმარებოდა მათი მფლობელთა მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში და მათი ლეგენდები იცვლებოდა მათი თანამდებობრივი რანგისა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ცვლილებებთან ერთად. სფრაგისტიკული მასალებიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ ერთი და იმავე პირის სხვადასხვა ბეჭედი იხმარებოდა სხვადასხვა შინაარსის საბუთებისათვის—უფრო მნიშვნელოვან დოკუმენტებს (წყალობას, შეწირულებას) ერთი ბეჭედი ჰქონდა დასმული, ნაკლებად მნიშვნელოვან საბუთებზე კი (პირად წერილებზე, არზა-ოქმებზე) მეორენაირი ბეჭედები ჩანს. <sup>13</sup>

თეიმურაზის ზემოდ აღნიშნული სამივე ბეჭედი უზის მის მიერ რუსი და უცხოელი მოღვაწეებისადმი გაგზავნილ წერილებს. ხოლო საქართველოში გაცე-

<sup>10</sup> Н. П. Лихачев, Материалы для истории византийской и русской сфрагистики, Труды музея палеографии, Л., 1928, вып. 1. გვ. 166.

<sup>11</sup> „En Orient, lettres et documents étaient scellés et non signés. Un homme de substance avait plusieurs sceaux. L'un officiel, de grande dimension et de forme carrée ou ovale portait dessus son nom entier et ses titres. Il se servait d'un autre plus petit pour ses papiers d'affaires, traités, contrats etc, et un autre plus petit encore et qui ne portait que son nom, était destiné à sceller les lettres à ses amis et intimes. Il en avait probablement d'autres encore pour des usages spéciaux.“ H. L. Robino de Borgomale, La sigillographie iranienne moderne, Journal asiatique t. CCXXXIX, année 1951, fascicule n 2., Paris, გვ. 194.

ციტატი შოტანილია ს. ბარნაველის ნაშრომიდან — დასახ. ნაშრ., გვ. 80—87.

<sup>12</sup> ერეკლე II-ის ბოხჩაში ნაპოვნი ნივთების სიაში აღნიშნულია, რომ ამაში იყო „...ცხრა საბეჭდავი ბეჭედი“ (მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. III, გვ. 282—283, თბ., 1955.

ქ. ტაბატაძის მიერ გამოქვეყნებულ წერილში „ერეკლე II-ის და გიორგი XII-ის რამდენიმე სპარსული საბუთი“ მითითებულია ერეკლეს ორი სპარსული ბეჭედი. ქართული წყაროთმცოდნეობა, წ. VI, თბ., 1985.

<sup>13</sup> ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, კატალოგი, ნაკვ. 1, თბ., 1978, გვ. 27—28.

მულ დოკუმენტებზე ყველგან მხოლოდ მის ხელთვას ვხვდებით. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ თეიმურაზ I-ის სამივე ბეჭედს ერთი და იგივე დანიშნულება ჰქონდა. მათ თეიმურაზი ხმარობდა უცხოური კორესპონდენციებისათვის. გააჩნდა თუ არა მას სხვა ბეჭედები? ცნობების უქონლობის გამო ამის შესახებ გარკვევით ვერაფერს ვიტყვით.

თეიმურაზ I-ის სამივე ბეჭედის ლეგენდის შინაარსი არსებითად ერთნაირია. იგი იხსენიება „მეფედ საქართველოსი“, „მეფედ ყოვლისა საქართველოსი“ და „მეფედ ქართლისა მტკიცედ მპყრობელი“.

როგორც დადგენილი გვაქვს, ბეჭედების ლეგენდებში ასახულია ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება.<sup>14</sup> მაგ. XVII საუკუნეში ირანული გავლენის ხანაში ქართლის მეფეთა ბეჭედებზე შემდეგი შინაარსის ლეგენდებია: „ყაენის ფეჰთა მტუერი, მეფე როსტომ ვამტიცებ“, „ყაენის ბანდა ყულარალასი, მეფე ნაზარალიხან ვამტიცებ“<sup>1</sup>, „ბედნიერის ყაენის ბანდა მეფე ნაზარალიხან ვამტიცებ“, „ყაენის ფეჰთა მტუერი, შაჰნავაზ მეფე ვამტიცებ“ და სხვ. დასავლეთ საქართველოში, ოსმალთა ბატონობის ხანაში „მონა ღთისა, ყმა ხონთქრისა, მეფე გიორგი“, „მონა ღთისა, ყმა ხონთქრისა, ხანი გურჩისა მამია“<sup>2</sup>. .. ასეთივე შინაარსის არის სოლომონ მეფის ერთ-ერთი ბეჭედის ლეგენდა „მონა ღთისა, ყმა ხონთქრისა, მეფე სოლომონ“. ეს ბეჭედი ჩანს სოლომონ I-ის მეფობის პირველ წლებში სრესილის ომამდე; სოლომონის მიერ ოსმალების დამარცხების შემდეგ, ეს ბეჭედი გამოდის ხმარებიდან და მის ადგილს იჭერს სოლომონ I-ის ქართული შინაარსის ლეგენდიანი ბეჭედები: „მეფე იმერეთისა სოლომონ“, „კეთილ ძირთავან რტოანი, მეფე ვარ ბაგრატოანი, სოლომონ“.

თეიმურაზ I-ის ბეჭედების ლეგენდები არ შეეფერება იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას. როგორც ცნობილია, თეიმურაზ I-ის მეფობა უწყვეტი არ ყოფილა. თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის უმეტესი ნაწილი მან ექსპორიობაში გაატარა.

თეიმურაზს თავისი ბეჭედების ლეგენდებით სურდა ეჩვენებინა რუსეთისა და უცხოელი ხელმწიფეებისათვის, რომ მისი ძალაუფლება ავტორიტეტული და მტკიცეა, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა.

A. K. БАКРАДЗЕ

## ПЕЧАТИ ЦАРЯ ТЕЙМУРАЗА I

### Резюме

В статье рассмотрены три печати царя Теймураза I. На основании изучения сфрагистического материала предполагаем, что все три печати имели одно и то же назначение, а именно — служили для скрепления иностранных корреспонденций, и легенды печатей не соответствовали существующей в то время в стране политической ситуации.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

<sup>14</sup> ა. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

მთარ ცაიბიშვილი

არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის  
განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან

(აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ცნობათა მიხედვით)

წინა წერილში, აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის საქართველოში არაბთა პირველი ლაშქრობების ცნობებს რომ შეეხება<sup>1</sup>, შეძლებისდაგვარად მოტანილია მასალა ამ არაბი მემკვიდრისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ჯერჯერობით ნაკლებად ცნობილი მისი ისტორიული ნაშრომის შესახებ. ამიტომ ამ საკითხზე ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

წინამდებარე მცირე მოცულობის წერილში კი გვესურს ქართველ ისტორიკოსთა ყურადღება მივაპყროთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდზე არაბთა მფლობელობის ხანაში ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის იმ ახალი ცნობების მიხედვით, რომელნიც ამ შემთხვევაშიც საგრძნობლად გამოირჩევა თავისი სიახლით სხვა არაბ ისტორიკოსთა მიერ მოწოდებული ცნობებისაგან.

საკითხი ეხება წანართა ტომის აჯანყების ისტორიას კახელებთან ერთად მეორე აბასიანი ხალიფა ალ-მანსურის (754—775 წწ.) დროს, როგორც ჩანს, 770—771 წწ.

წანართა შესახებ, სამწუხაროდ, ბევრი არაფერია ცნობილი. ვიცით ის, რომ წანართა პირველსაცხოვრისის ადგილად წყართა ჩვენებების საფუძველზე („ქართლის მოქცევა“, VII ს. სომეხი ანონიმის ნაშრომი, კლავდიუს პტოლემეაოსი, კონსტანტინე პორფიროგენეტი, ალ-მასუდი და სხვ.) მკვლევარები ივ. ჯავახიშვილი, ე. მინორსკი, ს. ჯანაშია, ს. კაკაბაძე, მ. ლორთქიფანიძე, ს. ერემიანი, ნ. ლომოური, დ. მუსხელიშვილი, თ. პაპუაშვილი, შ. ბაღრიძე, ჯ. გვასალია და სხვ.) არაგვის ხეობასა და დარიალის ხეობას, თანამედროვე ხევს, ყაზბეგის რაიონს, მიიჩნევენ<sup>2</sup>.

აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ცნობის თანახმად, წანარები (ას-სანარიჰა) ყოფილან ჯურზანში (ქართლში) მცხოვრები „ურწმუნონი“. მიუხედავად არაბი ისტორიკოსის ასეთი მითითებისა, ზ. ბუნიატოვი აღნიშნავს, რომ წანარები იყვნენ მთიელი ხალხი, რომელიც ცხოვრობდა მდინარე ალაზნის ჩრდილოეთით. და შექიდან ჩრდილო-დასავლეთით, ილისუს ოლქში<sup>3</sup>. სამწუხაროდ,

<sup>1</sup> იბ. თ. ცაიბიშვილი, აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ცნობა არაბთა პირველი ლაშქრობების შესახებ საქართველოში, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 1, 1984, გვ. 92—104.

<sup>2</sup> ამ საკითხზე სათანადო ლიტერატურის მითითებით დაწვრილებით იბ. მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 391—392; თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო (VIII—XI სს.), თბ., 1982, გვ. 26—33.

<sup>3</sup> იბ. ახმად იბნ ასამ ალ-ქუფი, Книга завоеваний (извлечения по истории Азербайджана VII—IX вв.), перевод с арабского языка З. М. Буниатова, Баку, 1981, გვ. 83, შენიშვნ. 106.

ზ. ბუნიატოვს მითითებული არა აქვს, თუ რა ცნობებს ეყრდნობა ეს თვალსაზრისი.

აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი, მართალია, ძალზე ზოგადად უთითებს წანართა ადგილსაცხოვრისს, მაგრამ სრულიად დასაშვებია, რომ იგი მათ მიიჩნევდეს აღმოსავლეთ საქართველოს საერთოდ<sup>4</sup> და, კერძოდ, საკუთრივ ქართლის მცხოვრებლებად. ამდენად, თანამედროვე მკვლევართა თვალსაზრისი, ზ. ბუნიატოვის გამოკლებით, შეიძლება ითქვას, საკმაოდ დამაჯერებლად ემთხვევა არაბი მემატინის მითითებას წანართა ტომის განსახლების ადგილის შესახებ.

ცნობილია, რომ წანართა აჯანყებას ქართლში თანემთხვევა არაბი მოხელის ალ-ჰასან იბნ კაჰტაბა ატ-ტაის მმართველობის წლები არმინიაში<sup>5</sup>.

ალ-ჰასან იბნ კაჰტაბა ორგზის ყოფილა დანიშნული არმინიის მმართველად. პირველად იგი ვანაგებდა არმინიის პირველი აბასიანი ხალიფა აბუ ალ-აბას ას-საფაჰის (750—754 წწ) დროს ჰიჯრ. 136 წ., რაც უდრის ევროპული წელთაღრიცხვის 753—754 წწ., აბუ ალ-აბასის ზეობის დასასრულამდე, ხოლო მეორედ — მეორე აბასიანი ხალიფა ალ-მანსურის გამგებლობის ბოლო წლებში — ჰიჯრ. 154—158 წ., ანუ 770—775 წწ.<sup>6</sup> 753—754 წწ. წანართა აჯანყების შესაძლებლობას მ. ლორთქიფანიძე სამართლიანად გამორიცხავს. მაშასადამე, მათი აჯანყების ერთადერთ შესაძლებელ თარიღად რჩება 770—775 წწ. მაგრამ, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ტექსტის ცნობებისა და ზოგი სხვა მოვლენის გათვალისწინება იძლევა იმის საშუალებას, რომ კიდევ უფრო დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს წანარ-კახთა აჯანყების წლები.

არმინიის გამგებლად ხელმეორედ დანიშნული არაბი სარდალი ალ-ჰასან იბნ კაჰტაბა<sup>7</sup>, აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ცნობის მიხედვით, აქ მარტო არ ჩამოსულა. იგი ზორასნელთა, სირიელთა და ერაყელთაგან შემდგარი 50 000-იან ჯარს მოუძღვებოდა.

ალ-ჰასან იბნ კაჰტაბას ჩამოსვლას არმინიაში, ალბათ, არა შემთხვევით, დამთხვევითა, როგორც არაბი მემატინე წერს, წანართა, ჯურჯანის „ურწმუნოთა“, აჯანყება. არ არის გამორიცხული, რომ ალ-ჰასან იბნ კაჰტაბას დანიშვნას არმინიის მმართველად და მის აქ ჩამოსვლას წინ უსწრებდა ქართლის

<sup>4</sup> ვინაიდან VIII ს. მეორე ნახევრის ქართლში, ყოველ შემთხვევაში, ამ საუკუნის 80-იან წლებამდე, დამოუკიდებელი კახეთის სამთავროს წარმოქმნამდე, ჯერ კიდევ შესაძლებელია კახეთიც იგულისხმებოდეს.

<sup>5</sup> როგორც ცნობილია, არმინია იყო არაბთა მიერ შექმნილი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელშიც შედიოდა აღმოსავლეთ საქართველო, ქართლი, და საკუთრივ სომხეთი.

<sup>6</sup> იხ. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფიის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაყ. 31, თბ., 1954, გვ. 13, შენიშვნ. 1; მისივე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფიის თემა, თბ., 1963, გვ. 199, შენიშვნ. 7; З. М. Буниятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 83, შენიშვნ. 105.

<sup>7</sup> არაბ. ავტორთა ცნობით, ამ ალ-ჰასან იბნ კაჰტაბას სახელთან ყოფილა დაკავშირებული არხის სახელი ბალიკანში და ბალისა და მიწის ნაკვეთებისა ალ-ჰასანია ბარდავში (იხ. ალ-ბაღა ალ-ჯურჯი, მ. დეგუეს გამოცემა, გვ. 210; იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი, BGA, V, გვ. 294; შდრ. მისი გეოგრაფიული ნაშრომის ტაშკენტის ხელნაწერის თავი არმინიაზე). როგორც ჩანს, თავის დროზე, კონკრეტულად თუ როდის, ალ-ჰასან იბნ კაჰტაბას არმინიის გამგებლად პირველად თუ მეორედ ყოფნისას, ამის თქმა ძნელია, მას გარკვეული სასარგებლო სამეურნეო სამუშაოებიც ჩაუტარებია და მისი ეს დამსახურება ხალხს მიეწიებისათვის არ მიუცია.

ადგილობრივი მოსახლეობის რალაც გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური აქციები<sup>8</sup>, მიმართული არაბთა ბატონობის წინააღმდეგ. ალბათ, ამის შედეგი იყო არმინიის გამგებლად ახალი არაბი მხედართმთავრის დანიშვნა ნაცვლად გადაყენებული ბაქარ იბნ მუსლიმ ალ-ფაილისა და მისი გამოსტუმრება ამიერკავკასიაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამხედრო ლაშქრით, რაზედაც წანარებს, როგორც არაბი მწერლები (ალ-ბალაზური, ალ-იაკუბი, იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი<sup>9</sup>, აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი) გვატყობინებენ, ახალი მძლავრი განმთავისუფლებელი მოძრაობით უნდა ეპასუხნათ.

სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამწვავება არაბთა მფლობელობის ხანაში VIII ს. მეორე ნახევრის ქართლში საცვებით ბუნებრივი ჩანს, თუ გავითვალისწინებთ მდგომარეობას, შექმნილს აღნიშნული საუკუნის 30-იან წლებში ქართველი ხალხისათვის სრულიად უცხო სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზმის თბილისის საამიროს დაარსებით და იმ ახალი მკაცრი და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური პოლიტიკის გამო, რომელსაც ახალმა აბასიანმა დინასტიამ მიმართა დაპყრობილ ქვეყნებში ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე 750 წ.

ცნობა არმინიაში ალ-ჰასან იბნ კაჰტაბას 50000-იანი ჯარით ჩამოსვლის შესახებ პირველად გვხვდება არაბულ წყაროში.

ალ-ჰასან იბნ კაჰტაბას წანარებთან გამკლავება გაძნელებია, მათი დაშოშმინება ვერ მოუხერხებია და ამიტომ დახმარებისათვის ხალიფა ალ-მანსურისათვის მიუმართავს. მას არაბი მხედართმთავრისთვის დასახმარებლად, აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ცნობის თანახმად, დამატებით გამოუგზავნია 30000-იანი ცხენოსანი არმია ოთხი არაბი სარდლის ამირ იბნ ისმაილ ალ-ჯუჟრჯანის, ისა იბნ მუსა ალ-ხურასანის, ალ-ფადლ იბნ დინარისა და მუკათილ იბნ სალიჰის მეთაურობით.

დღემდე ჩვენ ვიცოდით, რომ ალ-მანსურს ალ-ჰასან იბნ კაჰტაბასათვის გამოუგზავნა 20000-იანი ჯარი და ვიცნობდით მხოლოდ ერთ მხედართმთავარს ამირ იბნ ისმაილს, რომელიც ამ ლაშქარს ხელმძღვანელობდა<sup>10</sup>.

მაშასადამე, აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ტექსტის მიხედვით, ჩვენთვის ცნობილი გახდა ქართლში გამოლაშქრებული დამატებით კიდევ სამი არაბი სარდლის სახელი: ისა იბნ მუსა ალ-ხურასანი, ალ-ფადლ იბნ დინარი და მუკათილ იბნ სალიჰი.

თუ აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ამ ცნობას გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხის აჯანყებას უფრო ფართო და არაბთა სახა-

<sup>8</sup> ყოველ შემთხვევაში, ამ ჩვენს თვალსაზრისს რალაცნაირად მიიჩნევა ეხმარება არაბ მემბრანეთა ცნობები, რომელთა მიხედვით ხალიფა ალ-მანსურის მმართველობის წლებში არაბები ებრძვიან წანარებსა და ავიწროებდნენ მათ მანამ, სანამ ხარაჯა არ გადაახდებინეს (იხ. ალ-ბალაზური, იქვე, იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი, იქვე; შდრ. ტაშკენტის ხელნაწერის თავი არმინიაზე). ეს გარემოება ქართულ ისტორიულ ნაშრომებშიც არის აღნიშნული.

<sup>9</sup> ცნობა წანართა აჯანყების შესახებ იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანისაც მოაქვს თავის გეოგრაფიულ ნაშრომში (იხ. იქვე), თუმცა იგი არსად ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში დღემდე არ ყოფილა მითითებული. იგივე ცნობა წანართა აჯანყებაზე იხ. ტაშკენტის ხელნაწერის თავში არმინიაზე.

<sup>10</sup> ალ-ბალაზური, გვ. 209; ალიაკუბი, თ. 3 აუთსჰას, გამოცემა, II, გვ. 447; იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი, გვ. 274; შდრ. ტაშკენტის ხელნაწერის თავი არმინიაზე; მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, გვ. 380.

ლიფოსათვის უფრო საშიში ფორმები მიუღია, ვიდრე აქამდე გვექონდა მასზე წარმოდგენა. ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის განსაკუთრებით საგანგებო ღონისძიებანი, რომელთათვისაც ხალიფა ალ-მანსურს მიუმართავს: არმინის ძველი გამგებლის ბაქარ იბნ მუსლიმ ალ-უკაილის საკმაოდ მალე გადაყენება თანამდებობიდან და მის ადგილზე ახალი მოხელის ალ-ჰასან იბნ კაჰტაბას დანიშვნა არმინის მმართველად, თანაც ისეთი პირისა, რომელიც ერთხელ უკვე ყოფილა აქ დანიშნული იმავე თანამდებობაზე და ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, ერთგვარად იცნობდა ადგილობრივ მკვიდრთა აღათ-ჩვევებსა და ტრადიციებს, ახალი გამგებლის გამოგზავნა არმინიაში 50 000-იანი ლაშქრით და, დაბოლოს, ზემოთ აღნიშნული მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარების აღმოჩენა ალ-ჰასან იბნ კაჰტაბასათვის აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

წანართა ამ აჯანყების ფართო მასშტაბებიდან გამომდინარე (საქირობა 20 000-იანი არაბთა მავშელი ჯარის გამოგზავნისა ქართლში ამირ იბნ ისმაილის მეთაურობით) ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში გამოითქვა ეჭვი იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ასეთი მძლავრი აჯანყების მამოძრავებელი ძალები მხოლოდ წანარები ყოფილიყვნენ. როგორც ჩანს, მასში აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, კახეთის მოსახლეობაც ღებულობდა მონაწილეობას<sup>11</sup>. ის, რომ წანართა ამ შეიარაღებულ გამოსვლებაში მუშაილ ალ-არმანის ხელმძღვანელობით კახეთის მოსახლეობაც მონაწილეობდა, ამაზე მიუთითებს სწორედ აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი. მაგრამ ის ფაქტი, თუ რამდენად შეიძლება დაკავშირებული იყოს კახეთის დამოუკიდებელი სამთავროს წარმოშობა წანართა მეთავეობითა და ამდენად, საკითხი იმის შესახებ, რომ არაბული წყაროების VIII ს. დასასრულისა და IX ს. დასაწყისის სანარია იგივე კახეთია, ვფიქრობთ, დამატებით კვლევა-ძიებას საქიროებს<sup>12</sup>.

<sup>11</sup> იხ. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გარეთიანების ისტორიიდან, გვ. 13—14; მისივე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გარეთიანება, გვ. 140; მისივე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, გვ. 379—380.

<sup>12</sup> თ. პაპაშვილი შესაძლებლად თვლის, რომ VIII—IX სს. ტერმინი „წანარეთი“ არის ზოგადი, კრებითი მნიშვნელობის შემცველი ეთნოპოლიტიკური სახელწოდება კახეთის მთიანეთის მოსახლეობისა (თ. პაპაშვილი, რანთა და კახთა სამეფო (VIII—XI სს.), გვ. 49 შმდ), მაგრამ მიუღებლად მიიჩნია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ წანარები მიჩნეულ იქნან კახეთის სამთავროს შემქმნელებად (იქვე, გვ. 148—149).

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვ. მინორსკის მითითებით წანარებმა თავიანთი სამფლობელოები აღმოსავლეთით კახეთშიც განავრცეს/იხ. Hudūd al-Alam, The Regions of the World: A Persian Geography 372 A. H. — 982 A. D. Translated and explained by V. Minorsky with the Preface by V. V. Barthold (1930), translated from Russian, 1937 (GMS, N. S. XI), გვ. 400.

იგი ამავე დროს იმასაც წერს, რომ ალ-მისლდი წანარებს კახელებში ურევსო, მაშინ როცა წანარები წარმოშობით ძირითადად ჩეჩნები იყვნენ (იხ. V. Minorsky, Caucasia IV, 1. Sahl ibn Sunbāt of Shakkī and Arrān, 2. The Caucasian Vassals of Marzubān in 344—955, BSOAS Vol. XV, Part 3, 1953, გვ. 505—512, შდრ. В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI веков, М., 1963, გვ. 210, შენიშვნ. 100).

<sup>13</sup> ზგი მველვერის თვალსაზრისით წანარები სვანები უნდა ყოფილიყვნენ (იხ. Н. Я. Марр, Из поездок в Сванию, Христианский Восток, т. II, вып. I, СПб., 1913, გვ. 32, შენიშვნ. 1 მისივე, К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа, Известия Императорской Академии наук, № 15, 1916, გვ. 1397—1398; С. Н. Какабадзе, О племенах цанар, Исторический сборник, книга III, Тифлис, 1928, გვ. III—113; ქ. გვასალია,



ყოველ შემთხვევაში აჰმად იბნ ასამ აღ-ქუფის ცნობის თანახმად, VIII ს. 70-იანი წლების დასაწყისში არაბული წყაროების სანარია და კახეთი ჯერ კიდევ ორი სხვადასხვა ოლქია. სანარია არაა კახეთი. არაბი მემატანე აღნიშნავს, რომ ხალიფა აღ-მანსურის მიერ ქართლში გამოგზავნილი დამხმარე ძალის პასუხად „ას-სანარია და **طاس**-ის (ჰაპიტის, კახეთის)<sup>13</sup> მცხოვრებნი, რომელნიც აგრეთვე ურწმუნონი არიან, გაერთიანდნენ. ისინი შეერთდნენ დიდი რაოდენობით მუსლიმთა წინააღმდეგ და ბრძოლა გაუმართეს“.

მასშტაბში, აჰმად იბნ ასამ აღ-ქუფისთან ლაპარაკია იმ საერთო კავშირზე წანართა და კახეთის მცხოვრებლებს შორის აღნიშნულ აჯანყებაში, რომლის შესაძლებლობის შესახებ ადრევე გამოთქვა აზრი მ. ლორთქიფანიძემ თავის ზემოთ მითითებულ ნაშრომებში, თუმცადა სათანადო ისტორიული წყარო მას ხელთ არ ჰქონდა.

როგორც ცნობილია, წანარ-კახთა ამ პოლიტიკურმა კავშირმა VIII ს. 70-იან წლებში და მათმა ბრძოლამ არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ აღმოსავლეთ საქართველოში მარცხი განიცადა. სხვა შედეგი იღებულ დროისათვის არც იყო მოსალოდნელი. არაბთა სახალიფოს სამხედრო-პოლიტიკური სიძლიერე ჯერ კიდევ აღმავლობის გზაზე იდგა, არ იყო დაწყებული მისი ფეოდალური დაშლა-დაქუცმაცების პროცესი. VIII ს-ის მეორე ნახევრის თბილისის ამირა აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედებს როგორც ბაღდადის ცენტრალური ხელისუფლების ადგილობრივი რიგითი მოხელე, იგი აბასიანთა დინასტიის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-იდეოლოგიური პოლიტიკის განუხრელი გამტარებელია. საქართველოში ჯერ არ დამდგარა ხელსაყრელი პირობები პოლიტიკური გაერთიანებისათვის. როგორც ცნობილია, ქართველმა ხალხმა ბრძოლა მაღალი მიზნის განსაზოციელებლად, პოლიტიკური გაერთიანებისათვის, შედარებით გვიან დაიწყო და იგი წარმატებით დასრულა მხოლოდ X საუკუნეში. პირიქით, VIII ს. მეორე ნახევარი ეს ის ხანაა, როცა ქართლში წარმოიქმნება ცალკეული დამოუკიდებელი პოლიტიკური ინსტიტუტები, სამთავროები (კახეთი, ჰერეთი). მიმდინარეობს პოლიტიკურად გაერთიანებული ქართლის რღვევის პროცესი. წანარ-კახელთა ერთიანი კავშირი კი, მიმართული არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ,

წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შიშაგ, 59, №3, 1970, გვ. 753; მისივე, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, III, თბ., 1971; მისივე, არაგვის კარი (დარიალანი), ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.

საკითხი წანართა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ სათანადო ლიტერატურის მითითებით უკანასკნელ ხანს დაწვრილებით განიხილა თ. პაპუაშვილმა ზემოთ დასახელებულ ნაშრომში, გვ. 33 შდგ. იგი წანარების წარმოშობას უკავშირებს დასავლურ-ქართულ ეთნიკურ სამყაროს — ჯანებს, სანებს (იქვე, გვ. 39—46).

<sup>13</sup> ეჭვი არ არის აჰმად იბნ ასამ აღ-ქუფის ტექსტის, ალბათ, გადამწერის მიერ დაშვებული დამახინჯებული ფორმა ჰაპიტი არაბული წყაროების ხაზიტია, რომელიც, როგორც დადგენილია ქართულ ისტორიოგრაფიაში, კახეთს ნიშნავს (ხ. ვ. სიხარულიძე, არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, არაბული „დაცვის სიგელები“, სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 73, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, I, თბ., 1959, გვ. 179; მისივე, საქართველოში არაბთა პირველ ლაშქრობათა ზოგიერთი საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „შიშაგე“, I, 1961, გვ. 191—195).

წარმოდგენს ერთ-ერთ ეპიზოდს აღებული ხანის საქართველოს სინამდვილეში.

აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ცნობით, ქართველებს მხოლოდ ერთ ბრძოლაში დაუქარავთ 10 000 მეომარი, მაშინ როცა დღემდე ცნობილი იყო, რომ არაბებს ერთ დღეში გაუნადგურებიათ მოწინააღმდეგის 16 000 კაცი და შემდეგ დადგენებიან კიდევ დამარცხებულებს<sup>14</sup>.

აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ტექსტის მიხედვით, აჯანყებული წანარებისა და კახელების დამარცხებისა და დიდძალი ნადავლის ხელში ჩაგდების შემდეგ ზემოთ ხსენებული ოთხი არაბი მხედართმთავარი ერასყ დაბრუნებულა, ხოლო ალ-ჰასან იბნ კაჰტაბა არმინიაში დარჩენილა და ამ დროისათვის მის ადმინისტრაციულ ცენტრში, ბარდავში, გამგზავრებულა, იქ დასახლებულა, თავის სამი ვაჟიშვილისათვის მოუხშია და მათთვის სხვადასხვა თანამდებობები დაურჩივბია: კაჰტაბა დაუნიშნავს ბაბ ვა ალ-აბვაბის (დარუბანდის) გამგებლად, მეორე შვილი იბრაჰიმი — ჯურჯანის ქვეყნის, თბილისისა და მასთან მომიჯნავე ტერიტორიის მმართველად, ხოლო მუჰამადი — მეოთხე არმინიაში მდებარე ახლატის (ხლათის), კალაქალასა და მათი შემოგარენის გამგებლად.

თავის დროზე მ. ლორთქიფანიძემ ფრიად სასარგებლო საქმე გააკეთა, როცა დაადგინა შესაძლებლობის ფარგლებში თბილისის ამირების სია<sup>15</sup>. ამ სიაში ქართლში მოქმედ ამირთა შორის დასახელებულია სულ ორი პირი იაზიდ იბნ უსაიდ ას-სულამი და ალ-ჰასან იბნ კაჰტაბა. მესამე ამირას სახელი კი, რომელიც ამირად უნდა ყოფილიყო, იოანე საბანისძის „აბო თბილელის მარტვილობის“ მიხედვით, 772 წ. ხალიფა ალ-მანსურისა და ქართლის ერისმთავარ ნერსეს დროს, ამოუცნობი და დაუდგენელი რჩებოდა<sup>16</sup>. ახლა, თუ აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ცნობას გავითვალისწინებთ, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ 772 წ. თბილისის ამირად მჯდარა ალ-ჰასან იბნ კაჰტაბას ვაჟიშვილი იბრაჰიმი იბნ ალ-ჰასანი.

იბრაჰიმ იბნ ალ-ჰასანის თბილისის ამირად ყოფნის წლის გათვალისწინება შესაძლებლობას გვაძლევს დაკონკრეტდეს ქართველი ხალხის განმათვისუფლებელი ბრძოლის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის თარიღი, თუკი იბრაჰიმი მხოლოდ ამ ბრძოლის მარცხით დამთავრების შემდეგ იქნა გამოგზავნილი მამამისის მიერ ქართლში. როგორც ჩანს, აჯანყებულთა გაერთიანებულ გამოსვლას ადგილი უნდა ჰქონოდა 770—771 წწ.

ამ თარიღის სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ტექსტის სხვა მითითებაც, რომლის მიხედვით, როგორც აღინიშნა, ქართველი ხალხი არაბი მოხელის არმინიაში ჩამოსვლისთანავე აჯანყებულა 770 წ. და იგი ვერც ერთბაშად დაუმარცხებია მას. ქართლში არაბთა მამუკელი ძალის ჩამოსვლამდე, თქმა არ უნდა, გარკვეული დრო გავიდოდა. ამასობაში აჯანყებულ წანარებსაც მიუმართავთ კონტრზომებისათვის და კახელებთან კავშირი შეუქრავთ. ქართველი ხალხი ერთიანი ფრონტით გამოსუ-

<sup>14</sup> ალ-იაკუბი, II, გვ. 447; მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, გვ. 380.

<sup>15</sup> მ. ლორთქიფანიძე, თბილისის საამიროს ისტორიიდან, მიმოხილველი, II, თბ., 1951, გვ. 185—201.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 199, 201.



ლა დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ალბათ, ქართველთა და არაბთა შორის არა ერთ ბრძოლასაც ჰქონდა ადგილი და, როგორც ჩანს, ამის გამო წერს აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი, რომ წანარებმა ერთ ბრძოლაში და არა ერთ დღეში 10 000 კაცი დაკარგეს<sup>17</sup>.

როგორც ვხედავთ, აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის მოტანილ ცნობათა მიხედვით ზოგი საკითხი ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან VIII ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში დაზუსტდა და დაკონკრეტდა, ზოგი ფაქტიც ამ არაბი მემბტიანის წყალობით ახლახან შევიტყვეთ. ამან მოგვცა საფუძველი გვეთქვა, რომ აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ცნობები საგრძნობლად გამოიჩინა თავისი სიახლით სხვა არაბ ავტორთა ცნობებისაგან.

ახ. მეც. - სქ. სჯ.

ع. ٧١١, 33. 233

قال: ثم بعث المنصور بعد ذلك الى يزيد بن  
اسيد فعزله عن ارمينية وولى مكانه نكار بن  
مسلم العقيلي فكانت ولايته سنة واربعة اشهر  
ثم عزله المنصور وولى مكانه الحسن بن قحطبة  
الطائري فاقبل حتى دخل ارمينية في خمسين  
الفا من اهل فراسان واهل الشام والعراق. فلما  
دخل الحسن بن قحطبة الى بلاد ارمينية انتفتت  
عليه الصارية وهم صنق من اصناف الكفار  
بارض يقال لها ارض جزران فلم يقدر الحسن  
بن قحطبة على ان يسكنهم فكتب الى المنصور  
فأمده المنصور باربعة من قواده منهم عامر بن  
اسماعيل الجرجاني وعيسى بن موسى

<sup>17</sup> ყოველ შემთხვევაში, ალ-იაჟუბი იმასაც აღნიშნავს, რომ ბრძოლა წანართა და არაბებს შორის რამდენიმე დღე გაგრძელდა (იხ. ალ-იაჟუბი, II, გვ. 447).

23. 234

الخراساني والفضل بن دينار ومقاتد بن صالح  
فأقبل هؤلاء القواد في ثلاثين ألف فارس فسار  
بهم الحسن بن قحطبة إلى جرزان. قال:  
واجتمعت الصارية وأهل حاطط وهم أيضا صنق  
من الكفار فاجتمعوا على المسلمين في جمع  
عظيم واقتتلوا فظفر الله المسلمين بهم فقتلوا  
في معركة واحدة منهم عشرة آلاف وأغنمهم الله  
أموالهم ودوابهم وسلاحهم ورجع قواد المنصور  
إلى العراق

وبقره الحسن بن قحطبة بأرمينية فأقبل  
حتى نزل إلى مدينة بردعة ودعا بابن له يقال  
له قحطبة فولاه الباب والأبواب ودعا بابنه  
إبراهيم فولاه بلاد جرزان من تغليس وما  
ولاها ودعا بابنه محمد فولاه أرمينية الراهة  
من بلاد أخلاط وقاليقلا وما ولاها.

## თ ა რ გ მ ა ნ ი

გვ. 233.

ამბობს (მემატინე): შემდეგ ალ-მანსურმა (ბარათი) გაუგზავნა იაზიდ იბნ უსაიდს, გადააყენა იგი არმინიის (გამგებლობიდან) და მის ნაცვლად მმართველად დანიშნა ბაქარ იბნ მუსლიმ ალ-უკაილი, რომლის გამგებლობა გაგრძელდა წელიწადი და ოთხი თვე. შემდეგ ალ-მანსურმა ისიც გადააყენა და მის ადგილზე გამგებლად დანიშნა ალ-ჰასან იბნ კაჰტაბა ატ-ტაი. მაშინ იგი გაემართა არმინიაში შესასვლელად ხორასნელთა, სირიელთა და ერაყელთაგან შემდგარი 50 000-იანი ჯარით. როცა ალ-ჰასან იბნ კაჰტაბა შევიდა არმინიის ქვეყანაში, მას აუჯანყდნენ ას-სანარია (წანარები), ჯურზანის (ქართლის) ურწმუნონი. ალ-ჰასან იბნ კაჰტაბამ ვერ შეძლო მათი დაწყნარება და (ამის შესახებ) მიწერა ალ-მანსურს. მაშინ ალ-მანსურმა დახმარება აღმოუჩინა მას ოთხი სარდლით, რომელნიც იყვნენ ამირ იბნ ისმაილ ალ-ჯურჯანი, ისა იბნ მუსა.

გვ. 234.

ალ-ხურასანი, ალ-ფადლ იბნ დინარი და მუჰათილ იბნ სალიპი. ეს მხედართმთავრები გაემართნენ 30 000 ცხენოსნით. ჯურზანს მათთან ერთად წავიდა ალ-ჰასან იბნ კაჰტაბა. ამბობს (მემატინე): ას-სანარია და ჰჰჰიტის (კახეთის) მცხოვრებნი, რომელნიც აგრეთვე ურწმუნონი არიან, გაერთიანდნენ. ისინი შეერთდნენ დიდი რაოდენობით მუსლიმთა წინააღმდეგ და ბრძოლა გაუმართეს. მაშინ ალაჰმა აჩუქა მუსლიმებს გამარჯვება და ერთ ბრძოლაში ამოხოცეს 10 000 (მეომარი). ალაჰმა ნადავლის სახით არგუნა მათ მათი ქონება, პირუტყვი და იარაღი. ალ-მანსურის სარდლები კი (ამის შემდგომ) დაბრუნდნენ ალ-ირაკს (ერაყს).

ალ-ჰასან იბნ კაჰტაბა დარჩა არმინიაში, გაემგზავრა, დასახლდა ბარზაას (ბარდაეს) და იხმო თავის შვილები: კაჰტაბა დანიშნა ალ-ბაბ ვა ალ-აბვაბის (დარუბანდის) გამგებლად, იბრაჰიმი დანიშნა ჯურზანის ქვეყნის, თბილისისა და იმ (ტერიტორიის) მმართველად, რომელიც მას ეკვრის, ხოლო მუჰამადი — მეოთხე არმინიაში მდებარე ახლატის (ხლათის), კალიკალასა და მათი შემოგარენის გამგებლად.

О. В. ЦКИТИШВИЛИ

## ИЗ ИСТОРИИ ОСВОБОДИТЕЛЬНОЙ БОРЬБЫ ГРУЗИНСКОГО НАРОДА ПРОТИВ АРАБСКОГО ВЛАДЫЧЕСТВА

(по данным Ахмада ибн Асама ал-Куфи)

## Резюме

В статье рассмотрена история освободительной борьбы грузинского народа (цанар и кахетинцев) против арабского господства в Восточной Грузии в начале 70-ых годов VIII в.

Вновь засвидетельствованные данные труда «Китāб футūх ал-булдāн» («Книга завоевания стран») арабского историка Абу Мухаммада Ахмада ибн Асама ал-Куфи (ум. в 926 г.) подтверждают историческую достоверность выдвинутого в свое время в грузинской историографии предположения о возможном союзе племени цанар и

населения Кахети в борьбе против владычества арабов в указанную эпоху.

Конкретизированы и уточнены, а также засвидетельствованы неизвестные грузинской исторической науке некоторые другие исторические факты. В частности, сведения Ахмада ибн Асама ал-Куфи позволили уточнить дату восстания грузинского народа — 770—771 гг., установить личность того тбилисского эмира, имя которого до последнего времени оставалось неизвестным. Им оказался Ибрахим ибн ал-Хасан, сын правителя Арминии ал-Хасана ибн Қахтаба ат-Таи.

Впервые в грузинской историографии публикуется извлечение из арабского исторического труда Ахмада ибн Асама ал-Куфи по хайдарабадскому изданию 1968—1975 гг. (ч. VIII, с. 233—234), освещающее рассмотренные события, и его грузинский перевод.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად.  
 გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

მონა ჯაფარიძე

ერთი ტოპონიმის შესახებ იაჰია ანტიოქიელის  
„ისტორიაში“

ქრისტიანი არაბი ისტორიკოსის ააჰია იბნ სა'იდ ალ-ანტაქის, იგივე იაჰია ანტიოქიელის<sup>1</sup> (გარდ. 1066) „ისტორია“ ითვლება მნიშვნელოვან წყაროდ X-XI სს I მესამედის სირია-მესოპოტამიის, ფატიმიანთა ეგვიპტისა და ბიზანტიის ისტორიის შესასწავლად. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ის შეიცავს საინტერესო ცნობებს საქართველო-ბიზანტიისა და საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობათა შესახებაც.

1883 წელს ვ. როზენმა პირველად გამოსცა იაჰია ანტიოქიელის თხზულების ის ნაწილი, რომელიც ბიზანტიის იმპერატორ ბასილ I-ის (976—1025) მოღვაწეობას ეხება<sup>2</sup>. არაბულ ტექსტს მან დაურთო რუსული თარგმანი<sup>3</sup>, გამოკლევდა და ვრცელი შენიშვნები. „ისტორიის“ სრული ტექსტი, რომელიც 425/1034 წლამდე მოდის<sup>4</sup>, 1909 წ. დაბეჭდეს ლ. შეიხომ, ბ. კარა დე-ვომ და ჰ. ზაიათმა. 1924 წ. ე. კარაქოვსკიმ და ა. ვასილიევმა დაიწყეს ამ თხზულების ახალი, მეცნიერული გამოცემა ფრანგული თარგმანითურთ<sup>5</sup>, რაც, სამწუხაროდ, არ დასრულდა და შეწყდა 404/1013-14 წლის ამბებზე.

<sup>1</sup> იაჰია ანტიოქიელის შესახებ იხ.: Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхьи Антиохийского, издал, перевел и объяснил В. Р. Розен, СПб., 1883, გვ. 09-057. M. Sarrad, al-Antāki, Yahya b. Sa'id b. Yahya, The Encyclopaedia of Islam, New Edition, vol. I, გვ. 516., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 38-39. ბ. სილაგაძე, იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X სს-ის ბოლო მეოთხედსა და XI სს-ის პირველ მეოთხედში, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, VI, თბ., 1985, გვ. 108—109.

<sup>2</sup> Император Василий Болгаробойца..., 1972 წ. ეს ნაშრომი ხელახლა გამოიცა პარიზში M. Sarrad-ის წინასიტყვაობით.

<sup>3</sup> იაჰია ანტიოქიელის თხზულების სრული რუსული თარგმანი დაცულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქივში, ვ. როზენის ფონდში. იხ. М. Ю. Рошин, „Люди Писания“ в государственной структуре фатимидского Египта, Сб. „Государственная власть и общественно-политические структуры в арабских странах“, М., 1984, გვ. 17, შენ. 2.

<sup>4</sup> Eutychii Patriarchae Alexandrini. Annales. Pars posterior accedunt Annales Yahia Ibn Sa'id Antiochensis. Conjuncta Opera ediderunt L. Cheikhov, B. Carrade Vaux, H. Zayat. Corpus Scriptorum Christianorum Orientalium. Scriptores Arabici. Series tertia. Tomus—VII. Beruti—Paris, 1909 (შემდეგ—იაჰია ანტიოქიელი, 1909) გვ. 91 და შმდ. სავარაუდოა, რომ თავდაპირველი სახით ეს თხზულება მოდიოდა 458/1066 წლამდე. Император Василий Болгаробойца..., გვ. 054—055. M. Sarrad, al-Antaki..., გვ. 516.

<sup>5</sup> Histoire de Yahya-Ibn-Sa'id d'Antioche continuateur de Sa'id-ibn-Bitriq, Édité et traduite en Français par I. Kratchkowsky et A. Vasiliev, Fasc. I, «Patrologia Orientalis», t. 18, fasc. 5, Paris, 1924, 1957, გვ. 701—833., Fasc. II «Patrologia Orientalis», t. 23, fasc. 3. Paris, 1932, 1976. გვ. 349—520. ამ გამოცე.

იაპია ანტიოქიელის ცნობები საქართველოს შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში შევიდა ვ. როზენის გამოცემის<sup>6</sup> მიხედვით. ეს ცნობები სათანადოდ არის შესწავლილი და შეფასებული ქართველ მკვლევართა მიერ<sup>7</sup> და ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. შეფერვლებით მხოლოდ ერთ ტოპონიმზე, რომელსაც არაბი ისტორიკოსი სამყერ იხსენიებს დავით კურაპალატის მოღვაწეობასთან დაკავშირებით და რომლის მნიშვნელობაც დაზუსტებას მოითხოვს. არაბული გრაფიკით ეს ტოპონიმი არის **سپا**

იაპია ანტიოქიელის თანახმად—ე. კრაჩოვსკისა და ა. ვასილიევის კრიტიკული გამოცემის მიხედვით—987 წ. იმპერატორ ბასილის წინააღმდეგ აჯანყებულმა ბარდა ფოკამ<sup>8</sup> დახმარება სთხოვა ქართველთა მეფეს ქალაქ **سپا**-ს მფლობელს<sup>9</sup> (საპიბ)—დავითს.

ბარდა ფოკას აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ბასილმა შერისხა დავითი, ქართლის მეფე (მალიქ ალ-ჯურჯან), **سپا**-ს მფლობელი<sup>10</sup> და დასასრულ, დავით კურაპალატი გარდაიცვალა ქალაქ **سپا**-ში<sup>11</sup>.

მის შესახებ იხ. И. Ю. Крачковский, Предисловие к кн.: „История Иахьи ибн Са'ида Антиохийского“, „Избранные сочинения“, т. 6, М.—Л., გვ. 460—462.

<sup>6</sup> Император Василий Болгаробойца., არაბ. ტექსტო, გვ. 22, 25, 29, 58—60, 61, 70. რუსული თარგმანი, გვ. 24, 27, 41, 61—63, 65, 70. ვ. როზენის გამოცემაზე დაყრდნობით, ეს ცნობები არაბულიდან ქართულად თარგმნა და კომენტარებითურთ დაბეჭდა ბ. სილაგაძემ. დასახ. ნაშრ., გვ. 114—120. იაპია ანტიოქიელის „ისტორიის“ 1909 წ. გამოცემის გაცნობამ გვიჩვენა, რომ ვ. როზენის ნაშრომში, რომელიც ძირითადად იმპერატორ ბასილ I-ის მოღვაწეობით იფარგლება, არ შევიდა მხოლოდ ერთი პატარა ცნობა იმპერატორ რომანოზ III-ის ძმიშვილზე ბაგრატ IV-ის ქორწინების შესახებ, იაპია ანტიოქიელი (1909), გვ. 252.

<sup>7</sup> იხ.: ივ. ჯავახიძე ილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბულენი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 128, 130, 134—135; ვ. გაბაშვილი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI—XII სს) თსუ შრომები, ტ. 125, 1965, გვ. 55—81; ო. უკიტიცი, მისაღები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, № 4, 1968, გვ. 115—133, ვ. კოხალაიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წლებში, თბ., 1969, გვ. 7, 29—31, 36, 52—53 და შპდ. მ. ლორთქიფანიძე, ტაო-კლარჯეთი („ქართველთა სამეფო“), „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. II, თბ., 1973, გვ. 479—481; მისივე, „საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს-ის 80-იანი წლებიდან XI ს-ის 80-იან წლებამდე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. III, გვ. 174—179. შ. ბადრიძე, საქართველო და ბიზანტია, „საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და სავლეთ ევროპასთან“, თბ., 1984, გვ. 57—73; Н. Ломоури, К истории восстания Варды Склира, თსუ შრომები, ტ. 67, 1957, გვ. 36, 40. М. Орджиканидзе, Из истории грузино-византийских взаимоотношений на грани X—XI вв., კრ. „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, ტ. II, თბ., 1972, გვ. 35, 36., Sh. Badridze, Contribution a l'histoire des relations entre le Tao et Byzance (Les années 70 du X<sup>e</sup> siècle), Insurrection de Barda Skleros. ექვრ. «Bedi Kartlisa», t. XXXIII, Paris, 1975, გვ. 162—203 და სხვ.

<sup>8</sup> ბარდა ფოკას აჯანყებისა და მასში დავით კურაპალატის მონაწილეობის შესახებ იხ.: История Византии, М., 1967, გვ. 218—219. შ. ბადრიძე, საქართველო და ბიზანტია, გვ. 67—68; მ. ლორთქიფანიძე, ტაო-კლარჯეთი, გვ. 480—481.

<sup>9</sup> Histoire de Yahya-Ibn-Sa'ïd d'Antioche, fasc. II (შემდეგ—Histoire..., fasc. II) გვ. 424. შტრ. Император Василий Болгаробойца., არაბ. ტექსტი, გვ. 22.

<sup>10</sup> Histoire..., fasc. II, გვ. 429. ზოგიერთ ნუსხაში ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი—ქალაქია (მადინა), იქვე, შენ. 5.

<sup>11</sup> Histoire..., fasc. II, გვ. 460. შტრ. Император Василий Болгаробойца., არაბ. ტექსტი, გვ. 39.

იაპია ანტიოქიელის „ისტორიის“ ზოგიერთ ნუსხაში **اى**-ს ნაცვლად გვხვდება **اىنى**<sup>12</sup> და **اى-ى**<sup>13</sup>. 1909 წ. გამოცემაში უბირატესობა ენიჭება **اى**-ფორმას<sup>14</sup>, ვ. როზენის, ე. ი. კრაჩკოვსკისა და ა. ვასილიევის გამოცემებში კი—**اى**-ს, რომელსაც გვაძლევს ამ თხზულების ნუსხათა უმრავლესობა.

ვ. როზენი **اى**-ს კითხულობდა როგორც ალ-თაი-ს<sup>15</sup>. მართალია, მან დაუშვა ან-იდ (**اى**) წაკითხვის შესაძლებლობაც, მაგრამ შემდეგ ისევ ალ-თაის მისცა უბირატესობა<sup>16</sup>. მისი აზრით, უფრო სწორეა „ისტორიის“ ის ადგილი, სადაც დავითი დასახელებულია უბრალოდ ალ-თაისა და არა ქალაქ ალ-თაის მფლობელად. ალ-თაი არის ქვეყანა, ოლქი და არა ქალაქი. ის გაიგივებულია ტაოსთან. მკვლევარი ამის თაობაზე წერდა: „Под Давидом царем Грузии, владетелем города ал-Тай подразумевается без сомнения Давид, куропалат тайкский... Что ал-Тай здесь назван „городом“, а не областью или страной, ошибка уже самого автора, тем более простительная, что другим арабам это имя было и осталось совершенно неизвестным“<sup>17</sup>. ვ. როზენის შრომის საძიებელში ალ-თაისთან დაკავშირებით წერია: „შდრ. ტაიკი, ტაიკის პროვინცია“<sup>18</sup>. იაპია ანტიოქიელის თხზულების არაბულ ტექსტზე დართულ „კორიგენდაში“ ასევე გატარებულია ალ-თაისა და ტაოს იგივეობის თვალსაზრისი<sup>19</sup>.

**اى**-ს ვ. როზენისეული წაკითხვა ე. კრაჩკოვსკიმ და ა. ვასილიევმა უცვლელად დატოვეს იაპია ანტიოქიელის „ისტორიის“ ფრანგულ თარგმანში<sup>20</sup>. ქართულ თარგმანში კი **اى**-ს შეესაბამება ტაო<sup>21</sup>.

არაბული წყაროების შესწავლა ამჟამად საფუძველს გვეძლევს გადავსინოთ **اى**-ს ტრადიციული წაკითხვა-ილენტიფიკაციის საკითხი. ირკვევა, რომ ეს სახელწოდება სრულიადაც არ იყო უცნობი არაბი ავტორებისთვის, როგორც ამას ვ. როზენი აღნიშნავდა. **اى**-ს იხსენიებენ XIII ს. არაბი გეოგრაფი და აკუთონ<sup>22</sup> და ისტორიკოსი მუჰამად ალ-ჰამადი<sup>23</sup>. **اى**-ს ფორმით ის დამოწმებულია

<sup>12</sup> Histoire., fasc. II, გვ. 429, შენ. 6. გვ. 460, შენ. 7.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 429, შენ. 6.

<sup>14</sup> იაპია ანტიოქიელი (1909), გვ. 170. სხვა შემთხვევებში, ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი ამ გამოცემის ძირითად ტექსტში არ შედის. ის შეტანილია ვარიანტებში. გვ. 168, შენ. 11, გვ. 184, შენ. 3.

<sup>15</sup> Император Василий Болгаробойца, რუს. თარგმანი, გვ. 24, 25, 41.

<sup>16</sup> იქვე, არაბ. ტექსტი, გვ. 22, შენ. 17. Corrigenda, გვ. 71.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 208, შენ. 160.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 439.

<sup>19</sup> იქვე, Corrigenda, გვ. 71.

<sup>20</sup> Histoire., fasc. II, გვ. 424, 429, 460. В. П. Степаненко, К датировке получения сана куропалата Давидом II. Багратидом Тао. თსუ შრომები (ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია), ტ. 227, თბ. 1982, გვ. 76.

<sup>21</sup> ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

<sup>22</sup> Jacut's geographisches Wörterbuch. Hrsg. von Ferd. Wüstenfeld. Bd. I. Leipzig, 1866. გვ. 350. აკუთონის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ნაკვ. I, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ, თბ., 1963, გვ. 17.

<sup>23</sup> მუჰამად ალ-ჰამადი, თარგმ. ალ-მანსური, აბუ-ლ-იბრაჰიმის რედ. დამაჰ, 1302/1982, გვ. 209, 213.

XIII—XIV სს. ისტორიკოსების ალ-აჟუნისა<sup>24</sup> და იბნ ალ-დავადარის<sup>25</sup> შრომებშიც.

XIII საუკუნის გეოგრაფის მაკუთის „გეოგრაფიულ ლექსიკონში“, რომელიც ვ. როზენის დროს უკვე გამოცემული იყო, ეს ტოპონიმი იკითხება როგორც ულთა<sup>26</sup>. ულთა კი იგივეა, რაც ოლთისი—ტაოს, სამხრეთ საქართველოს ცნობილი ქალაქი, რომლის წარმოშობაც, ქართველი მკვლევრების თანახმად, IX-X საუკუნეებს უკავშირდება<sup>27</sup>.

ამრიგად, იაჰია ანტიოქიელი არა ცდება, როცა ۱۱-ს ქალაქს უწოდებს. მას მხედველობაში აქვს ულთა, ოლთისი და არა ტაო. რამდენადაც ვიცით, არაბულ წყაროებში ეს ოლთისის ყველაზე ადრეული მოხსენიებაა<sup>28</sup>.

۱۱-ს მნიშვნელობის გარკვევის შემდეგ იაჰია ანტიოქიელის ზემომოტანილი ცნობები ახალ შინაარსს იქნეს. ირკვევა, რომ დავით კურაპალატი გარდაცვლილა ოლთისში<sup>29</sup>, რაც სხვა (ქართულ და სომხურ) წყაროებში აღნიშნული არ არის. გარდა ამისა, საყურადღებოა ისიც, რომ დავითი ულთას (ოლთისის) მფლობელად იწოდება. არაბულ წყაროებში არც თუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა ამა

<sup>24</sup> ალ-აჟუნისი, ზაჰლ შირათ აზ-ზაჰან, II, ჰადარაბად, 1955, გვ. 410., З. М. Буниятов, Материалы по истории Грузии в сочинении Кутб ад-Дина ал-Йунини „Зайл мир'ат аз-заман“, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 4, 1972, გვ. 130, 131.

<sup>25</sup> Die Chronik des Ibn ad-Dawadari, Achter Teil. Der Bericht über die frühen Mamluken. Hrsg. von U. Haugmann, Kairo, 1971, გვ. 141.

<sup>26</sup> მაკუთის ცნობები... გვ. 17., Арабские источники об Армении и сопредельных странах (Йакут ал-Хамави, Абу-л-Фида, Ибн Шаддад). Составил А. Т. Налбандян, Ереван, 1956 (სომხურ ენაზე), გვ. 21, 136, № 58.

<sup>27</sup> Ш. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, გვ. 37. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 349., მ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში, თბ., 1981, გვ. 29.

<sup>28</sup> ოლთისი დამოწმებულია სომხურ, სპარსულ და თურქულ წყაროებშიც. სომხურ წყაროებში, ქ. თუმანიოვის თანახმად, ის პირველად გვხვდება XI ს. ისტორიკოსთან ასოლიქთან (C. Tumanoff, Studies in Christian Caucasian History, Georgetown University Press, 1963 გვ. 455)—უხტიკის (შდრ. ზემოხსენებული არაბ. ۱۱-ს) ფორმით.

სპარსულენოვან ისტორიკოსთან იბნ ბიბისთან (Akhhbar-e Seljuqe-ye Rum. The Historical Texts about the Seljuqs in Asia Minor with an Introduction and Appendixes by Dr. T. Mashkour. Teheran, 1971, გვ. 178) გვაქვს اوتی. თურქულ წყაროებში არის اوتی ოლთი. (ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი. თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბ., 1979, გვ. 36, № 110, 315 № 119., თურქული წყაროები XVI ს. I მეთოხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევიითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1983, გვ. 62, № 108), ანდა اولك (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, წიგნი I, ტექსტი, თბ., 1947, გვ. 408—410).

<sup>29</sup> 1001 (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 128. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 158), ან 1000 წ. 31 მარტს, რასაც არაპირდაპირ მხარს უჭერს იაჰია ანტიოქიელიც—C. Tumanoff, The Bagratids of Iberia from the Eight to the Eleventh Century ჟურნ. „Le Museon“, t. LXXIV, 1-2, 1961, გვ. 40. Повествование Вардапета Аристакеса Ластивертци, перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарии и приложения К. Н. Юзбашяна, М., 1968, გვ. 143, შენ. 13.



თუ იმ ხელმწიფეს მისივე სატახტო ქალაქის მფლობელად ინსენიებენ ხოლმე. ასე, მაგ., კილიკიის სომხეთის მეფეები სატახტო ქალაქის—სისის მიხედვით სისის მფლობელად (საპიბ სის), ხოლო აღ-მოჰადიანთა (მადრიბში) სახელმწიფოს გამგებელი აბუ ჰაფს აღ-მურთადა (1248—1266) თავისი რეზიდენციის—მარაქიშის—მიხედვით მარაქიშის მფლობელად (საპიბ მარაქიშ) იწოდებიან<sup>30</sup> და სხვ. ამ მაგალითების საფუძველზე ოლთისიც სატახტო ქალაქად იგულისხმება, რაც, თავის მხრივ, ადასტურებს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ეს ქალაქი იყო დავით კურაპალატის რეზიდენცია და იმიერტაოს პოლიტიკურა ცენტრი<sup>31</sup>.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ სახელწოდება ტაო იაპია ანტიოქიელისათვის საერთოდ უცნობი დარჩა. დავით კურაპალატი მისთვის იყო მალიქ აღ-ჯურზან, მალიქ [ბილად] აღ-ჯურზია, ანდა მალიქ აღ-ჯურზ<sup>32</sup> ე. ი. ქართლის, ქართველთა ქვეყნის, ქართველთა მეფე და არა ტაოს გამგებელი. არაბი ისტორიკოსი დავით კურაპალატს უწოდებს დავუდ აღ-ჯურზის<sup>33</sup>—ივერიელს, ქართველს და არა ტაოელს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწორედ ასე იცნობდნენ ამ დიდ სახელმწიფო მოღვაწეს მახლობელ აღმოსავლეთში.

Г. И. ДЖАПАРИДЗЕ

## ОБ ОДНОМ ТОПОНИМЕ В „ИСТОРИИ“ ЯХЬИ АНТИОХИЙСКОГО

Резюме

Христианский арабский историк XI в. Яхья Антиохийский в своей „Истории“, касаясь взаимоотношений Византии и Грузии последней четверти X в. и деятельности царя Тао (в южной Грузии) Давида III Куропалата (ум. в 1000 или 1001 г.), трижды упоминает название местности **التاي**. Давид Куропалат владел этим городом и скончался там же.

В. Р. Розен и вслед за ним И. Ю. Крачковский и А. А. Васильев **التاي** читали как ал-Тай. В. В. Розен принимал его за область Тао и считал ошибкой арабского историка то, что он называл „ал-Тай“ городом, а не областью или страной. **التاي** отождествляется с Тао и в работах других современных исследователей.

Автор статьи не разделяет эту точку зрения и, учитывая данные как „Географического словаря“ Йакута (XIII в.), так и других арабских источников XIII—XIV вв., предлагает новое чтение **التاي**, в частности, Ултā и идентифицирует ее с Олтиси, городом в Тао, резиденцией Давида Куропалата.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. შერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

<sup>30</sup> Ibn ad-Dawadari, გვ. გვ. 103, 180, 363.

<sup>31</sup> ვ. კ. ბაღიანი, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა., გვ. 65, დ. მუხსელიძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1980, გვ. 174, მისივე, ოლთისი, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედია ტ. VII, თბ., 1984, გვ. 519.

<sup>32</sup> Histoire., fasc. II, გვ. 424, 429, \*460.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 425.

პირობი ოთხეუბრი


სტელა ნაეკლესიარ „ბერიჯვარიდან“

1983—85 წწ-ში ლენინგორის რ-ნში მუშაობდა ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს პასპორტიზაციის განყოფილების ექსპედიცია (ხელმ. ლ. გიორგაძე). ამ ექსპედიციაში საქ. სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ზელნაწერთა ინსტიტუტიდან მეც ვიღებდი მონაწილეობას. ჩემი მიზანი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი ეპიგრაფიკული ძეგლების აღრიცხვა-ფიქსაცია, უცნობი წარწერების გამოვლენა და შესწავლა. მიკვლეულ იქნა 28 უცნობი წარწერა (ლაპიდარული, ფრესკული, ჰედური), რომლებიც ქრონოლოგიურად თავსდებათ VIII/IX—XVIII სს-ში (ექსპედიციის მუშაობის ანგარიში ახლო მომავალში იქნა გამოქვეყნებული). ამათგან ყველაზე აღრეულია მუშაობის დასასრულს სოფ. ქვემო კიტრულში, ნაეკლესიარ „ბერიჯვარზე“ აღმოჩენილი სტელა (სურ. 1), რომელიც ამჟამად ლენინგორის რ-ნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. სტელა მართკუთხედის ფორმისაა: ყოველი წახნაგის სიგრძე — 49 სმ.; სიგანე — 19 სმ. ოთხივე წახნაგ-



სურ. 1

ზე რელიეფური გამოსახულებებია. სამ მათგანს ახლავს ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერები.

I. ერთ წახნაგზე ორი რელიეფური კომპოზიციაა. ზედა ნაწილში ანგელოზის გამოსახულებაა. სტელის ზედა ნაწილი, სადაც წარწერა იყო მოთავსებული, ჩამოტეხილია. შემორჩენილია მხოლოდ ერთი გრაფემა — აჰ\* 

(სიმაღლე 1,1) შეიძლება [ჩ\*ჰ] ა— /წმ/(ილა)ა... (სურ. 2).



სურ. 2

11. ამავე წახნაგის ქვედა ნაწილში მოცემულია ნათლისცემის სცენა—ემბაზში ჩამდგარ ქრისტეს ნათლავს იოვანე ნათლისმცემელი, რომლის გამოსახულების მარცხნივ მოთავსებულია 8 სტრიქონიანი წარწერა. წარწერის ფართობი: 15X3,5; გრაფემების სიმაღლე: 0,8—1,5; ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. დაზიანება: წახნაგის ქვედა მარცხენა კიდე ჩამოტეხილია, რასაც ვაყოლია ბოლო ორი სტრიქონის პირველი გრაფემები, მაგრამ მათი აღდგენა ადვილად ხერხდება (სურ. 3).

\* გრაფიკული მონახაზები შესრულებულია არქ. ლ. გიორგაძეს მიერ, რისთვისაც მას მადლობას მოვასხენებთ.

1. ზჷ [უ]
2. ად
3. ზც
4. რ
5. რც
6. ზსჷ
7. ცჷჷ
8. [რ]ზ

ბჷ  
 ად  
 ზც  
 რ  
 რც  
 ზსჷ  
 ცჷჷ  
 ს

წმ(ილა)ა I<sup>2</sup>აოI<sup>3</sup>ვა I<sup>4</sup>ნეI<sup>5</sup> ნათ  
 I<sup>6</sup>ლის მI<sup>7</sup>ცემ<sup>8</sup> [ე]ლი



სურ. 3

III. მეორე წახნაგზეც ორი რელიეფური კომპოზიციაა. ზედა ნაწილში, გამოსახულებების მარცხნივ, მარჯვნივ და შუაში ამოკვეთილია 7 სტრ. წარწერა. წარწერის ფართობი: 9,5X14,6; გრაფემების სიმაღლე: 0,7—1,5; ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. დაზიანება: წახნაგის ზედა

მარცხენა კუთხე ჩამოტეხილია, რასაც გაყოლია წარწერის პირველი ორი სტრიქონის დასაწყისი ნაწილი; გამოქარვისა და გადარეცხვისაგან გადაშლილია მეორე სტრიქონის ბოლო სამი გრაფემა (სურ. 4).

- |  |  |
|--|--|
| 1. ...[ <sup>1</sup> ქ]შ <sup>2</sup> ჩ <sup>3</sup> ჩ <sup>4</sup> ჩ <sup>5</sup> ჩ <sup>6</sup> ჩ <sup>7</sup> | ჰ <sup>1</sup> ჰ <sup>2</sup> ჩ <sup>3</sup> ჩ <sup>4</sup> ჩ <sup>5</sup> ჩ <sup>6</sup> ჩ <sup>7</sup> |
| 2. :...ქ <sup>1</sup> ა <sup>2</sup> ---   | ჩ <sup>1</sup> ჩ <sup>2</sup>  |
| 3. ა <sup>1</sup> ჩ <sup>2</sup>   |  |
| 4. ჩ <sup>1</sup> ჩ <sup>2</sup>   | ა <sup>1</sup> ჩ <sup>2</sup>  |
| 5. ბ <sup>1</sup> ჩ <sup>2</sup>   | ჩ <sup>1</sup> ჩ <sup>2</sup>  |
| 6. ჩ <sup>1</sup> ჩ <sup>2</sup>   | ჰ <sup>1</sup> ჩ <sup>2</sup>  |
| 7. გ <sup>1</sup> ჩ <sup>2</sup>   | ჩ <sup>1</sup> ჩ <sup>2</sup>  |


...[წ] (მი)დ(ა)ო ნ(ე)ტარ(ო)  
 I<sup>2</sup>... ქ(რისტ)ე მი--- I<sup>3</sup>ა(ო) -  
 ვ(ა) I<sup>4</sup>ნეI<sup>5</sup> და I<sup>6</sup>ჩ(უტ)ნI<sup>7</sup> ცა,



სურ. 4

IV. ამავე წახნავის ქვედა ნაწილში გამოსახულებების მარცხნივ და შუაში ამოკვეთილია წარწერა. წარწერის ფართობი: 6X6,5; გრაფემების სიმაღლე: 1—1,5; ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. წახნავის ქვედა მარცხენა კიდე ჩამოტეხილია და წარწერის ძირითადი ნაწილი დაღუპულია (სურ. 5). გამოსახულებების მარცხენა მხარეს მხოლოდ სამი გრაფემა იკითხება: **ჟაღ** — შავ, ხოლო გამოსახულებებს შორის ოთხ სტრიქონად:

1. **ქ**
2. **ჟა**
3. **ღ**
4. **ნ**



წ<sup>1</sup>მ(იდა)ჟ, I<sup>2</sup>ა(მე)I<sup>4</sup>ნ,

ყველა ეს წარწერა შესრულებულია ერთი ხელით. ისინი შეიძლება დათარიღდნენ VIII—IX სს-ის მიჯნით. დათარიღების საფუძველია პალეოგრაფიული ნიშნები: ყელიანი **ა**, **გ**, **ე**, **ვ**, **ზ** გრაფემებს არა აქვთ მარცხნივ გაზიდული დამატებითი განივი ხაზები, მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიმჩნევა ოდნავი მიდრეკილება განივი ხაზებისაკენ (III წარწერის მეორე და მეოთხე სტრ.), **ქ** წ-ს ზედა და ქვედა რკალები შეკრულია; **ნ** და **ჩ** გრაფემები გაკუთხოვნებულია, ერთ შემთხვევაში (III წარწერის პირველი სტრ.) ნახმარია ნუსხური **ა** ო (ასეთივე მაგალითი გვაქვს VIII ს-ის წრომის სტელის წარწერაში); გრაფემები დაგრძელებულია, წარწერა შესრულებულია მაღალი დუქტუსით.



სურ. 5

სტელის მესამე წახნაგზე წარწერის არავითარი კვალი არაა, მაგრამ მასზე შემორჩენილი გამოსახულება სტილისტურად იდენტურია წინა ორ წახნაგზე მოთავსებული გამოსახულებებისა, ამიტომ ისიც მათ თანადროულად უნდა მივიჩნიოთ. საერთოდ სტელა (მისი სამი წახნაგი) სტილისტურად ძალიან ახლოს დგას VIII ს-ით დათარიღებულ უსანეთის სტელასთან<sup>9</sup>.

V. შედარებით გვიან არის დამუშავებული სტელის მეოთხე წახნაგი. წნული ორნამენტის მარცხნივ და მარჯვნივ, ზედა კუთხეებში მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების გამოსახულებებია განმარტებითი წარწერებით (სურ. 6):

1. [შ]ქ[უ]ზ

2. ლ[ლ]ზ

ქ ქ უ ზ  
ლ ლ ზ

[მ] (ი)ქ(ა)ელ

გ(ა)ბ(რი)ელ

წარწერა პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით შეიძლება დათარიღდეს X ს-ით; ლგ, ლე, ლლ — გრაფემებს აქვთ მარცხნივ გაზიდული დამატებითი განივი ხაზი; ლბ — რკალგახსნილია; ლლ-ს ყელი დაბალია; ქქ და ლ ლ გრაფემებს ემჩნევა ოდნავი მიდრეკილება წაისრულობისაკენ, რაც ამ სახის დამწერლობის საწყისი ეტაპისათვის (X ს-ის დასასრული) არის დამახასიათებელი.

როგორც ზემოთ მოტანილი მასალიდან ჩანს, წარწერების მიხედვით, სტელის დამუშავებაში ორი ეტაპი გამოიყოფა. თავდაპირველად, საფიქრებ-



სურ. 6

<sup>9</sup> იხ. ვ. გიორგაძე, კ. თოდურობა, სტელა, ბალთა, „შტანდარტი... გაზ. „ახალ-გაზრდა კომუნისტი“, 19/IX—1981 წ.

ქლია სტელა იოვანე ნათლისმცემლის სახელზე იყო აღმართული (შემორჩენილ წარწერებში, ჩემი წაკითხვით, იგი ორჯერ მოიხსენიება) და შესაძლოა სამანის დანიშნულება ჰქონდა, ხოლო X ს-ში ფუნქცია დაკარგული სტელა მიქაელ და ჯაბრიელ მთავარანგელოზების სხელებზე აგებულ ეკლესიაში საშენ მასალად გამოიყენეს: ხელახლა დამუშავდა მისი ერთი წახნავი და ის სარკმლის სათაურად (თავსართად) იქნა გამოყენებული, რამაც გამოიწვია კიდევ სტელის მეორე წახნავის სერიოზული დაზიანება. ამ დაზიანების შედეგად დაიღუპა, როგორც ჩანს, იმ დიდი ფეოდალის სახელის აღმნიშვნელი წარწერა, რომელსაც ეკუთვნოდა ეს სტელა.

Г. К. ОТХМЕЗУРИ

### СТЕЛА ИЗ «БЕРИДЖВАРИ»

Резюме

В 1985 г. в «Бериджвари» (с. Квемо Китреули, Ленингорский р-он) была найдена стела с надписями, исполненными грузинским заглавным письмом. Она была доставлена в краеведческий музей Ленингорского района, где находится по сей день.

На одной грани стелы имеются изображение сцены крещения и надпись «Иоани Креститель». На второй грани читаются лишь фрагменты надписи. Палеографически эти надписи могут быть датированы рубежом VIII—IX вв. На одной из граней изображение архангелов с надписью: «Михаил», «Гаврил». Эти надписи по палеографическим данным можно отнести к X в.

Датировка надписей по палеографическим данным дает основание проследить два этапа в обработке стелы. На рубеже VIII—IX вв. стела была воздвигнута на имя Иоанна Крестителя (он дважды упоминается в надписях) и выполняла функцию межи. В X в. стела, потерявшая функцию, была использована как строительный материал для церкви на имя архангелов Михаила и Гаврила — заново была обработана и употреблена как навершие окна. Это вызвало серьезное её повреждение, в результате чего погибла часть надписи, где возможно было имя феодала, которому принадлежала эта стела.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა



თ. ივალაშვილი

ქალის დანიშვნის ზოგიერთი თავისებურება ქართული  
ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით

საქორწინო ურთიერთობის მრავალსაფეხურიან სისტემაში დაწინდვა სრულდებოდა როგორც მცირეწლოვან, ისე ასაკად მოსულ ქალ-ვაჟის მიმართ, მაგრამ ამ უკანასკნელთათვის მას უფრო სრული, და, შეიძლება ითქვას, ჩამოყალიბებული სახე ჰქონდა. წერილობითი მონაცემებისა და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, წარსულში დაწინდვა საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობისათვის იყო დამახასიათებელი<sup>1</sup>.

მთხრობელთა ერთი ნაწილი დაწინდვისა და ნიშნობის რიტუალებს ერთმანეთთან აიგივებს და ორივეს ერთი სახელწოდებით (ნიშნობა, დაწინდვა, ბელვა) მოიხსენიებს. მაგრამ აშკარაა, რომ ეს აღრევა მეტისმეტად გვიანდელია. რამდენადაც უკანასკნელ ათწლეულში საქორწინო ურთიერთობის სფეროდან თანდათანობით ქრება (შეიძლება ითქვას ზოგ რეგიონში სრულიად გაქრა) ნიშნობის რიტუალი<sup>2</sup>, ამიტომ მოხდა მოსახლეობის ნაწილში აღნიშნული ჩვეულებების ერთმანეთში აღრევა. წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ დაწინდვის ტრადიციულ ფორმას, რომელიც დამახასიათებელი იყო საქართველოს მოსახლეობისათვის უკანასკნელ დრომდე და, რომელსაც გამოჩაყლის შემთხვევაში დღესაც აქვს ადგილი.

დაწინდვა სრულდებოდა ქალის ოჯახში. მოსახლეობის ერთ ნაწილში, როდესაც სასიძოს ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის შემოწმებაც სავალდებულოდ მიიჩნეის, დასაშვებია იყო ამ შემოწმების შემდეგ წინდი ვაჟის ოჯახშივე აეღოთ<sup>3</sup>, მაგრამ ეს წესი ყოფაში გვიან დამკვიდრდა.

მას შემდეგ, რაც ქალის ოჯახი დათანხმდებოდა სასიძოს ოჯახთან დამო-

1 თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950; ს. შაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1955; რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939; ი. ჭყონია, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბ., 1955; ვ. ი. თონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960; მ. ბეჭია, ქორწინების ძველი და ახალი ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, 1974; ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1978; მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად (ხელნაწერი) რვ. I; თ. ივალაშვილი, კახეთის 1976—77, 1979—80 წწ. ექსპედიციის, სამცხე-ჯავახეთში 1976—1980 წწ. მივლინებისა და იმერეთში 1981—1982 წწ. მივლინების მასალები (ხელნაწერი).

2 ნიშნობის შესახებ იხ. ი. ჭყონია, დასახ. ნაშრ., გვ. 125—180; თ. ივალაშვილი, — ნიშნობის წესები სამცხე-ჯავახეთში — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის<sup>4</sup>, 1980, X X.

3 ნ. მაჩაბელი, დასახ. ნაშრ., გვ. 44; თ. ივალაშვილი, სამცხე-ჯავახეთში 1976—1980 წწ.-ში მივლინების მასალები.

ყვრებაზე და ამის შესახებ „მოციქული“<sup>4</sup> „სიტყვას გაიტანდა“<sup>5</sup> „პირს აიღებდა“, ვაჟის მხარზე იმავე დღეს თუ არა, მეორე დღეს მაინც დაწინადადა სასძლოდ შერჩეულ ქალს. ამისათვის არც ერთ მხარეს საგანგებო მომზადება არ ჰქირდებოდა.

მთხრობელთა უმრავლესობის გადმოცემით, დაწინდვისათვის საგანგებო დღის შერჩევა არ იცოდნენ. მცირე ნაწილის მითითებით კი ამ რიტუალისათვის უფრო ხუთშაბათს ან კვირა დღეს არჩევდნენ იმ მოტივით, რომ „ხუთშაბათის რძალი კარგი ქალი იქნება“-ო<sup>6</sup>.

ქალის დასაწინდად მის ოჯახში სადამოპირს მოციქულის თანხლებით მივიდოდნენ სასიძოს მამა, ბიძა, დედის ძმა, ნათლია. მოგვიანო პერიოდში წესად შემოვიდა ქალის — ვაჟის დედის ან უფროსი დის — წასვლაც. საქარუველოს ზოგიერთ რეგიონშიც, თუ რაიმე გარკვეული მიზეზების გამო, სასიძოს მამას არ შეეძლო დაწინდვის რიტუალში მონაწილეობის მიღება, მაშინ, ზემოთ დასახელებულ პირებთან ერთად მისი დედა მიდიოდა, თუმცა გადამწყვეტი სიტყვა მაინც თანხლებ მამაკაცებს ეკუთვნოდა.

ვაჟის მხრიდან მიმსვლელებს ოჯახის შეძლების მიხედვით თან მიჰქონდათ დასაწინდი ნივთები: — თავსაფარი, ბეჭიდი და სხვა სამკაულები. მოსულ სტუმრებს ოჯახის წევრები ეზოში მიეგებებოდნენ და მისალმება-მოკითხვის შემდეგ სახლში შეიწვევდნენ. სტუმრების მისვლის შემდეგ ქალის ოჯახიდან ვინმე ახალგაზრდა ვაჟი (მოგვიანებით ქალიც) სოფლიდან რამდენიმე ახლობელს მიიპატიუებდა. მისული სტუმრები და დამხვდურნი ცოტა ხანს ისაუბრებდნენ, მერე კი ოჯახის უფროსის მიწვევით სუფრასთან გადაინაცვლებდნენ. როგორც აღვნიშნეთ, ამ ცერემონიალისათვის არც ერთ მხარეს დიდი მზადება არ ჰქირდებოდა, ამიტომ სახელდახლო სუფრა იშლებოდა სუფრის თავში ყოველთვის ოჯახის უფროსი ჯდებოდა, მის მარჯვნივ ვაჟის მხრიდან მისული სტუმრები, ხოლო მარცხნივ ოჯახის ახლობლები უფროს-უმცროსობის მიხედვით იკავებდნენ ადგილს. მამაკაცების შემდეგ სუფრასთან ქალებიც განცალკევებით სხდებოდნენ<sup>7</sup>.

ამ ცერემონიალის დროს ვაჟის მხარეს მხოლოდ ერთი-ორი ლიტრი არაყი მიჰქონდა, დანარჩენი პურ-მარილი ქალის ოჯახისა იყო. გამონაკლისს წარმოადგენდა მთიულეთ-გულაშაყრის მოსახლეობა, სადაც სასიძოს მხარეს დასაწინდი ნივთებთან ერთად მცირეოდენი საქმიელ-სასმილიც მიჰქონდა (არაყი, ჩაღები, ხმიაღები). არსებული წესის თანახმად, სუფრაზე პირველი სადღეგრძელო ვაჟის ოჯახიდან მიტანილი სასმელით უნდა შეიკავათ. მათ მიერ მიტანილი სასმელი თუ ერთი ხელი პურობისათვის საკმარისი აღმოჩნდებოდა, ქალის ოჯახს დამატება აღარ უხდებოდა<sup>8</sup>.

რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ, ვაჟის ოჯახის წარმომადგენლებიდან

4 „მოციქული“ — მიმთხრობი, დესპანი ვაგზაწილი. იხ. ი. აბუ ლაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 285.

5 მთხრობელთა უმრავლესობას ხუთშაბათი დღე მაინცა ქორწილის დაწყების დღედაც. 6 ი. ჭყონია, დასახ. ნაშრ., გვ. 114; თ. იველაშვილი, სამცხე-ჯავახეთში 1979 წ. მივლინების მასალები, რვ. 2.

7 საერთოდ, ქალები იმ შემთხვევაში სხდებოდნენ სუფრასთან თუ ვაჟის მხრიდან მოსულელებში ქალიც იყო.

8 ი. ჭყონია, დასახ. ნაშრ., გვ. 117; თ. იველაშვილი, სამცხე-ჯავახეთში, 1979 წ. მივლინების მასალები, რვ. № 1, 2.

უფროსს დასაწინდი ნივთები უნდა გადაეცა ქალის მამისათვის. სასძლოს და მის დედას წინდის მიღების უფლება არ ჰქონდათ. ეს მხოლოდ ოჯახის უფროსი მამაკაცის მოვალეობას შეადგენდა. მთიულეთ-გუდამაყარის მოსახლეობის თავისებურებას ის შეადგენდა, რომ „ღმერთისა და ხვთიშვილების“ გადიდების შემდეგ ვაჟიანთ მხარე ბელგაში მიტანულ მივთებს ამოიღებდა და ქალის დედას გადასცემდა. თუმცა მთხრობელთა დიდი ნაწილი წინდის მიმღებლად ასახელებს არა სასძლოს დედას, არამედ ოჯახის უფროს მამაკაცს<sup>9</sup>. მთიულეთ-გუდამაყარის მაგალითზე ი. ჭყონია განიხილავს რა ამ საკითხს, გამოთქვამს მოსაზრებას რომ „ვაჟიანთაგან ქალის დედისადმი ბელგის ნიშანთა გადაცემა და ნისგან მიღება დედას ქალიშვილის ქორწინებაში ერთ-ერთ კითხულ პირად წარმოგვიჩენს“<sup>10</sup>. მართალია, იმერეთის მოსახლეობაშიც დამოწმდა ის ფაქტი, რომ ზოგჯერ წინდის მიმღების სასძლოს დედა იყო<sup>11</sup>, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ერთეული შემთხვევები მეორადი გვიანდელი მოვლენა იყო და მოცემულ მაგალითზე მისი ამგვარი გააზრება ცოტა გაზვიადებული ჩანს.

მოგვიანებით, როდესაც დაწინდვის ცერემონიაში თვით დასაწინდი ქალ-ვაჟის მონაწილეობა აუცილებელი გახდა, წინდს უშუალოდ ვაჟი გადასცემდა საცოლეს. ნადიმის დაწყებისას ისინი ცალ-ცალკე ისხდნენ (სასძლო ქალებში, სასიძო კი მამაკაცებში). მათი სადღეგრძელოს წარმოთქმისას ორივეს ერთად დააყენებდნენ და სუფრასთან მსხდომთაგან უხუცესი — „ბედნიერი“ ქალ-ვაჟს სასძოლეს მიაწოდებდა. ქალ-ვაჟი სასძოლეს ერთმანეთს სამჯერ შეუცვლიდა, ვაჟი საცოლის მიერ მიწოდებულ სასძოლს გამოცლიდა, ხოლო ქალი თავის კუთვნილ სასძოლს სამამამთილოს, ან ვაჟის მხრიდან მოსულთა შორის უხუცესს მიართმევდა. სასძოლების დაცლის შემდეგ ვაჟი საცოლეს წინდს გადასცემდა და ნადიმის დასასრულამდე სუფრასთან ერთად ისხდნენ.

წინდის გადაცემის შემდეგ ქალ-ვაჟის მხარეები შეთანხმდებოდნენ ნიშნობის დღეზე და იმ ხარჯსა და საჩუქრებზე, რაც ნიშნობის დროს ვაჟის ოჯახს ევალებოდა<sup>12</sup>. ამ შეთანხმების შემდეგ სტუმრები გაემგზავრებოდნენ. იმ შემთხვევაში თუ შორი გზა ჰქონდათ გასავლელი და ამინდიც არახელსაყრელი იყო, ღამეს სასძლოს ოჯახში გაათენებდნენ და მეორე დღის დილით გაემგზავრებოდნენ. მას შემდეგ რაც დაწინდვის ცერემონიაში სასიძოს მონაწილეობა სავალდებულო გახდა, დასაშვები იყო, რომ ის ერთი-ორი დღე სასიძოს მამროს სახლში დარჩენილიყო. უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის უმრავლესობაში ამგვარი სტუმრობის დროს დაწინდული ქალ-ვაჟი ერთმანეთს ერიდებოდნენ. ვაჟი ყოველთვის ქალის ნათესავ-მეზობლებში იძინებდა. შეიძლება ითქვას რომ ამგვარი მომხდარ იყო, რომ ვაჟი ამ სტუმრობის დროს საცოლეს არც კი დალაპარაკებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაწინდვისათვის ვანკუთვნილ ნივთებს შეადგენდა თავსაფარი, ბეჭედი და სხვა სახის სამკაულები, რომელთა მიტანა დამოკიდებული იყო ვაჟის ოჯახის ეკონომიკურ შეძლებაზე. წარსულში, საერ-

<sup>9</sup> ი. იველაშვილი სამცხე-ჯავახეთში 1978 წლის მივლინების მასალები, რე. № 1, 2, 3.

<sup>10</sup> ი. ჭყონია, დასაბ. ნაშრ., გვ. 117.

<sup>11</sup> ი. იველაშვილი, სამცხე-ჯავახეთში 1979—1980 წლების მივლინების მასალები, რე. № 1, 2; მისივე, იმერეთში 1981—1982 წლების მივლინების მასალები, რე. № 1, 2.

<sup>12</sup> ნიშნობა და მასთან დაკავშირებით გაღებული ხარჯების შესახებ იხ. ი. იველაშვილი, ნიშნობის წესები სამცხე-ჯავახეთში, მსე, ტ. XX, თბ., 1979.

7. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1986, № 1

თოდ, წინადად გაღებული საჩუქარ-ნივთის ღირებულებას დიდი ყურადღება არ ექცეოდა. მაგალითად: სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში შეიძლებოდა იგი მხოლოდ თავსაფარი ყოფილიყო. იმერეთში დასაშვები იყო ქალი სულ უმნაშველო რამით, — ხელზე წითელი ძაფის შებმითაც კი დაეწინააღმდეგებოდა მოსახლეობაში დაწინდვა ზოგჯერ უბრალოდ ხლებოდა: ახალგაზრდა ვაჟს როცა ქალი მოეწონებოდა იგი მის მშობლებს მდაბლად თავს დაუყრავდა და ეს სრულებით საკმარისი იყო, რომ ქალი დანიშნულად მიეჩნიათ. ხლებოდა ისეც, რომ სადმე ჭარიანობასა თუ ხალხის თავმჯდომარის დროს ვაჟის მამა ან ბიძა ქალს ქედს ესროდა თუ მოახვედრებდა, ქალი დანიშნულად ითვლებოდა და უარის თქმა აღარ შეიძლებოდა<sup>13</sup>. მთიულეთ-გუდამაყარში მცირეწლოვანთა დაწინდვისას მის აკვანზე ჰდეს ამოაგებდნენ და ძაფით გახვრეტულ ქვას შეაბჯდნენ<sup>14</sup>. ძალიან ხშირი იყო წინადად ლითონის ფულის გაღება (მის შესახებ ქვემოთ).

საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილში დაწინდვის დროს წინადად მხოლოდ სასიძოს მხარეს უნდა გავლო. გამონაკლისს წარმოადგენდა სამცხე-ჯავახეთის აჭარისა და თუშეთის მოსახლეობა. მათთან იგი საცოლესაც უნდა გავგზავნა საქმროსათვის. სამცხე-ჯავახეთში საცოლეს საქმროს თავსაფარს უგზავნიდა<sup>15</sup>, თუშეთისა და აჭარის მოსახლეობაში საქმროსადმი საცოლეს მიერ გავგზავნილ საჩუქარს წარმოადგენდა საკუთარი ხელით დამზადებული სათუთუნე||ქისა, ჩახსაკრავები და სხვა სახის წვრილმანი ნივთები<sup>17</sup>. დაწინდვის დროს თავსაფარის მიტანა ვაჟის ოჯახის მიერ სასძლოსათვის დამახასიათებელი იყო საქართველოს ყველა კუთხეების მოსახლეობისთვის.

მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს, რომ თავდაპირველად დაწინდვა || ბილიგისათვის „თავსაბურავი არ იყო დამახასიათებელი, მისი საჭიროება არც უნდა არსებულებოდა, რადგან აკვანში მწოლიარე ქალისათვის იგი მოუხერხებელი იქნებოდა“. აქედან გამომდინარე იგი მიჩნეულია დაწინდვა || ბელგისა და პატარა ნიშნის განმასხვავებლად, რადგან თავსაფარს ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებლად თვლიან<sup>18</sup>. შესაძლებელია, მცირეწლოვანთან დაწინდვის დროს, მართლაც, არ იყო სავალდებულო თავსაფარის მიტანა. მაგრამ სრულსაკოვანთა დაწინდვისას იგი უკვე მის აუცილებელ თანმხლებ ატრიბუტად იქცა და თანდათანობით თავსაფარის მიტანა სავალდებულო წესად დამკვიდრდა.

წინადად თავსაფარის გაღება არ გამოირჩეხვდა სხვა სახის საჩუქრების და მათ შორის ფულის მიცემასაც. საქართველოს მრავალ კუთხეში ქალის და-

13 თ. იველაშვილი, იმერეთში 1982 წლის მივლინების მასალები, რე. № 1.

14 თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1955, გვ. 86—87; ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 263.

15 ი. ჭყონია, დასახ. ნაშრ., გვ. 52; თ. იველაშვილი, სამცხე-ჯავახეთში 1979 წლის მივლინების მასალები, რე. № 1.

16 ივ. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი № 87, ს. ხოსიტაშვილი, ქორწინების წესები სამცხე-ჯავახეთში, — კრ. მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1972, გვ. 170.

17 თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 89; მ. ბექაია, დასახ. ნაშრ., გვ. 34; თ. იველაშვილი, 1980 წელს სამცხე-ჯავახეთში მივლინების მასალები, რე. № 1; მისივე, კახეთის 1979 წლის ექსპედიციის მასალები (ახმეტის რაიონი), რე. 1.

18 ი. ჭყონია, დასახ. ნაშრ., გვ. 117.

წინდა ხდებოდა ლითონის მონეტებით, რაც განსაკუთრებით მიღებული იყო საქართველოს მთის მოსახლეობაში. ასე მაგალითად, ხევსურეთში დაწინდვის დროს წინადად აღევდნენ ვერცხლის ფულს ან ვერცხლის „ცვარს“, „ყაწიმს“ ან „აზნინტას“ (სამკაულეობა, რომელსაც ქალები იკეთებენ ტანისამოსზე)<sup>19</sup>. დასაშვები ყოფილა აგრეთვე განსაკუთრებით მცირეწლოვანის დაწინდვის დროს, ვერცხლის აბაზიანის ან სამშაურაიანის მიცემაც, რომელსაც ქალის მამა ინახავდა<sup>20</sup>. ხევში აკვანში და მცირეწლოვანთა დაწინდვის დროს ვაყის მამა ქალის მხარეს ნიშანს აძლევდა და საპატარძლოს აკვანზე „ჰედეს დახკრავდა“. ნიშნად მიღებული ყოფილა ვერცხლის ერთი ჯგირიანი მანეთიანი, უფრო გვიან, ყოველ შემთხვევაში XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან ჯგირიანი მანეთიანს შენაცვლებია სამი მანეთი, რითაც ერთი ცხვრის ყიდვა შეიძლებოდა<sup>21</sup>. მთიულეთ-გუდამაყრის, რაჭისა და აჭარის მოსახლეობაში ფართოდ იყო მიღებული წინადად ვერცხლის მანეთიანის მიცემა<sup>22</sup>. მთხრობლები აღნიშნულის საილუსტრაციოდ არა ერთ მაგალითს გვისახელებდნენ<sup>23</sup>.

მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობის ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლის საფუძველზე, ი. ჭყონიას მოსაზრებით, „პირველ ნიშანთა „ბელგა“—მთიულეთი, „ლიშნის დაჰკრა“—ხევსურეთი) შედარებისას ირკვევა, რომ ადრე ქალის ნიშნობისას პირველ მისატანში თეთრი და ქალის სამკაულები უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრებას ისიც უჭერს მხარს, რომ აკვანში ნიშნობისას „ჰედეს ამოგდებასთან“ ერთად მთიულეთში ვაყიანი ჩამოჰკიდებდნენ ქვას და სხვა რამე სამკაულს. საფიქრებელია, რომ როგორც თეთრი ისე სხვა სამკაული არა მხოლოდ ნიშნის მოვალეობას ასრულებდა, არამედ თვალისაგან დასაცავ საშუალებასაც წარმოადგენდა. ამას გვაფიქრებინებს გახერხტილი ქვის ბავშვის ყელზე ჩამოკიდება. აღნიშნულ მონაცემთა ამგვარი გააზრება ნაშრომში ვერცხლის, — როგორც ფულის მოქმედებას გამორიცხავს და, მამასადამე, მისი მიჩნევა ქალის სყიდვით დროინდელ გადმონაშთად „საფუძვლო იქნებოდა“<sup>24</sup>. ნათქვამს დაუშვებელია, რომ მართალია, დაწინდვის დროს გაღებულ „ვერცხლის მანეთიანს“, „ჯგირიანი მანეთიანს“ და საერთოდ, ვერცხლის ფულს გარკვეულ დრომდე არ გააჩნდა საკუთრივ ფულის მნიშვნელობა და სამკაულის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ გამორიცხავს დაწინდვის რიტუალში სყიდვითი ელემენტის არსებობას. დაწინდვის დროს გაღებული საჩუქრის სახეობა და რაოდენობა კი არა, არამედ თვით ეს რიტუალი სყიდვითი ხასიათის მანიშნებელი. ამას გვაფიქრებინებს არა მხოლოდ დაწინდვის შინაარსობრივი მხარე, არამედ მისი მრავალგვარ სახელწოდებათა ეტიმოლოგიურ-შინაარსობრივი მნიშვნელობაც (ამის შესახებ ქვემოთ).

19 მ. ბაღალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად (ხელნაწერი), რგ. № 1, გვ. 11.

20 გ. ქობულთელი, ხევსურის დაბადება და აღზრდა (1941 წ. ხელნაწერი) გვ. 26.

21 ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

22 ი. ჭყონია დასახ. ნაშრ., გვ. 118; თ. იველაშვილი, სამცხე-ჯავახეთში 1980 წელს მივლინების მასალები, რგ. № 1.

23 ასე მაგალითად, 81 წლის სტეფანე გიორგის ძე გოგორიძიანის გადმოცემით, მის ბაბუას ვაფიშვილისათვის გზაში (ონიდან ლეხს მიდიოდა) დაუწინდავს თავისი მეგობრის მცირეწლოვანი ქალიშვილი და წინადად ვერცხლის მანეთიანი მიუცია.

24 ი. ჭყონია დასახ. ნაშრ., გვ. 118.

წერილობითი მონაცემებით ირკვევა, რომ საქართველოს ზოგიერთი კუთხის მოსახლეობაში ქალის დაწინდვის დროს წინადად გამოყენებული ყოფილა ტყვია და ფინთიხი<sup>25</sup>. რ. ხარაძე სვანური ეთნოგრაფიული მასალების შესწავლის საფუძველზე ფიქრობდა, რომ დაწინდვის საშუალებად ტყვიისა და ფინთიხის გამოყენება „უნდა წარმოადგენდეს იმ ხანის გარდმონაშოს, როდესაც ქალის ცოლად შერთვა მოტაცების გზით ხდებოდა და, ამდენად, ტყვიას აქ, უკვე შემდეგი ხანისათვის ქალის ძალით წაყვანის სიმბოლური მნიშვნელობა შეუნარჩუნებია“<sup>26</sup>. დასაშვებია, რომ ტყვია და ფინთიხი ამ შემთხვევაში თავდაპირველად წარმოადგენდა ავი თვალისა და ბოროტი სულებისაგან დაცვის ერთ-ერთ საუკეთესო ხალხურ საშუალებას (ტყვია ლითონის, ხოლო ფინთიხი ცეცხლის მნიშვნელობით). ამავე დროს, ქალის მოტაცების გზით ქორწინებას არ უნდა ჰქონოდა ისეთი ფართო ხასიათი, რომ დაწინდვის რიტუალში მას თვადანვე ასეთი სიმბოლური მნიშვნელობა მიეღო.

დაწინდვის შემდეგ ქალი გათხოვილად ორ დაწინდულ-დანაშნულად ითვლებოდა და რომელიმე მხრიდან უარი მიუღებელი იყო. გამონაკლისს წარმოადგენდა ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ მხარეს მომავალი ახალი ოჯახის საზიანოდ რაიმე უარყოფითი მეშვეობითი თვისება აღმოჩნდებოდა, რომლის შესახებაც მოპირდაპირე მხარემ დაწინდვამდე არაფერი იცოდა. თუ ვაჟის მხარე ამბობდა უარს, მაშინ წინადად მიტანილი ნივთების უკან დაბრუნებას აღარ მოითხოვდა. ქალის ოჯახიდან უარის შემთხვევაში ვაჟის მხარეს წინდის ყველა ნივთი უკლებლივ მოციქულის ხელით უკან უბრუნდებოდა.

წერილობითი მონაცემებიდან, კერძოდ, სამართლის ძეგლებიდან ნათლად ჩანს, რომ ერთ-ერთი დანაშნულს (განსაკუთრებით კი ქალის) მხრიდან უარი მეორის მიმართ იმითაც გამოიხატებოდა, რომ უარის მთქმელს წინდის ნივთები უნდა დაებრუნებინა დაწინდებულისათვის და ამ უკანასკნელსაც სრული უფლება ჰქონდა (იმ შემთხვევაში თუ ქალი იყო დაწინდებული) თავის საკუთრებაში დაეტოვებინა ან (თუ ვაჟი იყო უარმთქმელი) მოეთხოვა წინადად გაღებული ნივთების უკლებლივ უკან დაბრუნება<sup>27</sup>.

სათანადო წერილობითი და ეთნოგრაფიული მონაცემების უქონლობის გამო ჯერჯერობით მეტად ძნელია, შეიძლება ითქვას შეუძლებელია მიხედვით მაინც განისაზღვროს თუ საზოგადოების განვითარების რომელი პერიოდებიდან დაიწყო ნივთების მიტანით ქალის დაწინდვა. ერთი რამ კი ცხადია: — უკვე ჩვენი წელთაღრიცხვიდან V საუკუნეში ეს წესი დასრულებული და ჩამოყალიბებული სახით უნდა არსებულიყო საქართველოში. ამ ვარაუდის დამადასტურებელ ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ „წამება წმინდისა შუშანიკისა დედოფლისა“. მასში გარკვევით არის აღნიშნული, რომ ვარსკენ პიტიახშის მიერ ნაცემ-ნაგვემი შუშანიკი, როდესაც იაკობ ზუცესმა ციხეში მოინახულა, შუშანიკმა თხოვა „ხ უ ც ე ს მ ი უ“

25 ნ. ჯ ა ნ ა შ ი ა, აფხაზები, — „მოამბე“. 1897, № 5; რ. ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 99.

26 რ. ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 86.

27 ი. დ ო ლ ი ძ ე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბ., 1960, გვ. 27—28; ქართული სამართლის ძეგლები, 1. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარი და ლექსიკონი დაურთო ი. დ ო ლ ი ძ ე შ, თბ., 1963, გვ. 243, 539 და ა. შ.

ძღუანოა სამკაული ესე მისი? ნუ უკუ ითხოვდეს, რამეთუ მე ამას ცხორებ ასა არღარად მე ვმარებ ის“. ჰონებთან საბრძოლველად წასვლის წინ ვარსკენამაც მოითხვა 'შუშანიკისაგან ის ნივთები, რაც მას სამკაულად მიუტანია. ამისათვის მან იაკობ ხუცესს დაიბარა და უბრძანა, რომ „უწყია ხუცეს, მე ბრძოლად წარვაღვი ჰონთაზედა. და ჩემი სამკაულები მას არ დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს. — იპოოს ვინმე რომელმან განიკაფოს იგი. მივედ და მომართუა იგი ყოველივე, რა ცა რა არს“. როდესაც ხუცესმა მიართვა პიტიახშს შუშანიკისაგან უკლებლივ დაბრუნებული ყველა ნივთი, მან აღნიშნა: „მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს“<sup>28</sup>. აღნიშნული ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაში საქართველოში სცილდითი ქორწინების აოსებობის დამსაბუთებელ ერთ-ერთ მაგალითად არის მიჩნეული<sup>29</sup>. ჩვენ კი ვფიქრობთ, აქ ლაპარაკია მხოლოდ დაწინდვის დროს მართმულ საჩუქარზე. ვარსკენისა და შუშანიკის ამგვარი საუბარი იაკობ ხუცესთან, თვალნათლივ გვიჩვენებს საქორწინო კავშირის განწყვეტის შემთხვევაში მისი ინიციატორის წინაშე დაწუნებულის უფლება-დამოკიდებულებას ქორწინების (ხელისდადების) სავალდებულო ნიშნის მიმართ, რის შესახებაც ზოგადად ზემოთ გვქონდა საუბარი.

დაწინდვა საქართველოს ცალკეული კუთხის მოსახლეობაში სხვადასხვა სახელოდებით აღინიშნებოდა: — „დაწინდვა“, „ხელისდადება“, „ბელგა“, „ბეა“, „დანიშვნა“, „შანა“ || „შარანა“ და ა. შ. მიუხედავად ამ რიტუალის სახელოდებათა ამგვარი სხვადასხვაობისა, იგი შინაარსობრივად ყველგან ერთი და იგივე და მისი ზოგადქართული სახელოდებაც „დაწინდვა“ თითქმის ყველა კუთხის მოსახლეობისათვის ცნობილი იყო.

მოკლედ ამ სახელოდებათა შესახებ: ეთნოგრაფიული მასალებიდან და წერილობითი მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ წარსულში საქართველოს ყველა კუთხეში ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული ტერმინი „დაწინდვა“. იგი ყოველგვარი შეთანხმებისა და ხელშეკრულების დამაჯერებლობისათვის გაღებული მატერიალური ღირებულებების მქონე სხვადასხვა ნივთის აღსანიშნავად იყო განკუთვნილი, რომელშიც ხანდახან მიწაც კი იგულისხმებოდა<sup>30</sup>.

ტერმინ „წინდის“ თავდაპირველი ბუნებისათვის (რა თქმა უნდა, შედარებით თავდაპირველი) მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია ხევსურთული ანდრეზები. რ. ხარაძის მითითებით, სხვა საკითხებთან ერთად „საინტერესოა ანდრეზებში სიტყვა წინდის თავდაპირველი მნიშვნელობით ხმარებაც, აქ დაწინდვის სახით წარმოდგენილია მძევლობის ინსტიტუტი, ხოლო ტერმინი წინდი თვითონ მძევლის გამომხატველია. როგორც ცნობილია, ქართულ საისტორიო მწერლობაში ტერმინი წინდი გარკვეულ დროს ბეს მნიშვნელო-

<sup>28</sup> იაკობ ხუცესი, წამება წმიდისა შუშანიკისა ღედოფლისა, თბ., 1978, გვ. 27 — 28.

<sup>29</sup> ივ. ჭავჭავაძის ძეგლი, ქართული სამართლის ისტორია, ტფ., 1928; წიგნში 1, გვ. 163; ვ. ითონიშვილი, ქართველ მთელთა... გვ. 228.

<sup>30</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, თბ., 1949, გვ. 871; ქართული სამართლის ძეგლები. 1. გვ. 405—440... 2. გვ. 134...; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 3, თბ., 1953, გვ. 1025—1026.

ბით იხმარებოდა, რაც ნივთიერსა თუ ფულად ანაზღაურებაში იხატებოდა. ანდრეზებში კი წინდი როგორც ჩანს, უფრო ძველი, თავდაპირველი სახითაა შემონახული, როდესაც პირობის შესრულების თავდება თვითონ ადამიანია, ბეს სახით თავია მიცემული და არა მისი ღირებულების ექვივალენტი საქონელი, ნივთი თუ ფული<sup>31</sup>.

მ. კოვალევსკი ტერმინ „დაწინდვის“ ძირს — „წინდ“ — ქართულ ენაში სომხური ენიდან შემოსულად მიიჩნევდა<sup>32</sup>. აკად. ივ. ჯავახიშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა რა სომხური საისტორიო წყაროები, სამართლიანად აღნიშნა, რომ „თვით სომხებს ამ ცნებისათვის საკუთარი ტერმინი არ ჰქონდათ და სპარსულისაგან ნასესხებ ტერმინს — *ჟრას* გრაფ“-ს, გირაოს ხმარობდნენ. მისი მართებული დასკვნით არც ერთ წყაროდან არ ჩანს, რომ სიტყვა „წინდი“ ქართულ ენაში ნასესხებ-შემოსული იყოს რომელიმე სხვა ენიდან<sup>33</sup>. ივ. ჯავახიშვილის ამ მოსაზრების მართებულობის ერთ-ერთ დამადასტურებელს უნდა წარმოადგენდეს ხევსურულ ანდრეზებში შემონახული წინდის ბუნება და შინაარსი.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში საკმაოდ ადრეული ხანიდან ყოფ.ში ფარხოდ იყო გავრცელებული ტერმინი „დაწინდვა“. მაგრამ თუ რა დროიდან მოხდა ამ ტერმინის გამოყენება საოჯახო, კერძოდ, საქორწინო ურთიერთობის მოგვარების საქმეში ქალის დაბეგება-დათავისების აღსანიშნავად, მისი ზუსტი განსაზღვრა მეტად ძნელია. წერილობითი მონაცემებით ირკვევა, რომ უკვე XI—XII საუკუნეებიდან იგი აღნიშნული მნიშვნელობით ფართოდ უნდა ყოფილიყო ხმარებული საქორწინო ურთიერთობაში. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების 1103 წლის დადგენილებაში სპეციალური მუხლი ეძღვნება საქორწინო ურთიერთობის მოწესრიგებას და კერძოდ, — დაწინდვას. მასში აღნიშნულია, რომ „კულად ამასაც განვსაზღვრებთ, რაითა ამიერთგან არღარა ეკურთხოედინ გურ-ნნი, ჩჩულთა ქალ-ყრმათა, არამედ უკუეთუ საქიროდ რადმე იყოს მშობელთა მათ დიად დაუწინდენ იგინი ურთიერთას“<sup>34</sup>. „ვეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება ტერმინი „დაწინდვა“ აღნიშნული მნიშვნელობითა და შინაარსით. კერძოდ, როდესაც ქაჯეთის მეფემ ნესტან-დარეჯანი თავისი მცირეწლოვანი ვაჟის საცოლედ გამოაცხადა, მის შესახებ რუსთველი 1227-ე სტროფში ამბობს: „ქვე დაუწინდავს საცოლედ როსლან ცოტასა ყმისადა“<sup>35</sup>.

მეტად საინტერესოდ გამოიყურება ტერმინები „ხელისდადება“, „ხელსადება“, „ხელის დაკვრა“, ყველა ესენი წარსულში საქართველოს მრავალ კუთხეში საქორწინო ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში დაწინდვის სინონიმად იხმარებოდა (სამცხე-ჯავახეთი, ქართლი, კახეთი, ხევსურეთი, რაჭა და

31 რ. ხარაძე, ხევსურული ანდრეზი—ხალხური სამართლის წყარო, — „მომომხილველი“, 2, თბ., 1951, გვ. 394.

32 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, I, გვ. 164—165.

33 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 2, გვ. 462.

34 ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 134; ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 177, 185 და ს. შ. ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 117, 118; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 442.

35 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 229.



ა. შ.)<sup>36</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ აღნიშნული ტერმინები გამოიყენებოდა დაწინდვის აღსანიშნავად, არამედ ამ რიტუალის დროს დასაწინდ ქალზე ხელისდადების — ხელის დაკვრის წესიც სრულდებოდა. ასე მაგალითად: სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში ქალის დაწინდვის დროს, როდესაც სასძლოც იქ იყო, სამამამთილო ან ვაყის მხრიდან ყველაზე უხუცესი წინდის ნივთების გადაცემისას სასძლოს მხარზე ან თავზე ხელს დაადებდა და ისე დალოცავდა. წერილობითი მონაცემებით, ქართლში ქალის დათავისების მიზნით ნიშნის გადაცემასთან ერთად საჭირო ყოფილა ქალზე ხელის დადება. — „მხარზე დაკრავდნენო ხელს ამორჩეულ ქალს“<sup>37</sup>.

ხელის დაკვრით ქალის დაწინდვის შედარებით სრული სურათი შემორჩენილი იყო საქართველოს მთაში, — კერძოდ ხევსურეთში. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დაცული საარქივო მასალებით, ხევსურეთში „დანიშვნისა და მოტაცების გარდა იცოდნენ „ქალისად ხელის დაკვრა“. „ხელის დაკვრა“ ხდებოდა შემდეგნაირად. თუ ქალი მოეწონებოდათ და არ ხერხდებოდა მოტაცება და არც ნიშნის მიცემის დრო იყო (ეჩქარებოდა რომ არავის წაერთმია), ასეთ შემთხვევაში ხდებოდა ხელის დაკვრა. და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ხალხი იყო შეკრებილი ერთად. ქეთის, დღეობის და სხვა სტუმრიანობის დროს ქალს მხარზე ან თავზე ხელს დაკრავდა საქმროს ძმა ან ბიძაშვილი და ხალხის გასაგონად იტყოდა: „ხალხო ყველამ გაიგონეთ, რომ ეს ქალი დღეს ამას იქით ჩვენს სახელზედ ას. დღეის ამის იქით ამაზე არავინ იფიქროს რომ თავისუფალია. ყველამ გაიგასად, ყველამ გაიგონას, რო ეს ქალი ქმრიანი ას. არავისად აქვს უფლება რომ ითხოვოს ცოლად“<sup>38</sup>.

დაწინდვის მსგავსად, ტერმინი „ხელის დაკვრა“ || ხელის დადება“, როგორც ჩანს, ქართული უნდა იყოს საკუთრივ და არა რომელიმე ენიდან შემოსულ /ნასესხები. ქართული წერილობითი მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობაში აღნიშნული ტერმინები გარკვეული მნიშვნელობით ფართოდ იყო ხმარებაში ადრეული ხანიდანვე. ისტორიული დოკუმენტებისა და ქართული სიტყვარების მიხედვით, „ხელის დადება“ ანუ „ხელის აღმართვა“ ეს იყო ადამიანსა თუ საგანზე ხელისდადების უფლების აღიარება, მისი მფარველობის ქვეშ მოქცევა ხელდებული ადამიანისა თუ საგნისა<sup>39</sup>. საერთოდ, ხელის დადებისა თუ ხელის აღმართვის ფაქტი უხვად გვხვდება ქართულ წერილო-

<sup>36</sup> А. Хаханов, Ю. Месхи, 1891, № 3, გვ. 19; Ф. Мтавриев, Простонародная свадьба в Кахети, СМОПК, 31. 1902, გვ. 151—152; მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემი). ხელნაწერი, რე. 1; ი. ჯყონია, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, გვ. 123—134; ნ. მაჩაბელი, დასახ. ნაშრ., გვ. 87; ივ. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტ. მუზეუმი, ხელნაწერი № 4, გვ. 12; თ. იველაშვილი, 1976—1980 წწ. სამცხე-ჯავახეთში მივიღებინების მასალები, რე. № 1, 2, 3, 4; მისივე, № 1976—78, 1979—80 წწ. კახეთის ეთნ. ექსპედიციის მასალები. რე. № 1, 2, 3.

<sup>37</sup> ი. ჯყონია, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

<sup>38</sup> მ. ბალიაური, დასახ. ხელნაწერი გვ. 32.

<sup>39</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, გვ. 915; ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 567; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII; ქართული სამართლის ძეგლები, I, 409, 451—52; II, 257, 300, III, 257, 762...

ბით წყაროებში<sup>40</sup> და, რაც მეტად საყურადღებოა, მატერიალური კულტურის ძეგლებზე<sup>41</sup> ხელისდამდების უფლების აღიარების მნიშვნელობით.

დოკუმენტური მასალის შესწავლის საფუძველზე ნ. ბერძენიშვილმა ხელის დადების // ხელის აღმართვის წესის არსებობა იმავე ასაკისად ჩათვალა რა ასაკისაც უნდა იყოს „მაწის კერძო საკუთრების დამცველი პოლიტიკური ორგანიზაცია (სახელმწიფო)“<sup>42</sup>.

არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა და ნ. ბერძენიშვილმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ, საერთოდ, „ხელი“ უფლების ნიშანია და წარმოადგენს ადრეფეოდალური ხანის მემკვიდრეობას<sup>43</sup>. ეს შეხედულება დღეისათვის ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში მიღებული და გაზიარებულია. ბოლო ხანებში გ. მამულიამ უფრო დააკონკრეტა ზემოთ მითითებული მკვლევართა მოსაზრება. 1978 წელს გამოქვეყნებულ თავის მონოგრაფიაში მან ხაზგასმით მიუთითა, რომ „კელი“ როგორც უფლების მატერიალური ნიშანი აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე II ათასწლეულის ბოლოსათვის ყალიბდება<sup>44</sup>.

ხელის მნიშვნელობის შესახებ ზემოთქმულიდან გამომდინარე საქორწინო, ურთიერთობაში დაწინდვის „ხელისდადება“ // „ხელისდაკვრით“ აღნიშვნა ნიშნავდა დამწინდველის უფლების აღიარებას დაწინდულ ქალზე, ხოლო „ხელსადები“ კი უშუალოდ იმ ნივთს ეწოდებოდა, რომელსაც ხელისდამდები გაიღებდა დაწინდულ ქალზე „კელის“ ნიშნად.

ხელისდადებით ქალის დაწინდვა საერთოდ ძალიან დიდ სიძველეს ამჟღავნებს და ეს სპეციალურ ლიტერატურაშიც აღიარებულ ფაქტს წარმოადგენს. იგი დასტურდება არა მხოლოდ ქართველი და კავკასიელი ხალხის, არამედ სხვა მრავალი ხალხის საქორწინო ურთიერთობის მოგვარების სფეროშიც. უშუალოდ ხელით ქალის დაწინდვის ჩვეულების შესახებ მკვლევართა შორის ახრთა სხვადასხვაობაა. შ. მაქსიმოვი მას უკავშირებს ნაყოფიერების კულტს<sup>45</sup>. ლ. მელიქიშვილის შეხედულებით, შესაძლებელია დაწინდვის ცერემონიალის ხელისდადებით შესრულების მნიშვნელობა, მართლაც, ნაყოფიერების კულტთან იყოს დაკავშირებული, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს უფრო გვიანდელ მოვლენასთან-მფლობელობის სიმბოლოსთან.

<sup>40</sup> ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 409, 452...; II, გვ. 257, 300...; III, გვ. 257, 762...

<sup>41</sup> გ. ჩუბინაშვილი, ქართული დარბაზი, I დარბაზი დილოში, თბ., 1927; მ. ისიევი, Болнисский Сион, Тб., 1941; გ. ჩიტაია, გლეხის სახლი ქვაბლიანში, „მომომხილველი“, I თბ., 1926; ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი I ხეცურული, თბ., 1939; ლ. მელიქსეთბეგი, შეგალითური კულტურა საქართველოში, თბ., 1938; მ. ისიევი, Рельефы руки на памятниках материальной культуры феодальной Грузии, მსე IX, თბ., 1957; ვ. ციკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც ისტორიული წყარო, თბ., 1957; ვ. ითონიშვილი, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში, „მაცნე“, თბ., 1964; მ. ისიევი, ხევი ძველად და ახლა, თბ., 1967, და სხვ.

<sup>42</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 158.

<sup>43</sup> ივ. ჯავახიშვილი, დსახ. ნაშრ., გვ. 108; ნ. ბერძენიშვილი, დსახ., ნაშრომი, გვ. 135—191.

<sup>44</sup> გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება ძველ საქართველოში, თბ., 1979, გვ. 173.

<sup>45</sup> М. Максимов, Об одном свадебном обряде, ЮО, №4.

ამავე დროს არ უნდა იქნეს დაიწყებული ის ფაქტიც, რომ ხელისდადების რიტუალის შემსრულებლად პირველ რიგში გვევლინება სასიძოს მამა, ბიძა, ბიძაშვილი, ე. ი. გვარის წარმომადგენელი. ეს კი უფლებას გვაძლევს დაწინდების ცერემონილის ამგვარი მნიშვნელობით (შინაარსობრივადაც) და ამ ფორმით (ხელისდადებით) შესრულება საზოგადოების განვითარების გარკვეული საფეხურიდან ვივარაუდოთ<sup>46</sup>. ავტორის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება საინტერესოა, მაგრამ არ მიუთითებს თუ ამ „გარკვეულ პერიოდში“ კონკრეტულად საზოგადოების განვითარების რომელი პერიოდი იგულისხმება.

რაც შეეხება „დაწინდების“ სინონიმ სხვა ტერმინებს — „ბელგა“ || „ბეა“, „ნიშანი“ || „დანიშვნა“, და ა. შ. არაქართული წარმოშობის სიტყვებია და მეზობელ ხალხთა ენებიდანაა შემოსული. კერძოდ, აღნიშნული ტერმინები თურქულენოვანი ხალხებისათვისაა დამახასიათებელი და მათ ეტიმოლოგიურ კვლევასაც უმთავრესად ამ ენებისავე მივყვართ. ამ ტერმინებიდან გამონაკლისს უნდა წარმოადგენდეს „ბეა ბელგა“. მართალია, იგი თურქულ ენაში ფართოდ იყო და დღესაც არის გავრცელებული<sup>47</sup>, მაგრამ აქაც ნეოლოგიზმთა რიგს მიეკუთვნება და ახალი შესული ჩანს. „ბეა“ || „ბელგა“ ქართველი ხალხის ყოფაში წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული. მას ქართულ სიტყვარებში არ გააჩნია ვრცელი ეტიმოლოგიური განმარტება. გამონაკლისს წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, სადაც საინტერესო ცნობა გვხვდება. მასში ერთ ადგილზე „ბეა“ || „ბე“ განმარტებული არაა და მხოლოდ მითითებულია: „ნ. „არაონი“. ხოლო „არაონი“ კი შემდეგი სახითაა განმარტებული: „ეს არის მცირე საწინდარი რომელსა თურქნი ბეს უწოდებენ“<sup>48</sup>.

ა. ნეიმანის ქართულ სინონიმთა ლექსიკონშიც „არაონი“ განმარტებულია როგორც ბე<sup>49</sup>. ამ ტერმინის უფრო სრული ახსნა მოცემულია დ. ჩუბინიშვილის მიერ. მას „არამონი“, „არაონი“, „რამონი“, „რიმონი“ — განმარტებული აქვს როგორც მცირე საწინდარი, რომელიც ბერძნულია<sup>50</sup>. მისი ამ განმარტებიდან ჩანს, რომ აღნიშნული ტერმინი ბერძნული ენებიდანაა შემოსული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არაონი მხოლოდ ქართულ სიტყვართა ერთ ნაწილშია მოცემული და სხვა წერტილებითი მონაცემებითა თუ ეთნოგრაფიული მასალებით კი საერთოდ არ მოწმდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ამ ჩვეულების ჩამოყალიბება-ვაფორმების სათავეები სოციალური უთანასწორობის, კერძოდ, კერძო საკუთრების წარმოშობის ხანას დაუკავშიროთ. ყოველ შემთხვევაში დაწინდების ჩვეულების შინაარსობრივი და მის სახელწოდებათა შინაარსობრივ-ეტიმოლოგიური განხილვა საფუძველს გვაძლევს აღნიშნულ საკითხს ამ კუთხით შევხედოთ. რა თქმა უნდა ჩვენი ეს ვარაუდი ჰიპოთეზური ხასიათისაა და მას ჭერჯერობით დასაბუთების პრეტენზია არ გააჩნია.

<sup>46</sup> Л. Меликишвили, Некоторые стороны осетинского свадебного ритуала.—„Кавказский этнографический сборник“, V, т. 2. Тб., 1979, стр. 158.

<sup>47</sup> Д. А. Магазаник, Турецко-русский словарь, М., 1945, стр. 69.

<sup>48</sup> სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

<sup>49</sup> ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 52.

<sup>50</sup> დ. ჩუბინიშვილი, Грузинско-русский словарь, 1887, стр. 43.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაწინდვა წარმოადგენდა სასძლოდ შერჩეული ქალის დათავისება-დაპატრონებას, მასზე ხელის დადებას, ვაჟის ოჯახის უფლების აღიარებას. მართალია, წინადად გაღებული ნივთები ამ დროს სასძლოსაკუთრებას წარმოადგენდა და თითქოს მასში არ გვხვდება სციდვითი ელემენტები, მაგრამ თვით რიტუალურ ქალის დაწინდვა თავისთავად გულისხმობდა სციდვით ელემენტებს. ვაჟის ოჯახს გარკვეული ნივთი-საჩუქარი უნდა გაეღო იმსათვის, რომ სასძლოდ შერჩეულ ქალს დაპატრონებოდა, თავისი უფლების ქვეშ ყოლოდა. საჩუქრის მიღება კი, თავის მხრივ, უკვე გარკვეულ ვალდებულებას გამოხატავდა მიმღების მხრიდან გამღების წინაშე. იგი შემდეგში თანდათანობით სციდვით ელემენტად იქცა და ამ სახით შევიდა დაწინდვის რიტუალში და საერთოდ, საქორწინო ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში.

საქართველოს მოსახლეობაში დღეისათვისაც კიდევ გვხვდება დაწინდვის ცალკეული შემთხვევები, მაგრამ მას დიდი ხანია დაკარგული აქვს აღრინდელი მნიშვნელობა და მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს. ამ უკანასკნელ ხანებში მის შესრულებას მაშინ აქვს ადგილი, როცა ქალ-ვაჟის დაქორწინება ხდება მათი ნება-სურვილით, მაგრამ „გარიგებით“, ე. ი., როცა სასიძო „მოციქულს“ აგზავნის საცოლეს ოჯახში.

Т. В. ИВЕЛАШВИЛИ

## НЕКОТОРЫЕ ОСОБЕННОСТИ ОБРУЧЕНИЯ ПО ГРУЗИНСКИМ ЭТНОГРАФИЧЕСКИМ ДАННЫМ

Резюме

На основе сравнительного анализа этнографических материалов, письменных источников и данных специальной литературы в статье на примере изучены обычаи обручения. В итоге исследования усатновлены как характерные особенности местных традиций, так и обрядовые нормы, присущие грузинскому обручальному ритуалу в целом.

В статье особо рассматриваются вопросы происхождения различных элементов обручения, тенденции их видоизменения и развития в соответствии с переменой общественно-экономических условий жизни народа. Показаны последствия трансформации обручения, установлены взаимосвязи между формой и содержанием отдельных терминов, связанных с рассматриваемым феноменом.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ

ნათესაურ ურთიერთობათა ბუნების საკითხისათვის

(„მითორგინაჟა“)

საკითხი ნათესაობისა და ნათესაურ ურთიერთობათა ბუნების შესახებ ერთ-ერთი საინტერესო პრობლემათაგანია ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში. ჯერ კიდევ ლ. მორგანი ქორწინებისა და ოჯახის თავდაპირველი ფორმების მისეულ რეკონსტრუქციაში ამოდიოდა იქიდან, რომ მამობა თავის საფუძველში ბიოლოგიურ მოვლენას წარმოადგენს და რომ ტერმინი „მამა“ წარმოდგა იმ მამაკაცის აღსანიშნავად, რომელსაც ადამიანის გაჩენაში ედო წილი. როგორც მიუთითებენ, სწორედ ამან განაპირობა რიგი უზუსტობანი მორგანისეულ რეკონსტრუქციაში<sup>1</sup>. მართალია, არ შეიძლება ბიოლოგიური საწყისის სრული უარყოფა ნათესაურ დამოკიდებულებებში, მაგრამ არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ დედ-მამას შვილების მიმართ გარკვეული უფლება-მოვალეობანი აკისრია; სხვაგვარად რომ ვთქვათ, დედობა და მამობა ერთდროულად ბიოლოგიურიცაა და სოციალურიც, თუმცა ეს ერთიანობა შედარებითი ხასიათისაა და განვითარების სხვადასხვა საფეხურზე საზოგადოების მიერ არაერთგვაროვნად შეიმეცნება.

ზემოხსენებული პრობლემა 60-იან წლებში გაცხოველებული კამათის საგანი გახდა ჟურნალების „Man“-ისა და „Philosophy of science“-ის ფურცლებზე, სადაც აღინიშნა, რომ ნათესაური ურთიერთობები განიყოფიან ორ თვისებრივად განსხვავებულ სახეებად — ბიოლოგიურ-გენეტიკურ ნათესაობად და სოციალურ ნათესაობად<sup>2</sup>. ხსენებული დებულება ემყარება იმ მრავალრიცხოვან მასალას, რომლის მიხედვითაც უკლასო საზოგადოების საფეხურზე მყოფ ხალხებში დედობისა და მამობის გაყოფა ბიოლოგიურ და სოციალურ ასპექტებად ძალზე გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა. სწორედ ამის გამო ინგლისურენოვან სპეციალურ ლიტერატურაში ბიოლოგიური მამობა აღინიშნება ტერმინით „genitor“, სოციალური კი — „pater“; რუსულ ენაში პირველის ექვივალენტია „породитель“, ხოლო ქართულში შეიძლება იყოს „გამჩენი“.

რამდენადაც ნათესაეებს შორის განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა არსებობა გამომდინარეობს მათი არა ბიოლოგიური ურთიერთობიდან, არამედ სოციალურიდან, საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი, რომლის თანახმად ნათესაობა თავისი არსით სოციალურ მოვლენას წარმოადგენს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Ю. И. Семёнов, Происхождение брака и семьи, М., 1974, гл. 36—37.

<sup>2</sup> Philosophy of science, vol. 30, № 3, 1963; vol. 31, № 3, 1964; „Man“, vol. 64, art. 130, 217, 1964; vol. 65, art. 38, 65, 108, 109, 1965.

<sup>3</sup> Ю. И. Семёнов, *დსახ. ნაშრომი*, გვ. 38.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 39; იქვე იხ. სათანადო ლიტერატურა.

თავისთავად ცხადია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ეთნოგრაფიული მასალის გამოწილებას ან უკვე აღწერილის ახლებურად გააზრებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ აღნიშნული პრობლემების შემდგომ შესწავლას.

ქვემოთ ვეხებით სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში უკანასკნელ დრომდე შემორჩენილ წეს-ჩვეულებას — „მითორგინაფას“, რომელიც თავის დროზე აღწერა თ. სახოკიამ.

გავიხსენოთ „მითორგინაფა“.

„...შვილად აყვანის აქტი მაშინღა ითვლება... კანონიერად, როცა შეასრულებენ ჩვეულებას, რომელიც მაყურებელზე სტოვებს უშვილო დედაკაცის მიერ შვილის შობის შთაბეჭდილებას... შვილად აყვანის ცერემონიის რამდენიმე დღის წინათ მომავალს დედას თავი ისე უჭირავს, როგორც ორსულობის უკანასკნელ დღეებში მყოფ მშობიარეს; მუცელზე ბალიშს იკეთებს, რომ გამობერილად ეჩვენოს მაყურებელს; ნელა მოძრაობს, კვნესით და სულის ბრუნებით. მეზობელი ქალები მის მდგომარეობას თანაგრძნობით და სერიოზულად უყურებენ, ეკითხებიან თუ როდის მოილოცინებო. ბოლოს თვით „მოლოცინებაც“ დგება: „მშობიარე“ ლოგინში ჩაწევა, კვნესის სწორედ ისე, როგორც ბავშვის დაბადების დროს მელოცინენი, ბებია თავს დასტრიალებს, რჩევას აძლევს. ამშვიდებს... და ამ დროს ლოგინში შეუფორებენ ბავშვს. აქედან დაერქვა თვით პროცესს „სქუაში მითორგინაფა“ (შეგორება შვილისა). ბავშვის ატარების დროს ყველანი ჩქარობენ მიულოცონ დედას მშვიდობით შეძენა ვაჟისა. მშობიარე კიდევ რამდენსამე დღეს დარჩება ლოგინში. ამ შემთხვევაში საქმელად აძლევენ საგანგებოდ მომზადებულ ტიბუ-ს<sup>5</sup> (თბილს) ანუ სახვრებ წვეწვს. ახალი მშობლები „ნაშვილეს“ ისე ზრდიან, როგორც საკუთარს. მეზობლებიც ასეთად თვლიან“<sup>6</sup>.

„მითორგინაფას“ ჩვეულება შედარებით მოკლედ აღწერილი აქვს ს. მაკალათიას „...წინასწარი შეთანხმებით ორსული ქალისაგან ბავშვს იშვილებენ და უშვილო ქალი მუცელზე ბალიშს გაიკეთებდა, ვითომ ორსულად იყო. როდესაც ორსული ქალი მოიმშობიარებდა, უშვილო ქალიც ლოგინად წვებოდა და როგორც მშობიარე კვნესოდა. ამ დროს მალულად მოიყვანდნენ ახლად დაბადებულ ბავშვს და მას ლოგინში შეუფორებდნენ, რასაც ეწოდებოდა „მითორგინაფა“ ან „მითოდგუმა“ და ასეთი ბავშვი ითვლებოდა მის ნამდვილ შვილად“<sup>7</sup>.

აღწერილი ჩვეულება არაერთგზის შესულა სამეცნიერო ლიტერატურაში და ყველა ავტორთან გააზრებული იყო, როგორც კუვადის ვადმონაშთი. აი, რას წერს მის შესახებ თ. სახოკია: „მეგრული „სქუაში მითორგინაფა“ მოგვაგონებს აფრიკის ზოგიერთ ტომთა ასეთსავე ჩვეულებას, რომელსაც ლიტერატურაში ეძახიან Cuvade-ს ანუ გამოჩეკას. „გამოჩეკა“ ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში იცოდნენ თანამედროვე მეგრელების წინაპრებმა — ტობარენებმა (მეგრულად — ტბაზე მოსახლენი), რომელნიც თანამედროვენი იყვნენ ალექსანდრიის პოეტის აპოლონ როდოსელისა.

<sup>5</sup> „ლომისა და ოჯალეშის ნადულისაგან აკეთებდნენ ტიბუს — მოსქო ცხელ ხსნარს“ (გ. ელიავა, შხარეთმცოდნის თვლით, თბ., 1978, გვ., 45).

<sup>6</sup> თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, გვ. 75.

<sup>7</sup> ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 270—271.

„ტიბარენები მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, იქ დღესაც ცხოვრობენ მეგრელები ანუ ლაზები... აი, რას წერს აბ. როდოსელი ამ ჩვეულების (სქუაში მითორგინაფა ანუ ვაყის შეგორება) შესახებ: „ორსული ქალი მოილოგინებს თუ არა, მისი ქმარი მოყვება კანესას ჩაწევა ლოგინში და თავს შეიხვევს. ამ დროს ქალებს მოაქვს მასთან ყუათის მომგვრელი საჭმელი, ტანის საბანად წყალს უცხელებენ, როგორც ამას უშვრებიან მელიოგინე ქალებს (Argonavtide II. Apollonius de Rhodes, ნაშრომები Charles Letourneau-ს მიერ მის „Marriage primitif“-ში გამოცემა 1889 წ. პარიზი)“<sup>8</sup>.

30-იან წლებში „მითორგინაფას“ შეეხო პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი და იგი კუვადის წესს დაუკავშირა<sup>9</sup>.

ს. მაკალათიამ აღწერა რა ჩვენთვის საინტერესო ჩვეულება დაასვენა, რომ „...„მითორგინაფა“ წარმოადგენს „კუვადას“ (Cuvade) ...ნაშის და ახასიათებდა დედამთავრული ოჯახიდან მამამთავრულზე გადასვლის პერიოდს“<sup>10</sup>. ავტორი იმეორებს აბ. როდოსელის მიერ აღწერილ და ტიბარენებში გავრცელებულ ჩვეულებას, ასევე სტრაბონის ცნობებს მსგავსი ჩვეულების არსებობის შესახებ დასავლეთის იბერებში, კელტებსა და სკვითებში<sup>11</sup>.

მოგვიანებით ამ საკითხით დაინტერესდა აკად. გ. ჩიტაია, რომელმაც „მითორგინაფა“ კუვადის ჩვეულებას დაუკავშირა<sup>12</sup>. აღნიშნავს რა, რომ „ძველ კოლხეთში თოხის კულტურა განვითარებული სახით იყო წარმოდგენილი ბრინჯაოს ეპოქის მთელს მანძილზე“, გ. ს. ჩიტაია ასკვნის: „მატრიარქატიდან პატრიარქატიდაც... გარდამავალი პერიოდი თავის ასახვას პოულობს არამარტო საწარმოო იარაღების გარდამავალ ფორმებში, არამედ ხალხურ ჩვეულებებშიც. მხედველობაში გვაქვს ტიბარენებსა, მეგრელებსა და ბასკებში დამოწმებული კუვადა, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების ამ გარდამავალი საფეხურის ექვიუტანელ მოწმობას წარმოადგენს“<sup>13</sup>.

უკანასკნელ ხანებში აღნიშნულ ჩვეულებას შეეხო პროფ. ალ. რობაქიძე, რომელიც მხარს უჭერს თ. სახოკიასგან მომდინარე თვალსაზრისს<sup>14</sup>.

ასეთია საკითხის ისტორია. ავტორთა ერთ ნაწილთან ეს მასალა, სხვა მონაცემებთან ერთად, კულტურულ-ისტორიული კავშირების მაჩვენებელია, ერთი მხრივ, ტიბარენებსა და მეგრელებს შორის, მეორე მხრივ, ბასკებსა და ქართველებს შორის (თ. სახოკია, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ს. მაკალათია, გ. ჩიტაია), ხოლო მეორე ნაწილთან გვევლინება, როგორც ქართული ნიმუში ვაღ-

<sup>8</sup> თ. სახოკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

<sup>9</sup> Л. Меликсет-Бекоев, К вопросу об обычае кувადы на Кавказе, Юбил. сборник, в честь акад. Н. Я. Марра, АН СССР, 1935. გვ. 732.

<sup>10</sup> ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 271.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> G. Tschitaya, Hackbaukultur in Colchis. Veröffentlichungen des Instituts für Deutsche Volkkunde, Bd. 13. Berlin, 1957; მისივე, თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში), ისტ. ინსტ.-ტის შრომები, ტ. IV, 2, 1959.

<sup>13</sup> გ. ჩიტაია, თვლი სახოკიას სამეცნიერო მოღვაწეობა თვლი სახოკია, კრებული, თბ., 1969, გვ. 12.

<sup>14</sup> ალ. რობაქიძე, ტრადიცია და ცხოვრების წესი, სერია: „ტრადიცია და თანამედროვეობა“, თბ., 1981, გვ. 27—28.

მონაშთისა, რომლის გამოყენება შესაძლებელია კულტურის ადრეული საფეხურის რეკონსტრუქციისათვის (აღ. რობაქიძე).

იმისათვის, რომ ავხსნათ აღნიშნული ჩვეულების შინაარსი, აუცილებელია მოკლედ მიინც შევეხხოთ ზოგად ეთნოგრაფიაში Cuvade-ს სახელით ცნობილ ჩვეულებას.

მოყოლებული ანტიკური ხანიდან, ახალი პერიოდის ჩათვლით მრავალ ავტორთან ვხვდებით ჩვეულებების აღწერას, რომლებმაც მოკვიანებით კუვადის (ფრანგ. Cuvade გამოჩეკა) სახელწოდება მიიღო. ზოგად ეთნოგრაფიაში ამ ტერმინით აღინიშნება რიგი ქცევის წესებისა და ნორმებისა, რომლებიც ბავშვის დაბადებასთან არიან დაკავშირებულნი და რომლებსაც ერთი საერთო ნიშანი აერთიანებთ — ყველა მათგანი განეკუთვნება არა დედას, არამედ მამას.

ჩვეულების თანახმად, ბავშვის დაბადების წინ და განსაზღვრული დროის შემდეგაც მამას ეკრძალება მუშაობა, ბასრი იარაღის ხმარება. ვალდებულია დაიცვას დიეტა; ხშირ შემთხვევაში წვება ლოგინში, როგორც მშობიარე და ა. შ.

ჭერ კიდევ XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში კუვადის შესახებ გამოითქვა ორი სხვადასხვა აზრი. პირველის თანახმად (ბახოფენი, ტაილორი), კუვადის ჩასახვა განეკუთვნება დედისეული გვარიდან მამისეულზე გადასვლის პერიოდს, როდესაც მამა ითხოვს უფლებების განმტკიცებას შვილებზე, რომლებიც ადრე დედასა და მის გვარს ეკუთვნოდნენ; კუვადისათვის დამახასიათებელი სიმბოლოური აქტის საშუალებით მამა თავისად ცნობს შვილებს. მეორე თვალსაზრისი ამ ჩვეულებას მაგიის თეორიის პოზიციებიდან ხსნის (ტაილორი, ფრეზერი)<sup>15</sup>. მაგიური აზროვნების თანახმად ადამიანს შეუძლია ბუნებრივი გზით გავლენა იქონიოს მატერიალურ საგანსა თუ მოვლენაზე, რათა მიიღოს სასურველი შედეგი. ორივე თვალსაზრისის დღემდე თავისი მომხრეები ჰყავს. იმ ავტორებთანაც კი, რომლებიც მხარს უჭირენ პირველ მოსაზრებას, აღიარებულია კუვადას ჩვეულებაში მაგიის განსაზღვრული ელემენტების არსებობა<sup>16</sup>. აქვე უნდა ითქვას, რომ კუვადა ფიქსირებულია ისეთ ხალხებში, რომლებშიც ნათესაობა დედის ხაზით აითვლება, მაგ., მელანეზიელებში, არაიაკებსა და მაკუშებში<sup>17</sup>. თავისთავად ცხადია, რომ აქ მამის რაიმე უფლებებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

აღნიშნულმა ფაქტმა და იმან, რომ მაგიის ელემენტები დამახასიათებელია კუვადასთან დაკავშირებულ ყველა ჩვეულებასთან, დაბადა აზრი, არ შეიძლება მისი ახსნა ვიწრო ასპექტით, კერძოდ, შობის იმიტაციით.<sup>18</sup> მაგია კუვადისათვის დამახასიათებელია არა როგორც გვიანი მოვლენა, უკვე ჩამოყალიბებულ ჩვეულებაზე დაფუძნული, არამედ ჩასახვის დროიდანვე არსებული; მხოლოდ მოგვიანებით წამოიწვეს წინა პლანზე მამის სურვილი ხაზი გა-

<sup>15</sup> А. М. Хазанов, Загадочная кувада, «Этнографы рассказывают», М., 1978, 33. 41—42; იქვე, იხ. ლიტერატურა კუვადაზე.

<sup>16</sup> С. А. Токарев, Сущность и происхождение магии, Труды Инста этнографии АН СССР, 1959, т. 51, 33. 16.

<sup>17</sup> А. М. Хазанов, დასახ. ნაშრ., 33. 42.

<sup>18</sup> იქვე, 33. 44.



უსვას თავის პრიორიტეტსა და როლს ბავშვის გაჩენაში, თავის უფლებებს შეილება<sup>19</sup>.

როგორც ვნახეთ, კუვიადის სახელით ცნობილი ჩვეულება დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ მამასთან და არა დედასთან; ჩვეულებაში პირველადია მამის ელემენტები, რაც გამოიხატება მშობიარობისადმი ხელშეწყობის სურვილში, ხოლო განაცხადი მამობრივ უფლებებზე — მეორადი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აქვე შეგვიძლია დავსკვნათ, რომ „მითორგინაფა“ და კუვადა თვისებრივად განსხვავებული ჩვეულებებია.

ახლა გავეცნოთ ჩვენ მიერ ველზე მიკვლეულ დასავლურ-ქართულ მასალას; დავიწყოთ მეგრულით.

მკვლად სამეგრელოში თუკი ახალ რძალს ერთი წლის გასვლის შემდეგ შვილი არ ეყოლებოდა, იტყოდნენ: „ნერჩი გოჰყორელი რენია“ (ფუძე გამწყრალი არის); თვლიდნენ, რომ მის შემოსვლას ოჯახში ფუძის მფარველი („ნერჩი პატონი“) უკმაყოფილებით შეხვდა და ამის გამო ერთმა წელიწადმა, რომელიც პატარძლისთვის ახალ ოჯახში თავისებური აკლიმატიზაციის პერიოდი იყო, უნაყოფოდ ჩაიარა. ამიტომ ოჯახის წევრი ქალები ასრულებდნენ ე. წ. „ნერჩი გითოხვამას“ (ფუძის გამოლოცვა). ამ დღისთვის რაიმე საგანგებო მზადება არა ჰქონიათ და მისი შესრულება შეიძლებოდა ნებისმიერ „გეჰულა“<sup>20</sup> დღეს. „ნერჩი გითოხვამა“ აუცილებლად სამზადში უნდა მომზადარიყო მამაკაცთა დაუსწრებლად. უშვილო ქალს დაიოქილს უნდა შემოეველო კერის გარშემო სამჯერ ისე, რომ წინ ოჯახის უფროსი ქალი გასძლოლოდა ანთებული სანთლით ხელში და თან ელოცა: „ნერჩი პატონი, ვაგაჰყორა დო გუჰტიბინე უ ვაიჰარეს, დაშებული აფუდა სი ქაპატიი, სქანი სახელი ხვამელი“ (ნერჩი ბატონო, ნუ გაუწყრები და წყალობას ნუ მოაკლებ უბედურს, თუ დანაშაული აქვს, შენ აბატიე, შენი სახელი დაილოცოს).

თუკი „ნერჩი გითოხვამა“ ვერ უშველიდა ქალს, მაშინ იტყოდნენ: „თეჰიანი ნერჩის აფუ ჰოფილი“ (იქაურ ნერჩს ჰყავს შეპყრობილი) და მამისეულ სახლში აგზავნიდნენ. იქაც მსგავსი რიტუალი სრულდებოდა, მხოლოდ ნერჩს შესთხოვდნენ „გეჰულა“ ქალი ქმრის ოჯახში. თუ ესეც უშედეგოდ ჩაივლიდა, ქალი „მოსქე—წაჩხურის“<sup>21</sup> ეკლესიაში მიჰყავდათ გამოსალოცად; ყოფილა შემთხვევები, რომ უკვე „მოსქე—წაჩხურიდან“ მობრუნებული მუცელზე ბალომს აიკრავდა და ისე დადიოდა, როგორც ფეხმძიმე... ბოლოს დასკვნდნენ, „უსქე“ (უნაყოფო) ყოფილაო და გადაწყვეტდნენ ბავშვის აყვანას.

შეიგულებდნენ ორსულ ქალს, გამოიკითხავდნენ ოჯახის და წინაპრების აკარგიანობას. და თუ ყველა მონაცემი დაკმაყოფილებდათ, წინასწარი შეთანხმების შემდეგ, ეწვეოდნენ საჩუქრებით დატვირთულნი. ვიდრე ჩვილს წამოყვანდნენ ტარდებოდა რიტუალი, რომელსაც „ძუძუშა კიბირიში გიდელმას“ (ძუძუზე კბილის დადგმა) ეტყოდნენ. უშვილო ქალს ბავშვის დედის ძუძუზე კბილი უნდა დაედგა და ეთქვა: „სი — დიდა, მა — სქეჟა“ (შენ — დედა, მე — შვილი), რაზედაც კბილდადგმული პასუხობდა: „სი სქეჟა, მა — დიდა“ (შენ — შვილი, მე — დედა). ასე ამბობდნენ მაშინაც კი, როცა „უსქე“ ქალი ახალ-

<sup>19</sup> A. M. Хазанов, დასახ. ნაშრ., გვ. 44—45.

<sup>20</sup> „გეჰულა“ დღედ სამეგრელოში იწოდება სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი და კვირა.

<sup>21</sup> „მოსქე—წაჩხურის“ ხატი შეილიერების მომინიჭებლად ითვლებოდა.

შობილის დედაზე უფროსი იყო. ამის შემდეგ ოჯახებს შორის მკიდრო ნათესაური კავშირი მყარდებოდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. ბავშვი ამ დღიდან დაანლოებით ერთი კვირის შემდეგ მიჰყავდათ სახლში. ამასობაში მომავალი დედა მუცელზე ბალიშაკრული დადიოდა. ჩვილის მოყვანის დღეს საგანგებოდ მოიწვევდნენ ბებია ქალს — „დედოფანიას დედუნიას“<sup>22</sup> და ქალს „მოსალოგინებლად ჩააწვევდნენ. მერმე ყოველივე ისე სრულდებოდა, როგორც ეს თ. სახოკიასა და ს. მაკალათიას აქვთ აღწერილი.

„მითორგინათას“ მსგავსი ჩვეულება განსხვავებული სახით დავამოწმეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ასე მაგ., გურიაში შვილის აყვანის დღეს მოიწვევდნენ ახლო ნათესაებს, აგრეთვე ბებია ქალს. მომავალი დედა ლოგინად წევბოდა, ბებია ქალი კი აიღებდა დედის პერანგს, რომელსაც ერთი ბოლოთი მიკერებული ჰქონდა დაახლოებით 1 მ. სიგრძის ლენტი, რომლის მეორე ბოლოს ჩვილს შემოაკრავდა წელზე და ჰიზთან გაუნსაკვავდა; შემდეგ მთლიანად პერანგში შეახვევდა და მწოლიარეს მიუწვევდა. ასე დააძინებდნენ ბავშვს. თუ იგი მალე და მშვიდად დაძინებდა, იტყოდნენ — „მოსიყვარულე და დამჯერი ბაღანა იქნებოა“. მერე ბებია ქალი ან ოთახში მყოფი ვინმე მანდილოსთავანი გარეთ გავიდოდა და მომავალ მამასა და სტუმრებს ამცნობდა — „ბაღანამ დეიძინა“. როგორც კი გაიღვიძებდა და ატირდებოდა ჩვილი, მამასა და ოჯახის სხვა წევრებს მიულოცავდნენ შვილის შეძენას... გამოღვიძებისთანავე ჩვილს პერანგიდან გამოაწიალებდა ბებია ქალი და ლენტს ჰიზთან შეაჭრიდა. წელზე შემოკრული ლენტი ბავშვს ერთ წლამდე უნდა ეტარებია ისე, რომ არ შეეწუხებია. ამის გამო, როცა უკვე გაზრდილის დაცინვა ან გამოკვავება უნდოდათ, ეტყოდნენ: „წაი, შე ზონრიახო“. პერანგს, რომელშიც ბავშვი იყო გახეიული, მიკერებულ და გადაჭრილ ლენტთან ერთად ინახავდნენ; როდესაც ამ წესით აყვანილი დედის სიცოცხლეშივე გარდაიცვლებოდა, საფლავში ლენტთან პერანგს ატანდნენ: „მისიანებში არ გადევდიოსო“. „თუ ბაღანას ამფრად ეიყვანდი — გვიტხრა ინფორმატორმა, რომელიც არაერთხელ ყოფილა მოწმე ამ ჩვეულებისა, — დვიძლი შვილივით იქნებოდაო“<sup>23</sup>.

საინტერესო ცნობას გვაწვდის მწერალი გ. წერეთელი. მოთხრობაში „მამიდა ასმათი“ აღწერილია უკვე ზრდასრული ადამიანის შვილად აყვანის წესი. „ერთხელ ქვრივმა შეიკერა დიდი, განიერი პერანგი, რომელშიც ორი კაცი კარგად მოთავსდებოდა. დაიბარა მოძღვარი, მოიპატოჯა ოთარის ცოლი და მეზობლები, ოთარიც იქ იყო. ასმათმა უთხრა ოთარს: მე — დედა, შენ — შვილიო“. მერე გადაიცვა ტანისამოსზე დიდი პერანგი, შიგ ოთარი გააძვრინა, შემდეგ გადმოაგდო ძუძუ და ზედ კბილი დაადგმევინა. მოძღვარმა აიაზმის წყალი უკურთხა. ამას შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ ოთარი ასმათის ნამდვილი შვილობილი ყოფილა“<sup>24</sup>.

მოზარდის ან უკვე ზრდასრული ადამიანის შვილად აყვანის ზემოაღწერილი წესი დავამოწმეთ იმერეთში; ამავე რეგიონში დავადასტურეთ ნა-

<sup>22</sup> სიტყვა ორი ნაწილისაგან შედგება; მისი პირველი ნაწილი (დელო/დედა) — დედას ნიშნავს, ხოლო „უნიას“ — მრავალრიცხოვან და გაუყოფარ ოჯახს. ასე რომ, „დედუნიას“ ძველქართული სოციალური ტერმინის „ღიასახლისის“ ტოლფარდი ჩანს.

<sup>23</sup> 75 წლის ოლა ინწირველი, სოფ. მთისპირი (მახარაძის რ-ნი), 1973 წ.

<sup>24</sup> გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1947, გვ. 472.

შვილევი ჩვილის დედის პერანგში გახვევა და მისი შეგორება „მშობიარის“ ლოგინში<sup>25</sup>.

„მშობიარის“ ლოგინში ახალაყვანილის შეგორება გავრცელებული ყოფილა ჩეჩნებშიც<sup>26</sup>.

ინტერესმოკლებული არ იქნებოდა აქვე გაგვეხსენებია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული „საწულესა“ და „მისამბარეს“ წესები, რომლებშიც ყურადღებას იქცევს სრულიად შიშველი ბავშვის შეგორება დროშის ქვეშ. რაც მისი შობის სიმულაციას გამომხატავდა ერთ დროს საკულტო ხის, მერმე ჯვარ-ხატების და მათი განმასახიერებელი დროშის მიერ<sup>27</sup>. სამართლიანად წერს ვ. ბარდაველიძე: „Сравнительное изучение вопроса показывает, что этот обряд осуществлял мистерию усыновления бо-жеством ребенка своего сакмо“.<sup>28</sup>

ადოპტაციის დროს შობის სიმულაცია კარგადაა ცნობილი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში. ვ. ფრეზერი წერს: „Если вы инсценируете рождение на свет мальчика или даже бородатого мужчины, который не имеет в своих жилах ни капли вашей крови, то, согласно примитивному праву и примитивной философии, этот мальчик или мужчина является вашим сыном в полном смысле слова. Диодор рассказывает, что, когда Зевс убедил свою ревнивую жену Геру усыновить Геракла, богиня слегла в постель и, прижав к своей груди дородного героя, протолкнула его через своё одеяние и уронила наземь в подражание действительным родам. Историк добавляет, что тот же способ усыновления детей практикуется современными ему варварами. Этот обычай распространен также в Болгарии и среди оснийских турков. Женщина берет мальчика, которого намеревается усыновить, и проталкивает его под своими юбками. После этого он считается ее сыном и наследует все состояние своих приемных родителей. Женщина племени бераван из Саравака (о. Борнео, современный Калимантан), вознамерившись усыновить взрослого мужчину или женщину, собирает множество людей и устраивает пиршество. Восседая на виду у всех на возвышающемся, покрытом тканью сиденье, приемная мать позволяет усыновляемому сзади проползти между ее ногами. Как только он выползает спереди, его... привязывают к женщине. Затем связанные вместе, приемный сын и мать на виду у зрителей ковыляют в другой конец дома и

<sup>25</sup> 79 წლის, დომნა მესხიშვილი სოფ. პირველი სვირი (ზესტაფონის რ-ნი), 1982 წ.

<sup>26</sup> ცნობა მოგვყვოდა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის ყოფილმა სტუდენტმა მ. მამუტაშვილმა.

<sup>27</sup> В. Бардавелидзе, Земельные владения древнегрузинских святилищ, СЭ, №1, 1949; მისივე, ხევისრული თემი, სტრუქტურა და გვარყვამობის ინსტიტუტი, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIII, № 8, 1952.; მისივე, სიცოცხლისა და სიუზღვის ზე ქართველთა სარწმუნოებაში, სეს, 1968; ე. ფრეზერი, „საწულესა“ და „მისამბარეს“ წესები ხევისრეთში, მსე, XVI—XVII, 1972.; მისივე, საწულე, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 3, 1979.; მისივე, ბაშვის გვარში ხატები მიზარების წესი ხევისრეთში, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 2, 1981.

<sup>28</sup> В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957. გვ. 61.

обратно. Связь, возникшая между ними путем наглядной имитации акта деторождения, является очень сильной<sup>29</sup>».

ჯ. ფრეზერს აღწერილი აქვს მსოფლიოს მრავალ ხალხში გავრცელებული ერთი მეტად საინტერესო ჩვეულება, რომლის თანახმად ხელახლა შობის სიმბოლური აქტი სრულდება მაშინაც, როცა ადამიანს შემთხვევით მკვდრად ჩათვლიან<sup>30</sup>.

როგორც ვხედავთ, ზემოთაღწერილი ქართულ-კავკასიური და ზოგადი ეთნოგრაფიიდან ცნობილი მასალები ძირითადად ერთი ტიპისანი არიან და უკავშირდებიან ადოპტაციის დროს დედის მიერ შობის სიმულაციას. მასალა პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1. შობის იმიტირება ბავშვისა და ქალის კონტაქტის გზით და 2. შობის იმიტირება შვილდაყვანილისა და დედის პერანგის კონტაქტის გზით. თუ დავუშვებთ იმას, რომ პერანგი ამ შემთხვევაში გააზრებულია, როგორც ქალის საშო ან დედაკაცობის აქსესუარი, მაშინ მასთან ბავშვის კონტაქტი აღიქმება, როგორც დედის საშოში ჩვილის ჩაბუდება ან კიდევ ქალურ საწყისთან ზიარება.

მითორგინფასა“ და მის მსგავს მასალებს თუ ჩაუვყვირდებით ვნახავთ, რომ აქ ერთმანეთთან შერწყმულია ორი, თავის დროზე დამოუკიდებლად არსებული, ჩვეულება: პირველი და უფრო ადრეული ჩანს ჩვეულება, რომლის თანახმად უნაყოფო ქალი გარკვეული დროის განმავლობაში მუცელზე ბალიშაკრული დადის; მეორე და შედარებით გვიანდელი — შვილის აყვანის დროს შესრულებული სიმბოლური აქტი — შობის სიმულაცია.

უშვილო ქალის მიერ მუცელზე ბალიშის ან მუთაქის აკვრა, ასევე თოჯინისა<sup>31</sup> თუ მინიატურული აყვანის ტარება თითქმის მთელ საქართველოში ყოფილა გავრცელებული<sup>32</sup>. ამ რიგის მასალები კარგადაა ცნობილი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ეთნოგრაფიული ყოფიდან<sup>33</sup>.

აღნიშნული ჩვეულება სრულდება რწმენით, გამოიწვიოს სასურველი შედეგი — ნაყოფის ჩასახვა და შვილის შობა. აშკარაა, რომ ეს რწმენა მომდინარეობს იმიტატიური მაგიის იმ პრინციპიდან, რომლის თანახმად მსგავსი იწვევს მსგავსს ანუ მსგავსი მსგავსის იდენტურია.

როგორც ვეცით, კაცობრიობის განვითარების არც ერთ საფეხურზე დედა უცნობი არაა, ე. ი. დედა-შვილს შობის ბიო-გენეტიკური კავშირის არსებობა ექვს არ იწვევს, როგორც ეს, ვთქვათ, მამობასთან მიმართებაშია. ერთადერთი შემთხვევა, როცა საზოგადოება ითხოვს დედა-შვილს შორის დამოკიდებულებაში ბიოლოგიური საწყისის ხაზგასმას, არის ადოპციის შემთხვევა. ვინაიდან საზოგადოება მშობიარობის გარეშე არ ცნობს დედა-შვილს, საჭირო ხდება სათანადო სიმბოლური აქტის შესრულება — შობის იმიტირე-

<sup>29</sup> Дж. Фрезер, Золотая ветвь, М., 1980. გვ. 24—25.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 25.

<sup>31</sup> ინტერესს იწვევს უშვილო ქალის მიერ თოჯინის ტარების ჩვეულება და მისი შედარება კარგად ცნობილ დავკირგებასთან, რომლის თანახმად ის, რაც თავის დროზე უფროსი თაობისათვის სეროზულ საქმიანობას წარმოადგენდა, მოგვიანებით ბავშვების გასართობი ხდება (ე. ტალიორი).

<sup>32</sup> ქართლური, კახური, იმერული, გურული და მეგრული სათანადო მასალები ინახება ავტორთან.

<sup>33</sup> Дж. Фрезер, Золотая ветвь, ... გვ. 23—24.

ბა, რაც ხორციელდება კიდევ. სიმბოლური აქტი ნამდვილი მოლოგინების ტოლფარდადაა მიჩნეული.

ამრიგად, „მითორგინაფა“ ბიოლოგიური დედობის მასანქციონირებელი წეს-ჩვეულებაა. სიმულაციური აქტი გვიჩვენებს, რომ ბავშვი დედის ღვიძლი შეილია და მათ შორის კავშირი ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივ უნდა ყოფილიყო. შობის იმიტაციით, ე. ი. ბიოლოგიურ-გენეტრკური კავშირის ჩვეუბით, ქალი იმავდროულად ხდება სოციალური დედა; ბიოლოგიური დედობა აფუძნებს სოციალურ დედობას.

ზემოთ მითითებული შერწყმა ამ ორი ჩვეულებისა — შობის სიმულაციისა და თავის ორსულად მოჩვენებისა, სხვა არაფერია თუ არა მათი შერწყმა დროში.

როგორც ვნახეთ, „მითორგინაფას“ წეს-ჩვეულებას საგულისხმო არაფერი აქვს იმ აზრთან, თითქოს იგი უკავშირდებოდეს მამის უფლებას; უფრო მეტიც, მამა აქ საერთოდ არა ჩანს; ეს უკანასკნელი უფუნქციოდაა კულისებში გადამალული მაშინ, როცა დედა აღნიშნული ჩვეულების მთავარი გმირია. ქმარი ცოლის მიერ სიმბოლური აქტის შესრულების გზით ხდება სოციალური მამა; მისი ბიოლოგიური მამობა ექვივალენტური ხდება ან სათვალავში საერთოდ არ მიიღება. რაც შეეხება ზემოთდასახელებულ ავტორთა შეცდომას, იგი „მითორგინაფას“ და კუვადის ჩვეულებების გარეგნული მსგავსების შედეგია.

ჩვენთვის საინტერესო წეს-ჩვეულება დასაბამს იმ პერიოდთან უნდა იღებდეს, როდესაც პრაქტიკაში შემოდის ადობტაცია. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ იგი წყვილადი ოჯახის არსებობის ხანიდან მომდინარეობს<sup>34</sup>, რაც ნაკლებ სარწმუნო ჩანს. მართალია, გვაროვნული საზოგადოების პირობებში ადგილი ჰქონდა ერთი გვარის მიერ სხვა გვარის წევრის შეილება, მაგრამ ეს უკანასკნელი სულ სხვა მოტივირებით ხდებოდა. რაც შეეხება წყვილად ოჯახს, იქ ადობტაციისათვის სათანადო ეკონომიკური საფუძველი არ არსებობდა. ასეთი ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძველი მხოლოდ მონოგამიური ოჯახისათვის არის დამახასიათებელი და შვილის აყვანის ჩვეულებას სწორედ მის პირობებში უნდა მიეღო ფართო გავრცელება. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მსოფლიოს არც ერთ ხალხში, რომლებიც მონოგამიურ ოჯახს არ იცნობენ ფიქსირებული არაა ადობტაციის დროს ქალის მიერ სიმბოლური აქტის შესრულება.

ზემოთ ვწერდით, რომ კუვადა და „მითორგინაფა“ თავიანთი შინაარსით განსხვავებული წეს-ჩვეულებებია, ფორმისეული თვალსაზრისით — შობის სიმულაციით კი ერთმანეთს უახლოვდებიან. სწორედ ამ საერთო გარეგნული ნიშნებისა გამო შეიძლებოდა, ტერმინ *Cuvade*-ს ქვეშ გაგვეერთიანებია ორივე წეს-ჩვეულება იმ შემთხვევაში, თუკი მას ტერმინ-კომპოზიტად ვაქცევდით, ე. ი. ჩვეულებას, რომელიც მამასთანაა დაკავშირებული ვუწოდებდით *Patricuvade*-ს (მამა ჩეკს, შობს), ხოლო ჩვეულებას, რომელიც დედასთანაა დაკავშირებული ვუწოდებდით *Matricuvade*-ს (დედაჩეკს, შობს).

Н. АНТЕЛАВА

## კ ვოპროსუ ო პრიოდე როდსტვენნых ოთნოშენიი

### («Миторгинапа»)

#### Резюме

В этнографической действительности Самегрело до начала XX века существовал обычай «миторгинапа», который подразумевал имитацию рождения ребенка от женщины во время адаптации. Это явление у ряда авторов было осмыслено как пережиток обычая кувада.

При сопоставлении новых полевых этнографических материалов и литературных данных, автор заключает, что «миторгинапа» является обычаем, санкционирующим биологическое материнство. Для различия обычаев «миторгинапа» и кувада автор предлагает термины — *Matricuvade* (мать вынашивает, рождает) и *Patricuvade* (отец вынашивает, рождает).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
 ინსტიტუტის საქართველოს სულიერი კულტურის ეთნოგრაფიულ-  
 ლი შესწავლის განყოფილებამ

შუშუნა პრიაშვილი

მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის საკითხისათვის  
ფზავ-ხევისურეთში

ა) ჯვარიონნი || ხატიონნი

წინამდებარე წერილი მოიცავს კონკრეტულ ეთნოგრაფიულ მასალას ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, კერძოდ, იყო თუ არა მომხდარი ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობაში შრომის საზოგადოებრივი დანაწილება საზოგადოებრივი ფუნქციების მქონე პირებად (მმართველებად) და მწარმოებლებად, თუ ორგანიზატორული ფუნქციების მქონე პირები ისევე შრომობდნენ ფიზიკურად და ისევე მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი დოვლათის შექმნაში, როგორც რიგითი მეთემეები? XIX ს-ის დასასრულისა და XX ს-ის დასაწყისის ხანის ეთნოგრაფიული მასალა ამ კითხვაზე ასეთ პასუხს იძლევა: მთხრობელთა ზოგადი განაცხადებით, აგრეთვე ამ რეგიონში დაბადებულ-გაზრდილი სწავლული ადამიანების ინფორმაციით, საზოგადოებრივი ფუნქციის მქონე პირები — ჯვარიონები (|| ხატიონები) ისევე შრომობდნენ ფიზიკურად, როგორც რიგითი მეთემეები<sup>1</sup>. მაგრამ ასე იყო დამახასიათებელი ტრადიციული ყოფისათვისაც? ვფიქრობთ რომ არა. ეთნოგრაფიის სექტორის საარქივო ფონდში დაცულია მასალები, რომლებიც, მართალია, არაპირდაპირ, მაგრამ შიშინც პასუხობენ ამ საკითხზე. ეს მასალები კვალიფიციური მკითხველის, სპეციალისტისათვის, ძვირფასი წყაროა ზემოთ დასმული საკითხის გადასაჭრელად. ისინი პასუხობენ ორ მნიშვნელოვან კითხვაზე: 1) რამდენად იყვნენ დაკავებული ჯვარიონები ორგანიზატორული ფუნქციებით წლის განმავლობაში და 2) რას მოიცავდა „ორგანიზატორული ფუნქციების“ ცნება. აღნიშნული მასალებიდან პირველ რიგში განვიხილავთ ხალხურ დღესასწაულებს ჩვენთვის საინტერესო რეგიონში.

ხალხურ დღესასწაულებში ჯვარიონთა || ხატიონთა დასაქმების თვალთახედვით, ამ დღეობათა მიმდინარეობა სქემატურად, ძირითად ხაზებში ასე წარმოგვიდგება: ა) წინასაღდეობისა მშაღისი: ჯვარიონთა „საწმიდარ გასვლა“, საჯვარ-ხატო ინვენტარის დასუფთავება და მომზადება დღეობისათვის, ლუდის დუღება და ა. შ.; ბ) დღესასწაულის მიმდინარეობა; გ) დღეობის დამთავრების შემდგომი პერიოდი: საჯვარ-ხატო ინვენტარის დასუფთავება-დაწესრიგება-შენახვა, „ნახორის“ განაწილება, „გამოლოცვა“, ანუ ჯვარ-ხატიდან წამოსვლა.

ჯვარიონთა „საწმიდარ გასვლა“ ეთნოგრაფთათვის კარგად ცნობილი წესია როგორც საარქივო მასალებიდან, ასევე ეთნოგრაფიული ლიტერატური-

<sup>1</sup> მართლაც, ამ რეგიონში ექსპედიციებსა და მივლინებებში ყოფნის დროს არაერთხელ ვყოფილვართ მოწმენი იმისა, თუ როგორ თიბავდა ან მკიდა და ა. შ. ხუცესი, ან თავხევისბერი.

დან. ჯვარიონთა წარმომადგენლებმა (ქადაგმა, ხუცესმა, მაგანძურმა, მედროშემ, მეზარემ, მესანთლემ და ა. შ.) დღეობის დაწყებამდე „ორი კვირით ადრე იციან ჯვარში მისვლა, რასაც საწმიდარ გასვლას ეძახიან. ისინი აქ ცხოვრობენ, ყოველ დღე ტანს იბანენ და მათებურად წმიდად არიან“<sup>2</sup>.

ხევსურეთში „წელწადი (ახალი წელი—ე. ე.) რომ მოახლოვდებოდა, მაგანძური, მედროშაეები და ხუცესი ორი კვირით ადრე გავიდოდნენ საწმიდრად. საწმიდროვა იცოდნენ ჯვარში“<sup>3</sup>.

ფშავეში, იახსრის ხატში, „საშობაოდ ყველა ჯევისბრები წმიდობდნენ ყველა თავის წესის მიხედვით. თავი ჯევისბერი ხუთმეტი დღით ადრე უნდა შესდგომოდა ხატში მისვლის სამზადისს“<sup>4</sup>.

ჯვარიონთა წარმომადგენლების გარდა, დღეობის წინ საწმიდარში გადიოდა ის ახალგაზრდა მამაკაციც, რომელიც ჯელოსანი ხდებოდა და „საკელოში ჩადგომის“, ანდა „ზღუბლის დაღაჯვის“ წესი უნდა შეესრულებინა. ჯვარიონთაგან განსხვავებით, ხელოსნად მისასვლელი ახალგაზრდა საწმიდარში გადიოდა დღეობის დაწყებიდან ერთი თვით ადრე და ჯვარ-ხატში ცხოვრობდა<sup>5</sup>.

რა იყო საწმიდარში ყოფნა, რით განსხვავდებოდა საწმიდრის დღეები სხვა დანარჩენი, ჩვეულებრივი დღეებისაგან? ხევსურეთში საწმიდარში გასული ჯვარიონის წარმომადგენელი „იქ აღარ გაივლის, სადაც მესამრელოებ დადიან, მესამრელოეს აღარ აზრახდებიან, სხვას უწმიდურს აღარას მახველვენ... სრუ დილაწუხრით იბანებიან წყაროზე და რაც ამქამად ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, „სამძიმოს საქმეს არას აკეთებენ, რო თფლ არ გამაუვიდათ. თფლის გამასვლა არ ვარგავ, იციან, თფლიე უწმინდურიავე, ჯვარივე არ იჯდენსავე თფლიანობასავე“<sup>6</sup>.

ანდა: „მედროშავე, მაგანძური და გამძლონი ლუდის დუღების დროს აქ (ჯვარში—ე. ე.) იყვნენ, მაგრამ ბევრს არაფერს ეხმარებოდნენ (დასტურებს—ე. ე.) ლუდის დუღებაში. იმიტომ, რომ ჯერ ერთი, თავს მაღლა აყენებდნენ და მეორეც, საწმიდრობის დროს თფლის მოყვანა არ შეიძლებოდა, იმიტომ, რომ თფლი ითვლებოდა უწმიდურად, რომელიც საწმიდარ ნამყოფ კაცს აუწმინდურებდა“<sup>7</sup>.

ფშავეში დღეობამდე თხუთმეტი დღით ადრე საწმიდარში გასული ჯევისბერი „ტანს იბანდა ყოველ დღე თუ არა, დღეგამომშვებით მაინც. ოჯახში აღარ ცხოვრობდა, ცოლისგან ცალკე უნდა ყოფილიყო. იტყვიან, რომ ჯევისბერი ხუთმეტობამდინ სანთელს ვერ აანთებს, ე. ი. თუ ოჯახიდან წმიდად არ იქნებოდა ხუთმეტ დღეს მაინც. აქ (იახსარის ხატში—ე. ე.) ისე მძიმე წესები ამ

<sup>2</sup> ალ. თ ჩ ი ა უ რ ი, ხევსურული ხალხური დღეობების კალენდარი, I, 1938. გვ. 179, ალ. თ ჩ ი ა უ რ ი ხელნაწერ მასალებში არის სხვა ცნობაც, რომლის მიხედვითაც ჯვარიონი საწმიდარში გადის დღეობის დაწყებამდე სამი კვირით ადრე, ხოლო ჯვარ-ხატში ცხოვრობას იწყებს ორი კვირით ადრე.

<sup>3</sup> ალ. თ ჩ ი ა უ რ ი, ხევსურული ხალხური დღეობების კალენდარი, I, 1939. გვ. 5—7.

<sup>4</sup> ფშაური ხალხური დღეობები, I, რე. № 12, გვ. 136

<sup>5</sup> მ ი ს ი ე ვ ე, ხევსურული ხალხური დღეობების კალენდარი, III ნაწ. გვ. 569, გვ. 594—95.

<sup>6</sup> მ ი ს ი ე ვ ე, ხევსურული ხალხური დღეობების კალენდარი, I, გვ. 264.

<sup>7</sup> \*ქვე.



სიწმიდის მხრივ კიდევაც არ ჰქონდა დასტურ-ვევისბრებს, როგორც სხვა ხატებში, მაგ., გოგოლაურთის თავარ-მოწამეში, თამარ მეფეში და სხვა<sup>8</sup>.

მასასადამე, სხვა მეთემთაგან განსხვავებით, დღესასწაულის დაწყებამდე ორი კვირით ადრე (სხვა ცნობით თხუთმეტი დღით, ან სამი კვირით ადრე) ჯვარიონთა წარმომადგენლები ფშავ-ხევსურეთში საწმიდარში გადიან, ჯვარ-ხატებში ცხოვრობენ და თავისებურ წმინდა ცხოვრებას ეწევიან. სიწმიდეს იცავდნენ იმითაც, რომ არ აკეთებდნენ სამძიმო საქმეს, რათა ოფლი არ გამოსვლოდათ, რადგან იგი უწმიდურად ითვლებოდა და „ჯვარ-ხატი ოფლიანობას კრძალავდა“.

სამძიმო საქმედ ითვლებოდა ხენა-თესვა, თიბვა, მკა (ჩვენს შემთხვევაში ლუდის დუღებაც) და ყველა ის საქმიანობა, რაც ოფლს მოადენდა საქმის მკეთებელს.

ცხადია, ჯვარიონთა წარმომადგენლები სამძიმო საქმეს ვერ გააკეთებდნენ არა მარტო საწმიდარში ყოფნის დროს, არამედ ჯვარ-ხატში ყოფნის მთელ დროს.

ორი კვირა არც თუ მცირე დრო იყო და ამ ხნის განმავლობაში ჯვარ-ხატში მოსულ ჯვარიონთ || ხატიონთ კება სჭირდებოდათ. ამისათვის ფშავ-ხევსურეთში არსებობდა წესი: სოფლიდან ყველა კომლი მორიგეობით მოიკითხავდა და მოუტანდა ჯვარიონთ საქმელს ჯვარ-ხატში, რომელსაც „საკვლევი“ ეწოდებოდა. ამრიგად, ჯვარიონთა გამოკება ამ ორი კვირის განმავლობაში რიგით მეთემეთა, თემის მცხოვრებთა ვალდებულება იყო.

ფშავ-ხევსურეთში ხალხური დღესასწაულების მიმდინარეობის ხანგრძლივობა სხვადასხვა იყო და დამოკიდებული იყო ჯვარ-ხატზე ან თვით დღესასწაულზე. ზოგი დღესასწაული შეიძლება 1—2 დღე, ზოგი 3—4, ან 6—7 დღე გაგრძელებულიყო. ამა თუ იმ ჯვარ-ხატში ესა თუ ის დღესასწაული შეიძლება 1—2 დღეში დამთავრებულიყო, მაშინ, როდესაც სხვა ხატში „კვირით კვირობამდინ“ გაგრძელებულიყო.

დღესასწაულის დამთავრების შემდეგ, როდესაც მლოცველები (რიგითი მეთემეები) შინ ბრუნდებოდნენ, ჯვარიონი || ხატიონი რჩებოდა ჯვარში ზოგჯერ 1—2 დღით, ზოგჯერ 3—4 დღით და ერთი კვირითაც კი. ამ ხნის განმავლობაში ისინი ინაწილებდნენ „ნახორს“ — შემოსავალს, აწესრიგებდნენ ჯვარ-ხატის ინვენტარს, ასრულებდნენ „გამოლოცვის“ წესს. გამოლოცვა ერქვა ჯვარ-ხატიდან გამოსვლას და შინ წასვლას, რაც საგანგებო წესის შესრულებას ითხოვდა. ყველაზე გვიან შინ მიდიოდა ხუცესი (თავხევისბერი).

ვნახოთ, რამდენ ხანს იმყოფებოდა ჯვარიონი ჯვარ-ხატებში თითოეული დღესასწაულის დროს. დავიწყოთ ახალწლის დღესასწაულის ციკლით.

ხევსურეთში შობა, ანუ ხევსრულად „ქრისტე“ უძრავი დღეობა იყო და 24 დეკემბერს მოდიოდა. ჯვარიონი დღეობისათვის სამზადის იწყებდნენ და „საწმიდარში გადიოდნენ“ ორი კვირით ადრე. მასასადამე, დღეობისათვის სამზადისი და „საწმიდარში ყოფნა“ იწყებოდა 10 დეკემბრიდან მაინც. აღნიშნული რიცხვიდან ჯვარიონი „სამძიმო საქმეს“ ვეღარ გააკეთებდა, რადგან ის „ოფლს გამოუყვანდა“, ოფლი კი გააუწმიდურებდა საწმიდარში მყოფთ.

<sup>8</sup> აღ. თ ჩ ი ა უ რ ი, ხევსურული ხალხური დღეობების კალენდარი, I, გვ. 264.

ქრისტეს შემდეგ მოდიოდა „წელშუის კვირა“ — შვიდი დღე „ქრისტედან“ „წელწ დამდე“, ანუ ახალ წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ჯვარიონი ჯვარ-ხატში იმყოფებოდა. „წელშუის კვირას“ მოჰყვებოდა წელწადი, რომელიც ექვსი დღე გრძელდებოდა. თითოეულ დღეს თავისი სახელწოდება ჰქონდა: 1—წელწადი, 2—კუმეტი, 3—წინა შუადღე, 4—უკენა შუადღე, 5—გამცხადება, 6—წყალკურთხევა. ექვსი დღის შემდეგ ჯვარ-ხატში მოსული მლოცველები შინ ბრუნდებოდნენ, ჯვარიონი კი კიდევ რამოდენიმე დღით რჩებოდა ჯვარში.

თუ გამოვიანგარიშებთ, მივიღებთ, რომ ახალწლის დღესასწაულებზე ჯვარიონი ჯვარ-ხატში იმყოფებოდა 10 დღემობრიდან დაახლოებით 10—13 იანვრამდე, ე. ი. დაახლოებით 30—34 დღე. ამ ხნის განმავლობაში ჯვარიონი, რა თქმა უნდა, ვერაფერს აკეთებდა, აქვე ვერ შეასრულებდა.

წელწადის შემდეგ მოდიოდა დღეობა აღება. იგი დიდმარხვის დადგომის წინა შაბათს მოდიოდა, ე. ი. თუ დიდი მარხვა ვთქვათ დადგებოდა 25 თებერვალს (ასე დადგა დიდი მარხვა, მაგალითად 1985 წ.), აღება მოვიდოდა დაახლოებით 19 თებერვალს. ჯვარიონი ორი კვირით ადრე, ანუ 5 თებერვალს მაინც გავიდოდა საწმიდარში და დაიწყებდა ჯვარ-ხატში ცხოვრებას. მასასადამე, წელწადის დღეობის გამოლოცვის დღიდან (10—13 იანვრიდან) აღების დადგომამდე ჯვარიონი შინ იმყოფებოდა დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში. აღება ზოგიერთ ჯვარ-ხატში 1 დღე იცოდნენ, ზოგიერთში კი „კვირით კვირობამდინ“<sup>9</sup>.

აღების დღესასწაულზე ჯვარიონი ჯვარ-ხატებში იმყოფებოდა დაახლოებით 17—22 დღე, ანუ 5 თებერვლიდან 22—28 თებერვლამდე მაინც.

აღების შემდეგ დგებოდა დღეობა აკვსება (აღდგომა). იგი დიდმარხვის დაწყებიდან მე-7 კვირას მოდიოდა. მაგ., თუ დიდი მარხვა 25 თებერვალს დაიწყებოდა, მაშინ აკვსება 14 აპრილს დგებოდა (ასე დადგა იგი 1985 წ.). მაგრამ აღებასა და აკვსებას შორის, ამ შვიდი კვირის მანძილზე, იყო პატარ-პატარა დღეობები და უქმეები, რომელთა დროს ჯვარიონი ჯვარ-ხატში მიდიოდა და „სანთელს მოანთებდა“, ეს კი მათგან თავისებურ სიწმინდეს მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჯვარ-ხატში ვერ შევიდოდნენ. როგორც უკვე ვთქვით, აღების დღესასწაულიდან ერთი კვირის შემდეგ დგებოდა დიდი მარხვა. აღებიდან დიდ მარხვამდე ამ ერთ კვირას ყველგვერის კვირა ერქვა, შაბათს — ყველივერის შაბათი, ხოლო კვირას კი უკვე დიდი მარხვა დგებოდა. ამ ერთი კვირის განმავლობაში ხევსურეთში კლავდნენ მსუქან საკლავებს, ხდიდნენ არაყებს, ერთიმეორეს ეპატიებოდნენ და სხვა. ჯვარიონი ამ დღეებში ჯვარ-ხატში სანთელს ანთებდა.

კვირა საღამოს, როდესაც მარხვა დგებოდა, ერქვა „მარხოშამაე წუხრა“, ხოლო მეორე დღეს კი თენდებოდა „ურწყის ორშაბათი“. ამ დღესაც ჯვარიონი ჯვარ-ხატში იყო და სანთელს ანთებდა.

ურწყის ორშაბათის შემდეგ, შაბათს (დაახლოებით 2—3 მარტს) იყო თაგვი-ჩიტო უქმი. ამ დღეს მოსახლეობა უქმობდა; ხოლო აღნიშნული „უქმის სწორზე“ (ე. ი. დაახლოებით 9 მარტს) მომავალ შაბათს, დგებოდა

<sup>9</sup> ალ. ოჩიაიური, ხევსურული ხალხური დღეობების კალენდარი, II ნაწ., გვ. 418—419.



სულთაკრეფია — სულის დღეობა. სულთაკრეფის დროს ჯვარ-ხატებში ლუდი მზადდებოდა და სანთელი ინთებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჯვარი-ონი კვლავ ჯვარ-ხატში მიდიოდა.

„სულთაკრეფის სწორზე“, ასევე შაბათს (დაახლოებით 16 მარტს) მოდიოდა მგელთუქმი. ამ უქმსაც მტკიცედ იცავდა მოსახლეობა. მგელთუქმს მოჰყვებოდა მარხოშუობა — მარხვის შუა დღე. ეს დღე ოთხშაბათი იყო (დაახლოებით 20 მარტი) და ამ დღესაც უქმობდნენ. „მარხოშუობას“ „ხელუძრავ უქმსაც“ უწოდებდნენ. „ხელუძრავ უქმს“ მოჰყვებოდა „კუდიან წუხრას“. ეს აღდგომის (ავესების) წინა ხუთშაბათს იცოდნენ (დაახლოებით 4 აპრილს, თუ აღდგომა 14 აპრილს მოვიდოდა). ამ დროს ჯვარიონი უკვე ჯვარ-ხატში იყო გასული, რადგანაც ავესებამდე ორი კვირით ადრე (დაახლოებით 31 მარტს, თუ ავესება 14 აპრილს დადგებოდა) ისინი უკვე წმიდობდნენ. კუდიან წუხრას (დაახლოებით 4 აპრილს) ხუცესი ჯვარში იხუცებდა და ჯვარიონი ლუდს სვამდა.

ამის შემდეგ დგებოდა ავესება, რომელიც მოძრავი დღეობა იყო. ზოგერთ ჯვარ-ხატში იგი ერთი დღე, ზოგან რამოდენიმე დღე იცოდნენ. ამას თუ დავუმატებთ „გამოლოცვის“ დღეებსაც, მაშინ მივიღებთ, რომ ჯვარიონი ჯვარ-ხატში რჩებოდა დაახლოებით 19—20 აპრილამდე. (თუ ავესება 14 აპრილს დადგებოდა).

როგორც ვხედავთ, დაახლოებით 5 თებერვლიდან მოყოლებული, ვიდრე 19—20 აპრილამდე ჯვარიონი განუწყვეტლივ იმყოფება ჯვარ-ხატში და წესებს ასრულებს. ჯვარ-ხატებში ყოფნა ჯვარიონთაგან ხომ წმიდობასაც ითხოვდა, რაც აგრეთვე გულისხმობდა იმას, რომ ისინი სამძიმოსაქმეს ვერ შეასრულებდნენ.

ავესებიდან ექვსი კვირის შემდეგ მოდიოდა ამალღება. ე. ი. თუ ახვება 14 აპრილს დადგებოდა, ამალღება 26 მაისს მაინც იქნებოდა. ამალღება ზოგ ჯვარ-ხატში ერთი დღე იცოდნენ, ზოგან — ხუთი. ჯვარიონი დღეობის დადგომიდან ორი კვირით ადრე გავიდოდა საწმიდარში. თუ ახვების დღესასწაულზე ჯვარიონი ჯვარ-ხატში 19—20 აპრილამდე იქნებოდა, ხოლო ამალღებისათვის საწმიდარში 12 მაისს გავიდოდნენ, მაშინ ახვებიდან ამალღებამდე ჯვარიონთათვის ექვსკვირიანი დროის შუალედი კი არ გამოვიდოდა, არამედ — სამკვირიანი. თუ დღესასწაულის მიმდინარეობის დღეებს (ერთი ან ხუთი დღე), საწმიდარში ყოფნის დღეებს (14 დღე) და გამოლოცვის დღეებს (ორი ან სამი დღე) შევკრებთ, მივიღებთ, რომ ჯვარიონი ჯვარ-ხატში იმყოფებოდა სულ 19—25 დღე.

ამალღებიდან ათი დღის შემდეგ (დაახლოებით 5 ივნისს) დგებოდა ხალარჯვება. ხალარჯვების დროს ჯვარიონი ჯვარ-ხატში მიდიოდა და მხოლოდ „სანთელს მონათებდა“, სხვა წესები კი არაფერი სრულდებოდა.

ხალარჯობის შემდეგ, 13 ივლისს, მოდიოდა ხევსურეთში ცნობილი ყველაზე დიდი დღეობა — ათენგენა, რომელიც ერთ კვირას გრძელდებოდა. ჯვარიონი ორი კვირით ადრე გავიდოდა საწმიდარში, ე. ი. ფაქტობრივად 29 ივნისს (კვლავ სამკვირიანი შუალედი) უკვე ჯვარ-ხატში იყო და იწყებდა დღეობისათვის სამზადისს. თუ საწმიდრობის ორ კვირას დავუმატებთ დღეობის მიმდინარეობის ერთ კვირას და გამოლოცვის დღეებს 2—3 დღიდან 7 დღემდე, მივიღებთ, რომ ჯვარიონი ათენგენობას ჯვარ-ხატში იმყოფებოდა 24—28 დღე, ე. ი. თითქმის ერთი თვე.

ათენგენობიდან „მოკლე ხანში“ იცოდნენ თიბის თავი. „ეს დღეობა მოძრაეია და როცა სოფელი გადაწყვეტს, მაშინ იღლებებენ, მხოლოდ თიბის წინ უნდა იყოს. თიბის თავი იმიტომ ეწოდება, რომ თიბად გასვლის სამხვეწროდ არის განკუთვნილი“<sup>10</sup>. თიბისთავში ჯვარში ლუდს ადუღებენ და საკლავებს კლავენ. „თიბას იწყებენ სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს. პარასკევი, შაბათი, კვირა და ორშაბათი, ოთხი დღე უქმე დღეებია თიბა-მკის დროს“<sup>11</sup>.

თიბისთავის შემდეგ მოდიოდა დღეობა მ ა რ ი ა ნ ო ბ ა. იგი მარიანობისთვის თხუთმეტ რიცხვში მოდიოდა. თუ ათენგენობას ჯვარიონთა ჯვარ-ხატებში ყოფნა 23—27 ივლისამდე გასტანდა, ხოლო თიბისთავი მოკლე ხანში იცოდნენ (შეიძლება 2—3 დღეშიც კი), მაშინ იგულისხმება, რომ ჯვარიონი დაახლოებით ივლისისთვის ბოლომდე მაინც იქნებოდა ჯვარ-ხატში და ორ კვირაში ისევე ჯვარ-ხატში უნდა მისულიყო. თუ მარიანობის დღეობა 1—2 დღე გაგრძელდებოდა და გამოლოცვასაც 1—2 დღე სჭირდებოდა, მაშინ ჯვარიონი ჯვარ-ხატს დასტოვებდა დაახლოებით 17—19 აგვისტოს. მარიანობის გამოლოცვიდან 25 დღის შემდეგ, 14 სექტემბერს მოდიოდა დღეობა ენკენია. ენკენიის მოსვლამდე ერთი კვირით ადრე ჯვარიონი ჯვარ-ხატში მივიდოდა და შეასრულებდა ყველა წესს, რასაც სხვა დღეობებში ასრულებდა.

„ენკენიის სწორზე“, (ე. ი. დაახლოებით 21 სექტემბერს) მოდიოდა ქ ა რ ი ს უ ქ მ ი. „ამ უქმესაც მაგრად უქმობდნენ“. „ქარის უქმს ახვედრებენ ყოველთვის ხუთშაბათ დღეს. პარასკევი, შაბათი, კვირა და ორშაბათი ხომ თიბა-მკის დროს უქმედ აქვთ შენახული და ხუთშაბათიანად ხუთი უქმე დღე გამოდის“<sup>12</sup>. ქარის უქმეში ჯვარიონი ჯვარ-ხატში სანთელს ანთებდა.

ენკენიის შემდეგ, დაახლოებით შვიდ კვირაში, გიორგობისთვის ათში, მოდიოდა დღეობა გ ი ო რ გ ო ბ ა. ჯვარიონი ორი კვირით ადრე, ე. ი. დაახლოებით 27 ოქტომბერს გავიდოდა საწმინდარში და ასრულებდა ყველა იმ წესებს, რაც სხვა დღეობებში იცოდნენ.

გიორგობიდან დაახლოებით ექვს კვირაში მოდიოდა შ ო ბ ა, ე. ი. 24 დეკემბერს, მაგრამ ჯვარიონი ორი კვირით ადრე მიდიოდა ჯვარ-ხატში, ე. ი. 10 დეკემბერს მაინც, რაზეც უკვე ზემოთ გვქონდა საუბარი.

მოტანილი ეთნოგრაფიული მასალით კარგად გამოჩნდა, თუ როგორ არის დაკავებული ჯვარიონი წლის მანძილზე კულტის სამსახურით. ჩვეულებრივ, თუ რიგითი მეთემეთათვის (რიგითი მლოცველისთვის) დღეობიდან დღეობამდე 6 ან 7 კვირიანი დროს. შუალედები დგინდება, ჯვარიონთათვის იგი დაყვანილია ზოგჯერ სამკვირიან (წელწლიდან ალებამდე, ავსებებიდან ამაღლებამდე, ხალარჯობიდან ათენგენამდე, მარიანობიდან ენკენიამდე), ზოგჯერ 4—5 კვირიან (ენკენიიდან გიორგობამდე, გიორგობიდან-შობამდე) შუალედამდე, ზოგჯერ კი შუალედები მინიმუმამდეა დაყვანილი და ჯვარიონთათვის ერთი დღეობა თითქმის ებმის მეორეს (ქრისტედან. წელწდამდე, ალებიდან ავსებ-

<sup>10</sup> ალ. ოჩიაური, ზევსტრული ხალხური დღეობების კალენდარი, ნაწ. III, რვ. 55, გვ. 652—54.

<sup>11</sup> იქვე, რვ. 667.

<sup>12</sup> იქვე, 56, გვ. 667—70.

ბამდე, ათენგენობიდან მარიანობამდე). განსაკუთრებით დაკავებულია კულტის სამსახურით ჯვარიონი გაზაფხულსა და ზაფხულში, წლის ყველაზე შრომატევადი სამუშაოების (ხვნა-თესვა, თიბვა, მკა და ა. შ.) პერიოდში, როდესაც მთის პირობები ყოველ დღე დაძაბულ შრომას ითხოვს. გვიან შემოდგომასა და ზამთრის პერიოდში კი როდესაც მკაცრი კლიმატის პირობებში მთელი სახლშია გამოეკეტილი, დროის შუალედები ჯვარიონთათვის დღეობიდან დღეობამდე პირიქით იზრდებოდა, თუ არა ჩავთვლით ახალწლის ციკლის დღეობებს. (ენკენიიდან გიორგობამდე, გიორგობიდან შობამდე).

მაგრამ მხოლოდ კულტის სამსახურით როდი ამოიწურებოდა ჯვარიონის ფუნქცია ხალხურ დღესასწაულებში. ამ დროს წყდებოდა საერო ხასიათის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც იყო ერთმანეთზე გადაკიდებული გვარების შერიგება („რომელიმე გვარი გვარს იქნებოდა გადაკიდებული და ზოცავდნენ ერთიმეორეს, ამათ შერიგების შესახებ დაისმოდა საკითხი. ამ ჯვარის ჯვარიონთ და სხვა კაცების დახმარებით ამ ჯვარში მოახდენდნენ მათ შერიგებას, ე. ი. ერთად შეყრას“)¹³, სადაო სასისხლო საქმის გარჩევა („ავრეთვე სადაო სასისხლო საქმე რამე იქნებოდა გაურჩეველი და ამისი საკითხიც ამ ჯვარებში წყდებოდა. აქ გადაწყვეტილი საკითხი სისრულეში მოჰყავდათ ჯვარის და თემის სახელით“)¹⁴, რჯულის საკითხების დამუშავება და ცვლილებების შეტანა მასში, ლაშქრობის მოწყობის, სოფლების სადაო აღგილების, ქალის თაობაზე დავის საკითხები და ა. შ.¹⁵

ამ მხრივ ხალხური დღესასწაულებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა წელწადი (ახალი წელი). „წელწად დღეს ყველა ჯვარებში რჯულის საქმე და სხვადასხვა საკითხები მუშავდებოდა“¹⁶.

მართალია, რჯულის საკითხები „ყველა ჯვარებში მუშავდებოდა“, მაგრამ „ხევსურეთის რჯულის ცენტრი“, ისევე, როგორც „ლაშქრობის ცენტრი“ გუდანის ჯვარი იყო. „წელწადის შემდეგ ხალხი კითხულობდა, თუ რა ითქვა გუდანის ჯვარში ან ქადაგისგან, ან მბჭე-ვევისბერთაგან“. „რჯული ძირითადად გუდანის ჯვარიდან გამოდიოდა და ყველა ემორჩილებოდა მას“¹⁷.

მაშასადამე, გუდანის ჯვარში სრულიად ხევსურეთის რჯულის ნორმები დგებოდა. „ლიქოკის, ხანმატის, არხოტის, შატლის და როშკის სალოცავეები ეკუთვნოდა თავიანთ თემებს და... აქ მარტო სათემო საკითხებზე იყო ლაბარაკი“¹⁸.

გუდანის ჯვარში წელწადის დღეობაში ხდებოდა ლაშქრობის საკითხის გადაწყვეტა. „ქადაგი იტყოდა, გუდანის ჯვარი ბრძანებს, რომ აქა და აქ უნდა გავილაშქროთ. ეს ბრძანება გადაეცემოდა ზემოხსენებულ სათემო აღგილების სალოცავეებს მბჭე-ვევისბერებს, ისინი გადასცემდნენ სასოფლოს და სასოფლო გვარებს“¹⁹.

13 ალ. ოჩიაური, ხევსურული ხალხური დღეობების კალენდარი, II ნაწ. რვ. № 24—25.

14 იქვე.

15 იქვე.

16 იქვე.

17 იქვე.

18 იქვე.

19 იქვე.

„ხანდახან იცოდნენ მეზობელ ხალხებზე ვალაშქრებაც დასაბეგრავად. გულანში ვადაწყდებოდა ეს საკითხი და ვადაეცემოდა სათემო მბჭე-ჭევის-ბრებს. თემი თავის სათემო სალოცავში მოიყრიდა თავს და წავიდოდა იქით, სადაც გულანის ჯვარის დროშა მიდიოდა“<sup>20</sup>.

აღ. ოჩიაურის თქმით, „ყველა ზემომოყვანილი ამბები დაკავშირებული არის წელწად დღესთან“<sup>21</sup>, მაგრამ როგორც ზემოთაც აღინიშნა, მარტო გულანის ჯვარში, ან მარტო წელწადის დღესასწაულზე როდი წყდებოდა მეთემთა საერო ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები, არამედ სხვა ჯვარ-ხატებშიც და სხვა დღესასწაულებზეც, მხოლოდ, რა თქმა უნდა, ეს საკითხები ადგილობრივი მნიშვნელობის იყო და არა სრულიად სახევესურეთო<sup>22</sup>. მაგ., შატილის ანატორის ჯვარში ათენგნობას „ჯვარიენები გამოვიდოდნენ და ჩვეულებრივად გამოუცხადებდნენ საჯარო და სასოფლო საჭირბოროტო საქმეებს და მათ მოსაგვარებლად ჯვარში შემეშუშავებულ გეგმას“<sup>23</sup>.

გეგმის შემეშუშება ჯვარიონთაგან ხდებოდა ან დღესასწაულის დაწყებაში<sup>24</sup>, ან დღეობის მეორე დღეს დარბაზში („ჯვარიენები (დარბაზში — შ. ე.) მეორე დღისთვის ისაუბრებდნენ, თუ რა ჰქონდათ სოფლის ჯარზე საქმელი. ახლა იტყოდნენ ამ დროსთან დაკავშირებულ საქმიანობის ირგვლივ. მაგ., ვაზაფუხლზე რას საქმიანობდა ხალხი და რა იყო საჭირო რომ გაკეთებულიყო საჯარო, ან სასოფლო საქმეში“)“<sup>25</sup>.

სოფლის ჯარზე ჯვარიონთა გამოსვლის ცერემონიული შატილის ანატორის ჯვარში, (და საერთოდ მათი მმართველური ფუნქციები) აღ. ოჩიაურის ასე აქვს აღწერილი:

„დარბაზში რომ მოიდროვებდნენ, ჯვარიონნი მოემზადებოდნენ სოფლის ჯარზე გამოსასვლელად. აავსებდნენ ლუდით სახუცო კოჭობს, ბარძიმს და ვერცხლის სურებს იმ რაოდენობით, რამდენიც აქ ჯვარიონიც იყვნენ, დაიჭერდნენ ხელში თითო თასს და თითო ღერ სანთელს ყველანი და გამოვიდოდნენ დარბასიდან. მივიდოდნენ სოფელთან (იგულისხმება სოფლის საჯარე ადგილი ჯვარ-ხატში — შ. ე.) და დგებოდნენ რიგზე: მარჯვნივ მხარეს იდგა ხუცესი, მის მარცხნივ კელოსანი, მერე მედროშაე, მერე დასტურნი და ჩხანჩხი, თუ ჰყავდა, ბოლოს ისიც იქნებოდა. ამის გამოსვლაზე ხალხი ფეხზე ადგებოდა და ქუდმონხილები დადგებოდნენ, ჯერ ხუცესი და მერე ყველა ჯვარიონები დამწყალობნებდნენ სოფელს“... დამწყალობნების შემდეგ ყველანი გაჩუმიდებოდნენ და დასტური სანთლებს მოუკიდებდა ცეცხლს, რომლებიც ჯვარიენებს ეჭირა თასებთან ერთად. სანთლების ანთებასთან ხუცესი მოაჯენებდა ამ თასებზე ჩვეულებრივად და იხუცებდა“... „მოხსენება-ხუცო-

<sup>20</sup> აღ. ოჩიაური, ხეცურული ხალხური დღეობების კალენდარი, II ნაწ., რე. № 24—25.

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> ყველა მკვლევარმა, რომელიც მთიანეთის ჯვარ-ხატებში ხალხურ დღესასწაულებს შეისწავლის, ყურადღება უნდა გაამახვილოს მათ ორმაგ ფუნქციასზე: ა) კულტის სამახური და ბ) საერო ხასიათის საორგანიზაციო ფუნქცია.

<sup>23</sup> აღ. ოჩიაური, რელიგია ბუდე-ხეცურეთისა და შატილის თემში, გვ. 762—766.

<sup>24</sup> ჯვარიონთა საუბრები ჯვარ-ხატისა და სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე უფრო მეტად დღეობამდე ორი კვირით ადრე, საწმიდარში ყოფნის დროს ხდებოდა.

<sup>25</sup> აღ. ოჩიაური, დასახ. ხელნაწერი, გვ. 762—766.



ბა რომ დამთავრდებოდა, ყველანი გაჩუმდებოდნენ და ხუცესი დაიწყებდა საუბარს: „სოფელო, შატლივნებო, თუ გწყალობსთ დიდებული ანატორის ჯვარი, იყურეთალ ჩემ ნაუბარი. ჩემ საუბარ საყურებ კი არას, მაგრამ უნდა იყურათ იმათ, რომ მე ჯვარიონთ ნათქვამს გეტყვიოთ, მე ვალდებული ორ, რომ რაიცი ანატორის ჯვარს მაუღის, ის წესი დავიცვად' არ დაეხკარგ. ეს შატლისად' შატლის დიდს ბატონს ანატორის ჯვარს მადენილობაი აქვ, რომ გამავიდას მორიგეიდ' თქვას ყველაის, რაც სოფლისად' ჯვარ-ჯვარის კარის გასამაგრებ'ად ჯვარიონთ თქვეს ამა თუ იმ დღეობაში.

მე დალოცვილის ანატორის ჯვარის მორიგეობის ღირს არ ორ, მაგრამ დალოცას იმის ძალი, დღეს იმის მორიგეი მქვიანად' იმით გეტყვიოთ. ხალხნო, შატლივნებო, ნუ წავკლებით, ნუ ვიზამთ იმას, რაიცი არც ჯვარს ეკადრებოდეს არც ყმათ, არც მათღისა. წინავ პირ ყოფილას შატლი. ერთი პირით უკეთებავის საჯვარო საქმეცად' სასოფლოიც. პირიქით-პირაქათ ხევსურეთს შატლისად შეუხატრავის, სოფელჩიაც წესი — რიგ ყოფილად' ჯვარჩიაც. დიდცოტას, კაცსა-ღიაცს თავ-თავის ადგილ, ალაგ შჭერივას. ეხლა კი ყველა გათავსწორდ, კაცს კაცის ალაგ აღარ უჭირავ, ღიაცს ღიაცის ალაგ, ყმაწვილს ყმაწვილისა. თქვენი ჭირიმეთ, შატლივნებო, ნუ წავკლებით, ერთმანეთს შუგით, ერთმანეთს ხალიზ მიეციოთ, დასაჯურუმებ დააჯურუმეთ, თას ჩამასაყრელს თას ჩამახანეთ, კალთა მასაქრელს კალთა მასჭირით, უფერ ყველამ გაიუფერეთ, ნუც კაცს მისცემთ, ნუც ღიაცს უფრისა, მონის საქმის ჩადენისას, თორემ ჩვენს სოფელს სახელი, პატივ დაეკარგების ხოყანაში.

ხუცესი თავის სიტყვას ასეთ შესავალს გაუკეთებდა და, ბოლოს, დაასახელებდა სოფლის პირის დამშლელ და ურჩ პირებს, სოფელში ხმამაღლად მოლაპარაკე და მოჩხუბარ ქალებს და მათზე დადებულ ჯურუმს. მაგალითად, ორი ქალი წაიხსუბა, ერთმა მეტი დანაშაული ჩაიდინა, რომ ხმამაღლადც ჭყიოდა და მეორე ქალს ხელიც გააბა საცემლად. ამ მეტ დანაშავეს დაადებდნენ წელგამვილილ საკლავს, ან ერთი წლის ცხვარს და ან მეტისას. მის მოპირდაპირე ნაკლებ დანაშავეს დააკისრებდნენ ბატკანს, ან თუ კიდევ ნაკლები იქნებოდა, ერთ-ორ აბაზ ფულს და სხვა. აგრეთვე მამაკაც მამულლარებს — ჯურუმს, თუ სოფლის დადგენილი პირი ანუ საიდუმლოება სხვაგან გაიტანა და სხვა მრავალი ასეთი. თუ რამე სათქმელი დავიწყებოდა (ხუცესს — ჟ. ე.), მის გვერდზე მდგომი ჯვარივნები ჩუმიად ეტყოდნენ და მოაგონებდნენ. მის ლაპარაკში ხალხი ფეხზე იდგა ქუდმოხდილი და გულმოდგინედ უსმენდა. ბოლოს ეტყოდა ვადას — ხვალ თუ ჯურუმებ არ შასრულდ, დროშა კარში დარჩების არ შამსრულის სამრისხველოდო.

ამის შემდეგ ეტყოდა მომავალ გეგმებს: სად იყო გზა ან ხიდი გასაკეთებელი, როდის უნდა ასულიყო მთაზე ჯოგი, ან ესა თუ ის გზა-ხიდი როდის უნდა გაკეთებულყო, რომელი საჯვარო მამულეები უნდა მოხსულყო წელს, წასულს თუ პირუტყვი ჭირნახულს ანადგურებდა, რა ზომებზე უნდა მიეღოთ, რომ ეს აღარ მომხდარიყო, შერშან თუ სასოფლო ხიდებს ვერ მოუხარეს და უდროოდ

განადგურდა, წელს ვის უნდა დაევალოს მათი მეთვალყურეობა და როგორ უნდა მოუაროს მათ. ან თუ სოფლის ტერიტორიაზე მეზობელი სოფლის პირუტყვი გადმო. დიოდა, მის წინააღმდეგ რა ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული, ან სოფელს თუ მტერი ვინმე ჰყავდა საერთო, აქ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ და სხვა მრავალი ასეთი სასოფლო საქმე-ბოროტო საქით ხები“<sup>26</sup>.

ორგანიზატორული ფუნქციებით ხუცესი დაკავებულია არა მარტო სადღესასწაულო, არამედ ჩვეულებრივ დღეებშიც, მაგ., არხოტში, ხალარჯების შემდეგ, ხუცესი მოიწვევდა სოფლის კრებას და გამოუცხადებდა: „სოფლელებო, თუ გწყალობს არხოტის ჯვარი, დრო ას ევხლად, რო საქონმ გაღრიდასად მთაში წავიდას, სათიბებსაც მაშორდას. თუ ეხლა არ დაისვენ სათიბემად ბლახ არ მავიდ, როსად მავ. საქონობასაც წილ გავყარათ. აქამდე საქონელს თაგ-თავის მწყემს დაუდიოდა. ახლა კი სოფლის საერთო მწყემსი იქნება მესაქონე, ე. ი. მენახირი. შეიძლება რიგ-რიგობითაც იარონ ნახირში. იმავე კრებაზე გადაწყდება უქმის დაყენების საქმეც. ზაფხულის პერიოდში ხევსურები უქმე დღეების გარდა სხვა უქმეებს იჩენენ და უქმობენ პარასკევს, შაბათს, კვირას და ორშაბათს. საქმის დღეებად აქვთ სამშაბათი ოთხშაბათი და ხუთშაბათი“<sup>27</sup>.

როგორც მოტანილი ეთნოგრაფიული მასალებიდან გამოჩნდა, წმიდობისა და ჯვარ-ხატში ყოფნის დროს მსახურთათვის „სამძიმო საქმის“ (ხვნა-თესვა, მკა, თიბვა, ლუღის დუღება(კი) კეთება სრულიად გამორიცხული იყო. დღეობიდან დღეობამდე ჯვარიონთათვის არსებობდა დროის მხოლოდ მცირე შუალიდები, რომლებიც ზოგჯერ მინიშნულად იყო დაყვანილი და დღეობა დღეობას თითქმის ებმოდა, ან დროის ამ შუალედებშიც ჯვარ-ხატის მსახური (ხუცესი) ზოგჯერ საერთო ხასიათის ორგანიზატორული ფუნქციებით იყო დატვირთული. ასე დაკავებულ ჯვარ-ხატის მსახურს იმის ძალაც უნდა ჰქონოდა, რომ ფიზიკურად შრომაც მოესწრო, რაც შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. მაშ როდისდა, ან როგორ ხნავდა, თესავდა, მკიდა ან თიბავდა იგი? როდისდა, ან როგორ იმარაგებდა ზამთრის სარჩოს? რით და როგორ უნდა მომხდარიყო ყველაფერი ამის კომპენსაცია, თუ არა სხვისი შრომის გამოყენების, ან მითვისების საშუალებით? ამისათვის საჭიროთა გაირკვეს, არსებობდა თუ არა თემში სხვისი შრომის გამოყენების ან მითვისების შესაძლებლობის რაიმე რეალური პირობები.

ამ თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება მიიქცია უქმე დღეების პრაქტიკამ მთიელთა ყოფაში.

26 ალ. ოჩიაური, დასახ. ხელნაწერი, გვ. 762—766.

27 ალ. ოჩიაური, ხეცურული ხალხური დღეობების კალენდარი, III ნაწ. რკ. 50, როგორც სპეციალური ლიტერატურიდან (ნობილია, თუშ-ფშავ-ხევსურეთში ამაღლება-ხალარჯების შემდეგ იცოდნენ მსხვილდება საქონლის საზაფხულო სამოვრებზე გარეკვა. (ამაღლება-ხალარჯებამდე საქონელი თაისუფლად ძივდა ყველგან, მათ შორის სათიბეებშიც). ამ დროიდან „დააყენებდნენ სათიბეს“, ანუ საქონელს სათიბეებში აღარ შეუშვებდნენ. საქონელს მიუჩენდნენ მწყემსს (მ. მაკალათია, შესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, გვ. 81, 1985 წ.). როგორც ჩანს, საქონლის საზაფხულო სამოვრებზე გარეკვა და მასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაცია ხუცესის, როგორც თემის ზედმძღვანელის და მმართველის, კომპენტენციაში შედიოდა.



როგორც ზემოთაც ითქვა, ხალაჩობის შემდეგ (ხალაჩობა დგებოდა ამაღლებიდან 10 დღის შემდეგ) მეორე-მესამე დღეს ხუცესი მოიწვევდა სოფლის კრებას, რომელზეც სხვა საქმეებთან ერთად, გადაწყდებოდა „უქმის დაყენების“ საქმეც: ერთხელ და სამუდამოდ დაწესებული უქმე დღეების გარდა, დაწესებდნენ ახალ უქმე დღეებს: პარასკევს, შაბათს, კვირას და ორშაბათს. მუშაობდნენ კვირაში მხოლოდ სამ დღეს: სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს, ხოლო ოთხი დღე უქმობდნენ. ალ. ოჩიაურის ცნობით, „უქმეებს ინახავენ თიბის და მკის დროს. დანარჩენ დროს უქმი არ იციან, არც შემოდგომაზე, არც ზამთარში, არც გაზაფხულზე“<sup>28</sup>. უქმის „გატეხვა“ და მუშაობა არ შეიძლებოდა. უქმის გამტეხს სოფელი მოიკვეთავდა: ხმას არ გასცემდნენ, ხატში არ მიუშვებდნენ, საკლავს არ დააკვლევინებდნენ, მიცვალებულზე არ მივიდოდნენ, საქონელს სოფლის ნახირში არ შეუშვებდნენ, ცეცხლი რომ გაქრობოდა, ცეცხლს არ მისცემდნენ და ა. შ.<sup>29</sup>.

უქმე დღეს მუშაობის უფლებას მიიღებდა მხოლოდ ის, ვინც უქმს „განათლავდა“, რასაც „უქმის ნათვლა“ ეწოდებოდა. შაბათი დღის ნათვლა იცოდნენ ციკნით, მაგრამ დაკლავდნენ ცხვარს, ან თხასაც; კვირა დღეს განათლავდნენ წელ-გამოვლილი თხით და ა. შ.<sup>30</sup>

ვინც უქმე დღეს განათლავდა, იგი ორ დღეს იმუშავებდა: ერთ დღეს თიბდა და როცა თივა გახმებოდა, მომდევნო კვირის უქმე დღეს უკვე განათვლის გარეშე ახვეტდა<sup>31</sup>.

უქმე დღეს განათვლის გარეშე მუშაობის უფლებას აძლევდნენ მხოლოდ ძალიან გაჭირვებულ ოჯახს, ქვრივ-ობოლთ (ერთ დღეს), „მეკარავნეს“ და სასოფლო საქმეზე წასულ და დაკავებულ მეთემეს (ერთიდან სამ დღემდე)<sup>32</sup>. უქმეებს აყენებდნენ ხალაჩების შემდეგ მეორე — მესამე დღეს (ვთქვათ 7—8 ივნისს და „გატეხავდნენ“ ენკენიის 8 რიცხვში, ე. ი. უქმე გრძელდებოდა დაახლოებით 3 თვე.

უქმე დღეების პრაქტიკა წლის ყველაზე შრომატევადი სამუშაოების პერიოდში (ზაფხულში, თიბვისა და მკის დროს), როდესაც სპეციალისტების აზრით, „მთიან რაიონებში თიბვა-მკა მოითხოვდა მთელი ფიზიკური ძალების დაძაბვას, რათა დროზე მოესწროთ მომკა და მოთიბვა, დროზე დაებინავებინათ მოსავალი და სხვა“<sup>33</sup>, პარადოქსალურ მოვლენად მოსჩანს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

უქმე დღეების დაწესებით ხელოვნურად იქმნებოდა თავისუფალი მუშახელი. უქმის მნათლავს შეეძლო მათი თავშეყრა საქმეში დასახმარებლად, რასაც „მუშათ შეყრა“ ეწოდებოდა. მამასადამე, მეთემეს არ შეეძლო უქმის ნათვლის გარეშე თავისთვის ემუშავა, სხვისთვის კი შეეძლო, თუ კი ეს სხვა უქმს განათლავდა; იმუშავებდა ზოგი ავტორის ცნობით უსასყიდლოდ, ალ. ოჩიაურის ცნობით კი მცირე სასყიდლით იმის გამო, რომ „მინც უქმეა და

28 ალ. ოჩიაური, ხევსურული ხალხური დღეობების კალენდარი, III ნაწ. გვ. 50.

29 ალ. ოჩიაური, ხევსურული ხალხური დღეობების კალენდარი, I ნაწ. გვ. 298—300; მ. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

30 იქვე; მ. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 122—123.

31 იქვე.

32 იქვე; მ. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

33 მ. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

ტყუილად მოცდებიო“. მაგრამ მოუესმინოთ თვით ალ. ოჩიაურს: „თბილად გასვლამდინავ დაყენებენ უქმებსად“ მა რო გათავდების მაშინ გასტეხენ. მართო თბილ-მკაში ას ეს უქმი, სხვას დროს კვირის მეტს არას უქმობენ. სამს დღეს მუშაობენ ერთ კვირაეშიად' ოთხ დღეს მუქთად არიან. მაგრამ ვოსაც შაძლებები აქვ უქმის ნათვლისა, ის კი უქმად არ დაჯდები. ვინაც მცხოვრები (შეძლებული — უ. ე.) ის წინავე იპირებს უქმის მუშებს. უქმის მუშა იმას ხქვიან, რომ მცხოვრებ კაც ამ უქმეში მუშას რომ შახყრის, თხას ან თიკანს დაკლავსად' მუშაობის ნებები აქვ. ამ დაკვლას უქმის ნათვლი ახქვიან. უქმის დამნათლავს ვინაც უშველს, ის ნახევარ ფასად შველს; მაინც ხომ უქმიავ, ფიქრობს. მუშათ პატრონიც ამასვე ეუბნების: ის არ უჯობავ, რომ კაცმე ნახევარ დღის სამუშაო მაინც აილასავ. ამ დღეებში ნახევარ ფასად, ზოგს რუ მუქთად დაც უმუშაობს შეძლებულებს. პარასკევს, შაბათსად' ორშაბათს თიკნით ნათვლენ, კვირავს კი ან თხით ნათვლენად' ან ცხვრით. ღარიბ ხალხს არ შეუძლავ მუშის შახყრაი, რადგანაც ჯერ თიკანს ვერ იშობებს, მემრ მუშას ხარჯ უნდა: დილას ფაფა ებრო დასხმული, სადილად ხავიწი, თეთრა (რძე, ებრო და ფქვილი ერთმანეთში არეული, მოხარშული). ახლა საქმეიც ღარიბს ცოტაი აქვად' ამ უქმე დღეებს შაძლებულებს რუ თავის სასარგებლოდ იყენებენ, არცერთ დღეს არ გააცდენანად' სხვას ხალხსაც ამუშავებენ. სთველთ ღარიბს რომ ორმოც თივა ედგას, შეძლებულს აბი, ასოც მაინც ექნების; იმათ სოფელში გავლენაც აქვ. თუ ვინ წავიდა, მუშაობა ვაბედ ამ დღეებში, შაუყრიან სოფელსად' მაიკვეთენ სოფლის პირის დამშლელს. მივლენ ჯვარჩიად' დაარისხებენ უქმის გამტეხსად' სოფლის პირის დამშლელს. დაარისხება ხო ერთიანად ამაწყვეტას ღიშნავს აქ. ისეებ რომ ეტყვიან ჯვარიონთ, ვინაც უქმს თავის სასარგებლოდ იყენებს, ჯვარიონნიც იმათ სიტყვას მეტად გაიგონებენ შანამ სხვისას, რაკი ისეებ ჯვარიონთ მეტ პატივს სცემენ, შანამ ღარიბ ხალხი. ამის გულისად ამ უქმეების შანახვა ძალიან გამაგრებული! გვქირდებისავ, ისენ იბრძვიან: კაცსაც სამგზავროსაც უნდავ წასვლავ, მუშასაც უნდავ შახყრაივოდ. ძალაუნებურად ღარიბ ხალხიც უნდა მიემკრას უქმის შენახვას.

სოფელ ამ უქმეებს სხვანაირადაც კი იყენებს: თუ სასოფლო საქმეზე ვის ირჩევენ წასალალავად სად (თუ იგზავნება სასოფლო საქმეზე) მაშინ იმას დახპირდებიან უქმის მიცემას. იმას ვააჩნავ სად ვინ მივ, სად ვის მიღლაღვენ, რამთვენს დღეს დავვიანდების წასულიდ' ან რა სარგებლობას მატუნს სოფელს ამ კაცის წასლვაი. ამის მიხედვით გაუტიგდებიან წამავალს. ან ერთს უქმს მისცემენ, ან ორს, სამსაცად' მეტსაც. უქმს მისცემენ ის რომ ეტყვიან: უქმი გქონდასავ, თუ ამ საქმეზე წახოლავ. ვადაუკვეთენ ეემთვენს დღეს იმუშავე. მემრ ის კაცი, როსაც უნდა უქმ დღეებში, მაშინ იმუშავეებს იმთვენს დღეს, რამთვენიც სოფელმ მისცა, დახპირდ. თუნდა მართო ჯალაფნ იმუშავებენად' უნდა მუშას შახყრის თუ აქვ მუშის შახყრის შაძლებლობა. წასავალ-წამასვლადაც იქავ შაძლებულ ხალხს ეწყობის კელი, ისი ას ცხენ-უნაგირით გაწყობილიდ' იქაც იმას შაუთვლიან წასვლასად' ისივე

სარგებლობს. სოფლის მიცემულ უქმს ნათვლა აღარ უნდა, ე. ი. თიგნისაღ' თნის დაკვლა არ უნდაღ' აისრ მუშაობენ, ხოლოთ მუშას კი უძღვებიან. თუ სუსტად მცხოვრებს მისცეს, ის მუშის შაყრას ვერ შაზძლებსად' მარტო ჯალაფნი იმუშავებენ<sup>34</sup>.

აღ. ოჩიაურის საკუთარი დაკვირვებები მთიელთა ყოფიდან აღებულ ხალას ეთნოგრაფიულ მასალაზეა დაფუძნებული. მისი აზრით, უქმეების დაწესება უპრიანია და სასარგებლო მხოლოდ შეძლებული ოჯახებისათვის. „მუშათ შეყრა“ შეუძლიათ მხოლოდ შეძლებულ ოჯახებს, რადგანაც ღარიბ ოჯახს ამის შესაძლებლობა არა აქვს.

შეძლებული ოჯახები იბრძვიან უქმეებისათვის („გვეჭირდებისაც უქმივ, ისენ იბრძვიან“) ღარიბი ოჯახების ნებისა და სურვილის გაუთვალისწინებლად („ძალა უნებურად ღარიბ ხალხიც უნდა მიემგრას უქმის შენახვას“).

ჯვარიონი შეძლებული ოჯახების ნებისა და სურვილის გავლენის ქვეშ იყოფებიან, ანგარიშს უწევენ მათ მოთხოვნებს.

შეძლებული არ აცდენს არც ერთ უქმე დღეს („არც ერთი დღეს არ გაცდენენაღ!..). შეძლებულის დონეზე ყველა უქმე დღის განათვლა (როდესაც ერთხელ ნათვლით მხოლოდ ორი სამუშაო დღე ეძლეოდა გამნათლავს) ღარიბს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო, ანდა, ღარიბის მდურნაობა დამატებით მუშახელს ისედაც არ საჭიროებდა, მაშინ როდესაც მედიარო ოჯახის გაზრდილი მეურნეობის მოცულობა ამას მოითხოვდა. ღარიბს შეიძლება მხოლოდ ერთხელ გაენათლა უქმე (ორი დღის მუშაობის უფლება მიეღო). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მთელი თიბვა-შკის პერიოდში, ღარიბი ოჯახი კვირაში მხოლოდ სამ დღეს მუშაობდა თავისთვის, ოთხ დღეს კი ან უქმობდა, ან სხვის (შეძლებულის) მიწაზე მუშაობდა ერთთა აზრით უსასყიდლოდ, აღ. ოჩიაურის ცნობით კი მცირე სასყიდლით.

მაშასადამე, მთიანეთის თემში სხვისი შრომის გამოყენების, ანდა მითვისების შესაძლებლობის რეალური პირობები არსებობდა.

გფიქრობთ, „უქმის ნათვლა“ და „მუშათ შეყრა“ ფართოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული თემში მცხოვრები იმ პირების მიერაც, რომლებიც წლის მანძილზე კულტის სამსახურითა და საერო ხასიათის ორგანიზატორული ფუნქციებით იყვნენ დაკავებული. ამ თვალსაზრისით, ჩვენი საგლე და საარქივო მასალები დუმან, მაგრამ რეალური ვათარება და აშკარა მინიშნება მასალების მხრიდან (კერძოდ: ა) ჯვარიონი წლის მანძილზე დაკავებულია ორგანიზატორული ფუნქციებით; ბ) წმიდობისა და კულტის სამსახურის დროს ჯვარ-ხატი ჯვარიონთ უკრძაოვას სამძიმო საქმის კეთებას; გ) ჯვარიონი (ხუცესი) იწვევს სასოფლო კრებას და აწესებს უქმეებს დ) წლის ყველაზე შრომატევადი სამუშაოების დროს თემში არის თავისუფალი მუშახელი, რომლის გამოყენების შესაძლებლობა აქვს ყოველს. ვისაც კი ის სჭირდება და ვისაც ხელი მიუწვევდა ამაზე) გვაიძულებს ამ მიმართულებით ყურადღების გამაზვილებას.

მაშასადამე, თემში არიან პირები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თავისუფალი, დამატებითი მუშახელის არსებობით. ესენი არიან: ა) პირველ

<sup>34</sup> აღ. ოჩიაური, ხევსურული ხალხური დღესასწაულების კალენდარი, I ნაწ. გვ. 298—300.

რიგში. ამ უქმეების ყოველწლიურად დაწესებულნი — ორგანიზატორული ფუნქციების მატარებელი ჯვარ-ხატის მსახურნი, რომელთაც სამსახური საშუალებას არ აძლევს დაკავდნენ თავისი საკუთარი მეურნეობით და რომელთაც აქეთ თემში არსებული თავისუფალი მუშახელის გამოყენების შესაძლებლობა; ბ) შეძლებული ოჯახები, რომელთა გაზრდილი მეურნეობის მოცულობა დამატებით მუშახელს ითხოვს.

პირველნი ვერ შრომობენ ფიზიკურად სამსახურის გამო, მეორენი თვითონაც შრომობენ და დამატებით მუშახელსაც ამუშავებენ მცირე სასყიდლით, ან უსასყიდლოდ („არც ერთ დღეს არ გააცდენენაღ სხვას ხალხსაც ამუშავენ“).

თავდაპირველად, გენეტურად, უქმე დღეების დაწესება თემისა და მე-  
ხემეთა საერთო ინტერესებით, აგრეთვე ურთიერთდამხარების პრინციპით უნდა ყოფილიყო გაპირობებული: თავისუფალი მუშახელი სჭირდებოდა თემს, სოფელს, სასოფლო, საერთო საქმეთა მოსაგვარებლად, უსასყიდლოდ ურთიერთდასახმარებლად. ეს კი, რამაც თავის დროზე უქმე დღეების პრაქტიკა განაპირობა თემში, კერძოდ, თემის, სოფლის ინტერესებმა, ალ. ოჩიაურს ბოლო პლანზე აქვს გადატანილი, როგორც უკვე მეორეხარისხოვანი მოვლენა: „სოფელი ამ უქმეებს სხვანაირადაც კი იყენებს“ — ამბობს იგი და მოაქვს ამის მაგალითები. შრომის საზოგადოებრივმა დანაწილებამ, ქონებრივმა უთანაბრობამ თემში, თავდაპირველად ურთიერთდამხარების პრინციპზე აგებულ უქმე დღეთა ტრადიციას სახე უცვალა და სხვა მნიშვნელობა და შინაარსიც შესძინა.

შეძლებული ოჯახი იმით, რომ თვითონაც მუშაობს, ჯერჯერობით მწარმოებელთა ფენაში რჩება. ამით და ჯვარიონთათვის მხარდაჭერით იგი წონასწორულ მდგომარეობაშია თემთან. ხოლო ის შეძლებული, რომელიც „გადაუდგებოდა“ ჯვარ-ხატს (ე. ი. ჯვარიონთ), თემისგან „გადამდგარიც“ იყო და მათ, როგორც „ამაყ ხალხს“, რომელიც „გადაუდგა ჯვარსაც და ხალხსაც“, ჯვარი და თემი ან მოიკვეთდა, ან ფიზიკურად განადგურებდა. თითქოს საუცხოო ილუსტრაციაა იმისა, რომ მაღალი ეკონომიური დონე-შეძლებულობა — მთიანეთის საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ იყო გადაამწყვეტი ფაქტორი. გადამწყვეტი მთიანეთის საზოგადოებაში იყო „მოდენილობა“, ანუ ჩვეულება. წესი, ტრადიცია, წარმომავლობა, წარმოშობა, „მოდენილობის“ მქონე გვარებს (მოდენილობის მქონე მამიშვილობებს, ოჯახებს) „მოუღიოდათ“ ჯვარ-ხატში სამსახური და ამდენად, თემის ხელმძღვანელობაც. ასეთი „მოდენილობა“ ჰქონდათ მხოლოდ უნჯ, მკვიდრ გვარებს თემში და მათგანაც მხოლოდ გარკვეულ მამიშვილობებს და ოჯახებს. მოდენილობის საფუძველი იყო ამ გვარების უნჯობა, მკვიდრობა, ანუ პირველმოსახლეობა თემის ტერიტორიაზე და ამდენად, სათემო მიწა-წყლის მათდამი მიკუთვნებულობა, რაც სათემო ჯვარ-ხატის (რომელიც აგრეთვე უნჯთა || მკვიდრთა საკუთარი, პირველი სალოცავი იყო ოდითგან) სახით იყო გაფორმებული: თემის მთელი მიწა-წყალი ნომინალურად სათემო ჯვარ-ხატის კუთვნილება იყო. ამ უკანასკნელმა სოციალურმა ფაქტორმა ასახვა პოვა მითშიც. მითოლოგიურ გადმოცემებში<sup>35</sup>

35 აღნიშნული მითოლოგიური გადმოცემების შესახებ იხ. თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში; ზ. კიკნაძე, ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა, თბ., 1985.

თემის მთელი მიწა-წყალი მოპოვებულია ჯვარ-ხატისაგან (ღვთისშვილ-თაგან) ღვევებთან სასტიკი და სისლისმღვრელი ბრძოლების შედეგად. ასე გადატყდა მთიელთა ცნობიერებაში საზოგადოებრივი ყოფიერების ეს ელემენტი და ასეთ მსოფლგაგებად ჩამოყალიბდა იგი მითში. ამიტომ გა და მ წ ყ ე ე ტ ი რ ო ლ ი იმას, ხევისბრისა, თუ ხუცესის ოჯახები, შეძლებულები იყვნენ თუ არა, არ ჰქონდა. თემს მართავდა არა შეძლებულთა, არამედ „მოღენილობის“ მქონეთა ფენა. „მოღენილობის“ მქონე კი შეიძლება მდიდარიც ყოფილიყო და ღარიბიც.

„მოღენილობის“ მქონე, მაგრამ ღარიბი, თავისთავად ეთიშებოდა მმართველთა ფენას, რადგანაც მას არ შეეძლო იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რასაც ჯვარ-ხატი უყენებდა ხუცესად, ან ხევისბრად მიმსვლელს. ასევე ეთიშებოდა მმართველთა ფენას შეძლებული, მაგრამ „მოღენილობის“ არ-მქონე, თუმცა ეს ფენა, როგორც მასალებიდან გამოჩნდა, ცდილობს ჯვარიონთან არა მარტო თანხმობაში ყოფნას, არამედ გავლენის მოხდენასაც მასზე („ჯვარიონნიც იმათ (შეძლებულების — ე. ე.) სიტყვას მეტად გაიგონებენ მანამ სხვისას, რაკი ისეებ ჯვარიონთ მეტ პატივს სცემენ მანამ ღარიბი ხალხი“). თავის მხრივ, ჯვარიონიც ცდილობს მათთან თანხმობაში ყოფნას (ჯვარიონნიც იმათ სიტყვას მეტად გაიგონებენ“). ლოგოკუბრი იყო გვეფიქრა, რომ ის, ვინც სოციალურ-პოლიტიკურად და იდეოლოგიურად იყო დაწინაურებული, ეკონომიურადაც შეძლებული ყოფილიყო, თუმცა, როგორც ცნობილია, ბაზისური და ზედნაშენური მოვლენები გარდამავალი პერიოდის საზოგადოებებში სრულ შესატყვისობაში ზოგჯერ ვერ მოდიან; მთის საზოგადოებები კი სწორედ ასეთი საზოგადოებებია. ხევისბრისა და ხუცესის ოჯახები შეიძლება შეძლებულიც ყოფილიყო და შეიძლება საშუალო შეძლების. ყოველ შემთხვევაში, მათი ოჯახი ეკონომიურად ისეთ ღონეზე მაინც უნდა ყოფილიყო, რომ შესძლებოდა იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რასაც ჯვარ-ხატი უყენებდა ხევისბრად და ხუცესად მიმსვლელს<sup>36</sup>.

საქართველოს მთიანეთში გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო შრომის საზოგადოებრივი დანაწილება მმართველებად და მწარმოებლებად. იყო თუ არა ეს მომხდარი ამ რეგიონში? როგორც კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე გამოჩნდა, იყო.

<sup>36</sup> ხევისბრად (თავივესბრად) მიმსვლელს ცხრა საკლავით უნდა ენათლა ჯელ-მკარი“, ხუცესს კი „საწელოში ჩადგომის“ წესი უნდა ჰქონოდა გადახდილი (ხელოსანი უნდა (ყოფილიყო) და დამატებით კიდევ ერთი საკლავით განათლულიყო. „საწელოში ჩადგომის“ წესის შესრულებას სჭირდებოდა: სამი საკლავი — სამი წლის მოზვერი, ან ხარი (ზოგან „მაშენაე ჯარი“), ცხვარი და ბატყანი; იმდენი პური, რამდენი მაშაყაციც (ზოგან კომლი) იყო თემში, I კგ (ან 0,5 კგ) სანთელი, სამი ფუთი ჭერისაგან დამზადებული ლუდი, არაყი და სხვ. ალ. ოჩიაურისა და მთხრობელთა თქმით, „საწელოში ჩადგომის“ წესის შესრულება ყველას არ შეეძლო თემში. აქედან გამომდინარე, ხევისბრის, ან ხუცესის (გარეთვე ჯვარიონთა სხვა წარმომადგენლებისაც) ოჯახი თუ მდიდარი არა, გარკვეული ეკონომიური შეძლების მაინც უნდა ყოფილიყო.

Ж. Г. ЭРИАШВИЛИ

## К ВОПРОСУ О СОЦИАЛЬНОЙ СТРУКТУРЕ ГОРСКОГО НАСЕЛЕНИЯ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

### Резюме

На основе данных архивных этнографических материалов в статье показано, что в горных регионах Восточной Грузии (в Пшави и Хевсурети) существовало общественное разделение труда на управленческий и производственный; Правителями общины были джварсионны II хатионны (хуцеси-жрец, мегандзури-казнохранитель, медрошае-знаменосец, мезаре-звонарь, кадаги-прорицатель и др.), которые одновременно считались и служителями общинного культа — джвари II хати; т. е. джварсионны II хатионны были представителями теократической власти. В этих же регионах Восточной горной Грузии имелись условия для использования или присвоения представителями теократической власти чужого труда, в частности, труда рядового общинника.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფი-  
 ის ინსტიტუტის სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავ-  
 ლის განყოფილებამ

ლიბირი ახვლედიანი

კრამიტის წარმოების ზოგადი საკითხი

არქეოლოგიურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ კრამიტის ზომები დროთა განმავლობაში თანდათანობით მცირდება<sup>1</sup>.

რამდენადაც ჩვენ მიგვაჩნია, რომ კრამიტის ზომების შემცირება წარმოადგენს მისი განვითარების ზოგად ტენდენციას\*, ამიტომ საჭიროდ ვთვლით ამ მოვლენის მიზეზების დადგენას.

საკითხის გასარკვევად ჩვენ ძირითადად გამოვიყენეთ ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ელინისტური ხანის კრამიტი და მონაცემები XIX—XX სს კრამიტის წარმოებისა და მოხმარების შესახებ. ქრონოლოგიურად ერთმანეთისაგან ასე დაშორებულ მასალას იმიტომ ვიღებთ, რომ იგი საშუალებას გვაძლევს უფრო ნათლად დავინახოთ ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა კრამიტის წარმოებისა და მოხმარების მთელი ისტორიის მანძილზე. ძირითადი პარამეტრები, რომლებითაც ისაზღვრება კრამიტი არის 1. ზომები (გაბარიტული და გადამხურავი ან უსასარგებლო), 2. მასა სახურავის 1 კვ მ-ზე და 3. კრამიტის რაოდენობა, რომელიც საჭიროა 1 კვ. მ. ფართობის გადასახურავად.

ჩვენი მიზნისათვის გამოვიყენეთ XX ს-ის კრამიტის მონაცემები, რომლის ფორმის გამოყვანა ხელით ხდება ყოველგვარი რთული ჩარხებისა და წნეხების გარეშე და შეეუდარეთ ის ვანის კრამიტის პარამეტრებს. ასეთია თანავედროვე ბრტყელი — ლენტისებური კრამიტი<sup>2</sup>.

ამ მონაცემთა მიხედვით აშკარად ჩანს, რომ კრამიტის ზომების შემცირება არ არის გამოწვეული, როგორც ეს ადრე ეგონათ<sup>3</sup>, სახურავის შემსუბუქე-

კრამიტის სახეობა	სასარგებლო ფართობი		გაბარიტული მონაცემები			მასა 1 მ <sup>2</sup>	რაოდენობა 1 მ <sup>2</sup>
	სიგრძე	სიგანე	სიგრძე	სიგანე	სისქე		
XX ს. ბრტყელი ელინისტური ვანური	160 ± 5 მ 50 ± 5 სმ	155 ± 3 მ 50 ± 5 სმ	365 ± 3 მ 60 ± 5 სმ	155 ± 3 მ 50 ± 5 სმ	11—14 მ 2,4 სმ	65 კგ 65 კგ	45,3 ც 4 ც

<sup>1</sup> ჯ. ჯღამაია, სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში, თბ., 1980; A. Л. Якобсон, Керамика и керамическое производство средневековой Таврики, Л., 1979.

\* ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, რაც სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

<sup>2</sup> მონაცემები მოგვყავს: В. А. Воробьев, А. Г. Комар, Строительные материалы, М., 1976, გვ. 60.

<sup>3</sup> ჯ. ჯღამაია, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

ბის მიზნით (ვანის ელინისტური ხანის კრამიტის და XX ს-ის ბრტყელი ლენტისებური კრამიტის მასა 1 მ<sup>2</sup>-ზე ერთნაირია — 65 კგ).

თანამედროვე კრამიტის წარმოებიდან ვიცით, რომ „კრამიტი შეიძლება დამზადდეს სხვადასხვა ზომისა, უნდა ვისწრაფოდეთ რომ მივიღოთ კრამიტი დიდი სიგრძისა და სიფართის, ნაკლები სისქის ე. ი. ნაკლები წონის. ამგვარი კრამიტი უფრო მოსახერხებელია მშენებლობისათვის და მოითხოვს ნაკლები შრომის დახარჯვას მათი სახურავზე დალაგებისას, მაგრამ რამდენადაც უფრო მეტია კრამიტის ფართობი და ნაკლებია მისი სისქე, მით უფრო ძნელია კრამიტის დამზადება“<sup>4</sup>. ამ ციტატიდან ჩანს, რომ ის, რაც მოსახერხებელია მოხმარებისათვის ქმნის სირთულეს მისი წარმოებისათვის ე. ი. დიდი ზომის ვანის ელინისტური ხანის კრამიტი უფრო მოსახერხებელია მოხმარებისათვის, ვიდრე თანამედროვე კრამიტი. სამაგიეროდ უფრო ძნელია მისი წარმოება, რა არის ამის მიზეზი?

ვ. ბლავატსკი ბოსფორის ელინისტური ხანის კრამიტის (ზომებით ვანის კრამიტის ოდენაა) წარმოების შესახებ შემდეგს სწერს: „თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დაახლოებით იმ დროს (ელინისტური ხანა — დ. ა.) ერთი ცალი კრამიტის ღირებულება იყო 1,5 ობოლი, ხოლო შემოსავალი მონა-ხელოსნისაგან აღწევდა 4 ობოლს, უნდა მივიღოთ, რომ ერთი კერამიტი მონა-ხელოსნის წარმადობა შეადგენდა დღეში სამ კრამიტს, თუ გავითვალისწინებთ მხოლოდ ადამიანის შრომის გამოყენებას სამუშაო პირთუცვის უქონლობის პირობებში; თიხის მოთხრას და მის მიტანას ერგასტერიაში, წყლის მოტანას, თიხის მოხელას, ყველა სამუშაოს, რომელიც დაკავშირებულია კრამიტის ფორმების დამზადებასა და შეკეთებასთან, კრამიტის დაყალიბებას, დამლის დასმას, გაშრობას, შეღებვას, შეშის დამზადებას და მოზიდვას, ღუმელის დატვირთვას და გახურებას, მზა პროდუქციის გადმოღებას ღუმელიდან და გადატანას, რომ აღარაფერი ვთქვათ ღუმელის აგებასა და შეკეთებაზე და ბოლოს, თუ მივიღებთ მხედველობაში მონური შრომების დაბალ წარმადობას... ამგვარი წარმადობისას ერთ მონას წელიწადში შეეძლო დაემზადებინა 1100 კრამიტი“<sup>5</sup>.

ჩვენი აზრით, თუ მივიღებთ ვ. ბლავატსკის მიერ შემოთავაზებულ გამოთვლის ხერხს, წელიწადში ერთ მეკრამიტეს 1100 კრამიტის მოჭრა არ უნდა შეძლებოდა. ვინაიდან კრამიტის წარმოება მთელი წლის განმავლობაში არ გრძელდებოდა მგეტეოროლოგიური პირობების გამო. ამ დარგში დასაქმებულ ხელოსანთა სამუშაო დღეების რაოდენობა ერთ წელიწადში დაახლოებით 200 უნდა ყოფილიყო<sup>6</sup>. ასევე გადასინჯვას მოითხოვს დებულება ერთი ხელოსნის მიერ დღეში სამი კრამიტის ფასის ოდენა მუშაობის გაწვევის შესახებ. ვინაიდან საბერძნეთში ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში კრამიტი სხვა-

\* ვანის კრამიტის წონა საშუალოდ 16 კგ.

<sup>4</sup> Н. Г. Чибуновский, Технологические процессы производства черепицы, РОСГИЗПРОМ, М., 1952, გვ. 5.

<sup>5</sup> В. Д. Блаватский, О боспорском ремесле IV—I вв. до н. э. СА, 1959, XXX—XXX.

<sup>6</sup> ვ. ჯაოშვილი, კერამიკული მრეწველობა საქართველოში, თბ., 1958, გვ. 60.



დასხვა ცენტრებში და სხვადასხვა დროს სხვადასხვა ღირებულებისა იყო. კრამიტი იყიდებოდა, როგორც წყვილ-წყვილად (ბრტყელი და ღარისებური), ასევე ცალობით (ძირითადად ბრტყელი).

ორლანდოსის ცხრილის მიხედვით<sup>7</sup>, წყვილ-წყვილად გაყიდული კრამიტის ღირებულება მერყეობს სამი დრაჰმიდან 3,5 ობოლამდე, ხოლო ცალობით გაყიდული კრამიტი ერთ დრაჰმა და სამი ობოლიდან ერთ ობოლამდე (მხოლოდ ერთი შემთხვევა). ამგვარი წესით გაყიდულ კრამიტში ზოგ შემთხვევაში ე. წ. კორინთული კრამიტიც არის ნაგულისხმევი, რომელიც ბრტყელი და ღარისებური კრამიტის ერთიანობას წარმოადგენდა.

ცალობით გაყიდული კრამიტის ფასია (გარდა კორინთულისა) — ებიდავროსში IV—III სს. ძვ. წ. დრაჰმა და 3 ობოლი, დელოსზე — 250 წ. ძვ. წ. 4 ობოლი, 208 წ. ძვ. წ. 3 ობოლი, 190—180 წ. ძვ. წ. 2,5 ობოლი. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მეკრამიტე ხელოსანი დღეში 1—1,5 კრამიტის, ზოგჯერ კი უფრო ნაკლები ღირებულების პროდუქციას გამოიმუშავებდა. თუ ყოველივე ზემოთ ნათქვამს გავითვალისწინებთ და კვლევის ბლავატსკისეულ მეთოდს დავეყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარტო ერთი ხელოსანი წელიწადში 200—300 კრამიტს დაამზადებდა. ამ ციფრს, რა თქმა უნდა, შემდგომში მეტი დახუსტება დასჭირდება.

ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასზე (ნაკვ. 167) ჩვენ მიერ იქნა შესწავლილი (1975 წლის კამპანიის დროს) დიდი ნაგებობის ერთი ნაწილის კრამიტის კომპლექსი. შენობა ძირითადად გადახურული იყო ბრტყელი კრამიტით, ღარისებური კრამიტის რაოდენობა უმნიშვნელო იყო. ამ კომპლექსში აღმოჩენილი კრამიტის რაოდენობის დასადგენად ჩვენ დავითვალეთ კრამიტის კუთხის ნატეხები. სულ აღმოჩნდა 128 — ზედა მარცხენა, 135 — ზედა მარჯვენა, 107 — ქვედა მარცხენა და 126 — ქვედა მარჯვენა კუთხე (ზედა და ქვედა მხარე განსაზღვრული გვაქვს იმის მიხედვით, თუ როგორ არის ორიენტირებული კრამიტი გადახურვის კონსტრუქციაში). ამ კომპლექსში აღმოჩნდა 44 ნიშნის კრამიტის ნატეხი. აქედან 36 ერთნაირი ნიშნით. აკეცილი გვერდის ქვედა ნაწილზე თითოთ ფოსო იყო გამოყვანილი (12 ცალი — ქვედა მარცხენა, ხოლო 24 ცალი — ქვედა მარჯვენა კუთხესთან) დანარჩენებს სხვადასხვა მოხაზულობის ასოს მავგარი ნიშანი აქვთ დატანებული კრამიტის შუა ნაწილში.

შენობის შესწავლილი ნაწილი 150 მ<sup>2</sup> ფართობისაა, რომლის გადასახურავად დაახლოებით 500 კრამიტი იქნებოდა საჭირო (1 მ<sup>2</sup>-ზე 4 კრამიტი). ნაგებობის ეს ნაწილი ძლიერ იყო დაზიანებული და ამიტომ კრამიტის დიდი ნაწილი აღარ იყო ადგილზე დაფიქსირებული. იმისათვის, რომ დაახლოებით დავადგინოთ თუ რა რაოდენობის ერთნაირი ნიშნის კრამიტით ყოფილა გადახურული ეს ნაგებობა შევადგინოთ განტოლება

$$\begin{array}{l} 600 : x \\ 44 : 36 \end{array} \quad x = \frac{600 \times 36}{44} \approx 490$$

<sup>7</sup> A. Orlando, Les matériaux de construction et la technique architecturale des anciens Grecs, I, Paris, 1966, გვ. 90—91.

აქედან გამომდინარეობს, რომ ნაგებობის ეს ნაწილი თავდაპირველად დაახლოებით 490 ერთნაირნიშნისანი კრამიტით ყოფილა გადახურული\*. ამავე ნაგებობის მეორე ნაწილი, რომელიც 1974 წელს იყო შესწავლილი, გადახურული იყო ოთხნაგებობის ნიშნისანი კრამიტით.

ზემოხსენებულნი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენ მიერ განხილული ნაგებობა ორი სახელოსნოს პროდუქციით იყო გადახურული. ვინაიდან ერთი სახელოსნოს ნაწარმი საკმარისი არ იქნებოდა.

სავსებით დასაშვებია, რომ ვანის ნაქალაქარზე ხელოსანს ერთ სეზონში მაქსიმალურად მხოლოდ 490 ცალი კრამიტის დამზადება შეეძლო. ეს ციფრი (ე. ი. მხოლოდ რამდენიმე ასეული) დაახლოებით ემთხვევა კრამიტის ფასისა და ერთი ხელოსნის წარმოების უნარიანობის ერთმანეთთან შეჯერებით ჩვენ მიერ მიღებულ რაოდენობას. გარდა ამისა, სავსებით დასაშვებია, რომ ხელოსანს დამზადებულ პერსონალიც ჰყავდა და, ამდენად, მისი შრომის ნაყოფიერება უფრო მაღალი იყო.

ვ. ჯაოშვილის ცნობით, 1863 წელს თბილისში 700000—750000 კრამიტი იქნა მოჭრილი, როდესაც სახელოსნოების რაოდენობა 11 იყო, ხოლო თითო სახელოსნოში 3—5 ხელოსანი მუშაობდა<sup>8</sup>. თუ ჩავთვლით, რომ თითო სახელოსნო წელიწადში 70000 კრამიტს გამოუშვებდა მაშინ თითო ხელოსანი დროის ამავე მონაკვეთში საშუალოდ 14000 კრამიტს დამზადებდა. ეს იმ პირობებში როდესაც შრომის იარაღები და წარმოების ტექნოლოგია ელინისტურ ხანასთან შედარებით თითქმის უცვლელი დარჩა.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი 1 მ<sup>2</sup> ფართობის გადასახურავად საჭირო იყო 4 ცალი ელინისტური ხანის კრამიტი და 30 ცალი ღარიბებური კრამიტი, რომელსაც XIX ს-ის საქართველოში ხმარობდნენ. ე. ი. ელინისტურ ხანაში თითო ხელოსანი უშვებდა წელიწადში 50—80 მ<sup>2</sup> ფართობის გადასახურავ კრამიტს (200—300:4), ხოლო XIX ს-ის შუა წლებში 465 მ<sup>2</sup> ფართობისათვის (14000 : 30) საჭირო კრამიტს. ზემოხსენებულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX ს-ის შუა წლებში ელინისტურ ხანასთან შედარებით კრამიტის წარმზღობა თითოეული ხელოსნისათვის 6—9-ჯერ უფრო ინტენსიური იყო. ჩვენი აზრით, წარმოების ინტენსიფიკაცია იყო ის ძირითადი მიზეზი, რომლის გამოც ხდებოდა კრამიტის ზომების შემცირება, უპირველეს ყოვლისა სისქის, ხოლო შემდეგ, კრამიტის სიმეტრიის შესანარჩუნებლად, მისი სიგრძისა და სიგანის. ჩვენ არ გავაჩნია ცნობები იმის შესახებ, თუ რა დროს ანდომებდა ელინისტურ ხანაში მეკრამიტე კრამიტის დამზადებას. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ქვევრის წარმოებისას დიდი სქელკეციანი ქვევრის გამოშრობა გაცილებით უფრო დიდხანს გრძელდება (2—3 თვე), ვიდრე პატარა ქოცოებისა (2 კვირა)<sup>9</sup>, ასევე უფრო ხანგრძლივი და რთული უნდა იყოს გამოწვის პროცესიც.

\* ნიშნების ფუნქციის შესახებ იხ. ჩვენი სტატია „ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი კრამიტის ნიშნები“, რომელიც გადაცემულია დასაბუქდად კრებულში „არქეოლოგიური ძიებანი“ (ახლავარდა მკვლევართა სამეცნიერო სესიის მასალები).

<sup>8</sup> ვ. ჯაოშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 58—62.

<sup>9</sup> ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, 1, კახური, თბ., 1949; გვ. 122.

კრამიტის სისქის დადგენისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სუფთად განლეკილი თიხა გამოშრობისა და გამოწვის პროცესში უფრო მეტად განიცდის შეკლებას, ვიდრე მინარევიანი თიხა. ამის დასტური შეიძლება იყოს ის, რომ ერთი სიგრძისა და სიგანის კრამიტები ძალისაგან და სამთავროს სამაროვანიდან ოდნავ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სისქით. ძალიან კრამიტის კეცი მსხვილმარცვლოვანია და მინარევებიანი — სისქე 2,1 მმ. სამთავროს სამაროვნის კრამიტის კეცი შედარებით სუფთადგანლეკილი და წვრილმარცვლოვანია. სისქე 1,9 მმ. კრამიტის კეცის სისქის დასადგენად ცზომავთ კეცის ყველა ნატეხს დიდი რაოდენობით და შემდეგ საშუალო გამოგვეყვას. შეკლების დამადასტურებელი შეიძლება იყოს ისიც, რომ სამთავროს სამაროვანსა და სარკინეზე აღმოჩენილი ერთ-ერთი ტიპის კრამიტი ფორმით ზუსტად ერთნაირია (შედარებით დაბალი აკეცილი გვერდით) განსხვავება იმაშია, რომ სარკინის კრამიტის კეცი შედარებით მსხვილმარცვლოვანი და მინარევებიანია. ამასთანავე სამთავროს სამაროვნის კრამიტების სიგრძე არის 1/49 სმ 2/50 სმ 3/51 სმ, ხოლო სარკინის — 1/54 სმ 2/ 55 სმ 3/55 სმ. ეს მონაცემები კიდევ უნდა იქნეს შემოწმებული ახალი მასალებით და თიხების ლაბორატორიული ანალიზის შედეგების შეკერებით.

Д. В. АХВЛЕДИАНИ

## НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ПРОИЗВОДСТВА ЧЕРЕПИЦЫ

### Резюме

В археологической литературе неоднократно отмечалось, что черепица с течением времени изготовлялась всё меньших размеров (длина, ширина, толщина). Эта закономерность подтверждается почти всеми известными нам случаями. Целью данной статьи является установление ее причин.

Из современной практики производства черепицы известно, что чем больше ее размеры, тем труднее она для производства, но удобнее в употреблении. По нашим расчетам, в эллинистическую эпоху один черепичный мастер за год изготовлял черепицу, способную покрыть площадь в 6—9 раз меньшую, чем мастер XIX в.

На ванском городище т. н. «Большой храм» был перекрыт черепицей, изготовленной двумя мастерами, каждый из которых производил её не более 500 штук.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა

ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთი აღრეკინის ხანაში

ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთში ამ უკანასკნელი 25—30 წლის მანძილზე გამოვლენილი მასალები (ნ. ხოშტარია, ა. აფაქიძე, რ. ფუთურძე, ი. გრძელიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, ა. ინაიშვილი, ა. რამიშვილი, ა. კახიძე, ნ. ვაშაქიძე, ს. გოგიტიძე და სხვ.) საშუალებას იძლევა ერთგვარად შეჯამდეს ამ რეგიონის შესწავლის შედეგები და გაკეთდეს ზოგიერთი დასკვნა. უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიური კვლევა-ძიების გარდა, აღნიშნულ პერიოდში ჩატარდა აგრეთვე კოლხეთის დაბლობის გეომორფოლოგიური შესწავლა<sup>1</sup>, რის შედეგადაც მიღებულ იქნა დამატებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორი იყო კოლხეთის დაბლობი ადრერკინის ხანასა, თუ პოლოცენის სხვა პერიოდებში. კერძოდ, გვიჩვენებს საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ ტოვებს მოსახლეობა კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლის აკუმულაციურ მოედნებს ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში და მხოლოდ ძვ. წ. XVI—XV საუკუნეებში უბრუნდება მას, რატომ ეცემა აქ საქალაქო ცხოვრება ძვ. წ. II საუკუნიდან და ა. შ. ეს რადიკალური ცვლილებები, როგორც დადგინდა, გამოწვეული იყო ზღვის ტრანსგრესიული მოვლენებით (ფანავორიული, ლაზური), როცა, კერძოდ შავი ზღვის დონემ თანამედროვე ნიშნულთან შედარებით 3—5 მეტრით მაღლა აიწია და დააჭობა ზღვისპირა ზოლის გარკვეული მონაკვეთები, ძირითადად აკუმულაციური მოედნები<sup>2</sup>.

მიკვლეული მასალების მიხედვით, ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთი ათვისებული ჩანს ახალი ქვის ხანიდან. ამისი მოწმობაა ნეოლითური ნამოსახლარების აღმოჩენა მდ. ჩოლოქის ორივე ნაპირას სოფ. მაკვანეთში, ანასელისა და ჯიხანურის საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე<sup>3</sup>.

ამ პერიოდის დასახლებანი ზღვისპირა ზოლის აკუმულაციურ მოედნებზე, როგორც ფიქრობენ, სულ მცირე 25—35 მ-ის სიღრმეზე უნდა იყოს და-

<sup>1</sup> Ч. П. Джанелидзе, Палеогеография Грузии в голоцена, Тб., 1980, გვ. 21—64; მისივე, ფასისის ლოკალიზაციის გეოგრაფიული ასპექტი, სამეცნიერო სესია მიძღვნილი ქალაქ ფასისის ლოკალიზაციის პრობლემისადმი, მოხსენებები, თბ., 1973, გვ. 5—16.

<sup>2</sup> Д. А. Хакхутайшвили, Природа и человек в Восточном Причерноморье в эпоху голоцена, «Кавказско-Ближневосточный сборник», УП, Тб., 1984, გვ. 146—151.

<sup>3</sup> ლ. ნებერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1970; ს. გოგიტიძე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბ., 1978; მისივე, ნეოლითური ხანის ძეგლი მდ. ჩოლოქის სანაპიროზე, «სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები», IV, თბ., 1974, გვ. 4—29, ტაბ. I—IV.

მარხული<sup>4</sup>, რის გამოც მათი მიგნება და შესწავლა ამჟამად თითქმის გადაუწყვეტელ ტექნიკურ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

პირველი უდავო ცნობები ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთის შესართავის ზონის აკუმულაციური ქოედნის დასახლებათა შესახებ ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. საუბარია ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარზე, რომელიც ქობულეთის აღმოსავლეთით არსებულ ტროფებშია აღმოჩენილი. საყურადღებო ფაქტია, რომ ტორფი, რომლითაც ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარების ნანგრევებია გადახურული, ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანით თარიღდება<sup>5</sup>. ეს არის ე. წ. ფანავორული რეგრესიის საწყისი ფაზა, როცა ამ ზონაში იწყება ახალშავზღვური ტრანსგრესიის პერიოდში შეწყვეტილი ცხოვრების განახლება<sup>6</sup>.

სამწუხაროდ, ადრებრინჯაოს ხანის დასასრულისა და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები ჯერჯერობით ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთის მაღალ ნიშნულებზეც არ არის აღმოჩენილი, რაც უპირატესად იმითი უნდა აიხსნას, რომ ამ პერიოდშიც ძირითად სამშენებლო მასალას მერქანი წარმოადგენდა, რომელიც მხოლოდ გარკვეულ გარემოში შეინახება და აღწევს ჩვენამდე.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბარი და მთისწინეთი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ის რეგიონია, სადაც, როგორც ფიქრობენ, კოლხური გვიანბრინჯაოს ხანის კულტურის ძირითადი ელემენტები ფორმდებოდა (კოლხური ცული, თოხი, წალდი, სეგმენტისებრი იარაღი, ბრტყელი ცული, ნამგალი...). როგორც ოთ. ჭაფარიძე მიუთითებს, „კოლხეთის სამხრეთ ნაწილში ცნობილია გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდის განძები, სადაც კოლხური ცულის გვერდით გვხვდება მისი პროტოტიპი და აგრეთვე კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი სხვა ტიპის იარაღები — თოხი, ბრტყელი ცული, სეგმენტისებური იარაღი, წალდი, ნამგალი და სხვ. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს არც ერთ მხარეში არ გვხვდება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის განძების ისეთი რაოდენობა, როგორც კოლხეთის შავიზღვისპირეთის მხარეში მიმდინარეობდა, უფრო კი მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში“<sup>7</sup>. ეს სწორედ იმ დროის კოლხეთია, რომელიც არგონავტების მითსა და ამირანის თქმულებებში აისახა.

სანამ შემდგომ პერიოდს, კერძოდ ადრერკინის ხანას შევეხებოდეთ, მანამ უნდა ნათლად განვსაზღვროთ, თუ რა პერიოდს გულისხმობს ტერმინში „ადრერკინის ხანა“ და როგორია შესაბამისი საბუთიანობა.

არსებული მასალების მიხედვით, რკინის წარმოება კოლხეთში ძვ. წ. XV საუკუნეში დაწყებულია. როგორც ფიქრობენ, იგი ბრინჯაოს (სპილენძის) წარმოებაში მიღწეული ტექნოლოგიური ცოდნის გამოყენებით გახდა შესაძლებელი<sup>8</sup>. ასე რომ რკინის წარმოების ადრეული საფეხური ანუ ადრერკი-

<sup>4</sup> ქ. ჯანელიძე. ფასისის ლოკალიზაციის გეოგრაფიული ასპექტი, გვ. 12.

<sup>5</sup> Г. Л. Кавтарадзе, К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии, Тб., 1983, გვ. 29 (таблица).

<sup>6</sup> Д. А. Хакутаишвили, Природа и человек... გვ. 149—150.

<sup>7</sup> ოთარ ჭაფარიძე, დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1982, № 2, გვ. 63.

<sup>8</sup> დ. ხახუტაიშვილი, კოლხური რკინა და ძველი მესობოტამია, 1984 (იბეჭდება).

ნის ხანის ადრეული საფეხური ქრონოლოგიურად გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს მოიცავს. რ. აბრამიშვილმა შესაძლებლად დაინახა რკინის სამეურნეო ათვისების პირველი საფეხურის საწყის ეტაპად ძვ. წ. XII ს. მიიჩნია. საერთოდ კი მისი აზრით, რკინის ხანის დასაწყისად ის პერიოდი ითვლება, საიდანაც დაიწყო რკინის წარმოების უწყვეტი განვითარება. ამ პროცესს საფუძველი ჩაეყარა მაშინ, როცა ცნობილი გახდა საბერველიან ღია ღუმელში ხის ნახშირის საშუალებით რკინის შენადნობის მიღება და მისგან იარაღის დამზადება. ამ მოვლენის დასაბამად დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის შუა წლები უნდა მივიჩნიოთ. ამგვარი დასკვნა დაფუძნებულია როგორც უშუალოდ რკინის ნაწარზე, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონშია გამოვლენილი (რ. აბრამიშვილი და სხვ.), ისე უშუალოდ რკინის მოპოვებასთან დაკავშირებული საწარმოო კერების გათხრის მონაცემებზე (ი. გრძელიშვილი, დ. ხახუტაიშვილი)<sup>9</sup>.

ასე თუ ისე, ადრერკინის ხანა ორ საფეხურად განიყოფება: 1. რკინის წარმოების საწყისი ეტაპი (XV—XIII სს) და 2. რკინის სამეურნეო ათვისების ხანა (XII—VII სს.). პირველი საფეხურის შესახებ კოლხეთში ჩვენ მოთქმის არა გვაქვს მონაცემები უშუალოდ ნაწარმის სახით, მაგრამ გვაქვს რკინისადნობი სახელოსნოები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთისწინეთიდან, რომლებიც ძვ. წ. XV და XIV საუკუნეებით თარიღდება (დ. ხახუტაიშვილი). პირველი ნიშნები რკინის სამეურნეო ათვისების დასაწყისზე კოლხეთში კონკრეტულად ჩვენ სწორედ შესწავლილი რეგიონიდან გვაქვს და ძვ. წ. XII—XI საუკუნეების მიჯნას მიეკუთვნება. მხედველობაში გვაქვს ე. წ. „ზენითის განძი“, რომელშიც ბრინჯაოს ნაწარმთან ერთად რკინის თოხები, ცულები და დანებიც ყოფილა წარმოდგენილი<sup>10</sup>. ამასვე ადასტურებს უდეს განძის რკინის ორი შუბისწვერი, სატევარი, ლახტის თავი და საკინძი<sup>11</sup>.

მაგრამ ადრერკინის ხანის ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთი არა მარტო ამზადებდა და იყენებდა რკინის სამეურნეო და საბრძოლო იარაღებს, არამედ

<sup>9</sup> რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს სახ. მუზეუმის „მოამბე“, XII—B, თბ., 1961, გვ. 291—382, განს. გვ. 351; მისივე, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო სამეურნეო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის საქართველოს სახ. მუზეუმის „მოამბე“, XIX—A და XXI—B, თბ., 1957, გვ. 115—140 დ. А. Х а х у т а и ш в и д и, Новооткрытые памятники древнекопидной металлургии железа, КСИА, 151, გვ. 30; რ. აბრამიშვილი რკინის ხანა ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, VIII, გვ. 125—127.

<sup>10</sup> ა. რამიშვილი, შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს იარაღები ბათუმის რაიონიდან, საქ. სრ მეცნ. აკად. სახ. მეცნ. განყ-ბის „მაცნე“, 1966, № 4, გვ. 188; მისივე, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974, გვ. 20—22. შეაღ. А. А. И е с с е н, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Известия ГАИМК, вып. 120, М.—Л., 1935, გვ. 122; დ. ხახუტაიშვილი, რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების პირველადი ცენტრების საკითხისათვის, ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 99—100.

<sup>11</sup> რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის..., გვ. 351. ლიტ.—რა იქვე.

აქ მოსახლე თემები დიდად იყვნენ დახელოვნებულნი სამამადადნო საქმესა (ნედლეულის მოპოვება), ლითონის მიღებასა და დამუშავებაში<sup>12</sup>.

ამ ოციოდე წლის წინ გამოითქვა მოსაზრება, რომ ადრერკინის ხანაში ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთი ზემო წელიდან, ვიდრე ზღვის სანაპირომდე შეადგენდა მეურნეობრივად მთლიან ერთეულს, რომლის ცალკეული ნაწილები სავაიად ორგანულად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. იქვე შენიშნული იყო ის ძირეული ძვრები, რაც სოციალურ და სამეურნეო განვითარებაში შეინიშნება<sup>13</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ განვლილ 20 წელში მკვეთრად გაიზარდა განზოგადობისათვის საჭირო მასალების როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მაჩვენებლები. ეს მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს მეტნაკლები სისრულით წარმოვადგინოთ ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთის თემთა სამეურნეო და სოციალური განვითარების სურათი ძვ. წ. XII—VI სს-ში.

დღისათვის უკვე ვარკვევით შეიძლება აღინიშნოს, რომ აქ მოსახლე თემთა მეურნეობაში წარმოდგინილი იყო საქმიანობის ისეთი დარგები, როგორცაა მიწათმოქმედება (მემინდარობა, მევენახეობა, მეხალეობა), მკიცხოველეობა (მსხვილოთება და წვრილოთება პირუტყვი), მეთევზეობა, მონადირეობა და ხელოსნობა, კერძოდ, ნიდლეულის მოპოვება, ლითონის მიღება, ლითონჩამოსხმა, მჭიდლობა, მეთუნეობა, ხითხურობა და ა. შ.

ადრერკინის ხანის კოლხეთში, როგორც ირკვევა, მიწათმოქმედება სამეურნეო საქმიანობის წამყვანი დარგი იყო როგორც მთისწინა ზოლში, ისე ზღვისპირეთში. უკანასკნელი, ზღვის რეგრესიის ხანაში, მართლაც მეტად ნაყოფიერი, უხვმოსავლიანი ზონა უნდა ყოფილიყო. ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთი ნათქვამის კარგ ილუსტრაციას წარმოადგენს. კერძოდ, რკინისა და ბრინჯაოს კულები, თოხები, წალღები, სეგმენტური იარაღი და სხვა სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობა ზენითის განძიდან<sup>14</sup>, ხელსაფქვაკები, კახის ნამგლის ჩასართები, ხორბლისა და ღომის საყურადღებო ნიმუშები ნამჭიდურის ნამოსახლარიდან და ფიჭინარ-ჩოლოქის სხვა ძეგლებიდან, ხარისა და ნაყოფიერების კულტისადმი თაყვანისცემის მრავალგვარი ნივთიერი მოწმობა იმავე ძეგლებიდან (ზოომორფული ჭურჭლები, რქიანი სადგრები, ამათუ იმ დეტაიბისადმი შეწირულ საგანთა ზოგიერთი სახე და ა. შ.) იმისი რასატურია, რომ აქ მოსახლე თემები უკვე კარგად იცნობენ მოხვნით მიწათმოქმედებას. რაც აისახა კიდევ წარმართულ დეტაიბათა პანთეონში<sup>15</sup>. ყოველ შემთხვევაში, რკინის სამეურნეო ათვისების ხანაში, როგორც ჩანს, ბრინჯაოსსახნისიანი სახვნელოს გეგრდით (განთიადის განძი, ჩაისუბნის განძი)<sup>16</sup>. გამოიყენებოდა რკინის სახნისიანი მსუბუქი სახვნელი იარაღი (ნიგეზიანის მასალები)<sup>17</sup>.

<sup>12</sup> დ. ხახუტაიშვილი. კოლხური რკინის მეტალურგიის სათავეებთან, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“, I, თბ., 1964, გვ. 45—58.

<sup>13</sup> დ. ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

<sup>14</sup> აღ. რამიშვილი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, გვ. 20—22.

<sup>15</sup> Д. А. Х а х у т а и ш в и л и, Т. К. М и к е л а д з е, Древнеколхидское население Намчедури, Тб., 1985 (იბეჭედა).

<sup>16</sup> აღ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12, ტაბ. VII, 1, გვ. 13, ტაბ. VI, 7.

<sup>17</sup> Т. К. М и к е л а д з е, М. В. Б а р а м и д з е, Колхский могильник VII-VI вв. до н. э. Нигвзиани. КСИА 51, М., 1977, გვ. 33—39.

მიწათმოქმედების პროდუქციის მოყვანის, შენახვისა და გადამუშავება-გამოყენების მაღალი კულტურა, რაც ამ ხანისათვის შესასწავლად აღებულ ზონაში გვაქვს დადასტურებული, რამდენადმე ასახული ჩანს აგრეთვე ძველებერძულ წერილობით ტრადიციაში, კერძოდ თქმულებაში არგონავტების შესახებ (ციცხლისმფრქვეველი სპილენძის ჩლიქებიანი ხარბი, ფოლადის-სახნისიანი სახენელი, რძის, ღვინის სიუხვე და ა. შ.). სწორედ ამ პერიოდში, ე. ი. ადრერკინის ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ჩანს შექმნილი, აგრეთვე, ფართო კანელურებით შემკული დიდი ჭურჭლები<sup>18</sup>, რომელთაც დასაბამი მისცეს კოლხურ საღვინე ქვევრებს, ე. წ. პითოსებს, რომლებიც ასე გაირცხლებული იყო ძვ. წ. I ათასწლეულის მიორე ნახევარში.

მიწათმოქმედების გვერდით ბარსა და მთისწინა ზოლში განვითარებული ჩანს მესაქონლეობაც. არქეოლოგიური მასალები, რომლებიც ძირითადად ქობულეთ-ჩოლოქის ნამოსახლარებზეა გამოვლენილი, ნათლად უჩვენებს, რომ ამ დროს მოციმულ რეგიონში აშენებდნენ ძროხას, ცხვარს, ღორს, თხას და ა. შ. ამ მხრივ საყურადღებო ინფორმაციას იძლევა ფარეხის ნაშთისა და სალამურის აღმოჩენა ჩოლოქისპირა ნამოსახლარის წინაანტიკური ხანის ფენაში, აგრეთვე ამავე ძეგლზე გამოვლენილი ჰოსტელოგიური მასალა<sup>19</sup>.

იმდროინდელი ადამიანი უკვე თითქმის უნარჩენოდ იყენებდა მეცხოველეობის პროდუქტებს. კერძოდ, რძისგან დღებდა კარაქს და ამოჰყავდა ყველი (ამისი მოწმობაა იმდროინდელ ფენებში გამოვლენილი კარაქის სადღვები ქილებისა და ყველის ამოსაყვანი ჯამების ფრაგმენტები), ხორცისაგან ამზადებდა სხვადასხვა სახის კერძებს, რაზედაც მრავალგვარი სამზარეულო ჭეხვები და ქოთნები მოუთხოვს. ტყავი გამოიყენებოდა ტყაპუჭების, ფარების, მუზარადების, ფეხსაცმლის, სარტყლების, შურდულეობის, ცხენის აჯახმულობის, მშვილდის ლარისა და რიგი სხვა არქურჯილობის დასამზადებლად. ძვლისაგან, უნდა ვიფიქროთ, მზადდებოდა რთვექსოვასთან და თერძობასთან დაკავშირებული აღჭურვილობა, აგრეთვე, ისრისწერები, ფლუსები მეტალურგიული და სამსხმელო წარმოებისათვის, ყანწები (გაიხსენეთ ქსენოფონტეს ცნობები)<sup>20</sup>, მშვილდები, ტუალეტის საგნები, სამკაული და ა. შ.

რა თქმა უნდა, ბარული ტიპის მეჟრნეობის მქონე ისეთ დაწინაურებულ სამიწათმოქმედო ქვეყანაში როგორც კოლხეთი იყო, მესაქონლეობას მართალია დაქვემდებარებული, მაგრამ მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა როდი უნდა ჰქონოდა.

რაც შეეხება მეთევზეობასა და ნადირობას, მათ, მართალია, არამცირე, მაგრამ მაინც დამხმარე ხასიათი ჰქონდა.

დიდი როლდენობით აღმოჩენილი სათევზაო ბადის საწათები და თევზიულის, მათ შორის დელფინების ძვლები იმისი მოწმობაა, რომ ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთის ზღვისპირა ზოლის მოსახლეობა ადრერკინის ხა-

<sup>18</sup> Д. А. Х а х у т а и ш в и л и, К хронологии колхидско-халисского центра древнежелезной металлургии. „Вопросы древней истории (кавказско-ближневосточный Сборник)“, V, Тб., 1977, გვ. 136 და შემდ.

<sup>19</sup> ნ. ბერძენიშვილის სახ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები.

<sup>20</sup> К с е н о ф о н т, Анабасис, М.—Л., 1951, გვ. 158 (V, 1, 4).



ნაში ზღვაზეც გადაიდა სათევზაოდ და არც მდინარის თევზეულზე ამბობდა უარს. საამისო ტრადიციები აქ ნეოლითის ხანიდან იღებს სათავეებს<sup>21</sup>.

ამ პერიოდის არქეოლოგიურ ფენებში დადასტურებული ძვლოვანი მასალა (ირემი, შველი, გარეული ღორი და ა. შ.), აგრეთვე ისრის წვერები და შუბის პირები ნადირობისადმი იმდროინდელი ადამიანის გარკვეული ინტერესის მოწმობაა. დღეს ძნელია დადგენა, თუ რა წილი მოდიოდა ნანადირევზე იმდროინდელი ადამიანის კვების რაციონში, მაგრამ იგი არც ისე მცირე რომ უნდა ყოფილიყო, არსებული მონაცემებითაც აშკარაა.

ამგვარად, პურეული, ხორცეული, თევზეული, რძის ნაწარმი, რაც, როგორც უნდა ვიფიქროთ, „ტყის ნობათითაც“ შეივსებოდა, ადრერკინის ხანის კოლხების საკვები რაციონის მთავარ ელემენტებს შეადგენდნენ.

ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთის სამეურნეო მთლიანობის სურათი განსაკუთრებით რელიეფურად წარმოგვიდგება როცა ხელოსნობის ცალკეული დარგების, განსაკუთრებით კი რკინის მოპოვების შესახებ არსებულ მასალებს გადავხედავთ.

როგორც ცნობილია, ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთის შუაწელზე, ცეცხლურის, ჯიხანჯურის, ლაითურის და ნარუჯას საბჭოთა მეურნეობის, აგრეთვე, სოფ. ლედვას, ქაქუთისა და რიგი სხვა დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე გამოვლენილია და ისწავლება ადრერკინის ხანის კოლხური სამთო-მეტალურგიული ცენტრის ერთი მთავარი საწარმოო კერათაგანი (ი. გრძელიშვილი დ. ხახუტაიშვილი), რომლის უძველესი სახელოსნოები რკინის სამეურნეო ათვისების ადრეულ საფეხურს (ძვ. წ. XII—XI სს) მიეკუთვნება<sup>22</sup>.

მეტალურგიული საწარმოო კერის არსებობა თავისთავად გულისხმობს წარმოების მთელი რიგი ერთმანეთთან დკავშირებული დარგების არსებობას. ესენია სამთო საქმე, კერძოდ, მადნის მოპოვება, საწვავის დამზადება, კერძოდ მერქნის გარკვეული ჯიშებისაგან ნახშირის მიღება, ცეცხლგამძლე და ძნელღობადი თიხების, აგრეთვე ფლუსების მოპოვება, ლითონსაღნობი ქურის აღჭურვილობის ისეთი ელემენტების დამზადება როგორცაა ტყავის საბერვლები, თიხის საქშენი მილები და ა. შ.

ირკვევა, რომ მეტალურგიული წარმოებისათვის აუცილებელი ენერგეტიკული პოტენციალი ადრერკინის ხანაში უკვე დიდი ხნის მიღწეულია. კერძოდ, რკინისაღნობ ღუმელში უკვე მიიღება 1450° ტემპერატურა<sup>23</sup>.

21 ს. გოგოტიძე, ახალი ტიპის ქვის საწაფები მახვილურის ნეოლითური ნამოსახლარიდან, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“, VI, თბ., 1977, გვ. 3—18, ტბ. I—VI; მისივე, მახვილურის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1979 წ. წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“, XI, თბ., 1982, გვ. 34—35; მისივე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბ., 1972, გვ. 85—86.

22 ი. ა. გზელიშვილი, Железоплавильное дело в древней Грузии, Тб., 1964; დ. ხახუტაიშვილი, კოლხური რკინის მეტალურგიის სათავეებთან, გვ. 50 და შემდეგი, მისივე, მასალები ძველკოლხური რკინის მეტალურგიის ისტორიისათვის (ოჩხამურის ხეობა), კრ. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VII, თბ., 1978, გვ. 17—34, ტბ. III—X, დ. ა. ხახუტაიშვილი, К хронологии... გვ. 119 და შმდ.

23 ი. ა. გზელიშვილი, Железоплавильное дело в древней Грузии, Тб., 1964, გვ. 83—84, 114, შმდ. Вяч. Вс. Иванов, История славянских и балканских назва-

მალალი ენერგეტიკული პოტენციალის ქონება მისი მატარებელი ცივილიზაციის ინტელექტუალური და ტექნიკური მადლგანვითარებულობის მოწმობაა<sup>24</sup>.

ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთის საწარმოო კერის სახელოსნოებში, როგორც დადასტურდა, ნედლეულად გამოუყენებიათ მაგნეტიტური სილები (ი. გძელიშვილი), რომლითაც ასე მდიდარია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის პლაჟები. მაშასადამე, მართალი ჩანან ის მკვლევარები, რომლებიც ახალშავზღვურ ტერასაზე მრავალგან დადასტურებულ ე. წ. „დიუნურ დასახლებებს“ მაგნეტიტის მოპოვებასაც უკავშირებენ (ნ. ხოშტარია, დ. ხახუტაიშვილი, ალ. რამიშვილი და სხვ.)<sup>25</sup>.

საწარმოო კერისა და ნედლეულის წყაროს დაშორება თავისთავად მიგვითითებს ნედლეულის ტრანსპორტირებაზე, რაც გულისხმობს აგრეთვე გზებისა და საჰაბანო-სატრანსპორტო საშუალებათა ქონებას. ადრერკინის ხანის განვითარებულ საფეხურზე, კერძოდ, ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგს, ფიჭვნარის ახალშავზღვურ ტერასაზე და მის უკან დასახლებათა მომრავლება, აგრეთვე მსხვილი დასახლების წარმოქმნა<sup>26</sup> იმისი დასტურია, რომ მოსახლეობის აქეთკენ მოზიდვის მრავალ ფაქტორთა შორის რკინის მოპოვებისათვის აუცილებელი მადნეულის (მაგნეტის) დამზადებაც ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო.

საყურადღებო გარემოებაა, რომ ფიჭვნარ-ჩოლოქის მოსახლეობა, რომელიც მეურნეობრივად მჭიდროდ ჩანს დაავშირებული ჩოლოქ-ოჩხამურის შუა წილის ზონაში მოსახლე მილითონი თემებთან, დაწინაურებულია ხელოსნური წარმოების სხვა დარგებშიც. ნამჭიდურისა და სხვა უბნების ადრერკინის ხანის კერამიკა, რომელიც 4 ერთმანეთის მომდევნო ეტაპითაა წარმოდგენილი („ნამჭიდური III“, „ნამჭიდური IV“, „ნამჭიდური V“, „ნამჭიდური VI“), საქაური მრავალგვარი ყალიბები იარაღისა და სამკაულის ჩამოსასხმელად აგრეთვე ფერადი ლითონის გასაღობი ტიგელის საბურჯელების საქმენი მიწები და მილითონის ჩამჩა. აგრეთვე სპილენძის ზოდების ნატეხები იმისი მოწმობაა, რომ ზღვისპირა მსხვილი დასახლების თემებში შორს წასულა შრომის დანაწილების პროცესი — და მათ უაღრესად მალაგანვითარებული მეთუნეობა და ლითონდამამუშავებელი წარმოება ჰქონიათ<sup>27</sup>.

ამგვარად, ადრერკინის ხანის ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთი მეურნეობრივად თვითმარ ერთეულს წარმოადგენდა, სადაც, ამავე დროს, სოცია-

ний металлов, М., 1983, გვ. 37—47; И. А. Пицхелаури, Химико-минералогическое исследование древних грузинских металлургических шлаков, руд и огнеупорных обмазок (рукопись), Тб., 1961 (по указ. книге И. А. Гзелишвили, გვ. 82).

<sup>24</sup> В яч. Вс. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 38. და შშლ.

<sup>25</sup> А. И. Рамишвили, О назначении стоянок с „текстильной керамикой“ Восточного Причерноморья, СА, 1975, № 4, გვ. 36—44.

<sup>26</sup> ნ. ხახუტაიშვილი, ქართული მონათმფლობელური ქალაქის წარმოქმნა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების სინათლეზე. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, V, 1, თბ., 1960, გვ. 187—189; მისივე, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 67, შენიშვნა 81, გვ. 69—72.

<sup>27</sup> Т. К. Микеладзе, Д. А. Хакхутайшвили, Древнеколхидское поселение Намчедури, Тб., 1985 (იბეჭდება).

ლური განვითარების საკმაოდ მაღალი დონე შეინიშნება. ყოველ შემთხვევაში, როგორც ეს თავის დროზე აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა შენიშნა, კოლხეთის ბარში და ბარული მეურნეობის მქონე რაიონებში სწორედ ამ დროს სახეზეა კლასობრივი საზოგადოების, სახელმწიფოსა და ქალაქური ცივილიზაციის ჩასახვა-განვითარების პირობები.

დამახასიათებელი ფაქტია, რომ ამ პერიოდის მიწურულს ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთის ზღვისპირა ზოლში ჩნდება ქალაქური ტიპის მსხვილი დასახლება, რომლის სამეურნეო შესაძლებლობანი იმდენად მაღალია, რომ ჩქარა აქ მკვიდრდება ბერძნული თემიც. ეს გარემოება მრავალმეტყველი ფაქტია. ამ მოვლენის ეთნო-კულტურული ადგილის განსაზღვრა ძველი საქართველოს განვითარებაში ცალკე შესწავლის საგანია.

Н. Д. ХАХУТАЙШВИЛИ

## МЕЖДУРЕЧЬЕ ЧОЛОКИ-ОЧХАМУРИ В ЭПОХУ РАННЕГО ЖЕЛЕЗА

Резюме

Исследования последних лет, проведенные на территории Юго-Западной Грузии, в частности, в междуречье Чолоки-Очхамури, дают возможность сделать некоторые выводы относительно хозяйственного и социального развития населения этого региона в эпоху раннего железа (XII—VI вв до н. э.). Наряду с археологическими изысканиями, за последнее время было проведено также геоморфологическое изучение Колхидской низменности, давшее дополнительную информацию. В частности, были установлены обстоятельства, вынудившие население приморской аккумуляционной полосы Колхидской низменности оставить освоенные во II половине III тысячелетия земли, и только в XVI—XV веках вернуться туда.

Выявленные материалы говорят о том, что междуречье Чолоки-Очхамури освоено было уже в конце мезолита — начале неолита, о чем свидетельствуют памятники Анасеули, Джиханджури и Макванети.

В хозяйственном отношении население междуречья Чолоки-Очхамури в эпоху раннего железа уже характеризуется весьма развитым сельским хозяйством: пахотным земледелием, садоводством, льноводством, животноводством и т. д. Особого подъема достигло ремесленное производство. Главную роль среди ремесел играли добыча железа, литейное и кузнечное дело, гончарное производство.

Высокоразвитые сельское хозяйство и ремесла, людские ресурсы и легкодоступные природные богатства способствовали здесь производству прибавочного продукта и возникновению имущественного неравенства.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ევ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფი-  
ის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა

**ლაღამის მაცხოვრის ეკლესიის უძველესი მხატვრობა**

სვანეთი, საქართველოს მაღალმთიანეთის ეს მეტად თავისებური, ზვიადი სილამაზის მხარე, განსაკუთრებით მდიდარ მასალას სთავაზობს ქართული მონუმენტური მხატვრობის მკვლევარს. მის ეკლესიებში შემონახულ შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობის მრავალრიცხოვან, სხვადასხვა დროისა თუ მხატვრული ღირსების, ნიმუშთა რიგში თავისი მოკრძალებული ადგილი ლაღამის მაცხოვრის ეკლესიის ფრესკულ დეკორსაც უჭირავს.

ლაღამის მაცხოვრის ეკლესია, ერთ დროს მესტიის თემში შემავალი ს. ლაღამის შუაგულში აღმართული, ორი ვიწრო შუკის შესაყარზე მდგომი, მკვიდრად ჩამჯდარი მის გარმოში მიჯრით წამომართულ სვანურ კოშკებსა და სახლებს შორის, სვანური ხელოვნების მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლს წარმოადგენს. ეს არის ორსართულიანი ეკლესია, რომლის ქვედა ეკლესიაში მხატვრობის ორი ფენაა დარჩენილი, ხოლო ზედა ეკლესიაში, ინტერიერის შემამკობელი, ქვედა ეკლესიის მოხატულობისგან განსხვავებული ქრონოლოგიური ეტაპის ფრესკების გარდა, საფასადო მხატვრობაც არის შემორჩენილი. მართალია, ლიტერატურაში ეს ძეგლი უკვე დიდი ხანია ცნობილი, მაგრამ საგანგებო კვლევის საგანი იგი ჯერჯერობით არ გამხდარა.

პირველად ლაღამის ეკლესიას იხსენიებენ გასული საუკუნის მკვლევარნი, რომლებიც ძირითადად მასში დაცული სიძველეებით იყვნენ დაინტერესებულნი და მხოლოდ სხვათაშორის თუ აღნიშნავდნენ მასში ფრესკების არსებობას ფაქტ<sup>1</sup>. შემდეგ ამ მოხატულობებმა 1978 წ. სვანეთში სამოგზაუროდ ჩამოსული ფრანგი მკვლევრების, ე. მ. და ნ. ტიერების ყურადღება მიიპყრო<sup>2</sup>, ხოლო ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ IV საერთაშორისო სიმპოზიუმზე ისინი კვლავ იქცა განხილვის საგნად გ. ჭეიშვილისა და მ. ბუჩუკურის მიერ წაკითხულ მოხსენებაში „ზემო სვანეთის შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის ზოგიერთი თავისებურება (ინტერიერისა და ფასადების მოხატულობა)“ ზოგად დაახასიათეს რა ლაღამის ეკლესიის ოთხივე მხატვრობა, მათ სტილისტური ანალიზის საფუძველზე დაათარიღეს ქვედა ეკლესიის მოხატულო-

<sup>1</sup> И. Бартоломей, Поездка в Вольшую Сванетию полковника И. А. Бартоломея в 1853 г., Записки КОИРГО, III, Тиф., 1855.; Дм. Бакрадзе, Сванетия, Записки КОИРГО, VI, Тиф., 1864.; А. И. Стоянов, Путешествие по Сванетии, Записки КОИРГО, X, Тиф., 1876, вып. 2; П. Уварова, Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию, МАК, вып. X, М., 1904; თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარ., 1937.

<sup>2</sup> N. Thierry, Notes d'un voyage archeologique en Haute Svanetie (Georgie), Bedi Kartlisa, revue de kartvelologie, vol. XXXVII, 1979, გვ. 176—177.

ბის პირველი ფენა X ს-ით, მეორე ფენა — XII ს-ით, ხოლო ზედა ეკლესიის ინტერიერისა და ფასადის მხატვრობა — XIV ს-ით, გამოთქვეს გარკვეული მოსაზრებები ქვედა ეკლესიის თავდაპირველი მოხატულობის პროგრამის შესახებ და ივარაუდეს ქვედა ეკლესიაში მეორე ფენის მხატვრის მიერ თავდაპირველი მხატვრობის კომპოზიციის განმეორება, ოღონდ ზოგი სცენის გადაადგილებით. გარდა ამისა მათ წარმოადგინეს მხატვრების მიერ გამოყენებული საღებავების ანალიზის შედეგები და გამოთქვეს გარკვეული მოსაზრებები თვით ეკლესიის მშენებლობის შესახებაც<sup>3</sup>.

ლალამის ეკლესია, საქართველოში აგებული ზოგიერთი ორსართულიანი ეკლესიის მსგავსად, სხვადასხვა დროის აღმშენებლობის კვალს ატარებს<sup>4</sup>. ჩვენ შევჩერდებით მის უძველეს ნაწილზე, რომელიც ამ ნაგებობის პირველ სართულს წარმოადგენს. ესაა მცირე ზომის, მარტივი, მოკრძალებული სამლოცველო, ძირითად სივრცესთან შედარებით ფართოდ გადაშლილი, ღრმა სწორკუთხა საკურთხევლით, რომელიც კონქის მომრგვალებითაა დასრულებული. ეკლესია ნათღებოდა სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლებში გაჭრილი თითო მოზრდილი, ღრმა, თაღოვანი სარკმლით და ერთი მომცრო, მრგვალი სარკმლით დასავლეთით ეკლესიაში შესასვლელი ერთადერთი მოზრდილი, დაბალი კარის თავზე. მაგრამ ზედა ეკლესიის მშენებლობის დროს, ახალი კედლის მიშენებისას, ფასადზე გამავალი სამხრეთისა და დასავლეთის სარკმლები ამოიჭოლა. ხოლო აღმოსავლეთისა ძლიერ დავიწროვდა, რის გამოც ამჟამად ეკლესია თითქმის სრულიად ბნელია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლალამის ქვედა ეკლესიაში მხატვრობის ორი ფენა გაირჩევა, რომელთაც სხვადასხვა მდგომარეობაში მოაღწიეს ჩვენამდე. თავდაპირველი მოხატულობიდან ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ფრაგმენტები, რომლებიც ზედა ფენის დაზიანების შედეგად ჩანს — წმ. მეორებისა და წმ. დედათა ცალკეული ფრონტალური გამოსახულებანი (ტაბ. 1, 2), თითქმის ადამიანის სიმაღლის დონეზე წარმოდგენილი კედლების ქვედა ნაწილში, ისე რომ ეკლესიაში შესული უცბად ექცევა მის აქეთ-იქით აღმართული ფიგურების გარემოცვაში. ეს შთაბეჭდილება მით უფრო ძლიერდება, რომ ამ ძალზე პატარა, სრულიად ბნელ ეკლესიაში მოხვედრისას ადამიანი პირველ რიგში სწორედ ამ გამოსახულებებს აღიქვამს, საოცრად მეტყველი სახეებითა და უაღრესად შთაბეჭდავი, იქნებ ოდნავ მიაბიტი, გამომსახველობით; და უკვე მოგვიანებით, როდესაც თვალი ერჩევა ეკლესიაში გამეფებულ სიბნელეს, ამ ერთიანი სიშავიდან იგი თანდათან გამოარჩევს მეორე ფენის მხატვრობას.

ფრაგმენტულობის მიუხედავად, ლალამის ქვედა ეკლესიის თავდაპირველი მხატვრობა მაინც იძლევა საშუალებას ვილაპარაკოთ მხატვრობის საერთო

<sup>3</sup> Г. Чейшвили, М. Бучукури, Некоторые особенности памятников средневековой росписи в Верхней Сванетии: 1. росписи интерьера, 2. Фасадные росписи, IV Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983.

<sup>4</sup> იხ. შოვერეთის, სხვალოსციხისა და უჯარმის ეკლესიები, Р. Мепишავილი, Архитектурный ансамбль Гелати, Тб., 1966, გვ. 113; Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1950, გვ. 199, 515 და ი. ციციშვილი, უჯარმა, თბ., 1982, გვ. 33—43.



ტაბ. 1. ლაღამის მაცხოვარი წმ, თვედორე

ფერადოვან გადაწყვეტაზე, სახისა თუ სამოსის დამუშავების მანერაზე და საერთო იკონოგრაფიულ პროგრამაზეც კი.

საკურთხეველის კონქში გამოხატული იყო „ვედრება“, რომელიც საკურთხეველის კონქის შემამკობელი კომპოზიციის სახით აღრევე ჩნდება „ქრისტეს დიდების“ თემის გვერდით. მას ვხვდებით ზემო სვანეთის აღრეული ხანის მთელ რიგ მოხატულობათა პროგრამაში — უბიანის ლამარიას, სვიფის ჭგრაგის, ფხოტრერის თარინგზელის (სამივე X ს.) და იფხის ჭგრაგის (X—XI სს. მიჯნა) ეკლესიათა მოხატულობებში<sup>5</sup>. ლალამში თავდაპირველი კომპოზიციიდან დარჩენილია მხოლოდ ღვთისმშობლის წითელი მაფორიუმის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი, რომელიც ნახევარფიგურებისაგან შემდგარ მეორე ფენის „ვედრებაში“ ღვთისმშობლის ფიგურის დაზიანების შედეგად ჩანს და ამ ადგილას კვლავ ღვთისმშობლის გამოსახულების არსებობას ადასტურებს; ხოლო ის ფაქტი, რომ ვეცს ორივე ფიგურა ერთი სიდიდისაა (ქვედა ფენის მაფორიუმი ზუსტად ემთხვევა ზედა ფენის მაფორიუმის ადგილმდებარეობას) საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მეორე ფენის ოსტატმა გაიმეორა თავდაპირველი კომპოზიციის ზოგადი მონახაზი. ამასთანავე, კონქის ქვემოთ გამავალი ორნამენტის ზოლს წყალობით, ზუსტად არის მონიშნული კონქის კომპოზიციის ქვედა ზღვარი, რომელსაც არც მეორე ფენის კომპოზიცია არ ღვევს და, საფიქრებელია, რომ ამ არც ისე დიდ არეზე ოსტატი ალბათ უფრო ნახევარფიგურებს მოათავსებდა, ვიდრე სრული ტანის გამოსახულებებს. სხვა მხრივაც, სამი ნახევარფიგურისაგან შემდგარი კომპოზიცია, რომელსაც დათმობილი ჰქონდა მთელი კონქი, უკეთ უნდა მისადაგებოდა მხატვრობის საერთო მონუმენტურ ხასიათსაც.

კონქის შემამკობელ კომპოზიციად ნახევარფიგურებიანი „ვედრების“ გამოყენება შედარებით იშვიათია შუა საუკუნეების მონუმენტურ მხატვრობაში. სვანეთში იგი გვხვდება იფარის თარინგზელის (1096 წ.), ლაგურკას (1112 წ.), წვირმის თარინგზელ ჩობანის (XII ს.) ეკლესიების მოხატულობებში და აგრეთვე იფარის სამხრეთისა (XII ს.) და იფხის სამხრეთის ფასადებზე (XIII ს.).

როგორც უკვე ვახსენეთ, კონქის კომპოზიცია გამოყოფილი იყო შავი

<sup>5</sup> ვედრება იყო გამოსახული მესტიის ფუზდის ეკლესიის საკურთხეველის კონქშიც. მართალია, თვით მოხატულობა უფრო გვიანი დროისაა (წ. აღადაშვილი მას XIII ს. მიკუთვნებს), მაგრამ მკვლევართა აზრით იგი X—XI ს. დასაწყისის ტრადიციას მისდევს.

Н. Аладашвили, Композиция алтарной конхи в живописи Сванети, IV Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983; Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Живописная школа Сванети, 1983; Т. Шевякова, Монументальная живопись раннего средневековья Грузии, Тб., 1983, მისივე, Роспись первого слоя живописи церкви Ламариа сельсовета Ушгул (Верхняя Сванетия), მაცნე, 1964; მისივე, პირველი ფენის მხატვრობა სოფელ სვიფის ეკლესიაში (ზემო სვანეთი). საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. 1960, ტ. XXIV, № 6; მისივე. ს. იფხის (ზემო სვანეთი) მახლობლად მდებარე წმ. გიორგის (ჭგრაგ) ეკლესიის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1963, ტ. XXV № 6.

<sup>6</sup> საკურთხეველის კონქში ნახევარფიგურებისაგან შედგენილი „ვედრების“ განთავსების მაგალითებისათვის შუა საუკუნეების მონუმენტურ მხატვრობაში იხ. Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Живописная школа... გვ. 41—42.

და თეთრი დიდი უჯრედებისაგან შედგენილი ჭადრაკისებრი ორნამენტის ძალზე ფართო ზოლით, რომლის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი დარჩენილია საკურთხევლის კედლის ჩრდილო მონაკვეთში. თვით ორნამენტის მსხვილი მასშტაბი და ის ფაქტიც, რომ იგი, ეკლესიის დანარჩენ კედლებზე აღარ მეორდება, გვაფიქრებინებს, რომ იგი, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ როლს ასრულებდა კონქის კომპოზიციის აქცენტირებაში.

ღარბაზში მხატვრობა ორ რეგისტრად იყო განაწილებული. აქ რეგისტრების გამოყოფად გამოყენებულია განსხვავებული ორნამენტული მოტივის—კვლავ შავ-თეთრის მონაცვლეობაზე აგებული კიბისებრი ორნამენტის—შემცველი შედარებით ვიწრო ზოლი, რომელიც კარგადაა შემონახული სამხრეთისა და დასავლეთის კედლებზე. იმის გამო, რომ საპირისპირო კედლებზე ორნამენტი ერთსა და იმავე დონეზე ვადის, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი უწყვეტ ზოლად შემოუვლიდა სამივე კედელს და მხატვრობის ერთიან, მკაფიო ჰორიზონტალურ დანაწევრებას ქმნიდა.

ზედა რეგისტრი საუფლო დღესასწაულთა სცენებს ეჭირა. დასავლეთის კედლის ზედა, თაღოვან არეზე, სარკმლის მარცხნივ, შემორჩენილია ორნამენტულ ზოლზე ძლიერ გადმოსული, საკმაოდ მოზრდილი, ლამაზი ფორმის ტერფის გამოსახულება, რომელიც ქანგისფერი ოქრითაა დაფერილი და მარგალიტების ორი რიგითაა შემკული. დიაგონალურად მიმართული, იგი უკან წადგმული ფეხის ნაწილი უნდა იყოს და ამასთან წინადადგმული ფეხის არსებობასაც გულისხმობს. თუ კი გავითვალისწინებთ სასურათო არეს, რომლის შესავსებად კომპოზიციის მარჯვენა ნაწილში მეორე ფიგურა აუცილებელია, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამგვარი მოძრაობით მხოლოდ მახარებელი გაბრიელ მთავარანგელოზი შეიძლება იყოს გამოსახული, რაც ამ ადგილას „ხარების“ სცენის არსებობას ადასტურებს.

ხარების სცენის განთავსება დასავლეთის კედლის ზედა ნაწილში საკმაოდ იშვიათია ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში, სადაც მას, უფრო ხშირად, კამარის ჩრდილოეთი, ან ზოგჯერ, სამხრეთი კალთა ეთმობა ხოლმე. დასავლეთის კედლის თაღოვან არეზე ხარების სცენის გამოსახვას ვხვდებით იფრარის თარინგზელის (1096 წ.), წვირმის მაცხოვრის (XII ს.), წვირმის ჩობან თარინგზელის (XII ს) ეკლესიებში სვანეთში და წმ. გიორგი კა-

7 კამარის ჩრდილოეთ კალთაზეა გამოსახული „ხარება“ მაცხვარიშის მაცხოვრის (1140 წ.), იელის მაცხოვრის (XIII ს.), ფენისის წმ გიორგის (XII ს. ბოლო), ჭოხულდის მაცხოვრის (XIII ს.), ლაღამის მაცხოვრის ზედა ეკლესიის, სვიფის ჭვარავის მეორე ფენის, ლაშთხვარის თარინგზელის (სამივე XIV ს.) და ა. შ. ეკლესიათა მონახტულობებში კამარის სამხრეთის ფერდზე გვხვდება იგი ხეს ბარბალის (XIII), იენაშის იანის (XIII—XIV ს.) და ლაშთხვარის მხერის (XIV ს.) ეკლესიების მონახტულობებში. იხ. Т. Б. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаэла Маглакели в Мацхвариши, Ars Georgica, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 172, სურ. 3; Э. Привалова, Павлиси, Тб., 1977, გვ. 18, სურ. 5; Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Живописная школа... გვ. 119, სურ. 30; И. Кипшидзе, Некоторые особенности образа Архангелов в средневековой живописи Сванетии, II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1977; მისივე, ზემო სვანეთის ს. ზეს ეკლესიის მხატვრობის იკონოგრაფიული სქემის თავისებურება, „მაცნე“, 1975, № 3; მისივე, შუა საუკუნეების სვანეთის კედლის მხატვრობისა და ხატწერის ურთიერთობისათვის, „საბჭოთა ხელოვნება“, 1977, №1; Г. Чейшвили, М. Бучукури, Некоторые особенности...



ლაუბნელის ეკლესიაში მცხეთასთან (XII ს. შუაწლები)<sup>8</sup>. შეიძლება კიდევ ვიფიქროთ, რომ სვანური მაგალითების სიმრავლე რაღაც დამკვიდრებულ ადგილობრივ ტრადიციას მიგვანიშნებს, რომლის ადრეულ ძირებზე მეტყველებს ლაღამის თავდაპირველი მხატვრობა, სადაც დასავლეთის კედლის ზედა არეზე ასევე „ხარება“ იყო გამოსახული — კომპოზიციის მარცხენა ნაწილში მთავარანგელოზი, მარამისაკენ მიმართული მოძრაობით, და მარჯვნივ მარამი, ამჟამად მთლიანად დაფარული მეორე ფენის მხატვრობით. ფენის სიღრმისა და იმ არის გათვალისწინებით, რომელიც ფიგურებს ეთმობოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც მთავარანგელოზის, ისე მარამის ფიგურები საკმაოდ დიდი ზომისა უნდა ყოფილიყო, რაც მშვენიერად უნდა მისადაგებოდა კონქის კომპოზიციის ფიგურების ხასიათს.

კამარის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კალთაზე თავდაპირველი მხატვრობის ფრაგმენტები არსად შეიმჩნევა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ამჟამად მხატვრობის ზედა რეგისტრის მეორე ფენის სცენებიდან „ხარება“ კამარის სამხრეთის კალთაზეა მოთავსებული, ხოლო „შობა“ დასავლეთის კედლის თაღოვან არეზე, ჩვენს გვაფიქრებინებს, რომ მეორე ფენის ოსტატმა უბრალოდ ადგილები შეუწაცვლა თავდაპირველი მოხატულობის ამ სცენას, რომელთაგან „ხარება“ დასავლეთის კედელზე იყო გამოსახული, ხოლო „შობა“ — კამარის სამხრეთის ფერღზე. ამასვე ადასტურებს ისიც, რომ სვანეთში „შობის“ სცენის კამარის სამხრეთის ფერღზე განთავსების მკვიდრი ტრადიცია შეინიშნება. ადრეული ხანის მოხატულობებიდან „შობის“ სცენის ამგვარი გამოსახვის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სეიფის ჯგრაგის ეკლესიის თავდაპირველი მხატვრობა (X ს.)<sup>9</sup> და ფუზდის ეკლესიის მოხატულობაც (XIII ს.), რომელიც თავისი გადაწყვეტით ადრეულ ტრადიციას მისდევს („შობის“ სცენა აქაც კამარასა და კედლის ზედა ნაწილზეა განაწილებული), ხოლო სხვა მაგალითებისათვის უნდა გავიხსენოთ იფრარის თარინგზელის

8 ასევე სარკმლის ორსვე მხარეს, ოღონდ არა დასავლეთის კედლის ზედა თაღოვან არეზე, არამედ საკუთრებელის შუბლზე, არის განაწილებული „ხარება“ ზემო კრიხის მთავარანგელოზთა ეკლესიაში. ამ სცენის არატრადიციული ადგილას გამოსახვის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს წალენჯიხის სამხრეთ-დასავლეთის ეკვდერი, სადაც „ხარება“ წარმოდგენილია ეკვდრის ჩრდილოეთის შესასვლელის თავზე. იხ. Т. Вирсаладзе, Фресковая роспись церкви Архангелов села Земо Крихи, Ars Georgica, ტ. 6, სერ. А, თბ., 1963, გვ. 112, სურ. 1. Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Живописная школа... გვ. 34, სურ. 12, გვ. 103, სურ. 24. Э. Привалова, Роспись церкви Георгия Калаубанского близ Мцхета, Ars Georgica, ტ. 8, სერ. А, თბ., 1979, გვ. 139, სურ. 12.

9 აქ, მართალია, აფსიდის უშუალოდ მომიჯნავედ გამოსახული „შობის“ სცენა, ისევე როგორც კამარის სხვა კომპოზიციები, მხატვრობის უფრო გვიანდელ, მეორე ფენას მიეკუთვნება, მაგრამ ფერადოვანი შრის დაზიანების გამო, აქ გაიჩრევა თავდაპირველი მხატვრობის რაღაც ნაგლეჯები და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეორე ფენის ოსტატი ბევრ რამეში იმეორებს პირველი ფენის მოხატულობას — კონქში მოთავსებული მეორე ფენის „ვედრების“ კომპოზიციით შეიძლება გავარჩიოთ პირველი ფენის „ვედრების“ ფიგურები, სამხრეთის კედელზე მოთავსებული მეორე ფენის ლაზარეს აღდგინების ქვეშ, ზედა ფენის გამაგრების დროს, რესტავრატორებმა დააფიქსირეს პირველი ფენის იმავე კომპოზიციის არსებობა, ჩრდილოეთის კედელზე გამოსახული პირველი ფენის მხედარი წმ. გიორგის ფიგურა მეორე ფენის მხატვრობაშიც მეორდებოდა — შეიძლება დავუშვათ, რომ აქ თავდაპირველად „შობის“ კომპოზიცია იყო მოთავსებული.

(1096 წ.), ლაგურკას (1112 წ.), ნაიფარის ჯგრაგის (1130), წვირმის მაცხოვრის (XII ს.), მაცხვარიშის მაცხოვრისა (1140 წ.) და ა. შ. მოხატულობები, შეიძლება კიდევ მრავალი მაგალითის მოტანა როგორც XIII—XIV სს. ისე გვიანა ხანის მხატვრობიდანაც<sup>10</sup>.

რაც შეეხება იმას, თუ რა სცენა იყო გამოსახული კამარის ჩრდილოეთის ფერდზე, ამაზე ვადაპრით რისამე თქმა ძნელია, რადგან აქ სულ უმნიშვნელო რამ ხელმოსაჭიდიც კი აღარ არის დარჩენილი. გ. ქეიშვილი და მ. ბუჩუკური ფიქრობენ, რომ კამარის ჩრდილოეთის კალთასა და კედელზე თავდაპირველად გამოსახული იყო ჯვარცმა, რომელიც ეკლესიის მეორედ მოხატვის დროს გაიმეორა XII ს. ოსტატმა<sup>11</sup>. ჩვენ ეს ნაკლებ მოსალოდნელი ვგვონია, მით უფრო, რომ სამხრეთისა და დასავლეთის კედლების შემთხვევაში მან შეცვალა სცენების განაწილება. უფრო სავარაუდოა, რომ აქ გამოსახული ყოფილიყო „ნათლისღება“, ისევე როგორც იფარის თარინგზელის ეკლესიაში (1096 წ.). ამ ვარაუდს მხარს უჭერს აგრეთვე ის დიდი სიახლოვე, რომელსაც ლაღამის თავდაპირველი მხატვრობის საერთო პროგრამა ამჟღავნებს იფარის მოხატულობის საერთო პროგრამასთან. თუმცა, რა სცენაც არ უნდა გამოესახა მხატვარს, ერთი რამ სავსებით ცხადია: აქ აუცილებლად იქნებოდა მხოლოდ ერთი კომპოზიცია, რომელიც დაიკავებდა კამარის ჩრდილოეთ კალთასა და კედლის დიდ ნაწილს, ისევე როგორც „შობის“ სცენის განლაგების შემთხვევაში.

თუ ანალოგიების ძიებაში ადრეული ხანის სვანეთის კედლის მხატვრობის სხვა ნიმუშებს მივმართავთ, აღმოჩნდება, რომ ლაღამის მოხატულობის საერთო პროგრამა განსხვავდება მათგან. პროგრამის აგების მხრივ ეს მოხატულობები დიდ მრავალფეროვნებას გვიჩვენებს. ერთი მხრივ, მათ შორის ე. წ. არასრული დეკორის ნიმუში მოგვეპოვება, როდესაც მოხატულია მხოლოდ საკურთხეველი, ხოლო ეკლესიის დანარჩენი ნაწილი მოუხატავადაა დატოვებული, მაგ. ნეზუნის მხატვრობის პირველი ფენა (IX—X სს.)<sup>12</sup>; მეორე მხრივ, სხვა მოხატულობებში უკვე სრული დეკორის გამოყენებას ვხვდებით, როდესაც მხატვრობით ეკლესიის მთელი ინტერიერი იფარება. მაგ., აცის თარინგზელის (X ს. ბოლო), უბიანის ლამარიას (X ს.), იფხის ჯგრაგის (X—XI ს.), აღიშის ჯგრაგის (XI ს. დას.) ეკლესიათა მოხატულობები. მაგრამ ლაღამის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობისაგან განსხვავებით, მათ

<sup>10</sup> კამარის სამხრეთის ფერდზე განთავსებული „შობა“ ქოხელის მაცხოვრის (XIII ს.), ხეს ბარბალის (XIII ს.), იფანის იანის (XIII—XIV ლაღამის მაცხოვრის ზედა ეკლესიის, სვიფის ჯგრაგის მეორე ფენის, ლაშხვერის თარინგზელის და მხერის (თხივე XIV ს.), მაცხვარიშის თარინგზელის ეკლესიათა (XVI ს.) და ა. შ. მოხატულობებში. იხ. რ. ალადაშვილი, *Г. Алибегашвили, А. Вольская, Живописная школа...* გვ. 35, სურ. 14. გვ. 61. სურ. 18; გვ. 82, სურ. 22; გვ. 106, ს. 26; გვ. 115, ს. 28; გვ. 119, ს. 30. *Т. Вирсаладзе, Фресковая роспись... в Мацхвариши...* გვ. 173, სურ. 4; *Г. Чейшвили, М. Бучукури, Некоторые особенности...* გვ. 16, ტაბ. 3.

<sup>11</sup> *Г. Чейшвили, М. Бучукури, Некоторые особенности...* გვ. 7.

<sup>12</sup> *Н. Аладашвили, Композиция алтарной конхи...*; *Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Живописная школа...*; *М. И. Ив. Н. Шевякова, Монументальная живопись...*; მისივე, ნეზუნის (ზემო სვანეთში) ეკლესიის მხატვრობის თარიღის საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1959, ტ. XXIII, № 1.

ში ზუსტად არ არის დაცული მხატვრობის სხვადასხვა ნაწილის იერარქიული ურთიერთდაქვემდებარება<sup>13</sup>, თუმცა ლაღამის მოხატულობასთან მათ ერთი რამ მაინც აქვთ საერთო: კერძოდ, ის, რომ მცირე ზომის ეკლესიების მთლიანად მოხატვისას მხატვრები სცენების მინიმალური რაოდენობით იფარგლებიან. რაც შეეხება სვიფის ჯგრაგის ეკლესიის თავდაპირველ მხატვრობას (X ს.), ისიც სრული დეკორის ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება და მასში ნაწილების იერარქიული ურთიერთდაქვემდებარებაცაა დაცული, რადგან კამარაზე ათორმეტ დღესასწაულთა ციკლის სცენები იყო გამოსახული, ხოლო წმ. მეომრებისა და ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებები კედელზე, მხატვრობის მეორე რეგისტრშია ჩამოტანილი. მაგრამ თვით ეკლესიის ბევრად უფრო დიდი ზომის გამო, აქ კამარაზე არა ორი, არამედ ოთხი სცენის განთავსების საშუალება ეძლევა მხატვარს, ხოლო მხატვრობის საერთო იკონოგრაფიული პროგრამა ბევრად უფრო განვრცობილი იყო, ვიდრე ლაღამში და ყველა ზემოხსენებულ მოხატულობაში. და აქ თითქოს ბუნებრივად იბადება ასოციაცია იფრარის თარინგზელის ეკლესიის მოხატულობასთან (1096 წ.), სადაც აგრეთვე, კამარაზე თითო-თითო სცენაა წარმოდგენილი (სამხრეთის კალთაზე — „შობა“, ხოლო ჩრდილოეთისაზე — „ნათლისღება“). ხოლო მეორე რეგისტრი წმ. მეომრებისა და ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებებს ეთმობა. საერთოდაც, მხატვრობის საერთო იკონოგრაფიული პროგრამა ორივე ეკლესიაში დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს (ერთი და იგივე კომპოზიცია კონქში, დასავლეთის კედლის ზუსტად იდენტური გადაწყვეტა, კამარა), რაც იმაზე ხომ არ უნდა მეტყველებდეს, რომ იფრარის ეკლესიის მოხატვისას მეფის მხატვარ თევდორესათვის ამოსავალი რაღაც ძველი, ადგილობრივი ტრადიცია იყო, რომელიც მან გადაამუშავა და განავითარა თავისი მხატვრული მიდგომისა და ამოცანის შესაბამისად<sup>14</sup>.

ლაღამის მხატვრობის მეორე რეგისტრი ცალკეულ წმინდანთა ფრონტალურ გამოსახულებებს ეთმობოდა, რომელნიც წარმოდგენილნი არიან თეთრ, ამჟამად ოდნავ გაჟუჟუიანებულ მონაცრისფრო, ფონზე, ერთნაირად დიდი ზომის ფერადი შარავანდებით, რომელთაც ყველგან ერთნაირი სამმაგი კონტუ-

<sup>13</sup> მაგ., აცის თარინგზელის ეკლესიაში (X ს. ბოლო) კამარის სამხრეთის ფერდზე ერთმანეთისავენ მიმართული ორი მხედარია — წმ. გიორგი და წმ. თევდორე — გამოსახული, ხოლო კედლის რეგისტრში ჩამოტანილია მაცხოვრის საფლავადგმის სცენა, ასევე კამარაზე გამოსახული წმ. მეომრები იფხის ჯგრაგის (X—XI ს.), ყიზიანის ლამარის (X ს.) და ადიშის ჯგრაგის (XI ს. დას.) ეკლესიათა მოხატულობებში. ყურადღებას იქცევს აგრეთვე აცისა (X ს. ბოლო) და იფხის (X—XI ს.) ეკლესიათა მოხატულობებში ეკლესიის მამათა ფიგურების აფსიდიდან დარბაზის კედლებზე გადტანაც. აცში ისინი დასავლეთის კედელზე არიან განთავსებულნი, ხოლო იფხში, სამხრეთის კედლის ქვედა რეგისტრში. იხ. ნ. ალადაშვილი, გ. ალიბეგაშვილი, ა. ვოლსკაია, Живописная школа... გვ. 19, სურ. 5; გვ. 26, სურ. 10; Т. Шевакова, Монументальная живопись... ტბ. 92, 94; მისივე, ს. ადიშის (ზემო სვანეთი) ვარეთ მდებარე ეკლესიის „ჯგრაგ“ მოხატულობის თარღის საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1961, ტ. XXVIII, № 3; მისივე, ს. იფხის... დათარიღების საკითხისათვის; მისივე, Роспись первого слоя... II. Ламария...

<sup>14</sup> სხვა შემთხვევაში მეფის მხატვარ თევდორეს მიერ ძველი, უკვე ცნობილი სქემების თავისებური გადაამუშავების შესახებ იხ. М. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Живописная школа... გვ. 43.

რი აქვს — განიერი შავი, შარავანდის შიდა პირის უშუალოდ შემომსახვრავი, შემდეგ უფრო ფართო, თეთრი ზოლი (ხელუხლებლად დატოვებული ფონი) და სულ კიდურა, შავი კონტურის სისქისავე წითელი ზოლი.

დასავლეთის კედელზე, კარის ორსვე მხარეს, სიმეტრიულად წმ. ბარბარესა და წმ. ეკატერინეს ფიგურები იყო წარმოდგენილი. წმ. ეკატერინეს გამოსახულებისაგან დარჩენილია მხოლოდ მისი მაღალი მოყანგისფრო ოქრისფერი გვირგვინი წითლად დაფერილი შუაგულით, რომელიც ბაცი მოყავისფრო კონტურითაა შემოსაზღვრული და ქანგისფერი ოქრით მონიშნული თითქმის მთლიანად გადაცილილი, მისი სახის აღმნიშვნელი მოსამზადებელი ნახატი (დარჩენილია მხოლოდ სახის მარცხენა მხარე). გაირჩევა აგრეთვე წმინდანის განმარტებითი წარწერის ფრაგმენტები — 746 (ეკნ: ეკატერინე).

წმ. ბარბარეს ფიგურა ბევრად უკეთესადაა დაცული — იგი შემორჩენილია მკერდამდე, გამოწყობილი მოწითალო-ვარდისფერ მოსახამში, რომ-



ტაბ. 2. ლამის ქვედა ეკლესია. წმ. ბარბარე

ლის ქვეშ წითელი კაბა აცვია, მსხვილი თეთრი წერტილებით აღნიშნული მარგალიტებით უხვად შემკული ბაცი ყავისფერი გულისპირით. მარცხენა ხელი მას ლოცვის ნიშნად მკერდთან აქვს აღმართული. თავზე მას მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით შემკული წვრილი დიადემა აქვს თეთრი ურთიერთგადამკვეთი ხაზებით აღნიშნული ბადით, რომელიც მთლიანად ფარავს მის შავ თმას და ნიკაპის ქვეშ არის გადანასკვეული: ცალ მხარეს, მარცხნივ, კისერთან, ბადიდან გამოშლილი შავი კავია ჩამოშვებული. წმ. ბარბარეს სახე ასევე კარგადაა შემონახული — კვერცხისებრი სახის ოვალი მსხვილი ნაკვთებით: დიდი, ოღნავ გვერდით ჩამოწეული, თითქოს ირიბად ჩასმული თვალე-

ბი, არც ისე ვიწრო, თითქმის სწორი ხაზებით აღნიშნული წარბები, გრძელი, მსხვილი ცხვირი, მოზრდილი, ლამაზად დაკეცილი ტუჩები. ზემოთ, წმინდანის თავის ორსავე მხარეს დიდი შავი ასოებით შესრულებული განმარტებითი ასომთავრული წარწერაა **წა ლღ** (წაბზე; წმიდაი ბარბარე). ამ გამოსახულებას ახლავს რუხი, თითქმის შავი შარავანი (ტაბ. 2).

დასავლეთის კედელში გაჭრილი კარის ორსავე მხარეს წმ. ბარბარესა და წმ. ეკატერინეს ფიგურების სიმეტრიული განთავსების შემთხვევები არც ისე იშვიათია სვანეთში. მაგ., იფარის თარინგზელის ეკლესიის მოხატულობის (1096 წ.) დასავლეთის კედლის გადაწყვეტაში ზუსტად იგივე სქემაა გამოყენებული — თაღოვან არეზე ხარება, ხოლო ქვედა რეგისტრში წმ. ბარბარესა და წმ. ეკატერინეს ფრონტალური ფიგურები. დასავლეთის კარის აქეთ-იქით წმ. ბარბარესა და წმ. ეკატერინეს ფიგურებს ვხვდავთ აგრეთვე ლავურკას ეკლესიის მოხატულობაში (1112 წ.), რომლის დასავლეთის კედელი თავისი საერთო კომპოზიციური გადაწყვეტითაც — თითო ფიგურა, სიმეტრიულად განლაგებული სარკმლისა და კარის ორსავე მხარეს — ვარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს ლაღამის, იფარისა (1096 წ.) და წვირმის თარინგზელ ჩოხანის (XII ს.)<sup>15</sup> ეკლესიების მოხატულობების დასავლეთის კედლის სქემასთან, თუმცა ლავურკაში ხარების ნაცვლად ზედა ნაწილში ეკლესიის პატრონების, წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას გამოსახულებებია წარმოდგენილი, რაც ნავსებით ბუნებრივია, თუკი გავითვალისწინებთ ეკლესიის პატრონის თემის ტრადიციულ აქცენტირებას მხატვრობის საერთო სისტემაში შუა საუკუნეების ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში. დასავლეთის კედლის ქვედა რეგისტრში, კარის აქეთ-იქით, წმ. ბარბარესა და წმ. ეკატერინეს ფრონტალური ფიგურების სიმეტრიულ განლაგებას ვხვდებით აგრეთვე წვირმის თარინგზელ ზავარის ეკლესიის მოხატულობაში (XIII ს.) და შეიძლება გავიხსენოთ კიდევ ერთი მაგალითი ამ წმ. დედათა განთავსებისა დასავლეთის კედელზე, თუმცა ამ შემთხვევაში მთელი კედლის საერთო კომპოზიციური გადაწყვეტა სრულიად განსხვავებულია ყველა ზემოხსენებული მოხატულობისაგან. მხედველობაში გვაქვს წმ. გიორგი კალაუბნელის ეკლესიის მოხატულობა (XII ს. შუაწლები), სადაც დასავლეთის კედლის ზედა თაღოვან არეზე გამოსახული „ხარების“ ქვეშ, ცხენოსანი წმ. თევდორეს გამოსახულებაა მოთავსებული, ხოლო მის გვერდით დარჩენილი თავისუფალი არე შევსებულია ერთმანეთის თავზე განლაგებულ მართკუთხა ჩარჩოებში ჩასმულ წმ. დედათა ფრონტალური ნახევარფიგურებით, რომელთაგან ორი — წმ. ბარბარე და წმ. ეკატერინეა<sup>16</sup>.

ლაღამში სამხრეთის კედლის მეორე რეგისტრი წმ. მეომართა რიგს ეთმობოდა, რომელთა ფრონტალური ფიგურები ამჟამად მხოლოდ მკერდამდეა

<sup>15</sup> მართალია, წვირმის თარინგზელ ჩოხანის ეკლესიის მოხატულობაში (XII ს.) დასავლეთის კედლის ქვედა რეგისტრის გამოსახულებები არ არის შემორჩენილი, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქაც, კარის ორსავე მხარეს, სიმეტრიულად, წმინდანთა თითო ფრონტალური ფიგურა იქნებოდა გამოსახული.

<sup>16</sup> Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Живописная школа... გვ. 34, სურ. 12; გვ. 57, სურ. 16; Э. Привалова, Роспись церкви Георгия Калаубанского... гв. 139, сур. 2.



ტაბ. 3. ლაღამის ქვედა ეკლესია წმ. მეომრების რიგი—წმ. თევდორე, წმ. არტემი, წმ. გიორგი



შემორჩენილა. საკურთხეველის უშუალოდ მომიჯნავე ფიგურა ძლიერაა დაზიანებული. სამწუხაროდ, დაღუპულია როგორც მისი სახე, ისე მისი სახელის აღმნიშვნელი განმარტებითი წარწერა. ამ მეომარს მოსავდა, მოყვითალო ოქრაზე თეთრით მონიშნული აბჯარი, ხოლო მხრებზე მუქი, თითქმის შავი მოსასხამი ჰქონდა გადაადებული, რომლის ბოლოები სამკუთხედად იკვრება მკერდზე. ამ ფიგურას ადგას დიდი შარავანი, რომლის შიდა არე ბაცი ქანგისფერი ოქრითაა დაფერილი. ამ მეომრის ვინაობა ჩვენთვის სრულიად უცნობი დარჩებოდა, რომ არა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, გ. მასხრაშვილის მიერ ამ 30-ოდე წლის წინათ გადაღებული ერთი ძველი ფოტო<sup>17</sup>, რომელზედაც მშვენივრად არის შემორჩენილი ამ ფიგურის ტანის დიდი ნაწილი და, რაც მთავარია, სახე: ოდნავ მოგრძო, სავსე ოვალი მსხვილი ნაკეთებით — დიდი, ფართოდ გახელილი თვალები, თითქმის სწორ ხაზად დიაგონალურად დახრილი წარბები, გრძელი ცხვირი, ყულფად მონიშნული ზედა ტუჩი და ულვაშები, მოკლე, სამკუთხედად ჩამოსული წვერი და დაბალ შუბლზე თითქოს ქუდივით ჩამოწეული, მსხვილი რკალებით აღნიშნული თმის კულულებს ერთიანი მასა. მართალია, ამ მეომრის სახელის აღმნიშვნელი წარწერა არ შემოგვრჩა, მაგრამ იკონოგრაფიული ტიპის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი წმ. თევდორეა, რომელიც ყოველთვის გამოსახება წვერივ და თითქოს ქუდივით შუბლზე ჩამოწეული, კულულებად დახვეული მოკლე თმით. (შეად. წმ. თევდორეს გამოსახულებებს მეფის მხატვარ თევდორეს მოხატულობებში, აგრეთვე ჰედურ ხატებზე). (ტაბ. 2)<sup>18</sup>.

წმ. თევდორეს გვერდით გამოსახულია წმ. არტემი, ბევრად უკეთესად შემორჩენილი ამ მხრივ, რომ დარჩენილია თითქმის მთელი მისი სახე და მხართან აწეული მარჯვენა ხელი მოღუნული თითებით, რომლებითაც მას შუბი უჭირავს. წმ. არტემს აცვია მუქ რუხზე შავით აღნიშნული აბჯარი, რომელზედაც ოდნავ მოწითალო ელფერის მქონე ქანგისფერი ოქრით დაფერილი მოსასხამი აქვს მოხურული. ზემოთ აწეული მკლავის სახელო განიერი მაჯით არის დასრულებული, რომელიც თავსა და ბოლოში თეთრი მსხვილი წერტილებით აღნიშნული მარგალიტების თითო რიგითაა შემკული. წმ. არტემის სახე, ოდნავ მოგრძო, კვარცხისებრი ოვალი, ყვრიმალბთან განიერი და ნიკაპისკენ დავიწროვებული, თითქოს კიდევ უფრო დაგრძელებული ჩანს მოწითალო ელფერის ყავისფერი მოკლე წვერის გამო, რომელიც სამკუთხედად არის ჩამოსული ნიკაპიდან. მას, ისევე როგორც დანარჩენ გამოსახულებებს, მსხვილი სახის ნაკეთები აქვს — დიდი, ფართოდ გახელილი თვალები, სქელი მორკალული წარბები, გრძელი მსხვილი ცხვირი, მოკ.

<sup>17</sup> ამ ფოტოსურათის გაცნობის საშუალება ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ა. ვოლსკაიმ მომცა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვასხენებ.

<sup>18</sup> М. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Росписи художника Тевдоре в Верхней Сванетии, Тб., 1966, ტაბ. 18, 33—34, 50—51, ვასთანავე, წმ. თევდორეს გამოსახულებები ჩუკულის კარედი ხატის მარჯვენა ფრთაზე, საყდარის საკურთხეველის წინამდებარე ჭარზე, ბრავაღძალის ხატზე (სამივე X ს.), სვეტის წმ. გიორგის ხატის ჩარჩოზე (XI ს.), თენაშის ხატზე. იხ. Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, т. II, ტაბ. 46, 37, 40—41.

ლე, გვერდზე დაწეული უღვაშებიდან გამოჩენილი, თეთრას ფართო მონას-  
 მით მონიშნული ზედა ტუჩის ყულფით; მისი თმები, ოდნავ მოუწესრიგებ-  
 ლად ჩამოსული კისერთან, წვერის მსგავსად ყავისფერია, მოწითალო ელფე-  
 რით, რაც საერთოდ მის სახეს ერთგვარ „წითურ“ შეხედულებას ანიჭებს. ამ  
 გამოსახულებას ახლავს მუქი რუხი, თითქმის შავი, შარავანდი, ხოლო მის  
 ორსავ მხარეს, ქვემოთ, სხვადასხვა სიმაღლეზე განლაგებული, შავი საღება-  
 ვით შესრულებული, მსხვილი ასობით შედგენილი, მისი სახელის აღმნიშ-  
 ვნელი ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა **წა სქერა** (წა არტემი)  
 (ტაბ. 3).

წმ. მეომრების რიგს სამხრეთის კედელზე ასრულებს წმ. გიორგის გა-  
 მოსახულება — კიდურა ფიგურა დასავლეთისკენ, ოქრაზე თეთრით მონიშ-  
 ნულ აბჯარში გამოწყობილი, მუქი რუხი, თითქმის შავი მოსასხამით მხრებ-  
 ზე. წმ. მეომართაგან ყველაზე უკეთ სწორედ მისი სახეა შემორჩენილი —  
 ოდნავ კვერცხისებრი, პირსავზე ოვალი, დიდი ფართოდ გახელოლი თვალები,  
 სრძელი მსხვილი ცხვირი, ლამაზად დაწყობილი, მოზრდილი ტუჩები, დაბა-  
 ლი შუბლი, თითქოს ქუდივით თვალებზე ჩამოწეული, მსხვილ ხვეულებად  
 დაწყობილი მოწითალო თმის ერთიანი მასით, რომელიც ესოდენ მოგვაგო-  
 ნებს წმ. გიორგის თმის გადაწყვეტას ხატებსა თუ მონუმენტურ მხატვრო-  
 ბაში<sup>19</sup>. წმ. გიორგისაც თავზე დიდი შარავანდი ადგას, რომლის შიდა არე  
 მოყვითალო ოქრისაა, ხოლო მარჯვნივ გამოსახული, დიაგონალურად დახრი-  
 ლი შუბის წვერი გვაფიქრებინებს, რომ ხელში მას შუბი უნდა სჭეროდა. ამ  
 ფიგურის თავის ორსავ მხარეს, ზემოთ, მისი სახელის აღმნიშვნელი, ამჟამად  
 უკვე გამკრთალებული, ასომთავრული წარწერაა **წა სქერა** (წაგრი; წმი-  
 დაი გიორგი) (ტაბ. 3).

ის ფაქტი, რომ სამხრეთის კედელზე გამოსახულ სამ მეომართაგან ერ-  
 თი წმ. გიორგია, მეორე წმ. არტემი, ხოლო მესამე წმ. თევდორე, ე. ი. წმ.  
 მეომართა არა ის სამეული, რომელსაც ჩვეულებრივ ანიჭებენ ხოლმე უპირა-  
 ტესობას სვანეთში — წმ. გიორგი, წმ. თევდორე, წმ. დემეტრე — გვაფიქრე-  
 ბინებს, რომ წმ. მეომრების რიგი გაგრძელდებოდა ჩრდილოეთის კედლის  
 ქვედა რეგისტრშიც, სადაც შეიძლება ვივარაუდოთ წმ. დემეტრეს და რო-  
 მელიმე ორი სხვა მეომრის გამოსახვა.

მხატვრობის საერთო პროგრამაში წმ. მეომართა ჩართვა ჩვეულებრივი  
 რამ არის შუა საუკუნეების ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში, სადაც  
 ისინი ადრეული ხანიდანვე იკავებენ თავის ადგილს. სვანეთშიც წმ. მეომრე-

<sup>19</sup> შეად. წმ. გიორგის გამოსახულებას ჩოქულის კარვლი ხატის მარცხენა ფრთაზე, ბრავალძალის ხატზე (ორივე X ს.), სეტის წმ. გიორგის, ნაიფარის (ოქრომჭედლის ასანის ნახელაი), მესტიის მუზეუმში დაცულ ნაიფარის (სამივე XI ს.), სვიფის ხატებზე (XII ს.).  
 იხ. Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное... ტაბ. 36, 46, 182, 184, აგრეთვე, წმ. გიორგის გამოსახულებები მეფის მხატვარ თევდორეს მიერ მოხატულ ეკლესიებში, იხ. Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Росписи художника Тевдоре... ტაბ. 19—20, 50;



ბი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ, რამაც მონუმენტურ მხატვრობაშიც პოვა ასახვა იმ მხრივ, რომ წმ. მეომრების გამოსახულებები თითქმის ყოველთვისაა შეტანილი მოხატულობის პროგრამაში და როგორც წესი, აქცენტირებულიცაა; მაგრამ ადრეული ხანის მოხატულობებისათვის უფრო დამახასიათებელია წმ. მეომრების მხედრების სახით გამოსახვა, როგორც ამას ვხედავთ სვიფის ჯგრაგის (X ს.), აცის თარინგზელის (X ს. ბოლო), იფხის ჯგრაგის (X—XI ს.) და აღიშის ჯგრაგის (XI ს.) ეკლესიათა მოხატულობებში<sup>20</sup>.

რაც შეეხება ფეხზე მდგომი წმ. მეომრების რიგის გამოსახვას, სვანეთის მასალის მიხედვით, ადრეულ მოხატულობებში, ლალამის ეკლესიის გარდა, მათ არსად ვხვდებით, თუმცა თვით ფაქტი, რომ მათი გამოსახულებები ჩართულია ლალამის მაცხოვრის ეკლესიის უძველესი მხატვრობის პროგრამაში, აგრეთვე ისიც, რომ ფეხზე მდგომი წმ. მეომრების ფრონტალური ფიგურები შეიძლება ვნახოთ ადრეულ სვანურ ჰედურ ხატებზედაც<sup>21</sup>, საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ უკვე ადრეულ ხანაშივე, სვანეთში, წმ. მეომრების მხედრების სახით გამოსახვის პარალელურად, არსებობდა ფეხზე მდგომი წმ. მეომრების გამოსახვის ტრადიციაც, რომელმაც მონუმენტურ მხატვრობაში უფრო ძლიერად მოგვიანო დროს იჩინა თავი. ამას ადასტურებს ის საკმაო რაოდენობის მაგალიტები, რომელიც შეიძლება მოვიყვანოთ უფრო მოგვიანო დროის მოხატულობებიდან; და აქაც უფრო ხშირია ორი ან სამი მეომრის გამოსახვა. ასე მაგ., ორი მეომარია განთავსებული აღიშის ჯგრაგის (სოფელში) (XI—XII სს. მიჯნა) დასავლეთის კედელზე, წვირმის ჩობან თარინგზელის (XII ს.) სამხრეთის კედელზე, ჭოხულდის მაცხოვრის (XIII ს.) სამხრეთის კედელზე და ა. შ. სამ მეომარს ვხედავთ წვირმის თარინგზელ ზაგარის (XIII ს.) სამხრეთის კედელზე, სვიფის ჯგრაგის მეორე ფენის მხატვრობაში (XIV ს.) ჩრდილოეთის კედელზე, ოთხი მეო-

<sup>20</sup> ცხენოსანი წმ. მეომრების გამოსახვის შემთხვევები გვაქვს აგრეთვე გარეჯის ფერწერული სკოლის ადრეულ მოხატულობებში, საბერძენის № 5 (IX ს.) და № 7 (X ს.) ეკლესიებში. მხედართა გამოსახვა მუდის მხატვარ თედორეს ერთ-ერთი საყვარელი მოტივი იყო, რომელსაც მის მიერ მოხატულ სამივე ეკლესიაში ვხვდებით; ასევე წარმოდგენილი იყვნენ ისინი მაცხარიშის მაცხოვრის (1140 წ.), ლაშთხვერის თარინგზელის (XIV ს.) და სხვა ეკლესიათა მოხატულობებშიც. იხ. Т. Вирсаладзе, Фресковая роспись... в Матхвариши... გვ. 181, სურ. 2, გვ. 173, სურ. 4; М. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Живописная школа... გვ. 26, სურ. 10; Т. Шевякова, Монументальная живопись... ტბ. 28, 42, 80, 84, 92, 94; А. Вольская, Живописные школы средневековой Грузии, II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1977; მისივე, Ранние росписи Гареджи, IV Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983; Г. Чейшвили, М. Бучукури, Некоторые особенности...

<sup>21</sup> ფეხზე მდგომი წმ. მეომრების გამოსახულებებს ვხედავთ ჩუკულისა და ჯახუნდერის კარვდ ხატებზე (ორივე X ს.), ჩაუაშისა და ლაღურკას ეკლესიებში დაცულ ხატებზე (XI ს.), ლაშთხვერის, დაბსყაღდისა და ლენჯერის წმ. გიორგის ხატებზე (სამივე XI ს.) იხ. Г. Н. Чубинашвили, Чеканное искусство, ტბ. 45, 46, 47, 152, 180.

მარია მაცხვარიშის თარინგზელის (XVI ს.) სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე<sup>22</sup>.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ლაღამის მაცხოვრის ეკლესიის უძველესი მოხატულობა ფერწერული დეკორის სრული სისტემის ნიმუშთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ, რადგან მხატვრობა აქ მთელ ინტერიერს, ფარავს, ხოლო მისი პროგრამის აგებაში გამოსახულებათა იერარქიული ურთიერთდაქვემდებარება შეინიშნება — საუფლო დღესასწაულთა ციკლის სცენები მხატვრობის ზედა, „ზეციერ“ ზონაში, ხოლო ქვემოთ, ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებები. მხატვრობის საერთო კომპოზიციური გადაწყვეტა მკაფიო, მშვიდ მონუმენტურობასა და მისეტრიას ემყარება, რაც X—XI სს. ქართული კედლის მხატვრობის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი. მხატვარი მინიმალურად ანაწევრებს კედლების ზედაპირს — მხოლოდ პორიზონტალური და ყოფა ორნამენტული ზოლების მეშვეობით — უთმობს რა საკამოდ მოზრდილ მონაკვეთებს თითოეულ სცენას (კამარა და კედლის დიდი ნაწილი, მთელი დასავლეთის კედლის ზედა ნაწილი), რომელთა რაოდენობა მხატვრის მონუმენტური მიდგომიდან (და ეკლესიის მცირე ზომიდანაც) გამომდინარე, მინიმუმამდე დაყვანილი, ხოლო ქვედა რეგისტრს აგებს მშვიდი რიტმის შემქმნელი მკაფიო ვერტიკალების მონაცვლეობაზე, რაც გარკვეულ საყრდენს უქმნის მთელ მხატვრობას და კარგად ეხამება მის საერთო მონუმენტურ ხასიათს.

მხატვრობის საერთო მონუმენტურობას კარგად მორგებული იგივე მშვიდი რიტმი ჩანს ცალკეული ფერადოვანი აქცენტების განაწილებაში, რომლებიც ერთგვარად აცოცხლებენ მხატვრობის საერთო თავშეკავებულ კოლორიტულ გადაწყვეტას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბაცი და მუქი ტონების მონაცვლეობით აგებული რიტმი, რომელიც ფიგურების სამოსისა და შარავანდების ფერადოვან გადაწყვეტაში შეინიშნება. წმ. თევდორეს შარავანდი ბაცი ჟანგისფერი ოქრისაა, აბჯარი მოყვითალო ოქრისა, ხოლო მოსასხამი მუქი რუხი, თითქმის შავი; წმ. არტემის შარავანდი ასევე მუქი რუხია, აბჯარიც მუქი, თითქმის შავი, ხოლო მოსასხამი ჟანგისფერი ოქრისა, ოღნავ მოწითალო ელფერი; წმ. გიორგის შარავანდი კვლავ ოქრისაა, აბჯარი ასევე ოქრისა, ხოლო მოსასხამი მუქი რუხი, თითქმის შავი; წმ. ბარბარეს შარავანდი კი მუქი რუხია, ხოლო სამოსი მოწითალო ვარდისფერი. მუქი და ბაცი ფერადოვანი ლაქების ამგვარი ურთიერთმონაცვლეობა თეთრ ფონზე გარ-

<sup>22</sup> ა. ვოლსკაია, კედლის მხატვრობა ს. აღიშის წმ. გიორგის ეკლესიაში, „ძეგლის მეგობარი“, 1969, № 18; Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Живописная школа. გვ. 115, სურ. 28. ფეხზე მდგომი მეომრების გამოსახვის შემთხვევებს ვხედავთ შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობის სხვა ნიმუშებშიც. მაგ., ორი მეომარია ფანისის წმ. გიორგის ეკლესიის (XII ს. ბოლოს) დასავლეთის კედლის ქვედა რეგისტრში, ოთხი მეომარია ტიმოთესუნის (1205—1215 წწ.) დასავლეთის მკლავის ქვედა რეგისტრში, ხოლო იყის (XI—XII ს. მიჯნა—XII ს. დას) სამხრეთის მკლავის ქვედა რეგისტრი დამთბობი აქვს შვიდი ნახევარფიგურისაგან შედგენილ წმ. მეომართა რიგს. არმაზის კანკლის ანტამპლემენტის მხატვრობის განხილვისას რ. შმერლინგმა ვარაუდის სახით გამოთქვა მოსაზრება, რომ აქ გამოსახულ სამ წმინდანთაგან ერთ-ერთი ეკლესიის პატრონი, წმ. გიორგი უნდა იყოს. იხ. Э. Привалова, Павлиси... გვ. 15, სურ. 14; მისივე, Роспись Тимотеубани, Тб., 1980, გვ. 23, სურ. 7; Р. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, გვ. 245.

კვეულ უღერადობას ანიჭებს მთელს მხატვრობას და გარკვეულწილად ერთგვარ მონოტონურობასაც არიდებს მას, რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩენილიყო მხატვარი, მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ იგი ფერების მინიმალური რაოდენობით შემოისასღვრა — წითელი ოქრა, ყვითელი ოქრა, ნახშირი, კირის თეთრა და სინგური<sup>23</sup>.

მთელი მხატვრობის ამ საერთო სიმშვიდეს, თავისი მკაფიო სიმეტრიულობითა და მონუმენტურობით, თუ საერთო კომპოზიციურსა და ფერადოვან გადაწყვეტაში გამოვლენილი მშვიდი რიტმით, კარგად ესადაგება თვით ფიგურების ერთი შეხედვით გარეგნული სიმშვიდე და სტატიკურობა, რომელიც შეხამებულია მათ შინაგან დაძაბულობასა და ექსპრესიასთან. ეს უპირველეს ყოვლისა მიღწეულია სახეზე თვალების, როგორც სულიერი მხარის ძირითადი გამომხატველის, აქცენტირებითა და მათი განსაკუთრებული მეტყველებით, რასაც ემატება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ფიგურათა განწყობილების მხრივაც ერთგვარად განსხვავებული დახასიათება. ყოველივე ეს კი ამ ფიგურებს გარკვეულ სიციხოვლესა და განსულიერებულობას ანიჭებს, რასაც ხელს უწყობს ის ერთგვარი სირბილუც, რომელიც მათი სახეების დამუშავებაში შეინიშნება.

სახეზე აღნიშნულია მხოლოდ ძირითადი ნაკვეთები, რომლებიც ყავისფრითაა მონიშნული და ისევე, როგორც მოზრდილ წითელ ლაქებად დადებული ლაქდავი, მკაფიოდ აღიქმება ერთიანად გამოთეთრებული სახის საერთო ტონზე. ასევე მკაფიოდ იკითხება მოყავისფრო ოქრით აღნიშნული ჩრდილები, რომლებიც ხან უფრო მუქი ყავისფერია (ჩრდილები წმ. ბარბარეს ცხვირის ორსავე მხარეს და თვალების ქვეშ), ხან უფრო ჟანგისფერ ელფერს იძენს (ჩრდილები წარბების ქვეშ სამივე სახეზე, წმ. გიორგის ცხვირის ორსავე მხარეს, წმ. ბარბარეს სახის საერთო კონტურის შემომსაზღვრელი ხაზის გაყოლებაზე) და ხან უფრო ბაცი მოყავისფრო ოქრითაა დუბლირებული (წმ. გიორგის სახეზე). ყოველივე ეს კი ამ გრაფიკული ხასიათის ჩრდილებს, მათი აღქმის მკაფიოების შენარჩუნებასთან ერთად, გარკვეულად სიმკვეთრებს აშორებს (ტაბ. 1,2).

ასეთივე ერთგვარი სირბილე შეინიშნება სამოსის დამუშავებაშიც. აქ მას ქმნის სამოსის საერთო ტონზე თამამად დადებული, ყოველგვარ შემომსაზღვრელ კონტურს მოკლებული, თეთრას განიერი ზოლების თავისუფალი განაწილება, რაც გამოთეთრების ამ ზოლებს მათი გეომეტრიული ფორმის — რკალი, სამკუთხედი, მახვილი კუთხე, სხვადასხვა ფორმის მრუდი — მკაფიო აღქმას უნარჩუნებს და ამასთანავე არ ტოვებს სიხისტისა და სიმკვეთრის შთაბეჭდილებას. ამას შეიძლება ხელს უწყობდეს ისიც, რომ თეთრას ზოლის უშუალოდ მომიჯნავედ, სამოსის ძირითადი ტონი სულ ოდნავ არის გადაღიაფერებული, რაც მხოლოდ ძალზე ახლო მანძილიდან ყურადღებით დათვალიერებისას ჩანს — წითელი ტონი მოვარდისფრო ელფერს იძენს (წმ. ბარბარეს სამოსი), ხოლო მუქი რუხი ოდნავ ნაცრისფერდება (წმ. გიორგის მოსასხამი) და სწორედ ეს ქმნის ერთგვარი რბილი გადასვლის შეგრძობებას. მაგრამ ეს ოდნავი გაღიაფერება მალევე გადადის კვლავ ძირითად ტონში, რაც

<sup>23</sup> მხატვრის მიერ ნახშირი საღებავების შესახებ იხ. Г. Чейшвили, М. Бучукури, Некоторые особенности...

განაპირობებს თვით სამოსის ერთიან ფერადოვან ლაქად აღქმას და მთელს ფიგურის საერთო სიბრტყობრივ გადაწყვეტას (ტაბ. 1, 2).

თავისი ხასიათითა და დამუშავების მანერით ლაღამის ფიგურები იმავე მიღგომის მარეწელებლია, რომელიც საერთოდ ადრეული ხანის (IX—X სს). მხატვრობაში სახის დამუშავებისათვისაა დამახასიათებელი, თუმცა ლაღამის გამოსახულებების ზუსტი ანალოგიების მოძებნა მაინც საკმაოდ რთულია. ამ პერიოდის მხატვრობის ნიმუშებთან მათ აკავშირებს სახეებში ძლიერად გამოვლენილი ექსპრესია, რაც ფართოდ გახელილი თვალების განსაკუთრებული აქცენტებითაა მიღწეული. ფართოდ გახელილი თვალების ამგვარივე ხაზგასმულ ექსპრესიას ვხვდებით ნეზგუნის მაცხოვრის (IX—X ს). სვიფის ჭგრაგის პირველი ფენის (X ს.), აცის თარინგზელის (X ს. ბოლო) ეკლესიების მხატვრობის და ნაკიფარის ჭგრაგის ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადის მონახტულობის (X ს.) ფიგურათა სახეებზე<sup>24</sup>. ადრეულ ხანაზე მეტყველებს აგრეთვე ლაღამის ეკლესიის უძველესი მხატვრობის შემქმნელი-სათვის ნიშნული დეკორაციულობის გრძნობაც, რომელმაც თავი იჩინა იმაში, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობს იგი ცალკეული დეტალების დეკორაციულ გადაწყვეტას (წმ. ბარბარეს თავსაბურავი და ძვირფასი ქვებით მოჭკვილი მისი დიადემა, წმ. მეომრების აბჯარი) და რა უხვად იყენებს იგი „მარგალიტებით“ შემკობას (წმ. ბარბარეს კაბის გულისპირი, წმ. არტემის სახელოს მაჯა, მთავარანგელოზის ტერფი ხარების კომპოზიციაში). ასეთივე გარკვეული დეკორაციულობა, რომელიც საკმაოდ ძლიერად გამოვლინდა როგორც მხატვრობის საერთო ანსამბლში თავისებური ეფექტის შემტანი „დაჩითული“ ფონების გამოყენებაში, ისე „მარგალიტების“ უხვ ხმარებაში, საერთოდ დამახასიათებელია ადრეული მონახტულობებისათვის სვანეთში<sup>25</sup>. „მარგალიტების“ უხვი ხმარების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ნეზგუნის მაცხოვრის პირველი ფენის მონახტულობა (IX—X ს.)<sup>26</sup>, აგრეთვე სვიფის ჭგრაგის პირველი ფენის მონახტულობა (X ს.) და აღიშნის ჭგრაგის ეკლესიის მხატვრობა (XI ს. დას.), სადაც „მარგალიტებით“ შემკულ შარავანდებს ვხვდებით<sup>27</sup>. ამასთანავე, ლაღამის მონახტულობა ისეთი ნიშნების მატარებელიცაა, რომელიც მისი შესრულების დროის დაზუსტების საშუალებას იძლევა.

როგორც განვითარების ადრეული ეტაპის ქართული მონუმენტური მხატვრობის ზოგადი დახასიათებისას აღნიშნავს თ. ვირსალაძე: „აქ შეინიშნება ანტიკური მხატვრული მემკვიდრეობის საფუძვლიანი გადამუშავება — იგი-

<sup>24</sup> Т. Шевякова, Монументальная живопись... ტაბ. 63, 64, 65, 67, 68, 76, 76, 83, 84, 86, 87, 88.

<sup>25</sup> „დაჩითული“ ფონები შეიძლება ვნახოთ აცის თარინგზელის (X ს. ბოლო) და იფხის ჭგრაგის (X—XI ს.) ეკლესიათა მხატვრობაში. იხ. Т. Шевякова, Монументальная живопись... ტაბ. 69, 76, 74.

<sup>26</sup> „მარგალიტების“ უხვ ხმარებასთან დაკავშირებით სხვა პარალელებისათვის იხ. Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, „Живописная школа...“ ვ. 14—15.

<sup>27</sup> Т. Шевякова, Монументальная живопись... ტაბ. 82, 92, 94, ასეთივე შარავანდებს ვხვდებით ადრეული ხანის სხვა მონახტულობებშიც, მაგ. ფასა (X ს.) და საბერების № 8 (X ს.) მონახტულობებში. იხ. Т. Шевякова, Монументальная живопись... ტაბ. 41, 45, 111.

წყებენ ტონთა გრადაციით მოცულობის ილუზიონისტური მოდელიერების ხერხებს, ფორმა სიბრტყობრივად გაიზარება, ნახატი, რომელსაც მთავარი როლი ენიჭება, მოქნილობას კარგავს, კუთხოვანი ხდება და ორნამენტულ-დეკორატიულ ხასიათს იძენს; ირღვევა ფიგურათა პროპორციები. აზრობრივ ექსპრესიას გადმოსცემენ მძაფრი შესტებით, თავისა და ხელის მტევენების ზომის გადიდებით და უპირველეს ყოვლისა ხაზოვანი რიტმის დაძაბულობითა<sup>28</sup> ჩამოყალიბებული ფორმების გადამუშავების ეს საერთო პროცესი სხვადასხვა ძეგლში განსხვავებულად იჩენს თავს — ზოგიერთ მოხატულობაში გარკვეულად იგრძნობა ელინისტური ტრადიციის გამოძახილი, ხოლო ძეგლთა უმრავლესობაში უკვე მკაფიოდ იკვეთება სიბრტყობრივ-გრაფიკული მიდგომა<sup>29</sup>.

ფორმის სიბრტყობრივ-გრაფიკული გადაზემა, რომელსაც თან სდევს მისი ორნამენტულ-დეკორატიული გადაწყვეტა ხაზის მნიშვნელობის განსაკუთრებული აქცენტირებით, სენათის ადრეულ მოხატულობათა შორის კრული სიკვადით გამოვლინდა ნეზგუნის მაცხოვრის პირველი ფენის მოხატულობაში (IX—X ს.), ნაიფარის ჭგრაგის აღმოსავლეთის ფასადის მხატვრობაში (X ს.) და სვიფის ჭგრაგის პირველი ფენის მოხატულობაში (X ს.); და მიუხედავად გარკვეული სხვაობისა, რომელიც განპირობებულია ამ მოხატულობათა შემქმნელი ოსტატების მხატვრული მიდრეკილებებითა და გემოვნებით, თუ განსხვავებით თვით ძეგლთა მხატვრულ ღირსებებს შორის, ისინი ეპოქისთვის ნიშანდობლივი მხატვრული ამოცანების სპრიციპული ერთიანობითაა აღბეჭდილი<sup>30</sup>. ამავე ერთიანობას ამჟღავნებს ლაღამის მაცხოვრის ეკლესიის უძველესი მხატვრობაც თავისი ექსპრესიულობითა და შესრულების მანერაში მკაფიოდ გამოხატული ნახატის ერთგვარი გრაფიკული ხასიათით. მაგრამ ამასთანავე, იგი გარკვეული სხვაობის მჩვენებელიცაა, რომელიც ამ ზოგადი ერთიანობის მიუხედავად, ერთგვარად აშორებს ლაღამის გამოსახულებებს ყველა ზემოჩამოთვლილ მაგალითს.

მართალია, ლაღამის ფიგურათა სახეებში ცალკეული ფორმის შემომსახვრელი ნახატი ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, მაგრამ მაინც, გადამწყვეტი აქ მხოლოდ ხაზი არ არის. ამ სახეებში, მეტად ძუნწად ნახმარი გამოთეთრებებისა (წმ. თევდორესა და წმ. არტემის ზედა ტურის ყულფი და ტურჩებთან დიაგონალურად დახრილი ზოლები) და ჩრდილების წყალობით, თითქოს უფრო მეტად, ვიდრე მაგ., წილნის ღვთისმშობლის ხატზე (IX ს.), ან ნეზგუნის პირველი ფენის მოხატულობის (IX—X ს.) და ნაიფარის

<sup>28</sup> Т. Вирсаладзе, Монументальная живопись Грузии წიგნში: Искусство народов СССР, IV—XIII вв. т. II, М., 1973, გვ. 222.

<sup>29</sup> А. Вольская, Живописные школы... მისივე, Ранние росписи Гареджи... ლ. ხუცკვიციანი, წილნის ღვთისმშობლის ხატი „საბჭოთა ხელოვნება“, 1973, № 11; Г. Алибегашвили, Миниатюрная и станковая живопись Грузии XI—начала XIII вв, II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1977; მისივე, Памятники средневековой станковой живописи из Верхней Сванети, Средневековое искусство. Русь-Грузия. М., 1978; მისივე, Этапы развития средневековой грузинской миниатюрной живописи, IV Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983; თ. საყვარელიძე, გ. ალიბეგაშვილი, ქართული ჰედური და ფერწერული ხატები, თბ., 1980.

<sup>30</sup> ტ. შევჩიკოვა, ნეზგუნის თარღის საკითხისათვის...: Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Живописная школа..., გვ. 14—16, 18—19.

ჯგრაგის აღმოსავლეთის ფასადის (X ს.) გამოსახულებებში, იგრძნობა ერთგვარი „მოცულობა“, რამდენადაც საერთოდ შეიძლება ლაბარაკი მოცულობაზე აღრეული ხანის მხატვრობაში, ოდნავ უფრო რთულია დამუშავებაც ნეზგუნის მაცხოვრის პირველი ფენის (IX—X ს.) და ნაკიფარის ჯგრაგის აღმოსავლეთის ფასადის მხატვრობასთან (X ს.) შედარებით.

თავისი ხასიათითა და შესრულების მანერით ლაღამის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობის უძველესი ფენის სახეები გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს საქართველოს სამხრეთ პროვინციის, ტაო-კლარჯეთის, XI ს. დასაწყისის მოხატულობებთან, კერძოდ, იშხნისა და ოშკის გამოსახულებებთან — წმ. მეომრები გუმბათის ყელში იშხნის ტაძარში და წმ. თეკლეს ფიგურა ოშკიდან<sup>31</sup>. თუმცა, ცხადია, მხედველობაში უნდა მივიღოთ დიდი სხვაობა ამ მოხატულობათა შემქმნელი ოსტატების პროფესიულ დონეს შორის — ლაღამის მხატვრობა შესრულებულია პროვინციული განსწავლის ოსტატის მიერ, ხოლო იშხნისა და ოშკის მოხატულობები მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებულ, მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება; და მაინც, ორივე შემთხვევაში თვალს ხვდება როგორც გარკვეული სიახლოვე შესრულების მანერისა — გრაფიკულობის მიუხედავად დამუშავების ერთგვარი სირბილე, რაც განსაზღვრავს გარკვეული მოცულობითობის შთაბეჭდილებას — და თვით ცალკეული დეტალების დამხვევაც კი — ყურების კაუჭისებრი ფორმა, უღვაშებიდან გამოჩენილი, თითქოს ცხვირის ქვეშ ყულფად ჩამოსული, ზედა ტუჩის ფორმა, ცხვირის ორსავე მხარესა და თვალების ქვეშ ნახევარკალად ჩამოწეული „ჩრდილები“, — ისე პრინციპული საზოგადო განწყობის ნათესაობა — სახეების გარკვეული განსულიერებულობა, რომელიც თვალების მეტყველი მზერითაა გამოხატული. ყოველივე ეს, ვიმეორებთ, იშხნისა და ოშკის მოხატულობათა (XI ს. დას.) ამ გამოსახულებებს ლაღამის სახეების პირდაპირ პარალელებად კი არ გვისახავს, არამედ საშუალებას გვაძლევს უფრო დავაზუსტოთ ამ მოხატულობის ადგილი აღრეული ხანის საკმაოდ ვრცელი ქრონოლოგიის ფარგლებში და მისი შესრულების დროდ X ს. მიწურულისა და XI ს. დასაწყისის ხანა ვივარაუდოთ.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ლაღამის მაცხოვრის ეკლესიის უძველესი მხატვრობა თავისი ხასიათითა და შესრულების მანერით სვანეთის აღრეულ მოხატულობათა რიგში ექცევა და სვანური ფერწერული სკოლის განვითარების ამ აღრეული ეტაპის ერთ-ერთი საინტერესო ძეგლს წარმოადგენს.

<sup>31</sup> E. Такайшвили, Археологическая экспедиция 1917 г. в южные провинции Грузии, Тб., 1952, გვ. 33—39, 54—55, ტაბ. 28—29, 69; თ. ვირსალაძე, იშხნის ტაძრის მოხატულობის დათარიღებისათვის, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXVII სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1984, გვ. 18—22., III. Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, т. I, Тб., 1957, ტაბ. 93—94; N. et M., Thierry, Peinture du X<sup>e</sup> siècle en Géorgie Meridionale et leurs rapports avec la peinture byzantine d'Asie Mineure, Cahiers archéologique, XXIV, 1975, გვ. 73—113.

М. КЕНИА

ДРЕВНЕЙШАЯ РОСПИСЬ Ц. СПАСА В С. ЛАГАМИ

Резюме

Среди многочисленных, разного времени и художественного уровня, памятников средневековой монументальной живописи Верхней Сванети, определенное место занимают росписи ц. Спаса в с. Лагами. Эта двухэтажная церковь сохранила нам несколько росписей, относимых к разным этапам развития стенописи в Сванети (X в; XII в; XIV в;). Исследуемые фрески являются первым слоем росписи нижнего этажа церкви, дошедшим до нас весьма фрагментарно.

Нынешнее состояние росписи позволяет восстановить ее первоначальную иконографическую программу — Дейсус в конхе, Благовещение на западной стене, Рождество на южном склоне короба и Крещение на северном, а также изображения отдельных святых — святые воины Федор, Артемий и Георгий в нижней части южной стены, святые жены Варвара и Екатерина — по сторонам входа в западной части церкви.

Стилистический анализ сохранившихся изображений — отдельных фигур святых — и сравнение их с ранними памятниками иконописи и монументальной живописи не только Сванети, но и других районов Грузии, позволили уточнить датировку первого слоя росписи нижнего этажа церкви Спаса в с. Лагами концом X и самым началом XI в.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიკოსმა ე. ბერიძემ

დავით მუსხელიშვილი

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემები და მისი კვლევის მდგომარეობა\*

საქართველოს ისტორიული გეოგრაფია — ახალი სამეცნიერო დისციპლინაა. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის კვლევა-ძიებაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი საქმეა. პირუკუ, შეიძლება ითქვას რომ ისევე როგორც სხვაგან, ჩვენშიც ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიება ისევე ძველია, როგორც ისტორიული მეცნიერება საერთოდ.

მისი დასაწყისი საქართველოში XI ს-ის ისტორიკოსს ლეონტი მროველს უკავშირდება, რომელმაც პირველმა შეიმუშავა მთელი კავკასიისა და მისი მოსახლეობის ისტორიულ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოლოგიური კონცეფცია.

მეორე ბრწყინვალე წარმომადგენელი ამ დარგისა გახლავთ ვახუშტი ბაგრატიონი, რომლის მთავარი დამსახურება ამ საქმეში არის არა მხოლოდ ის, რომ მან დაგვიტოვა საქართველოს შესანიშნავი გეოგრაფიული აღწერილობა და თავისი ხელით გამოხაზა საქართველოს „ისტორიული ატლასები“, არამედ ისიც, რომ მან მსგავსად XVI ს-ის ცნობილი ფლამანდიელი გეოგრაფის ორტელიუსისა, გეოგრაფია ისტორიის სამსახურში ჩააყენა. ამდენად, ვახუშტი ბაგრატიონი წარმოგვიდგება საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, როგორც ისტორიული მეცნიერების დამხმარე დისციპლინის დამაარსებელი.

XIX ს-ში და XX ს-ის დასაწყისში საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემატიკას წარმატებით იკვლევდნენ პლ. იოსელიანი, მ. ბროსე, ე. თაყაიშვილი, დ. ბაქრაძე, ნ. მარი, მაგრამ ამ დარგის განვითარებას განსაკუთრებული ღვაწლი დასდო თანამედროვე ქართული ისტორიული მეცნიერების ფუძემდებელმა ივ. ჯავახიშვილმა.

ბუნებრივია, სათანადო საკითხები ისტორიკოსთა თანამედროვე თაობების თვალსაწიერშიც მოექცა და თუ, ერთი მხრივ, მუშავდებოდა პოლიტიკური და ეთნიკური ისტორიული გეოგრაფიის პრობლემები (ს. კაკაბაძე, ს. ყაუხჩიშვილი, ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი, ნ. ლომოური), მეორე მხრივ, გაფართოვდა წყაროთმცოდნეობითი ბაზა და ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხების გადასაწყვეტად მხოლოდ ისტორიული წყაროებით თუ ტოპონიმიკით კი აღარ ისაზღვრებოდნენ, არამედ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანეს იქნა საველე-პრაქტიკული ძიების მონაცემებიც (ლ. მუსხელიშვილი, ნ. ბერძენიშვილი).

\* მოხსენად 1985 წლის. 12 სექტემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე.



მთელი ამ ხნის განმავლობაში დაგროვებულმა დიდძალმა მასალამ, წამოკრილმა მნიშვნელოვანმა პრობლემებმა სრულიად ბუნებრივად მოითხოვა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საგანგებო გვემზომიერი შესწავლა და, ამდენადვე, სრულიად აუცილებელი გახდა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, როგორც ისტორიული მეცნიერების ცალკე დისციპლინის ჩამოყალიბება, რაც მიმდინარე საუკუნის 50-იან წლებში განხორციელდა და ნ. ბერძენიშვილის სახელთან არის დაკავშირებული: 1956 წ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში, პირველად საბჭოთა კავშირში, შეიქმნა სპეციალური უჯრედი — ისტორიული გეოგრაფიის განყოფილება, — რომელმაც ამიერიდან დაიწყო სათანადო პრობლემატიკის ინტენსიური გემზომიერი დამუშავება.

რას წარმოადგენს ისტორიული გეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის პრობლემატიკა, რა არის მისი შესწავლის საგანი, როგორია მისი კვლევის მეთოდები, ამოცანები და საბოლოო მიზანი?

სულ უკანასკნელ დრომდე ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიების სარბიელი მეტად შევიწროებული იყო და, ფაქტიურად, ისაზღვრებოდა ქვეყნის გარეპოლიტიკური და შიდაადმინისტრაციული საზღვრების დადგენით, ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ისტორიული პუნქტის იდენტიფიკაციით, დროთა ვითარებაში ქვეყნის საზღვრებისა თუ პოლიტიკური ცენტრების ცვალებადობის, ისტორიულად არსებულ ტომთა გეოგრაფიული ლოკალიზაციისა და მიგრაციის საკითხებით. ერთი სიტყვით, ისტორიული გეოგრაფია ისაზღვრებოდა მხოლოდ პოლიტიკური პრობლემებით და, ამდენადვე, გამოდიოდა ისტორიული მეცნიერების დამხმარე სამეცნიერო დისციპლინის როლში, რომელიც მოწოდებული იყო ქვეყანაში მიმდინარე ეთნო-პოლიტიკური ისტორიული პროცესების სივრცობრივი კონკრეტულობისა და ილუსტრაციისათვის.

ამჟამად ვითარება არსებითადაა შეცვლილი.

მართალია, ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი სპეციფიკა ე. ი. ისტორიული პროცესის გეოგრაფიული პროექცია, არ შეცვლილა, მაგრამ საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარებასთან ერთად შეიცვალა ამ სპეციფიკის შინაარსი. ისტორიული გეოგრაფიის კომპეტენციის სფერო გაიზარდა და მისი კვლევის თვალსაწიერში მოექცა ტრადიციულ პოლიტიკურ და ეთნიკურ თემატიკასთან ერთად სოციალური და ეკონომიკური პრობლემატიკაც. ეს გარდატეხის პროცესი რუსულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში 40—50-იან წლებში განხორციელდა და აკად. ვ. იაცუნსკის სახელთან არის დაკავშირებული. იმავე ხანებში, სრულიად დამოუკიდებლად, ეს არსებითი მეტამორფოზი ქართულმა ისტორიულმა გეოგრაფიამაც განიცადა და მისი ინიციატორი, როგორც აღინიშნა, აკად. ნ. ბერძენიშვილი იყო.

ნ. ბერძენიშვილმა ძალიან ბევრი გააკეთა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების, განმტკიცებისა და განვითარებისათვის. იგი ფართოდ უყურებდა ამ დისციპლინის ამოცანებს და მზუნებს და ღრმად სწამდა მისი შესაძლებლობებისა საქართველოს ისტორიის კარდინალური პრობლემების ახლებურად გააზრების საქმეში.

ამგვარად, რას სწავლობს ამჟამად საქართველოს ისტორიული გეოგრაფია?

ყოველი საზოგადოება მოცემულ დროს მოცემულ ტერიტორიაზე ტოვებს თავისი ცხოვრების მატერიალურ ნაკვალევს ნამოსახლარების, სამეურ-

ნეო, სათავდაცვო თუ საკულტო ნაგებობების, ტოპონიმების და სხვ. სახით. ისტორიული გეოგრაფიის ამოცანაა წარმოაჩინოს საზოგადოებრივი ცხოვრების ეს ნაკვალევი და დაადგინოს კანონზომიერი კავშირი ამ ნაკვალევსა და შესაბამისი საზოგადოებრივი ცხოვრების საფეხურებს შორის. ყოველ საზოგადოებრივ ორგანიზმს თავისი შიდატერიტორიული სტრუქტურა აქვს, რომელიც ისტორიული პროცესის შედეგად განუხრელად იცვლება, რაც გაპირობებულია საზოგადოების განვითარების შინაგანი და გარეგანი ფაქტორებით. ამ შიდატერიტორიული სტრუქტურის მუდმივცვალებადი ერთეულის აღსანიშნავად, ნ. ბერჟენიშვილის მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში, შემოტანილი იქნა ძველი ქართული ტერმინი „ქვეყანა“. მისი თვალსაზრისით „ქვეყანა“ ეწოდება იმ ფიზიკურ მიწა-წყალს, რომელიც ამა თუ იმ დროს, ამა თუ იმ საზოგადოების (გვარის, ტომის, სოფლის, თემის, ქალაქის, სამთავროს, სახელმწიფოს, ხალხის, ერის) საწარმოო, სამეურნეო აუცილებელი სარბიელია. „ქვეყანა“ — ისტორიული კატეგორიაა, რამდენადაც საზოგადოებრივი განვითარების ყოველ საფეხურს თავისი შესატყვისი „ქვეყანა“ ახასიათებს. სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც ამგვარ „ქვეყნებს“ ავლენს და სწავლობს, არის სწორედ ისტორიული გეოგრაფია.

ამგვარად, ისტორიული გეოგრაფიის საგანი ადამიანის ამა თუ იმ საზოგადოებრივი განვითარებისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის ტერიტორიული ერთეულია მისი ცვალებადობის თვალსაზრისით. ზემოთქმულის შედეგად უნდა დავასკვნათ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული დეფინიციით, ისტორიული გეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ძირითადი შინაარსს ამა თუ იმ საზოგადოების შიდატერიტორიული სტრუქტურისა და ამ უკანასკნელის დროთა ვითარებაში ევოლუციის კვლევა შეადგენს.

ხაზგასმულია, რომ ზემოხსენებული დეფინიცია 60-იანი წლების ქართული ისტორიოგრაფიის მონაპოვარია. მსგავსი განსაზღვრა ამ სამეცნიერო დარგის ძირითადი საგნისა რუსულ ისტორიოგრაფიაში მხოლოდ 70-იან წლებში გამოითქვა.

ამგვარი მეთოდოლოგიური თვალსაზრისი განაპირობებს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პრობლემების პრაქტიკული კვლევის მეთოდიკასაც. კვლევა-ძიება პრაქტიკულად ორი მიმართულებით წარმოებს: 1) მუშავდება ქართული და უცხოური წერილობითი და სხვა ისტორიული წყაროები და დოკუმენტური მასალა; 2) მიმდინარეობს ინტენსიური სავლე კვლევა-ძიება მოცემულ ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ყოველი ისტორიული ძეგლის ფიქსაციის მიზნით, მათი შემდგომი ქრონოლოგიური კლასიფიკაციით. გროვდება, ცხადია, ეპიგრაფიკული, მაკრო-და მიკროტოპონიმური და აგრეთვე სათანადო ფოლკლორული მასალა. მეცნიერულად გაანალიზებული და ქრონოლოგიურად კლასიფიცირებული ამ მასალის დატანა ცალკეულ რუკებზე ისტორიულ-ეკონომიკური და ისტორიულ-ეთნიკური გეოგრაფიის გათვალისწინებით გვაძლევს საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპისათვის მოცემული ტერიტორიის რეალურ ისტორიულ-გეოგრაფიულ სურათს.

ინსტიტუტის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციების მიერ საქართველოს სხვადასხვა რაიონში გეგმაზომიერი სავლე ინტენსიური კვლევა-ძიების შედეგად ამ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ფიქსირებულია მრავალი

ასეული უძველესი და ფეოდალური ხანის ნასოფლარები და სამაროვნები, გამოვლენილია მრავალი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლი: ეკლესიამონასტრები, სასახლეები; სამეურნეო ნაგებობანი: მარან-საწნახლები, არხები, ხიდები... განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფეოდალურ ციხე-კოშკთა და ნაქალაქართა ფიქსაცია, რომელთაგან ზოგი ცნობილი იყო ძველი მატიანეებით, ზოგი კი — სრულიად უცნობი; მიკვლეულია ქართული ხელოვნების მნიშვნელოვანი ძეგლები — საკულტო ჯვრები, სტელები, უაღრესად მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული მასალა და სხვ. და სხვ.

ამ პრაქტიკული და თეორიული სამეცნიერო მუშაობის შედეგად უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ასე ვთქვათ, ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების გრიფით გამოცემული მეცნიერული პროდუქცია შეადგენს: 6 თემატიკურ კრებულს, 8 მონოგრაფიას, მრავალ ათეულ წერილს და რამოდენიმე ასეულ საენციკლოპედიო სტატიას.

რაც შეეხება საკუთრივ სამეცნიერო კვლევა-ძიების თემატიკას, რომელიც ქრონოლოგიის თვალსაზრისით მოიცავს დიაპაზონს უძველესი დროიდან XIX ს-ის ჩათვლით, მუშაობა რამოდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს.

პირველ რიგში აღსანიშნავია ისტორიოგრაფიული გამოკვლევები, რომლებშიც მონოგრაფიულადაა შესწავლილი და შეფასებული გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსთა ღვაწლი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემების შესწავლის საქმეში. ამ თვალსაზრისით შესწავლილია პლ. იოსელიანის, ექ. თაყაიშვილის, ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა.

მეორე — ეს არის ისტორიული საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფია: საგანგებო გამოკვლევები, ამჟამად უკვე გამოქვეყნებული, ეძღვნება ცალკეულ ისტორიულ პროვინციებს (შიდა ქართლს — ჯ. გვასალია; ქვემო ქართლს, თორს, ჯავახეთს, — დ. ბერძენიშვილი, რაჭას — თ. ბერძენი). მიახლოებით დადგენილია ამ პროვინციების დასახლებათა რაოდენობა ფეოდალური ეპოქის სხვადასხვა ეტაპზე და, ამდენადვე, დადგენილია დემოგრაფიული ცვლილებები. ამგვარადვეა შესწავლილი საქართველოს რიგ მხარეთა (შიდა და ქვემო ქართლი, ჯავახეთი) უძველესი, ძვ. წ. III—I ათასწლეულთა ე. წ. გორანაშოსახლარები; გამოკვლეულია ქართულ წინაფეოდალურ სახელმწიფოთა ტერიტორიული სტრუქტურისა და პოლიტიკური საზღვრების ცვლილებები; ფეოდალურ სამეფო-სამთავროთა შესაბამისი საკითხები; საქართველოს ერთიანი მონარქიის თუ გვიანი საუკუნეების შიდადამინისტრაციული დანაწილება და პოლიტიკური საზღვრები; რუსული ადმინისტრაციული დაყოფის გენეზისი და ევოლუცია XIX ს-ის განმავლობაში... შეგროვებულია მთლიანად და გამოცემულია კომენტარებით ისტორიული საქართველოს პროვინციათა ტოპონიმია (აჭარა, ჭანეთი, გურია, სამცხე).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ძველ ქალაქთა და ციხესიმაგრეთა ისტორიის ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები, მათი წარმოქმნის და შემდგომი განვითარების კანონზომიერებანი მიმდებარე ტერიტორიის ისტორიულ ევოლუციასთან მიმართებით. ამ მხრივ შესწავლილია შორაპნის და უჯარმის ციხე-ქალაქები, სვერის, წოფის, აღჯაყალა-გავის და სხვ. ციხესიმაგრეები.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით ისტორიული საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ვითარების გაშუქებისათვის ფართოდ არის გამოყენებული ნუმიზმატიკური მასალა, შედგენილი და ნაწილობრივ გამოცემულია სხვადასხვა ეპოქის ნუმიზმატიკური რუკები, რომელთა მიხედვით ნათლად ჩანს არა მხოლოდ საქართველოს სავაჭრო ვაჭრობის ორიენტაცია სხვადასხვა პერიოდში, არამედ ქვეყნის შინაგანი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების სურათი შესაბამის ეპოქებში; დადგენილია ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს სავაჭრო მაგისტრალების მიმართულებანი; ე. წ. „ცხვრის გზები“ ანუ ის სამესაქონლეო ტრასები, რომლებითაც იალაღებიდან ყიშლაღებზე მოძრაობდა ცხვარი და რომლებიც, ამდენად, მთისა და ბარის ორგანულად დამაკავშირებელ არხებს წარმოადგენენ.

საერთოდ მთისა და ბარის ურთიერთობა საქართველოს ისტორიის (და არა მხოლოდ ისტორიის) ერთ-ერთი კარდინალური საკითხია და, ამდენადვე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის უაღრესად აქტუალური პრობლემათაგანი. ამ თვალსაზრისით შემუშავებულია მთისა და ბარის მრავალსაუკუნოვან პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ევოლუციის პროცესის გარკვეული პერიოდიზაცია, რომლის მიხედვით მთისა და ბარის ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნების“ ერთმანეთთან საბოლოო ორგანული შერწყმა სოციალური განვითარების გარკვეულ საფეხურს, კერძოდ, განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისის საფეხურს უკავშირდება. დადგენილია, რომ IX—X სს-ის საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენებული ფეოდალური სამეფო-სამთავროები სწორედ ამგვარ, მთისა და ბარის სამეურნეო და ეთნოტერიტორიულ მტკიცე ერთობებს ქმნიდნენ, რომელთა გაერთიანების შედეგად, თავის მხრივ, ფეოდალური საქართველოს ერთიანი მონარქია წარმოიქმნა. ამრიგად, ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიება ნათლად აყენებს და მხოლოაზროვნად წყვეტს საქართველოს ისტორიული ტერიტორიის წარმოქმნის კანონზომიერების კარდინალურ საკითხს. ეს იყო არა ზედაპირული პოლიტიკური პროცესის შედეგი, გაპირობებული ამა თუ იმ ფეოდალური სუვერენის ილბიანი სამხედრო კარიერით, არამედ ღრმა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესის ბუნებრივი დაგვირგვინება, პროცესისა, რომელიც მკვიდრ ნიადაგს ქმნიდა ცალკეული „ქვეყნების“, კერძოდ, მთისა და ბარის მკვიდრად გაერთიანებისათვის. ამგვარად, ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიება ცხადყოფს, რომ ისტორიული საქართველოს ტერიტორია, როგორც ასეთი, არის არა პოლიტიკური შემთხვევითობის გამოვლენა, არამედ ქართველი ხალხის ორგანული სოციალურ-ეკონომიკური და ეთნიკურ-კულტურული განვითარების კანონზომიერი შედეგი.

მართლაც, ზემოხსენებული პროცესი საქართველოს ისტორიული ტერიტორიის წარმოქმნისა მკვიდროდ არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ეთნიკურ განვითარებასთან, რომლის სათანადო ასპექტები აგრეთვე ისტორიული გეოგრაფიის ერთ-ერთი კარდინალური საკითხთაგანია.

ჯერ ერთი, ძველქართული ეთნონიმიკისა და ტოპონიმიკის ანალიზმა ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით კიდევ ერთხელ ცხადყო ამიერკავკასიაში ქართველ ტომთა მოსულობის ძველი თეორიის მკდარობა და დადასტურა ქართველთა ავტოქტონობა.

მეორე მხრივ, ისტორიულ-გეოგრაფიულმა კვლევა-ძიებამ ნათლად წარმოაჩინა, უძველეს ხანაში ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ქარ-

თველ ტომთა გვერდით არაქართველ ტომთა თანაცხოვრების ფაქტებიც. წარმოაჩინა ისიც, რომ ათასწლეულთა განმავლობაში მიმდინარეობდა ამ არაქართველ ტომთა ქართიზაციის ძლიერი და შეუქცევადი პროცესი, რაც გაპირობებული იყო აღმოსავლეთი საქართველოს ცენტრალურ რაიონში ოდითგანვე მოსახლე ქართის ტომების ეკონომიკური და შესაბამისად სოციალური მაღალგანვითარებულობით, ისტორიულ-გეოგრაფიულმა კვლევა-ძიებამ ნათელყო აგრეთვე ქართიზაციის ამ ხანგრძლივი და ურთულესი პროცესის მექანიკის არსებითი მხარეც: ეს იყო არა მხოლოდ პოლიტიკური და კულტურული ექსპანსია, არამედ ქართის ტომების თანადათანობითი შეღწევა-ინფილტრაცია არაქართის ტომების გარემოში, რასაც ქართული ენისა და კულტურის გავრცელებასთან ერთად, ქართული სოციალური ურთიერთობების გავრცელებაც თან სდევდა, ამას ემატებოდა მთისა და ბარის მოსახლეობის უაღრესად ინტენსიური კულტურულ-ეკონომიკური და ეთნიკური ურთიერთობანი, რასაც საბოლოოდ მოჰყვა ის, რომ უკვე VIII—X ს-ში (თუ გვიან საუკუნეებში შემოდწეულ სომეხებს, აზერბაიჯანელებს და სხვ. არ ჩავთვლით) ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე არსებითად ისეთივე ეთნოგრაფიული სურათი გვაქვს, როგორც დღეს. ყველაფერი ამის გამოხატულება იყო ის დიდმნიშვნელოვანი გარემოება, რომ X ს-შივე ქვეყნის აღმნიშვნელი ძველი ეთნიკურ-პოლიტიკური ტერმინი „ქართლი“ შეიცვალა ახალი კულტურულ-პოლიტიკური ტერმინით — „საქართველო“.

ქართულმა ისტორიულ-გეოგრაფიულმა მეცნიერებამ დასვა აგრეთვე ის უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომ IX—X სს-ში არამც თუ ისტორიული საქართველოს ტერიტორია, არამედ მთელი კავკასიაც ერთ კულტურულ-სამეურნეო სამყაროდ ქცეულიყო. რომლის პოლიტიკური გაერთიანებაც ამიერიდან დღის წესრიგში უნდა დამდგარიყო და დადგა კიდევ. და ბუნებრივია, თუ ამ დიდი პოლიტიკური პროგრამის განხორციელების მისიაც XI—XII სს-ში საქართველომ იკისრა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიების კერძოდ, ინტენსიური საველე კვლევა-ძიების შედეგად სრულიად ახლებურად დაისვა საქართველოს ისტორიის კიდევ ერთი კარდინალური პრობლემა: ეს არის ქართველი ხალხის სოციალური განვითარების პერიოდიზაციის დიდი საკითხი.

როგორც აღვნიშნეთ, 50-იანი წლებიდან დაწყებული გეგმაზომიერი საველე ექსპედიციების ინტენსიური ძიების შედეგად მიგნებული და რუკაზე ფიქსირებულ იქნა ასეულობით ფეოდალური ნასოფლარი და ფრიად დიდი რაოდენობა ფეოდალური ციხესიმაგრეებისა. აშკარა გახდა, რომ გარკვეული დროიდან საქართველოს მთელი ტერიტორია დაიფარა ფეოდალურ ციხესიმაგრეთა ფართო ქსელით, რომელიც, ასე ვთქვათ, ზედ დაეფინა ნასოფლართა კიდევ უფრო ხშირ აგლომერაციას. სრულიად აშკარა გახდა ციხესიმაგრისა და მის გარშემო მდებარე ტერიტორიის ნასოფლართა ურთიერთკავშირი, კერძოდ კი გარკვეული ტერიტორიის ნამოსახლართა დამოკიდებულება ფეოდალური ციხესიმაგრისადმი, როგორც მათი ცენტრისადმი. რამდენადაც ჩრთსა და იმავე ტერიტორიაზე ფეოდალის ციხესიმაგრისა და თავისუფალი თემის თანაარსებობა გამორიცხებულია, ამდენად, ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტი — განსაზღვრული ტერიტორიის მოსახლეობის დამოკიდებულება ფეოდალური ციხესი-

მაგრისაგან — ცხადი მაუწყებელია ყოფილ თავისუფალ მეთემეთა ყმაღქცევისა ციხისუფალ ფეოდალთა მიერ ანუ მედიევისტური სოციალური ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ — ეს არის აშკარა მაუწყებელი მოსახლეობის სოციალურ ურთიერთობაში ე. წ. სენიორალური სისტემის დამყარებისა და ე. ი. სავსებით მომწიფებული ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებისა. ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიება ცხადყოფს, რომ საქართველოში VIII ს-ის შუახანისათვის არსებითად ეს უკვე მომხდარი ფაქტია.

ჩვენ რომ წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ თუ რა დიდი მნიშვნელობისაა საქართველოში ისტორიულ-გეოგრაფიული ძიების შედეგად დადგენილი ფაქტი ფეოდალურ ციხესიმაგრეთა წარმოქმნისა მათი სოციალური ფუნქციის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, შეიძლება მაგალითი მოვიტანოთ ფრანგული თანამედროვე მედიევისტებიდან, რომელიც დიდი ხანია, რაც წარმართავს დასავლეთ-ევროპული მედიევისტური ისტორიოგრაფიის თეორიული პრობლემატიკის კვლევა-ძიებას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ 70-იან წლებში იმავე ისტორიულ-გეოგრაფიული სავსელე კვლევა-ძიების საფუძველზე, რომელიც იქ წარმოებდა 1961 წლიდან, სხვათა შორის, სავსებით ანალოგიურ თეორიულ დასკვნამდე მივიდნენ ცნობილი ფრანგი მედიევისტები და ეს თვალსაზრისი, რომელმაც, როგორც აღნიშნავენ, საფუძველი დაუდო შუა საუკუნეების დასავლეთ-ევროპული საზოგადოების სოციალური ისტორიის ახალ მიმართულებას და „მარგოლუციონერებელი“ როლი შეასრულა თანამედროვე ისტორიული მეცნიერების განვითარებაში, ამჟამად აღიარებულია მთელ დასავლეთ-ევროპულ მედიევისტურ ისტორიოგრაფიაში. ძნელი არ არის დავინახოთ, რომ ფეოდალურ ციხესიმაგრეთა წარმოქმნის ფაქტის, როგორც დიდი სოციალური ტეხილის აღმნიშვნელი მოვლენის შეფასება ფრანგი მედიევისტების მიერ არსებითად იდენტურია ქართულ ისტორიოგრაფიაში ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგად გამოთქმული თვალსაზრისისა.

ზემოთქმულიდან, ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ-გეოგრაფიულ სავსელე კვლევა-ძიებას ქვეყნის ისტორიის — კარდინალური საკითხების გაშუქების და ახლებურად გააზრების თვალსაზრისით.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ისტორიული გეოგრაფიის ძირითად შინაარსს საზოგადოების შიდატერიტორიული სტრუქტურისა და ამ უკანასკნელის დროთა ვითარებაში ევოლუციის კვლევა შეადგენს. ისტორიულ-გეოგრაფიულმა სავსელე კვლევა-ძიებამ საქართველოში შექმნა შესაძლებლობა თვალი გაგვედევნებინა ისტორიულ-გეოგრაფიული ცვლილებებისათვის ათასწლეულთა მანძილზე, წარმოგვეჩინა ადგილობრივი საზოგადოების სოციალური და ამასთან დაკავშირებული შიდატერიტორიული სტრუქტურის ცვლილებები, გაპირობებული ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებით უძველესი პერიოდებიდან შუა საუკუნეების ჩათვლით. ამის საფუძველზე შემუშავებულია ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების, ასე ვთქვათ, ისტორიულ-გეოგრაფიული პერიოდიზაცია წვირილი, პირველყოფილ-თემური ტერიტორიული ერთეულებიდან „ხევებამდე“, რომლებიც ზემოხსენებული პირველყოფილ-თემური „სოფლების“ ტერიტორიულ-ეკონომიკურ გაერთიანებას ქმნიდნენ და შეესატყვისებოდნენ პირველყოფილ-თემური წყობილების ბოლო ეტაპისა და ადრეკლასობრივი პერიოდის საზოგადოებას, და „ხევებიდან“ ვი-

დრე ფეოდალურ „ქვეყნებამდე“, რომლებიც სოციალური განვითარების თვალსაზრისით დამახასიათებელია სავსებით განვითარებული ფეოდალური საზოგადოებისათვის.

ამგვარად, საქართველოს ტერიტორიის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა ცხადყოფს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული ცვლილებების პროცესი სავსებით ადექვატურია მისი სოციალური და ეკონომიკური განვითარებისა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ზემოხსენებული თვალსაზრისი საზოგადოების ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების კანონზომიერების შესახებ და ამის საფუძველზე მიღებული მეთოდოლოგიური დასკვნა ისტორიულ-გეოგრაფიული ცვლილებებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ადექვატურობის შესახებ ქართული ისტორიოგრაფიის მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების საბოლოო მიზანია შეიქმნას „საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული, ატლასი“, რომელშიც ებოქებისდა მიხედვით ცალკეულ რუკებზე მოცემული იქნება მთელი ის მეცნიერულად დამუშავებული ინფორმაცია ქართველი ხალხის პოლიტიკური, ეთნიკურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ითქვა.

ამჟამად კი განყოფილებაში, ინსტიტუტის ყოველმხრივი ხელშეწყობის შედეგად, მომზადებულია სასწავლო დანიშნულების „საქართველოს ისტორიის ატლასი“, რომელიც 60-ზე მეტ მცირემასშტაბიან რუკას შეიცავს და დაფუძნებულია ძველთან ერთად ნაწილობრივ იმ ახალ მასალაზე, რომელიც მოპოვებულია ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების მიერ მისი მუშაობის ოცდაათი წლის განმავლობაში. იმედი გვაქვს, რომ ამ ატლასის გამოქვეყნება ახლო მომავალში მოხერხდება.



**ილ. ანთელავას, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI—XIII სს., თბ., გამომც. „მეცნიერება“, 1983 წ.**

ი. ანთელავას მონოგრაფია ეძღვნება შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ საყურადღებო პრობლემას, — გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილებისა და მართვა-გამგეობის სისტემას, რომელიც საკლდე პერიოდში საკმაო სირთულითა და მრავალმხრივობით ხასიათდება.

მონოგრაფიაში აღძრული პრობლემა დიდი ხანია დგას ქართული ისტორიოგრაფიის ყურადღების ცენტრში. XI—XIII სს. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა მთლიანობაში პირველად ივ. ჯავახიშვილმა შეისწავლა. შემდგომში ამ მიმართულებით კვლევა-ძიებას აწარმოებდნენ ნ. ბერძენიშვილი, მ. ბერძენიშვილი დ. ვვრიტიშვილი, ა. კიკელიძე, რ. კვიციანი, მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი ნ. შოშიაშვილი და სხვ. ი. ანთელავას დამსახურებულ უნდა ჩიათალოს არსებული წყაროების და ლიტერატურის კრიტიკული დამუშავების საფუძველზე საკვლევი თემის მონოგრაფიულად შესწავლა. ისტორიოგრაფიაში დღეისათვის გავრცელებული ზოგიერთი დებულების არკუმენტირებული გადასიხჯვა, კვლევის სფეროში არაერთი ახალი საკითხის შემოტანა და მათი ორიგინალური ინტერპრეტაცია.

ნაშრომის ავტორი საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობის ორგანოდ განიხილავს მეფის სასახლეს ანუ „დარბაზს“ („ტაძარი“), სადაც თავმოყრილი იყო ცენტრალური მმართველობის აპარატი ცალკეული უწყებებით. ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია სასიკეთო ორიგინალური მოსაზრება, რომლის თანახმად „დარბაზი“ აღნიშნავს მეფის სასახლეს, „დარბაზის ერი“ კი სასახლის მოხელეთა ერთობლიობას და არა „სახელმწიფო საბჭოს“ და მის წევრებს, როგორც ამის აღიარებს ისტორიოგრაფიაში გავრცელებული თვალსაზრისი.

ნაშრომში ვრცელადაა განხილული ფეოდალური მონარქიის სასახლის, „დარბაზის“, როგორც მთავარი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაწესებულების უწყებრივი სტრუქტურა. ამასთანავე თვალნათლივია წარმოჩე-

ნილი „დარბაზის“ უწყებრივ სტრუქტურაში „საწოლის“ (მეფის კაბინეტი აპარტამენტებითურთ), როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური მართვის ძირითადი და წამყვანი უწყების როლი და მნიშვნელობა, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადო სისრულით არ იყო წარმოჩენილი.

საგულისხმოა ავტორის მსჯელობა სალაროს, მოძრავი სალაროს, „სიკრიტონის“, მოლარეთუხუცესის შესახებ. მნიშვნელოვანი დაკვირვებებია მოცემული საჟურტოსის, საჯინო-ზარადხანის უწყებათა ფუნქციებისა და კომპეტენციის სფეროზე.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ავტორის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც ეხება სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე გაურკვეველ „საგანმგეოს“ საკითხს. მიმოქცევაში არსებული და ახლადმოხმობილი მასალების საფუძველზე ავტორი ცხადყოფს, რომ „საგანმგეო“ წარმოადგენდა იმ უწყებას, საიდანაც ხდებოდა სამეფო დომენის მართვა. უაღრესად საინტერესოა მსჯელობა „საგანმგეოს“ უწყების მეთაურ (განმგეთუხუცეს-ჩუხჩარები) და დაქვემდებარებულ მოხელეებზე.

მნიშვნელოვანი ცვლილი შეიტანა მონოგრაფიის ავტორმა ცენტრალური მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უწყების, — „სააჯო კარის“ შესწავლაში. თუ ტრადიციული თვალსაზრისით „სააჯო კარი“ მხოლოდ უმაღლეს სააქვაციო სასამართლოდ განიხილებოდა ი. ანთელავას დაკვირვებით, აღნიშნულ უწყებას გაცილებით ფართო ფუნქციები ჰქონდა. მასში თავს იყრიდა მეფისა და ეპარქიების სახელზე შედგენილი ყოველგვარი აჯამოსხენება რომელიც სასახლის ადმინისტრაციაში სწორედ „სააჯო კარის“ მეშვეობით შედიოდა. „სააჯო კარის“ უწყებას, ი. ანთელავას მოსაზრებით, ამირეჯიბი განაგებდა.

მონოგრაფიაში დიდი ადგილი ეთმობა ცენტრალური მმართველობის უმაღლეს მოხელეებს: მწიგნობართუხუცეს-ჟეონდიდელს, მანდატურთუხუცესს, ამირსპასალარ-ათაბაგს, მეჟურტულთუხუცესს, მსახურთუხუცესს, მათი უწყების დაქვემდებარებულ მოხელეებს. ავტორი, საკვებით მართებულად, ცდილობს განასხვავოს ერთმანეთისაგან თითოეული



მთავანის როგორც მეფის, ისე სახელმწიფოს მოხელის ფუნქციები. საგანგებოდ იკვლევს უწყებთა უზუტეულობის (მეთაურები) სოციალურ კუთვნილებას, აზუსტებს მათს ქრონოლოგიას და სხვა გვთავაზობს რიგ ახალ მოსაზრებებს მათს სამოხელეო კომპეტენციებზე.

ანგარიშგასაწევრ სარგვეტენტებზე დამყარებული მონოგრაფიაში განვითარებული თეორიასაზრისი სახელმწიფო საბჭოს შესახებ, ი. ანთელავა, მართალია, იზიარებს „დარბაზის“ სახელმწიფო საბჭოდ მიჩნევის თეზისს, მაგრამ ის ამით არ უარყოფს სახელმწიფო საბჭოს არსებობას სამეფო კარზე. სახელმწიფო საბჭოს, მისი აზრით წარმოადგენს „ვეზირობა“ ანუ „დარბაზის“ უმაღლეს მოხელეთა თათბირი მეფესთან, სადაც მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეები განიხილებოდა.

სარეცენზიო ნაშრომში შესაძლებელი სისრულეთაა შესწავლილი მმართველობის ადგილობრივი აპარატი. ეს უკანასკნელი, როგორც ნაშრომშია აღნიშნული, ორ ძირითად სფეროს მოიცავდა: სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს — საერისთავოს და სამეფო დომენს, რომელთა მართვა-გამგებლობა სხვადასხვა იურიდიულ რეჟიმს ემყარებოდა.

გასაზიარებელია „ერისთავის დადგინების წესში“ მოცემული ფორმულებისა და „საერისთავოთა გამკვიდრების“ შესახებ ქართულ წყაროებში დადასტურებული ცნობების ახლებური ინტერპრეტაცია, რომლის საფუძველზე ავტორი ნათლად ასაბუთებს განსხვავებას ერისთავის თანამდებობის „მამულობით გამკვიდრებას“ ანუ ერისთავობის მემკვიდრეობითობასა და საერისთავო ტერიტორიის სამამულოდ გამკვიდრებას შორის, რაც სავსებით დამაჯერებელს ხდის ავტორის თვალსაზრისს, რომლის თანახმად ერისთავის ინსტიტუტმა არსებობის მთელ მანძილზე შეინარჩუნა ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი, — საჭარო ხელისუფლების მოხელეობა.

ვრცლად ეხება ავტორი სამეფო ხელისუფლების პოლიტიკას ერისთავების მიმართ. ის ფაქტი, რომ სამეფო ხელისუფლება ჰქონდა თავგამოდებით ებრძინა ურჩ ერისთავებს, ჩამოართმევს მათ სავამებლო ტერიტორიას აქემებს თავნება ერისთავების მემკვიდრეობითობას, ი. ანთელავას მართებული მოსაზრებით, არ შეიძლება მივიჩნიოთ ერისთავობის, როგორც სამოხელეო ინსტიტუტის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებად. სამეფო ხელისუფლების რეპრესიები ვრცელდება განდგომილ ერისთავებზე და არა საერთოდ ერისთავობაზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნაშრომის ავტორი რელიგიურად წარმოაჩენს განსხვავებას საერისთავო-სამოხელეო ტერიტორიასა და ერისთავის პატრიმონიალურ მამულს შორის, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ერისთავის ხელისუფლება საერისთავო ტერიტორიაზე საჭარო-უფლებრივ საწყისს ემყარება, თავის პატრიმონიალურ მამულში კი ექსპოზიციურად იყენებს საერისთავოს პირველის მიმართ ის სახელმწიფო მოხელეა მეორის მიმართ მესაქუთად და ეს ორი სხვადასხვა იურიდიულ რეჟიმს დაქვემდებარებულ ტერიტორია ერთმანეთს არ ფარავს. ამის გათვალისწინება შესაძლებლობას იძლევა სწორად იქნეს გააზრებული ერისთავისა და საერისთავოს სტატუსი ამ ინსტიტუტის განვითარების მთელ მანძილზე.

ნაშრომში განხილულია საერისთავოს სტრუქტურის, ერისთავის ხელქვეითი მოხელეების, საერისთავო გადასახადების, „მონაპირე საერისთავოთა“ წარმოშობის დროისა და სხვა საკითხები.

საინტერესოდაა გაშუქებული სამეფო დომენის ადგილობრივი მმართველობა, რომელიც ამოღებულია ერისთავის იურისდიქციიდან და „სავანმგვოს“ უწყების ხელშია თავმოყრილი. შესწავლილია აგრეთვე საქალაქო მმართველობის საკითხები.

ნაშრომის მიმართ გვაქვს რამდენიმე შენიშვნა თუ სურვილი. გაერთიანებული საქართველოს ცენტრალური მმართველობის აპარატის ჩამოყალიბებაზე მსკეობისას სასურველი იყო გამოკეთილად ყოფილიყო ნაიჭენები ის მოხეხები, რომლებმაც განაპირობეს სახელმწიფო მოხელისა და პირადად მეფის მოხელის ფუნქციების შერწყმა. ვერ დაეთანხმებით ავტორს იმის მტკიცებაში, რომ ერისთავთ-ერისთავის თანამდებობა ოფიციალურად არ არსებობდა. ვფიქრობთ, ავტორის მიერ მოტანილი მასალები აღნიშნული მტკიცების საწინააღმდეგოდ მეტყველებდნენ. წიგნით სარგებლობის გააღვივების მიზნით აუცილებელი იყო საძიებლის დართვა.

აღნიშნული შენიშვნები ოდნავადაც ვერ ამიარებს სარეცენზიო ნაშრომის ღირსებას. ნაშრომის ავტორისთვის დამახასიათებელია გულისხმიერი დამოკიდებულება წყაროებისა და სამეცნიერო-ლიტერატურისადმი. ის ყურადღების ვარჯი არ ტოვებს შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით წინამორბედ მკვლევართა მიერ გამოთქმულ თითქმის არც ერთ მოსაზრებას. მისასაღებელია ის გარემოება, რომ ავტორი ხელახლა მიუბრუნდა ყველა იმ მასალას, რომელიც საფუძვლად ედო საკვლევო პრობლემის გარშემო ისტორიოგრაფიაში

გამოთქმულ თვალსაზრისებს. აღნიშნული მასალების „ახალი თვალით“ წყაიბებამ მას შესაძლებლობა მისცა გამოეთქვა არაერთი ორიგინალური, შეცნობრულად დასაბუთებული

მოსაზრება XI—XIII სს. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის საკითხებზე.

ზონალი არახაზის

**С. М. АЛИЕВ. «НЕФТЬ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКОЕ РАЗВИТИЕ ИРАНА В XX в.»** Москва, «Наука», 1985, 302 с. Ред. проф. Ю. В. Ганковский (резюме на английском языке)

Вышедшая недавно монография известного востоковеда-ираниста, старшего научного сотрудника Ордена Красного знамени Института востоковедения АН СССР С. М. Алиева «Нефть и общественно-политическое развитие Ирана в XX в.» является первым широко обобщающим трудом по данной теме. Монография содержит сведения о многолетней истории расхищения империалистами основного национального богатства иранского народа — нефти и связанных с ней важнейших социально-экономических и политических событиях в стране в течение нынешнего века. Автор дает убедительную картину комплекса исторических явлений от подписания в 1901 году кабального концессионного договора о нефти между английским подданным инженером д'Арси и персидским правительством шаха Мозаффера эд-Дина до наших дней. Как отмечено в монографии, разные аспекты нефтяного вопроса, социально-экономической и политической ситуации, содержащиеся в труде, в какой-то степени изучались советскими и зарубежными авторами. Однако не было полноценного специального исследования, в котором указанные проблемы рассматривались бы в тесной взаимосвязи на протяжении минувших десятилетий.

В книге С. М. Алиева на основе неопровержимых фактов доказывается, что англо-иранскую нефтяную компанию (АИНК), наряду с созданными англичанами в Иране т. н. Шахиншахским банком, британские колонизаторы использовали в качестве орудия для проведения своей политики в Иране и странах Персидского залива.

После Второй мировой войны, в результате крушения и распада мировой колониальной системы империализма и усиления борьбы поработанных народов за на-

циональную независимость, в Иране произошло общенародное движение за национализацию нефтяной промышленности, принявшее общий антиимпериалистический характер. Естественно, автор особое место уделяет в своей книге освещению этого значительного события в истории Ирана. В труде отмечается, что отличительной чертой послевоенного периода явился заметный рост участия широких народных масс, особенно городских жителей, в политической жизни общества. Важную роль в борьбе за национализацию нефтяных ресурсов играли рабочий класс и созданный в годы войны его авангард — Народная партия Ирана. Автор вводит в научный оборот огромное количество фактического материала и раскрывает сугубо колониальную сущность деятельности АИНК, показывает всенародный демократический характер выступлений иранского народа. Факты, приведенные в книге, доказывают, что определенную роль в возникновении и развитии англо-иранского конфликта по нефтяному вопросу сыграли правящие круги США, поддерживавшие нефтяные монополии Америки в их стремлении получить доступ к иранской и ближневосточной нефти. Для достижения своих целей — вытеснить англичан с нефтяной кормушки и занять их место, правящие круги США первоначально поддерживали и даже временами поощряли к активному действию иранских политиков, выступавших за пересмотр условий деятельности АИНК и за увеличение доли Ирана в ее доходах. Однако вскоре, договорившись с правящими кругами Великобритании относительно иранской нефти и условий ее эксплуатации, американское правительство и крупнейшие нефтяные корпорации США разработали единую линию в отношении правительства Мосаддыка. В случае отказа

Мосаддыка от совместных англо-американских предложений по нефти, правящие круги США и Англии намеревались отстранить его от власти. Этот план полностью устраивал шаха, отношения которого с Мосаддыком и его окружением делались все более враждебными. В книге показан антинародный, предательский характер политики шахского двора, занимавшего проимпериалистическую позицию в нефтяном вопросе. В то же время дается глубокий анализ классовой природы буржуазного правительства Национального фронта Мохаммеда Мосаддыка, политике которого были присущи зигзаги и непоследовательность. Выступая против господства в Иране империалистических нефтяных компаний, правительство Мосаддыка не решалось пойти навстречу прогрессивной, демократической части иранского общества, требовавшего проведения в стране радикальных социально-экономических и политических преобразований. Правительство не решалось также установить контакты с социалистическими странами, готовыми оказать ему реальную помощь в реализации нефтепродуктов и наладить с ними межгосударственные торгово-экономические и политические отношения.

В результате государственного переворота в августе 1953 года, устроенного агентами англо-американского империализма и внутренней реакции страны, было разгромлено демократическое движение, что значительно повысило шансы американских монополий захватить иранскую нефть.

Под аккомпанемент расстрелов иранских патриотов — участников демократического движения, осенью 1954 года Международный Нефтяной Консорциум (МНК), в котором ведущее место заняли американские монополии, реализовал в ущерб иранской стороне право продолжать хищническую эксплуатацию нефтяных ресурсов страны. «Победа интересов Запада, — пишет автор, — имела международное значение. Не позволив Ирану самостоятельно выйти на мировой рынок, помешав ему установить полный суверенитет над собственной нефтью, империализм стремился запугать остальные нефтедобывающие страны региона, демонстрируя им бесперспективность национализации».

Во второй половине 50-х — в начале 60-х годов, после того, как империалисты Запада захватили не только нефть страны,

но и втянули ее в агрессивный Багдадский пакт (с 1959 года — СЕНТО), а в дальнейшем, в марте 1959 года, заключением двухстороннего военного договора привязали к милитаристической колеснице США, в иранском обществе еще более обострили социально-экономические и политические проблемы. В стране назревала революционная ситуация. В этих условиях иранская монархия, выполнявшая волю американских империалистов, начала маневрировать с целью разрядки внутривнутриполитической напряженности, сохранения политической власти.

Шахский двор в начале 60-х годов под диктовку извне приступил к проведению социально-экономических и политических преобразований половинчатого характера, известных под пресловутым названием «Белой революции». В этом деле немалую услугу оказывало шахскому режиму участие Ирана в Организации стран — экспортеров нефти (ОПЭК), основанная в 1960 году. В 60-х и особенно в начале 70-х годов, в связи с ростом энергетического кризиса в капиталистическом мире, произошло многократное и резкое повышение цен на нефтепродукты. Как справедливо отмечает автор монографии, в эти годы масштабы воздействия нефтяной промышленности на общественно-политическую и экономическую жизнь Ирана значительно увеличились. Это проявилось прежде всего в том, что нефтяные интересы во многом стимулировали внешнеполитическую активность Ирана в зоне Персидского залива. Вместе с другими странами — членами ОПЭК, иранское правительство включилось в борьбу за улучшение условий сотрудничества с нефтяными монополиями. Нефтегазовая промышленность превратилась в сектор, в рамках которого формировались наиболее эффективные и рентабельные отрасли иранского хозяйства, доля доходов от нефти и газа в государственных поступлениях приобрели чрезвычайно важный характер.

Вместе с тем, после вынужденного ухода английских войск из зоны Персидского залива, шахское правительство Ирана при поддержке американцев стремилось приобрести гегемонию в этом регионе. Однако здесь оно столкнулось с интересами других соседних стран и, прежде всего, Ирака и Саудовской Аравии.

Нефтяной бум привел к резкому увеличению доходов от нефти. В труде разо-

блачается распространенное на Западе живое утверждение о том, что заключенное в июле 1973 года соглашение между шахским правительством и МНК ознаменовало якобы превращение созданной еще в 1951 году Иранской Национальной Нефтяной Компании (ИННК) в международную компанию со всеми звеньями — от разведки и добычи до сбыта нефтепродуктов на мировом рынке. Новое соглашение не ликвидировало полностью преимущественные права Консорциума на экспорт иранской нефти, не прекратило его деятельности в Иране, ибо было компромиссным соглашением.

Четырехкратное повышение цен на нефть в конце 1973 года могло принести огромную пользу стране при условии целенаправленного использования полученных доходов. Но абсорбация этих доходов, достигших почти 20 млд. долларов, стала для страны проблемой первостепенного значения. По словам автора, «империалистический характер шахского режима, его стремление пренебречь подлинными нуждами широких народных масс и использовать огромный поток нефтедолларов в интересах господствующего меньшинства и иностранных монополий, обусловили провал экономической и социальной политики иранских властей». Вместе с тем, неодолимое желание шаха получить самое современное вооружение и военную технику способствовали тому, что США приобрели новый эффективный рычаг воздействия на его правительство.

Миллиардные нефтедоллары растрачивались не на производственные и социальные цели, тогда как по официальным данным, уровень жизни 54% семей страны находился ниже порога бедности. Разоренные массы деревенского населения устремлялись в города, где они пополняли ряды пауперов и безработных. Дороговизна и инфляция были обыкновенными явлениями экономической жизни страны.

При таких обстоятельствах постепенно назревала новая революционная ситуация, пережившая в знаменитую иранскую революцию 1978—1979 годов. Монография четко прослеживает связь между многократным увеличением поступлений от нефти и усилением антинародной линии внутри страны и империалистическим курсом внешней политики шаха. Эту связь, — пишет автор, — следует рассматривать как

особое, специфическое явление, сыгравшее весьма важную роль в формировании предпосылок революции. Однако, по мнению автора, абсолютизировать ее, тем более считать определяющей в возникновении революционной ситуации, как порою пытаются делать отдельные авторы, было бы упрощением. Далее, в монографии подвергаются критике те, которые видят истоки иранской революции лишь в росте доходов от нефти и отодвигают на второй план такие важнейшие моменты, как провал реформаторской политики шахского правительства и несочетаемость главных компонентов его политического курса, что нашло концентрированное выражение в стремлении добиться форсированного развития госкапитализма и крупного частного капитала по западным образцам при сохранении почти средневековой монархической формы правления и преобладание реакционной идеологии.

В монографии на основе обширных фактических материалов раскрываются подлинные предпосылки революции, указывается на все основные социально-экономические и политические факторы, сделавшие революционные события неизбежными.

В книге проанализированы обстоятельства, способствовавшие выдвижению оппозиционных религиозных деятелей на руководящую роль в революционном движении. По мнению автора, ввиду того, что застрельщиками массовых антимонархических выступлений стали прежде всего «традиционные» средние городские слои и связанные с ними прослойки рабочих, пауперы, студенты, учащиеся и поскольку всем им (за исключением студенчества и учащихся) не были доступны иные идеологические системы, кроме религиозной и националистической, для них оказались весьма приятательными религиозные концепции о «социальной справедливости». Вместе с тем надо учесть и то обстоятельство, что шахский режим преследовал и подвергал репрессиям марксистские и другие прогрессивно настроенные организации, способные возглавить народное движение и направить его в демократическое русло. При таких условиях шитское духовенство, традиционно пользовавшееся значительной автономией и располагавшее легальными средствами общения с широкими массами населения, преобрело существенное преимущество. Эти и другие обстоятельства поз-

ვლილი шиიტским лидерам занять ведущее место в руководстве революции.

Автор книги отдельно рассматривает вопрос о становлении Исламской Республики Иран и нефтяную политику нового режима. После победы антимонархической, антиимпериалистической революции и прихода к власти религиозно-политических лидеров во главе с аятоллой Рухоллой аль-Мусави аль-Хомейни, разгорелась внутриполитическая борьба между разными партиями и политическими организациями, выражавшими интересы отдельных классов и социальных групп иранского общества, отличавшегося незавершенностью процессов социальной дифференциации. В монографии дан глубокий научный анализ внутри- и внешнеполитического курса руководителей Исламской республики и влияния на него нефтяного фактора. После временного прекращения в период революционных событий добычи, переработки и экспорта иранской нефти, 5 марта 1979 года Иранская Национальная Нефтяная Компания возобновила экспорт нефти. В мае того же года иранское правительство окончательно порвало отношения с МНК, упразднив соглашение 1973 года. Несмотря на то, что уровень добычи нефти значительно снизил-

ся, доходы, полученные от ее экспорта, превышали дореволюционный показатель из-за повышения цен на нефтепродукты.

Война с Ираком, начавшаяся 22 сентября 1980 года и продолжающаяся по сей день, причинила большой урон нефтедобывающей промышленности страны. Иранские руководители проводят политику «ходкафай» («самообеспечение»), предусматривающую удовлетворение потребностей страны на базе мобилизации внутренних ресурсов, но нефть и газ остаются главными статьями валового национального дохода и валютных поступлений страны. Как правильно заключает автор, несмотря на то, что нынешние иранские руководители поначалу ставили программу о необходимости ослабления зависимости государственных финансов и экономики страны от нефтяных поступлений, подобная зависимость не только не сократилась, но стала еще более значительной.

В целом монография С. М. Алиева является важным вкладом в развитие отечественной востоковедческой исторической науки вообще и иранистики в частности. Она может оказать помощь не только специалистам, но и всем, которые проявляют интерес к изучению актуальных проблем современного Востока.

Г. С. ЧИПАШВИЛИ

## ეთნოგრაფთა VII რესპუბლიკური სამეცნიერო სესია ქ. სოხუმში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეთნოგრაფიული კომისიის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულის სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის თაოსნობით 1985 წ. 5—7 ივნისს ქ. სოხუმში ჩატარდა ეთნოგრაფთა VII რესპუბლიკური სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა ცნობილ აფხაზი ეთნოგრაფის სოლომონ ზვანბას ხსოვნას.

ეთნოგრაფთა სამეცნიერო სესიას, რომელიც ტრადიციულად რესპუბლიკაში მიმდინარე საეულ-ეთნოგრაფიული მუშაობის წლიურ შედეგებს აჯამებს, მნიშვნელოვანი პრობლემა ჰქონდა დასახული: მოხსენებათა დიდი ნაწილი ქართულ-აფხაზური ეთნოკულტურული პარალელების უმნიშვნელოვანეს საკითხებს მიეძღვნა.

სესია გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ლ. რ. ბ. ა. ქ. ი. ძ. მ., რომელმაც ილაპარაკა სესიის მიზნებსა და ამოცანებზე. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ეთნოგრაფთა სესია ეძღვნება ცნობილი აფხაზი მეცნიერ-ეთნოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის ს. ზვანბას ხსოვნას. იგი მიზნად ისახავს განსაკუთრებული ადგილი დაუთმოს ქართველი და აფხაზი ხალხების კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის აქტუალურ პრობლემას, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ტრადიციული, არამედ თანამედროვე მეცნიერული თვალთახედვითაც.

აფხაზეთის საზოგადოებრიობის სახელით დამსწრეთ მიესალმა საქ. კ. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი რ. ბუტბა.

პირველ პლენარულ სხდომაზე მოსმენილი იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ძ. ი. ძ. რ. ი. ა. ს. მოხსენება სოლომონ ზვანბას ცხოვრებისა და მოღვაწეობის (1809—1855 წწ.) შესახებ. მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერ-

და ს. ზვანბას, როგორც საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და მკვლევრის დამახატრებაზე. ამ ფონზე იყო წარმოჩენილი აფხაზი ხალხის ლირიული შვილის ბიოგრაფიის ფურცლებიც, კერძოდ, პეტერბურგში უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში სწავლის წლები, სადაც იგი ახლოს გაეცნო რუსული და ევროპული კულტურის მიღწევებს. ს. ზვანბას საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულების ჩამოყალიბებაზე დიდი კვალი დააჩინა მისმა ურთიერთობამ მოწინავე რუს ინტელიგენციასთან, დეკაბრისტთა წრის წარმომადგენლებთან (ა. ბუსტუქევი-მარლინსკი, ნ. რაევსკი და სხვ.). ს. ზვანბამ, როგორც სამხედრო მოღვაწემ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ყირიმის ომის წლებში. მდ. ენგურთან თურქი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში იგი მამაცური სიკვდილით დაეცა.

მომხსენებელი ვრცელადაა გაშუქებული ს. ზვანბას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოღვაწეობა. მისმა სამეცნიერო მემკვიდრეობამ წარუშლელი კვალი დატოვა აფხაზეთის ეთნოგრაფიის შემდგომი განვითარების საქმეში. ს. ზვანბას ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას ეხებოდა შ. ი. ა. ლ. ი. ფ. ა. ს. მოხსენება, რომელშიც ხაზგასმულია მკვლევრის დამახატრება აფხაზური საცხოვრებლის, ოჯახისა და ქორწინების ისტორიის პრობლემების გაშუქებაში. მომხსენებელმა საფუძვლიანად მიმოიხილა მკვლევრის ეთნოგრაფიული ნაშრომები ამ საკითხებზე, რომლის ფონზედაც ნათლად წარმოჩნდა ს. ზვანბას ადლო და უნარი მშობლიური ხალხის ყოფისა და კულტურის ყველა მნიშვნელოვანი მხარის ცოდნისა და შეცნირული შეფასების საქმეში.

ოსურ-აფხაზური ეთნოკულტურული ურთიერთობის საინტერესო საკითხებს მიეძღვნა ზ. გაგლოევი და ს. მოხსენება. პრობლემის ისტორიოგრაფიული ნაწილის (ვ. აბაევი, შ. ინალ-იფა და სხვ.) გაშუქებასთან ერთად მოხსენებაში ხაზგასმულია სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურისათუ სოციალური ურთიერთობის (პარალელები ორნამენტში, ხალხურ მუსიკაში — უარა-

და, დაკრძალვის წესებში, ცხენის მსხვერ-  
პლთშეწირვის ცერემონიაში, მიცვალებუ-  
ლის კულტში და ა. შ.) თავისებურებანი, რომ-  
ლებიც ოსი და აფხაზი ხალხის მრავალსაუკუ-  
ნოვანი კულტურულ-ისტორიული ურთიერ-  
ობის შედეგად შეიქმნა და ჩამოყალიბდა.

ანალოგიურ მიზანს ისახავდა აგრეთვე  
ი. მალიასა და ჟ. ვარშალომიძის  
მოხსენება, რომელშიც ქართულ-აფხაზური  
ეთნოგრაფიული პარალელები მატერიალური  
კულტურის თვალსაჩინო ელემენტის ორნა-  
მენტის გენეზისისა და განვითარების შეუქნე-  
ა განალიზებული.

ქართულ-ოსურ ეთნოგრაფიულ პარალე-  
ლებს მიეძღვნა ლ. ჩიბიროვისა და  
ვ. ჩიქოვანის მოხსენება, რომელშიც წინა  
პლანზე იყო წამოწეული ცენტრალური კერა  
და ტრადიციული საცხოვრებელი სახლის სივ-  
რცის ორგანიზაცია. მოხსენებაში განსაკუთრე-  
ბული ყურადღება გამახვილებული საოჯახო  
წეს-ჩვეულებების ქრონოლოგიურ, რომელშიც თა-  
ვისებურად რეპროდუცირდება ცხოვრების  
წესისა და შესაბამისი სამყაროს მითოლოგი-  
ური სურათის უმთავრესი ნიშან-თვისებები,  
დრო-სივრცის სოციალიზაციის პროცესთან  
დაკავშირებული მომენტები.

საყურადღებოა მ. ქანთარიასა და  
რ. ქანბას მოხსენება, რომელშიც საუბარია  
ქართული და აფხაზი ხალხების შიგრ  
სამიწათმომქმედო კულტურის სფეროში შე-  
ზღუდვებულ ერთობლივ მიღწევებზე. მოხსე-  
ნებაში ვრცელადაა დახასიათებული კულტუ-  
რულ-ისტორიული კავშირები მემინდრეობის  
კულტურების მოვლა-შოშენების, სამიწათმო-  
ქმედო იარაღების, სახეწელების დამზადება-  
ექსპლუატაციის, აგრეთვე სულიერი მულ-  
ტურის, კერძოდ სამიწათმომქმედო კულტებისა  
და ხალხური აგარული დღესასწაულების  
სფეროში.

ნ. ჯაფახაძისა და ა. შინკუბას  
მოხსენება მიეძღვნა ქართული და აფხაზი  
ხალხების სოციალური ურთიერთობის, კერ-  
ძოდ, ნათესაობის სისტემის საკითხს. მოხსე-  
ნებაში განილულია ქართული (სვანურ-მეგრ-  
ული) და აფხაზული ნათესაური ტერმინო-  
ლოგია. ტერმინების 'ისტორიულ-ტიპოლოგი-  
ური ანალიზით დადგენილია ქართულ (სვა-  
ნურ-მეგრული) და აფხაზურ ნათესაურ სისტე-  
მათა ტიპები. გამოვლენილია ის კანონზომიერ-  
ებები, რომელიც არსებობს ნათესაურ სისტე-  
მასა და სოციალური ორგანიზაციის ფორმებს  
შორის.

ლ. მელიქიშვილისა და ლ. აკა-  
ბას მოხსენება ეხებოდა წინააქორწინო  
წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებს ქართულ-  
აფხაზური ეთნოგრაფიული პარალელების შექ-

ზე. ქორწინების სტრუქტურის შესწავლისას  
ავტორები ადგენენ ტიპოლოგიურ მსგავსებას  
აფხაზურსა და ქართულ ქორწინებაში, მაგრამ  
აქვე ხაზგასმულია აღნიშნული სოციალური  
ინსტიტუტის ლოკალური, ეთნიკური თავისე-  
ბურებანიც.

ასევე ქართულ-აფხაზურ ეთნოგრაფიულ  
პარალელებზეა აგებული ს. ბახიასა და  
ვ. ბიგვავას მოხსენებაც, რომელშიც  
წარმოდგენილია შიდასოჯახო ურთიერთო-  
ბის ტრადიციული და თანამედროვე პრობლე-  
მები. ყურადღება გამახვილებულია ქართუ-  
ლი (მეგრული) და აფხაზური დიდი ოჯახის  
ყოფის ძირითად კომპონენტებზე, კერძოდ  
რამდენიმე თაობის განმავლობაში ცოლქმრ-  
ული წყვილების ერთად ცხოვრების ფაქტზე,  
კოლექტიურ საკუთრებაზე, შრომის ორგანი-  
ზაციის ფორმებზე, შიდასოჯახო ურთიერთო-  
ბასა და მმართველობის სისტემაზე.

საინტერესოდ წარმართა მატერიალური-  
კულტურისა და სამეურნეო ყოფის სექციის  
(თავმჯდომარე — ვ. შამილაძე, მდივანი —  
ი. არგუნი) მუშაობა.

მრავალფეროვანი საეველ ეთნოგრაფიუ-  
ლი მასალები, საარქივო და სამეზუბეო დო-  
კუმენტები და ლიტერატურული მონაცემები  
იყო განალიზებული ჟ. რუხაძის მოხსე-  
ნებაში, რომელიც XIX ს-ის და XX ს-ის  
დასაწყისის დასავლეთ საქართველოს საშინ-  
აო და სავაჭრო საბაზრო ურთიერთობის სა-  
კითხებს მიეძღვნა. მოხსენებულმა სამეცნი-  
ერო მიმოქიყვაში შემოიტანა სრულიად ახა-  
ლი, ორიგინალური მონაცემები აღნიშნულ რე-  
გიონსა და მეზობელ კუთხეებში შინამრეწვე-  
ლობისა და შინახელოსნობის ნაწარმით, მარ-  
ცვლელი კულტურებში, მესაქონლეობისა და  
მეზღვეობა-მეყენახეობის პროდუქტებით ვაჭ-  
რობისა და ადგილ-მიცემობის შესახებ.

ყურადღება მიიქცია კ. ჩოლოყაშვი-  
ლის მოხსენებამ ქართულ ხანჯალზე. ავტო-  
რი ვრცლად შეჩერდა არა მარტო აღნიშნულ-  
ი იარაღისა და სხვა აღჭურვილობის დამზა-  
დება-გამოყენების საკითხებზე, არამედ შეეხო  
ხანჯლის ტარებასთან დაკავშირებულ რიტუა-  
ლურ-ჩვეულებით მხარეებს, ქიევის ნორმებს,  
ქიევის კულტურის წინა პლანზე წამოწევა  
მომხსენებელს საშუალება მისცა ახლებურად,  
ორიგინალურად გაეაზრებინა ხანჯლის ტარე-  
ბასთან დაკავშირებული მეტად საინტერესო  
ეთნოგრაფიული ფაქტები და მოვლენები.

ლ. ბერიაშვილის მოხსენება მიე-  
ძღვნა ანთროპოგენური ეროზიის ტრადიცი-  
ულ და თანამედროვე პრობლემებს. მომხსე-  
ნებელი შეეხო ნიადაგის დაცვის ტრადიცი-



ულ ხერხებსა და საშუალებებს, წარმოაჩინა ამ სფეროში გამოუმუშავებული ხალხური ცოდნა-გამოცდილების მდიდარი მარაგი, მრავალფეროვანი ტერმინოლოგია, და სავანებოდ შეჩერდა ტერასული მიწათმოქმედების, როგორც ხალხური აგროტექნიკის მეტად ეფექტური სისტემის აღდგენის პრობლემებზე.

ბ. გოცი რიძის მოხსენებაში გაშუქებული იყო ქართული სახელდახელო სუფრის — „თათარიახნის“ რიტუალურ-ჩვეულებითი მხარეები. ტერმინის პოლისემანტიკური ანალიზის საფუძველზე მოხსენებაში აღწერილი და განაწილებულია ოჯახში მოულოდნელად მოსული სტუმრისათვის გამართული სუფრის ჩვეულება.

ჭოროხის აუზის მოსახლეობის მეტალურგიული წარმოების საკითხები იყო გაშუქებული ნ. კახიძის მოხსენებაში. ავტორმა მიმოიხილა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხალხური მეტალურგიის ცენტრები, ვერცხლად გააშუქა მჭედლობისა და ხელოსნური ნაწარმის დამზადების ტექნოლოგია, სამკედლო და სახელოსნო იარაღ-ხელსაწყოები, დამზადებული ნაწარმის გაცვლა-გასაღების ადგილობრივი ცენტრები და განაწილა მჭედლობასა და ხელოსნობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია.

ყურადღება მიიქცია ა. კარაქეტიანი ს მოხსენებამ, რომელშიც ავტორმა მოიტანა ახალი მასალები მესხეთ-ჯავახეთში ცნობილი „ხანულობის“, „მოდგამისა“ და „ამფის“ სამეურნეო გაერთიანებათა შესახებ.

გ. ელიავას მოხსენება შეეხო აფხაზეთ-სამეგრელოს ყოფაში დამოწმებულ აცანგუარებისა და აცანების პრობლემას. მოხსენებაში მოტანილია საყურადღებო ეტიმოლოგიური ძიებანი, რომლის საფუძველზეც ავტორი შეეცადა დაედგინა აცანგუარების წარმოშობა-გენეზისისა და არეალური გავრცელების მეტად საინტერესო საკითხები.

ახალი მონაცემებია წარმოდგენილი ვ. შამილაძის მოხსენებაში, რომელშიც დასავლეთ კავკასიის მთიელთა სამეურნეო გაერთიანების — „კოშის“ შესახებ იყო საუბარი. აღნიშნული საკითხი ავტორმა ძირითადად გააშუქა ფრანგი მეცნიერის ჟ. პლინოლის მონაცემების მიხედვით, რომელსაც მოტანილი აქვს საინტერესო ცნობები კოშის წარმოშობის, ტიპოლოგიური კლასიფიკაციის, აგრეთვე სამეურნეო — ორგანიზაციული და ეკონომიკური მხარეების შესახებ. მოხსენებაში მოტანილია პარალელური მონაცემები საქართველოსა და კავკასიის მთიანეთის, აგრეთვე შუა აზიისა და ანატოლიის სამეურნეო გაერ-

თიანებაზე და ხაზგასმულია ქართულ-კავკასიური კოში|მონარეობა ||კოათური||კლოთერის პროგრესულ, დაწინაურებულ ხასიათზე.

ი. არგუნიის მოხსენება ეხებოდა მეტალურგიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებს აფხაზეთში. ავტორი მიმოიხილავს ხალხური მეტალურგიისა და, კერძოდ, მჭედლობის ტრადიციებს და მასთან დაკავშირებული ქართული, აფხაზური, ადიღური და ოსური ზემობრისტიკული შემოქმედების ნიმუშებს. მოხსენებაში მთავარი აქცენტი გადატანილია ენობრივ მონაცემებზე, მოცემულია მდნეულის საბადოებთან, მის მოპოვება-გადამუშავებასთან, მეტალის მიღების ტექნოლოგიასთან და ათვისებასთან, საბერველებთან და საღნობ ღუმელთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის ანალიზი. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ავტორს გამოთქმული აქვს ვარაუდი აფხაზური ხალხური მეტალურგიის, როგორც კოლხური კულტურის ლოკალური ვარიანტის შესახებ, რომლის ტრადიციები დღემდე შემორჩა აფხაზეთში მჭედლობისა და ლითონის დამუშავების სხვა ხერხების სახით.

ტ. ალანიას მოხსენება მიეძღვნა მკურნალობის ტრადიციებს აფხაზეთში. მოხსენებელმა დაასახელა აფხაზი მკურნალებისა და დასტაქრების მთელი თაობები, რომელთაც განსაკუთრებულ წარმატებას მოტეხილობის მკურნალობაში მიაღწიეს. სამკურნალო საშუალებებიდან ავტორი ვერცხლ შეჩერდა მცენარეულ და მინერალურ საშუალებებზე.

საყურადღებო მოხსენებები იქნა მოსმენილი სოციალურ ურთიერთობათა და სულიერი კულტურის სექციაზე (თავმჯდომარე ლ. ავაბა, მდივანი მ. შილაკაძე).

მ. კანდელაკის მოხსენება მიეძღვნა ქართულ მთიელთა საზოგადოების ტიპოლოგიის საკითხებს. მოხსენებლის აზრით, XX ს. დამდეგამდე აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ტერიტორიული თემი ცოცხლად ინარჩუნებდა საზოგადოებრივი განვითარების შედარებით ადრეული ეტაპების ელემენტებს. აღნიშნულ ფონზეა გაშლილი მომხსენებლის მსჯელობა სოციალური ტერმინების თავისებურებებზე. მრავალრიცხოვანი ფაქტობრივ მონაცემის საფუძველზე დადგენილია მთისა და ბარის რეგიონებში დღევანდელი ტერმინებით აღნიშნული ინსტიტუტების ძირეულად განსხვავებული სოციალური შინაარსი.

სექციის მონაწილეთა ყურადღება მიიქცია, თ. აჩუგბას მოხსენებამ, რომელშიც გაშუქებული იყო უკრაინი მცხოვრებ აფხაზეთა საქარწინო ჰერათობის საკითხები. სხვა მონაცემებთან ერთად მომხსენებელმა მოიტანა საქარწინო წეს-ჩვეულებებთან დაკავ-



შირებული აფხაზური ტერმინოლოგია, რომელთაგანაც ზოგიერთი მხოლოდ აჭარაში მცხოვრებ აფხაზებშია შემორჩენილი. ეს გარემოება საინტერესოა ზოგადთეორიული თვალსაზრისით და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ეთნოსის მიგრირებული ნაწილის კონსერვატიულ ბუნებას.

შიდა ქართლის სოფლის მოსახლეობის თანამედროვე ოჯახის სტრუქტურის საკითხებს შეეხო თავის მოხსენებაში ნ. შოშიტაშვილი. მოხსენებაში მოტანილი ახალი ეთნოგრაფიული მონაცემები გაანალიზებულია ოჯახის სამეურნეო-ეკონომიკური, სოციალური და სულიერი ცხოვრების ფართო ფონზე.

საინტერესო აღმოჩნდა ნ. კახანაძის მოხსენება მშობიარობასთან დაკავშირებული ტრადიციული წეს-ჩვეულებების შესახებ სამეგრელოში. ლიტერატურულ მონაცემებთან ერთად მოხსენებაში წარმოდგენილია ახალი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც სწორედ ქართულ-აფხაზური პარალელების რეგიონს განეკუთვნება და რამაც განაპირობა აფხაზი კოლეგების განსაკუთრებული ინტერესი მოხსენებაში.

ქალის მოტაცების ჩვეულების ტიპოლოგიის საკითხებს მიეძღვნა თ. იველაშვილის მოხსენება, რომელიც აქტორის მრავალწლიანი სავსე მუშაობის შედეგებს ითვალისწინებს. მოხსენებაში გამოყენებულია სამკოთა ეთნოგრაფიების თეორიული გამოკვლევების ის შედეგები, რომლებშიც გაშუქებულია სოციალური მოვლენების, კერძოდ ქორწინების ინსტიტუტის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის პრობლემები.

ამავე სექციაზე საინტერესო მოხსენებები გამოვიდა მ. შიგანაძე — რომელიც გაშუქებული იყო მამამძეობის ინსტიტუტის ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები. აქტორის მოტანილი აქვს მრავალფეროვანი მასალა მამამძეობის სხვადასხვა ფორმის შესახებ. ზელოვნური დანათესავების ეს ფორმა მოხსენებაში გაანალიზებულია ქართულ-კავკასიური შესაძარბელი მასალის შუქზე.

შ. სალაყაიას მოხსენებაში გაშუქებულია აფხაზური სამონადირეო საწესწვეულებო პოეზიის საკითხები. აქტორის მიერ მოტანილი მონაცემებით ნადირობის მფარველი აფხაზებში წარმოდგენილია როგორც მამაკაციური ღვთაება აუეიპში.

დიდი ინტერესი გამოიწვია მ. ხაშბას მოხსენებამ, რომელიც ე. წ. „სამკურნალო სიმღერები“ ქართულ-აფხაზური მუსიკალური პარალელების ფონზეა შესწავლილი. აქტორი მიმოიხილავს ყვავილით დაავადებულის სამკურნალო სიმღერებს, რომლებიც „დიდი ბა-

ტონებისა (ქართული) და „აზი ზოსხანისადმი“ (აფხაზური) იყო განკუთვნილი. ამ თვალსაზრისითაა განხილული ქართული უძველესი საწესო სიმღერა „ია-ნანა“, აფხაზური „იტ-ლარობა“ და ა. შ., რომლებიც ავადმყოფის გართობისა და ბატონების განდევნის მაგიურ ფუნქციას ასრულებს.

ასევე ახალი ეთნოგრაფიული მონაცემები იყო მოტანილი ე. აჭინჭალის მოხსენებაში, რომელიც მთა ერცახეს კულტის საკითხებს მიეძღვნა.

ე. ადღეიბას მოხსენება ეხებოდა ხარის კულტთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს აფხაზეთში. აქტორს მოტანილი აქვს საინტერესო პარალელური მონაცემები საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეების ეთნოგრაფიული ყოფიდანაც.

დასკვნით პუნქტულ სხდომაზე ა. რობაქიძის მოხსენება მიეძღვნა თანამედროვეობის ეთნოგრაფიული შესწავლის თეორიულ საკითხებს. მოხსენებაში ტერმინი „თანამედროვეობა“ და მისი ეთნოგრაფიული ასპექტები გაანალიზებულია სამკოთა და სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა ორი პოზიციიდან, კერძოდ, მაშინ, როცა ამ ცნების ქვეშ გაგებულია მთლიანად სოციალისტური ფორმაცია, და მაშინ; როდესაც თანამედროვეობად ჩათვლილია აგრეთვე აპიტალიზმისა და ურბანიზაციის პერიოდიც. აქტორის სამართლიანი შენიშვნით, კლასობრივი საზოგადოებიდან უკლასო საზოგადოებაზე გადასვლის პროცესში საზოგადოების ყოფასა და კულტურაში მომხდარი ძირეული გარდაქმნები ცნება „თანამედროვეობის“ ქვეშ ორი ფორმაციის — აპიტალიზმისა და სოციალიზმის გაერთიანების შესაძლებლობას არსებითად გამოირიცხავს. აღნიშნული ცნების დეფინიციის სირთულის, გათვალისწინებით, „თანამედროვეობის“ განსაზღვრის დროს უჭიკობესია მისი ფორმაციულობის ასპექტის აქცენტირება, ე. ი. საუბარი ბურჟუაზიული საზოგადოების ეთნოგრაფიაზე, სოციალისტური საზოგადოების ეთნოგრაფიაზე და ა. შ. მოხსენების მოდერნო ნაწილში ამ ფონზეა განხილული ეთნოგრაფიის საგნის — ტრადიციულყოფითი კულტურის პრობლემები, აქტორი ხაზს უსვამს ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის დიალექტიკური ერთიანობის აღიარებულ თვისებას და მიაჩნია, რომ ეთნოგრაფიის სადღეისო ამოცანას წარმოადგენს ნაციონალური კულტურის არა მარტო დიფსაცია, არამედ მისი თავისებურებების გამოვლენა, შესწავლა და მისი ჩაყენება ახალი სოციალისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბების საქმეში.

თ. ოჩიაურისა და ი. სურგულაძე

ძის მოხსენება მიეძღვნა საქართველოს სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის პრობლემატიკასა და მის პერსპექტივებს. მოხსენებაში დახასიათებულია ქართველი ხალხის სულიერი კულტურის შესწავლის ეტაპები, ის წინაპირობები, რომლებიც საფუძვლად დაედო რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, ხალხური ხელოვნების, გართობა-თამაშობების, ფოლკლორის, ხალხური მედიცინის, აღზრდისა და სხვ. თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების გაფართოებულ კვლევა-ძიებას. ხაზგასმულია ის დიდი დამსახურება, რომელიც მიუძღვით ამ მხრივ ივ. ჯავახიშვილს, გ. ჩხეიძის, ვ. ბარდაველიძეს, ს. მკვალითასა და სხვ. განსაკუთრებულ ადგილი ეთმობა ვ. ბარდაველიძის მეცნიერულ მემკვიდრეობას, რომლის ხანგრძლივ მოღვაწეობას უკავშირდება ქართველი ხალხის რელიგიურ მსოფლმხედველობასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი საველე-ეთნოგრაფიული მასალის შეგროვება და მისი ახლებური ინტერპრეტაცია. კერძოდ, საუბარია ისეთ მსხვილ პრობლემაზე, როგორცაა ხალხური დღესასწაულების კალენდარის სრული კორპუსის შედგენა, დასაბუთებულია ამ პრობლემის დიდი მნიშვნელობა არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ კავკასიის სხვა ხალხების კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობის შემდგომი კვლევა-ძიებისათვის.

მ. შილაკაძის მოხსენება მიეძღვნა ქართულ — ჩრდილოკავკასიურ ეთნოგრაფიულ პარალელებს მუსიკალური ინსტრუმენტების, კერძოდ არფის ანალოზის შექმნე. მოხსენებელმა აღნიშნა, რომ ჭერ კიდევ XIX ს. დასასრულს დასავლეთ კავკასიის მთიელებში შემორჩენილი ეს ინსტრუმენტი ამჟამად მხოლოდ საქართველოში, კერძოდ, სვანეთში გვხვდება, თუმცა იგი ახლო წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული მთელს საქართველოში. ავტორმა მოიტანა სვანური არფის — ჩანგის, აფხაზური აიუმას, ოსური ფანდრის, ყაბარდული ფშინა დეყუყუას ვრცელი აღწერილობა, მათი წარმომავლობა — გენეზისის გზები და განვითარების ეტაპები.

დასკვნით პუნქტურულ სხდომაზე მოსმენილი იქნა ი. არგუნიძისა და ლ. ლევინძის წინასწარი ანგარიში ქართულ-აფხაზური ერთობლივი ეთნოგრაფიული ექსპედიციის შესახებ. ხაზგასმულია, რომ ქართველებისა და მათი მოძმე მეზობელი ერების კულტურულ — ისტორიული ურთიერთობის გაფართოებულ კვლევას ბორჯომის ისტორიკოსთა ტრადიციული შეხვედრების პროგრამით დაელო საფუძველი.

განსაკუთრებული ადგილი დეთმო ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული პარალელებ-

ბის კვლევით გათვალისწინებულ პირველ (1983 წ.) და მეორე (1984 წ.) საველე ექსპედიციები (ხელმძღვანელები — ავად. წყვერკორ. ა. რობაქიძე და პროფ. შ. ინალიძე), რომლებიც გაიმართა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებისა და აფხაზეთის დ. გულის სახ. ენის, ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ეთნოგრაფთა ერთობლივი ძალეობით: ოჩამჩირის, წალენჯიხის, ზუგდიდისა და გალის რაიონებში. მოხსენებლებმა სესიის მონაწილეებს გააცნეს ამ ექსპედიციების კონკრეტული მარშრუტები, თემატიკა, აგრეთვე ქართულებისა და აფხაზეთის ტრადიციული კეთილმუშაობური ურთიერთობის ამსახველი ის მდიდარი საველე ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც საფუძვლად დაედება ამ ურთიერთკავშირების ამსახველ მონოგრაფიულ გამოქვეყნებს.

სხდომის დასასრულს მოსმენილი იქნა სექციის ხელმძღვანელების ვ. შამილაძისა და ა. აკაბას ინფორმაციები სექციების მუშაობის შესახებ.

პლენარული სხდომებისა და სექციების მუშაობაში ფართო მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების, მუზეუმების თანამშრომლებმა, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

სესიამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღინიშნა ეთნოგრაფიული პარალელების პრობლემატიკის გაფართოება, საქართველოს ეთნოგრაფთა კვლევა-ძიების თეორიული დონის შემდგომი ამაღლება და კოორდინაციის გაძლიერება, რაც უშუალოდ აისახა ქართველი და სხვა მოძმე ხალხების ყოფისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი მხარეების შესწავლაში, კულტურულ-ისტორიული კავშირების განმტკიცებასა და მათი უფლები დაახლოების, ურთიერთკულტურული გამდიდრების პროცესების გაშუქებაში.

ამასთან ერთად რეზოლუციაში ხაზგასმულია ძიებუბლიკის ეთნოგრაფთა წინაშე მდგომი ძირითადი ამოცანებიც — უფრო აქტიური დამოკიდებულება თანამედროვეობის ეთნოგრაფიის თეორიული და პრაქტიკული ასპექტებისადმი, კერძოდ, ეთნოგრაფიის როლის გაძლიერება თანამედროვე ყოფის შესწავლაში, ეთნიკური ტრადიციების სათანადო შეფასება სოციალისტური ცხოვრების წესის განმტკიცების პროცესში და ა. შ.

რეზოლუციაში აღინიშნა, რომ ამჟამინდელ ეტაპზე ეთნოგრაფიული პარალელების პრობლემა დღის წესრიგში სეამს საკითხს მეცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმე-

ბის ყოველმხრივი შესწავლისა და განსაზღვრისათვის. ეს მეთოდოლოგიური წინამძღვრები კი აუცილებელია კულტურულ-ყოფითი უნივერსალიების, რეგიონალური ერთობებისა და ეთნოსპეციფიკური ნიშნების გამოსავლენად, რაც თავის მხრივ მოითხოვს კავკასიის ხალხთა ყოფიდან ფართო ეთნოგრაფიული პარალელების ფიქსაციასა და მეცნიერულ ანალიზს. აღინიშნა, რომ მეცნიერული კვლევის ეს მიმართულება საფუძვლად უნდა დაედოს კოორდინირებული სამეცნიერო დაწესებულებების 1986—1990 წწ. ხუთწლიან სა-

მეცნიერო-კვლევით სამუშაოებს.

მხედველობაში მიიღეს რა ის, რომ მუდმივმოქმედმა ქართულ-აფხაზურმა ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ დიდი როლი შეასრულა ეთნოგრაფიული პარალელების დამუშავებაში, სესიის მონაწილეებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს ანალოგიური ეთნოგრაფიული ექსპედიციის შექმნა ქართულ-ოსური ეთნოგრაფიული პარალელების შესასწავლად. სესიის მუშაობა შეაჯამეს აკად. წევრ-კორესპონდენტებმა გ. ძიძარამ და ა. ბობაქიძემ.

**ვახტანგ შამილაძე**

**წყაროთმცოდნეთა საკავშირო სამეცნიერო სესია ქ. ბათუმში**

1985 წლის 17—19 ოქტომბერს ქ. ბათუმში ჩატარდა წერილობითი ისტორიული წყაროების შესწავლისა და გამოცემის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი საკავშირო სამეცნიერო სესია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის წამყვანმა სპეციალისტებმა — მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოს, ერევნის, ტაშკენტის, ალმა-ათის, დონის როსტოვის, დნეპროპეტროვსკის, ყაზანის, მახაჩკალის, თბილისის, სოხუმის, ბათუმის სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე მეცნიერებმა.

სესია გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თავმჯდომარე აკად. შ. ძიძიგურმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო კომისიის საქმიანობის მიზნები და ამოცანები. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ ახლანდელი საკავშირო სესია უკვე რიგით მესამეა და წყაროთმცოდნეთა მსგავსი სამეცნიერო შეხვედრები კარგ ტრადიციად იქცა.

სესიის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. გუგუნიძე.

სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილების სახელით სიტყვა წარმოთქვა ს. შმიდტმა (მოსკოვი). მან ხაზი გაუსვა წყაროთმცოდნეობის სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში, მაღალი შეფასება მისცა ქართველ წყაროთმცოდნეთა საქმიანობას, აღნიშნა, რომ საქართველო წყაროთმცოდნეობითი კვლევის ერთ-ერთ წამყვან ცენტრად გადაიქცა მთელი კავშირის მასშტაბით.

სესიაზე მუშაობდა სამი სექცია: ზოგადი და თეორიული წყაროთმცოდნეობის (ხელმძღვანელი რ. კიკნაძე), კონკრეტული წყაროთმცოდნეობის (ხელმძღვანელი ე. ხოშტარია) და სპეციალური ისტორიული დისციპლინებისა (ხელმძღვანელი ზ. ალექსიძე).

პირველ პლენარულ სხდომაზე განხილული იყო თანამედროვე წყაროთმცოდნეობის საკვანძო საკითხები.

რ. კიკნაძე (თბილისი) თავის მოხსენებაში შეხვო თანამედროვე ქართული საბჭოთა წყაროთმცოდნეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. მან აღნიშნა, რომ უქანასკნელ წლებში საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის სფეროში საგრძნობლად ამაღლდა მეცნიერული კვლევის დონე, უფრო დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა კვლევის მეთოდები. ჭრჭერობით ჭარბობს ნაშრომები წყაროთმცოდნეობის კონკრეტულ საკითხებზე, თუმცა თვალსაჩინო წარმატებებია მოპოებული ზოგადთეორიული პრობლემების დამუშავებაშიც. მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული წყაროთმცოდნეობის შემადგენელი დისციპლინების — არქეოგრაფიის, დიპლომატიკის, ეპიგრაფიკის, ეპისტოლოგრაფიის, კოდიკოლოგიის, პალეოგრაფიის, ტექსტოლოგიისა და სხვა დარგებში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისტორიულ წყაროთა ტექსტების მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემას. მოხსენებაში ყურადღება გამახვილებული იყო აგრეთვე ქართული წყაროთმცოდნეობის უახლოეს ამოცანებზე.

ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაცია განსაზღვრულია ლ. პუშკაროვის (მოსკოვი) მოხსენებაში, როგორც მათი მეცნიე-

რული შეცნობის აუცილებელი საწყისი ეტაპი, რის გარეშეც შეუძლებელია მათი კვლევისათვის გამოყენება. ბურჟუაზიული ფილოსოფიის ზოგიერთი წარმომადგენლის აზრით, წყარო მხოლოდ მისი შემცნობი ობიექტის ცნობიერებაში არსებობს. ისტორიულ წყაროთა ობიექტურ თვისებებზე დამყარებული კლასიფიკაცია, მომხსენებლის დასკვნით,—ძალადრი მეთოდოლოგიური იარაღია ისტორიის ბურჟუაზიული ფილოსოფიის წინააღმდეგ, წყაროთა ობიექტური ხასიათის უპრაციფის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საბჭოთა ისტორიკოსთა ნაშრომებში სამშულო წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფიის დამუშავების დიდ მნიშვნელობაზე ისაუბრა ა. პ. ონუშენი (დონის როსტოვი). მან აღნიშნა, რომ უკვე მომზადებულია პირობები სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობაში ერთიანი ისტორიოგრაფიული ნაშრომის შესაქმნელად.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ეროვნული უნივერსალური ცნობარია, რომელიც მეცნიერების მრავალ დარგს მიმოიხილავს. სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ენციკლოპედიაში წყაროთმცოდნეობით პრობლემატიკას, ქართული წყაროთმცოდნეობის მიღწევებს. კერძოდ, ზოგადი და კონკრეტული წყაროთმცოდნეობის საკითხებს ეძღვნება ქართულ ენციკლოპედიაში 500-ზე მეტი წერილი. ამის შესახებ ისაუბრა თავის მოხსენებაში რ. მეტრეველი (თბილისი).

არქეოლოგიური მასალა როგორც ისტორიული წყარო განიხილა ო. ლორთქიფანიძემ (თბილისი). მის მოხსენებაში ვანის არქეოლოგიური გათხრების მდიდარი მასალის მაგალითზე ნაჩვენებია იყო არქეოლოგიური წყაროების ისტორიულ გამოკვლევებში გამოყენების ხერხები და საშუალებანი.

ისტორიული დისციპლინების სისტემაში ეპიგრაფიკისა და ნუმიზმატიკის ადგილია და მნიშვნელობაზე მოხსენებით გამოვიდა ე. დავიძე (თბილისი) (მოსკოვი). მან ილაპარაკა ნუმიზმატიკური მასალის როლზე წყაროთა ბაზის სტრუქტურაში.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: მ. ლორთქიფანიძემ (თბილისი), მ. ვარშაველი (კიევი), ი. ლურჯემ (ლენინგრადი), თ. ყაუხჩიშვილმა (თბილისი), ბ. აპქედოვმა (ტაშკენტი), ნ. კოვალსკიმ (დნეპროპეტროვსკი), რ. ხონელიამ (სოხუმი), ხ. თოროსიანმა (ერევანი), ვ. ფირიევა (მაჭო), ვ. ჰაქიევა (შახაყალა), ნ. ლორთქიფანიძემ (თბილისი), ე. დავიძე (თბილისი) (მოსკოვი).

კამათის დროს მრავალი საყურადღებო საკითხი იქნა დასმული, რომლებიც ეხებოდა

წყაროთმცოდნეობითი კვლევის მეთოდისა, წერტილობითი წყაროების კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის, მათი გამოყენების პრინციპებს, წყაროთმცოდნეობის დარგში სამუშაოთა კოორდინაციას, ზოგიერთი სახის წყაროს ადგილსა და მნიშვნელობას, სესიის ორგანიზაციულ მხარეს და ა. შ.

მეორე პლენარული სხდომა მთლიანად მიძღვნა რუსეთის პირველი რევოლუციისა და საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორიის წყაროთმცოდნეობითი პრობლემების განხილვას. წარმოდგენილ მოხსენებებში საუბარი იყო ახალ საარქივო მასალებზე, მათი, როგორც წყაროს მნიშვნელობაზე, კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის საკითხებზე, შესწავლის მეთოდისაზე, გამოცემის პრინციპებზე და სხვ.

საქართველოს სიძველეთსაცავებში შემონახული მრავალფეროვანი წყაროები სამხრეთდასავლეთ საქართველოში 1905—1907 წლებში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესახებ დახასიათა ლ. კალანდარიშვილმა (მათუმი), ხოლო ს. ლაკობაძემ (სოხუმი) შეაფასა ბოლშევიკური პრესის, საარქივო მასალის და ეპისტოლური მემკვიდრეობის მნიშვნელობა ამავე პერიოდის რევოლუციური მოძრაობის ისტორიისათვის აფხაზეთში. ზ. რატიანი (თბილისი) მოხსენება ეძღვნებოდა სტაროსელსების საოჯახო არქივში დაცულ ახალ მასალას, რომელზეც გაშუქებულია ცნობილი მეცნიერი ავრონიმისა და რევოლუციონერის ელადიმერ სტაროსელსკის მოღვაწეობა 1905 წ. რევოლუციის პერიოდში.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორიის მრავალრიცხოვანი წყაროების კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის საკითხი საქართველოს სსრ მასალების მიხედვით განიხილა მ. ნათქვიციანიძემ (თბილისი). მ. ლორთქიფანიძემ (თბილისი) შეაფასა დიდი სამამულო ომის წლებში ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარება და დაწერა დიდი დახასიათა ამ პერიოდში საქართველოს ისტორიის დარგში გამოცემული ნაშრომები. ლ. პრიცკარი (სოხუმი) მოხსენებაში განხილული იყო დიდი სამამულო ომის პერიოდის აფხაზეთის ჰოსპიტლების მასალები როგორც საინტერესო ისტორიული წყარო, საიდანაც ნათელი ხდება, რომ ომის დროს შეივლდისპირეთის კურორტები დიდ დახმარებას უწევდნენ ფრონტს.

სესიის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე პ. ცქვიტარიას (მათუმი) გამოსვლა პირადი წარმოშობის წერილობითი მასალის

(მემუარები, მოგონებები, წერილები) შესწავლისა და გამოყენების საკითხებზე.

ზოგადი და თეორიული წყაროთმცოდნეობის სექციის სამ სხდომაზე მოსმენილ იქნა 20 მოხსენება, რომლებშიც განხილული იყო წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემები, ისტორიულ თხზულებათა კომპოზიციის და სტრუქტურის, სპეციალური ტერმინოლოგიის, წყაროთმცოდნეობითი კვლევის მეთოდის საკითხები.

ისტორიული წყაროების მხატვრულ თავისებურებათა, მათი სტრუქტურის კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ამ ძეგლების ჩაღრმავებულ შესწავლის, ისე მწერლობაში მათი ადგილის, მათი წყაროთმცოდნეობითი ღირებულების განსაზღვრისათვის. ქართული ისტორიული პროზის მხატვრული სპეციფიკის შესწავლის ზოგიერთ ასპექტს შეეხებოდა მ. შანიძის (თბილისი) მოხსენება, ხოლო ძველი ქართული წერილობითი ისტორიული წყაროების სტრუქტურული თავისებურებები, მათი ცვალებადობა დახასიათებული იყო გ. ალასანიას (თბილისი) მოხსენებაში.

წყაროთა კრიტიკის ლოგიკური საფუძვლების განსაზღვრა, ი. ლურიეს (ლენინგრადი) აზრით, ისტორიული კვლევა-ძიების ლოგიკის კერძო, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხია. იმ მეცნიერებებში, რომლებიც კაცობრიობის წარსულს შეისწავლიან, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჰიპოთეზები, მაგრამ არ შეიძლება ფაქტებზე დამყარებული ჰიპოთეზების შიშველი ვარაუდით შეკვალა.

ნ. ვარშავჩიკის (კიევი) მოხსენება მიეძღვნა ისტორიული წყაროებისადმი სისტემური მიდგომის საკითხს, რაც აფართოებს მათი მეცნიერული გამოყენების საშუალებებს, ზრდის წყაროს ინფორმაციული მასალის სრულად სარგებლობის შესაძლებლობას.

ნ. კოვალსკიმ (დნეპროპეტროვსკი) აჩვენა XVI—XVII სს. უკრაინის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის მასალების მიხედვით წყაროთა კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის მნიშვნელობა ისტორიული კვლევისათვის. დიდი ყურადღება დაეთმო ჰაგიოგრაფიული მწერლობის წყაროთმცოდნეობითი დახასიათების საკითხებს. ჟანობრივი კალიფიკაციის მეტად მნიშვნელოვან პრობლემას ეხებოდა მ. ჩხარტიშვილის (თბილისი) მოხსენება, ხოლო ნ. ვაჩნაძემ (თბილისი) საგანგებოდ განიხილა ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების ე. წ. არაჰაგიოგრაფიული ნაწილები, ისეთი სიუჟეტები, რომლებიც ვერ თავსდება ჟანრის ფარგლებში. თქმულებები XVI—XVII სს. რუსეთის მონასტრების შესა-

ხებ საინტერესო ცნობებს შეიცავს ადამიანთა საზოგადოების ისტორიისათვის. მიუხედავად ამისა, ამ უთუოდ საყურადღებო ისტორიულ წყაროში დაცული მდიდარი მასალა ჯერაც არ არის სათანადოდ შესწავლილი და შეფასებული. ამის შესახებ იყო საუბარი გ. პროხოროვის (ლენინგრადი) მოხსენებაში.

შუა საუკუნეთა სპარსული და თურქული ისტორიული თხზულებების სტრუქტურული თავისებურებები იყო განხილული ნ. გელაშვილის (თბილისი) და ა. ფარზალიევის (ბაქო) მოხსენებებში, ხოლო ე. ჰაჯიევიმ (მანაჩყალა) დაახასიათა საქართველო-დაღესტანის ურთიერთობათა ისტორიის წყაროთა ბაზის სტრუქტურა.

რამდენიმე საინტერესო მოხსენება მიეძღვნა წერილობით წყაროთა კრიტიკული ანალიზის, ტექსტოლოგიური შესწავლის, ინტერპრეტაციის მეთოდების საკითხებს.

ნ. პუშკაროვამ (მოსკოვი) წარმოადგინა მოხსენება XI—XV სს. რუსეთში ოჯახის ისტორიისა და ქალის მდგომარეობის დახასიათებისათვის. ნორმატიული წყაროების გამოყენებაზე და მსმენელებს გააცნო მათზე მუშაობის მეთოდები.

ტერმინოლოგიურ ძიებებს, ქართული თუ უცხოური წარმოშობის ტერმინთა ყოველმხრივ ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული წყაროების სწორი ინტერპრეტაციის, მათი ტექსტოლოგიური დახასიათებისათვის. ამ საკითხებს მიეძღვნა მ. მარსაგიშვილის და მ. კიკნაძის მოხსენებები (ორივე თბილისი).

ბიზანტიური მწერლობის ძეგლთა კომპოზიციის კანონების ცოდნა საჭიროა არა მარტო ლინტერატურათმცოდნეებისათვის, არამედ ისტორიკოსების, კერძოდ, წყაროთმცოდნეებისათვისაც, რათა სწორად გამოარჩიონ წყაროში უტყუარი ფაქტები. ამზე იყო საუბარი ი. ლუბარსკის მოხსენებაში (ლენინგრადი).

ისტორიული წყაროების ტექსტის გამართვა და დაკარგული ნაწილების აღდგენა წარმოთმცოდნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანაა. მ. ქადაგაძის (თბილისი) მოხსენებაში შეფასებული იყო თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების დაკარგული ნაწილის ტექსტის რესტავრაციის ი. ჯავახიშვილისეული მეთოდის ეფექტურობა.

ა. ბოლბერუხის (დნეპროპეტროვსკი) მოხსენება ეხმიანებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიისადმი მეცნიერთა სულ უფრო მზარდ ინტერესს და განიხილავდა XVIII—XIX სს. დამდეგის რუსული მოწინავე საზოგადოებრივი აზრის ისტო-



რის წყაროებს და მათზე მუშაობის მეთოდებს.

წერილობითი წყაროების ტექსტოლოგიური ანალიზში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებენ რაოდენობრივი მეთოდები. ამ საკითხს ორი მოხსენება მიეძღვნა: გ. ჟორჯოლიანი ს. (თბილისი) „იზნ ხალოქანის ბიოგრაფიული ლექსიკონის რაოდენობრივი ანალიზი“ და მ. აბაშიძის (თბილისი) „ძველი ძეგლების რუსული თარგმანების შედარებითი სტატისტიკური ანალიზი“. თარგმანის პრობლემას შეეხო ავრთვე ნ. სერგიოვი (მოსკოვი), რომელმაც მახვილგონივრულად დაახასიათა შუა საუკუნეთა არაბი მთარგმნელის შემოქმედებითი მეთოდის თავისებურებანი.

კონკრეტული წყაროთმცოდნეობის სექციამ წარმოდგინდა იყო 23 მოხსენება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქართულ წერილობით ისტორიულ წყაროებს, პირველ რიგში, ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ძეგლის „ქართლის ცხოვრების“ წყაროთმცოდნეობითი შესწავლის საკითხებს. კრებულის შედგენის დროის, დანიშნულების, სტრუქტურის გარშემო არაერთი პრობლემური საკითხი იყო დასმული ე. ხოშტარიას (თბილისი) მოხსენებაში „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის ტერმინოლოგიური საფუძველი“ და ნ. შოშიაშვილის (თბილისი) მოხსენებაში — „ქართლის ცხოვრების“ შექმნის ისტორიის ზოგიერთი საკითხი“.

გ. არახამიამ (თბილისი) სუბმიტ დავითის-ძის ქრონიკის სტრუქტურისა და შინაარსის ანალიზის საფუძველზე საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა ძეგლის ავტორებისა და დაწერის თარიღის შესახებ. გ. ანჩაბაძის მოხსენებაში (თბილისი) განხილული იყო სამხედრო ისტორიის ასახვის თავისებურებანი XIII ს. ქართულ თხრობით წყაროებში. ზ. თოროსიანი (ერევანი) სცადა ძველ ქართულ წყაროებში მოხსენიებული ერთი ტოპონიმის მნიშვნელობის აღდგენა.

შ. ბაღრიძემ (თბილისი) ვრცლად განიხილა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის პრობლემების დამუშავება ილია ჭავჭავაძის შრომებში. ნ. კახიძემ (ბათუმი) დაახასიათა ზელოსნური ტრადიციების ამსახველი მასალა აბუსერიძე ტბელის თხზულებაში (XIII ს.). საარქივო და ქართულსა და რუსულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები აფხაზთა აჭარაში დასახლების შესახებ განიხილა თ. აჩუგბაძე (ბათუმი).

დ. ხახუტაიშვილის მოხსენებაში (ბათუმი) წერილობითი და არქეოლოგიური წყაროების კომპლექსურად შესწავლის საფუ-

ძველზე ნაჩვენებია იყო, რომ უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენებით თითქმის მთლიანად დასტურდება წერილობითი წყაროების მონაცემები კოლხეთის შვიზღვისპირების ლითონისმწარმოებელ ტომთა აქტიური როლის შესახებ ძველი ხანის მახლობელი აღმოსავლეთისა და ეგეოსის ზღვის ქვეყნების სამეურნეო ცხოვრებაში.

მოხსენებათა დიდი ნაწილი ავბულო იყო უცხოური წყაროების მასალაზე. კერძოდ, ფართოდ იყო წარმოდგენილი ბერძნული ანტიკური და ბიზანტიური ხანის წყაროებისადმი მიძღვნილი მოხსენებები. ე. ისაევამ (მოსკოვი) დაახასიათა ძვ. წ. IV ს. ბერძენი პოლიტიკური ორატორების თხზულებები როგორც ისტორიული წყარო. ნ. ლომოურმა (თბილისი) გააანალიზა საქართველოს ისტორიის ანტიკური და ბიზანტიური წყაროების შესწავლის ისტორია. თ. ყაუხჩიშვილი (თბილისი) მოხსენებაში ანტიკური წყაროებიდან ამოკრებილი საყურადღებო ცნობები იყო მოტანილი ქ. ბათუმის ისტორიისათვის. გ. ამიხაძის (სოხუმი) მოხსენება ეხებოდა ახალი ათონის ბიზანტიურ და ქართულ წყაროებს. ვ. ვაშაკიძემ (თბილისი) სტრამონისეული ტერმინოლოგიის შესწავლის საფუძველზე განიხილა ძველი ქართლის სოციალური სტრუქტურის საკითხები.

ს. აშურბეილის (ბაქო) მოხსენებაში გაშუქებული იყო V—VII სს. სომხური წერილობითი წყაროები კავკასიის ტომებისა და ხალხების შესახებ, ზოლოლ. დავითიანი (თბილისი) მოხსენებაში საუბარი იყო XVIII ს-ის სომხური წყაროების მნიშვნელობაზე საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის. სომხურ წყაროებს მიეძღვნა ავრთვე ა. მამედოვის (ბაქო) გამოსვლა.

ბუნებრივია, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო აღმოსავლურენოვანი წერილობითი წყაროების განხილვას. მგა. ვ. ფირიევის (ბაქო) მოხსენებაში აისახა XIII—XIV სს. სპარსულენოვანი ისტორიული თხზულებების წყაროთმცოდნეობითი თავისებურებანი, გ. კურპალიდი (მოსკოვი) ისაუბრა XII საუკუნის უნიკალური არაბული თხზულების შესახებ; არაბულ წყაროებს შეეხებოდა ნ. გარაევას (ყაზანი) მოხსენებაც. დ. იუსუფოვამ (ტაშკენტი) განიხილა „ოუბჟერეს“ ტიპის თხზულებათა მნიშვნელობა შუა აზიისა და ხორასნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების შესასწავლად. ბ. აკმედოვა (ტაშკენტი) დაახასიათა მუსლიმანურ „წმინდანთა“ ცხოვრებანი, როგორც ისტორიული წყარო.

სპეციალური ისტორიული დისციპლინების სექციის 3 სხდომაზე წაკითხულ იქნა 22 მოხსენება. სექციის ორი სხდომა ძირითადად დიპლომატიის საკითხებს მიეძღვნა.

მ. სურგულაძის (თბილისი) მოხსენებაში ქართული დიპლომატიის ტერმინების ანალიზის საფუძველზე განხილული იყო ისტორიული აქტების კლასიფიკაციის ზოგადი პრინციპები. მოხსენებლის აზრით, აქტების კლასიფიკაციის დროს ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს იურიდიული კრიტერიუმი.

ნ. მშვიდლობაძემ (თბილისი) აღნიშნა ქართული ისტორიული საბუღების ფონდების სრული კატალოგის შედგენის აუცილებლობა, ისაუბრა კატალოგიზაციის მიზნებსა და ამოცანებზე, მის პრინციპებზე.

გ. ლეჟავას (სოხუმი) მოხსენებაში დასმული იყო საკითხი თანამედროვე მისახლეობის კლასობრივ-ეროვნული სტრუქტურის შესასწავლად მასობრივი წყაროების, კერძოდ, სსკ მოსახლეობის აღწერის მასალების გამოყენების შესახებ, საუბარი იყო ამ მასალის ანალიზის მეთოდებზე.

ხის გათილი ნაპრებზე დაწერილი ქართული ისტორიული საბუღები მხოლოდ ზემო სვანეთშია მოპოვებული და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ დოკუმენტებს შორის. საბუღების ეს სახე განიხილა თავის მოხსენებაში მ. ბერძენიშვილმა (თბილისი). XIX ს. დამდეგის ქართული ეპისტოლური მასალის მნიშვნელობაზე ისაუბრა ნ. ნაცვლიშვილმა (თბილისი).

„ტბეთის სულთა მატიანე“, რომელიც XII—XVII საუკუნეებში შეიქმნა ტბეთის ეკლესიაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ძვირფას წერილობით ისტორიულ წყაროს წარმოადგენს ამ მხარის ისტორიულ ტოპონიმების შესწავლისათვის. ასეთი შესწავლის ცდა იყო მოცემული მ. ქაშალაძის (ბათუმი) მოხსენებაში.

ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუღები სხვადასხვა კუთხით განიხილეს და მათი წარმოშობის პირობებსა და მასალის უტყუარობის შესახებ საყურადღებო მოსაზრებები წამოაყენა თ. აბაშიძემ და კ. ტაბატაძემ (ორივე თბილისი). XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქების ამქართა ქართულ და სომხურ ენებზე შედგენილი სტატუტების სტრუქტურის და შინაარსის შესახებ ისაუბრა კ. კუციამ (თბილისი).

ო. აბეცევას (მოსკოვი) მოხსენებაში XVIII ს. I ნახევრის რუსული კანონმდებლობის მეგალითზე განხილული იყო ნორმატიული წყაროების წყარომცოდნეობითი

ანალიზის თავისებურებანი. მ. გაბაშვილის (თბილისი) მოხსენებაში დახასიათებული იყო XIII ს. გენუის დოკუმენტები, რომლებიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს აღმოსავლეთ შვეიცარიისპირეთის ეკონომიკისა და საქართველო-იტალიის ეკონომიკური კავშირების შესასწავლად.

ქ. სოფისი კირილესა და მეთოდეს სახ. ბიბლიოთეკის აღმოსავლურ განყოფილებაში გამოკვლენილი ოსმალური საბუღები XVI—XVIII სს. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ დახასიათა ნ. შენგელიამ (თბილისი). მ. სვანაძემ (თბილისი) განიხილა ოსმალური საგადასახადო დავთრების თავისებურებანი, მოახდინა მათი სისტემატიზაცია. XVI ს. შუაზიური დოკუმენტები შევიკრდომის შესახებ, როგორც ხელისნური წარმოების ისტორიის წყარო, დახასიათა რ. მუკმიონოვამ (ტაშკენტი).

ფართოდ იყო წარმოდგენილი სექციაში ეპიგრაფიკის, აგრეთვე სხვა სპეციალური დისციპლინების დარგში ჩატარებული კვლევის შედეგები. სესიის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს დ. კლდიაშვილის და გ. ოთხმეზურის (თბილისი) ანგარიში დავით გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლების შემსწავლელი ექსპედიციის მუშაობის შესახებ.

ეპიგრაფიკის ადგილზე გამოყენებითი ხელოვნების სისტემაში ისაუბრა გ. ვალეევას სულეიმანოვამ (ყაზანი). მან აჩვენა, რომ გამოყენებითი ხელოვნების საგნებზე მოთავსებული წარწერები თავისებური ისტორიული წყაროა, რომლის საშუალებითაც ხერხდება ეპოქის მხატვრული აზროვნების, დამწერლობის ტრადიციების დახასიათება. თ. ბენიშვილმა (აღმა-აია) მოხსენებაში XIX ს. კოკანდის მასალების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენები იყო გენეალოგიის მნიშვნელობა წყარომცოდნეობითი კვლევისათვის. ე. ვარშალოვამ (ბათუმი) აქარის ეპიგრაფიკული მასალების მიხედვით წარმოადგინა ქართული ხალხური ორნამენტი, როგორც საყურადღებო ისტორიული წყარო.

საარქივო ფონდებში დაცული თეიმურაზ I-ის სამი ბეჭდის დანიშნულებაზე და მისი ეპოქის პოლიტიკურ სიტუაციაზე ისაუბრა ა. ბაქაძემ (თბილისი). მ. ნეიშათოვას (ბაქო) მოხსენებაში განხილული იყო აზერბაიჯანის სსრ შაქი-ზაქათალის ზონის არაბულ-სპარსულენოვანი წარწერები, როგორც ამ მხარის ისტორიის წყარო. ეზრული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის და პუბლიკაციის პრობლემები დაწვრილებით განიხილა ნ. ბაბალიაშვილმა (თბილისი).

თურქული რუნული ძეგლების (უმეტეს-წილად ეპიგრაფიული) სავალდებულო ლექსიკის ორთოგრაფიის ვარიანტების ანალიზის საფუძველზე დ. ვასილიევმა (მოსკოვი) მოახდინა თურქული რუნული დამწერლობის მატარებელთა ტომობრივი ჯგუფების ლოკალიზაცია.

სესიამ აქტიურ, აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლის ვითარებაში ჩაიარა. მოხსენებების შემდეგ იმართებოდა კამათი, შეფასება ეძლეოდა მოხსენებებში გამოთქმულ დებულებებს, ისმებოდა ახალი საკითხები.

დასკვნით სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ ხექციების ხელმძღვანელები და თავმჯდომარეები: რ. კიკნაძე, ლ. პუშკარიოვი,

ე. ხოშტარია, ნ. ლომოური, ზ. ალექსიძე, ს. შმიდტი. მათ წარმოადგინეს სექციების მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიში, განიხილეს მოხსენებები, გამოთქვეს შენიშვნები და წინადადებები, აღნიშნეს სესიის კარგი ორგანიზაცია.

სამეცნიერო სესიის მუშაობა შეაჯამა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ რ. კიკნაძემ.

ქ. ბათუმში ჩატარებული საკავშირო სამეცნიერო სესია კიდევ ერთ ფურცელს ჩაწერს საქართველოში წყაროთმცოდნეობის განვითარების საქმეში.

**მარინე კიკნაძე, მარინე ძაღაზიძე**



## ვიქტორ გუჩუას ხსოვნას



1985 წლის აგვისტოს გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სკკპ წევრი 1948 წლიდან ვიქტორ გესას ძე გუჩუა.

ის დაიბადა 1914 წელს წალენჯიხის რაიონის ს. ფახულანში, ღარიბი გლეხის ოჯახში. საშუალო განათლება ზუგდიდში მიიღო, იქაური პედაგოგიური ტექნიკუმის დასრულების შემდეგ მუშაობდა არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლად შშობლიურ სიღველში.

1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, რომლის შემდეგ იგი იწყებს სამსახურს სოფ. ფახულანის საშუალო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე.

1941—1945 წლებში მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, 1943—1944 წწ. იბრძოდა პარტიზანულ რაზმში.

1945—1960 წლებში ვ. გუჩუა კვლავ პე-

დაგოვიერ მოღვაწეობას ეწევა, დირექტორი წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონების. არის საშუალო სკოლაში. 1955 წელს დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაბოვებლად. 1960 წლიდან გარდაცვალებამდე ვ. გუჩუა მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. პარალელურად იგი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციაში, ჯერ როგორც საქართველოს ისტორიის განყოფილების რედაქტორ-კონსულტანტი, ხოლო შემდეგ კი საქართველოს ისტორიის რედაქციის გამგე. 1984 წელს ვ. გუჩუამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

საქართველოს ისტორია, ქართული კულტურა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი — აი რა საზღვრავდა და გზას აძლევდა ვიქტორ გუჩუას მთელ მოქმედებას, ამიტომაც იყო, რომ მან თავის სპეციალობად ქართველი

ერის ისტორიის შესწავლა აირჩია, და ისიც ამ ისტორიის არა ერთი რომელიმე მხარისა, არამედ ყველა მისი გამოვლენებისა: პოლიტიკური ისტორია, სოციალური ურთიერთობანი, ეკონომიკური მდგომარეობა, კულტურის ისტორია, ქრონოლოგიის საკითხები და სხვ. ამ საკითხებთან დაკავშირებით მას გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი ცალკეული სტატიებისა თუ წიგნების სახით.

კვლევა-ძიების მარქსისტულ-ლენინური ხერხები და მეთოდები ვიქტორ გუჩუას საშუალებას აძლევდა მართებულად, სწორად დაეყენებინა და გადაეწყვიტა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი პრობლემები. თავისი კვლევა-ძიებითი ცხოვრების განმავლობაში ის ყოველთვის ცდილობდა, რომ იგი საზოგადოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უახლესი მიღწევებისა და მონაპოვრების სიმძლავრეზე მდგარიყო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდი ღვაწლი, რომელიც ვიქტორ გუჩუამ დასდო საშუალო სკოლების მოსწავლეთათვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნას. პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში მიღებულმა მდიდარმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ, მას საშუალება მისცა, პროფ. მესხიასთან ერთად, შეედგინა უაღრესად საჭირო სახელმძღვანელო, რომელიც მოწონებულ იქნა დახურული კონკურსის ეთერის მიერ და ჯაჭილდოვებული იყო განაჯიღების სამინისტროს პირველი პრემიით. „საქართველოს ისტორიის“ აღნიშნული სახელმძღვანელო, როგორც ცნობილია, თარგმნილია რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ფართო მკითხველი საზოგადოებრიობა ინტერესით შეხვდა ვ. გუჩუას მეცნიერულ-პოპულარულ ნაშრომს — „გადავხედოთ წარსულს“, რომელიც 1967 წელს გამოქვეყნდა და რომელშიც მოთხრობილია ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორია უძველესი დროიდან ვიდრე X საუკუნემდე. წიგნში მხატვრული და მიმზიდველი ენით

გადმოცემული თავისუფლებისათვის ბრძოლის ეპიზოდები დიდად უწყობს ხელს ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტული, მოქალაქეობრივი და ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეს.

სპეციალისტთა გარკვეული ყურადღება მიიპყრო იმვე 1967 წელს ვ. გუჩუას მიერ პროფ. ი. ანთელავასთან ერთად დაბეჭდილი ნაშრომმა — „სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში“, რომელშიც განსვენებულ მეცნიერს ეკუთვნის ხიზან გლეხთა ისტორია საგლეხო რეფორმიდან მოკიდებული, ვიდრე სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე. აღნიშნულ ნაშრომს, რომელშიც მონოგრაფიულად შესწავლილია ხიზან გლეხთა კატეგორიის სოციალური სტატუსი, ქართული გლეხობის ისტორიაზე მომუშავე მკვლევარი ვლადიმერ შემთხვევაში ვერ აუვლის გვერდს.

აქტიურად მონაწილეობდა ვ. გუჩუა საქართველოს ისტორიის მრავალტომეულის შექმნაში, მას ეკუთვნის XVI—XVII სს-ის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის, სოციალური, ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხებისადმი მიძღვნილი თავები, რისთვისაც 1982 წელს მას, ავტორთა კოლექტივთან ერთად მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი ინტენსიურ მუშაობას ეწეოდა „თბილისის ისტორიის“ სამტომეულზე, როგორც ერთ-ერთი ავტორი და პირველი ტომის თანარედაქტორი.

ვიქტორ გუჩუას მეცნიერულ კეთილსინდისიერებასთან ერთად, თავისი საქმის არაჩვეულებრივი, სიყვარული და დაუცხრომელი ენერჯია ახსიათებდა. სწორედ ამგვარად დაუღალავ, პატიოსან, და ნიჭიერ მუშაყად, კარგ და გულსხმიერ ამზანავად დარჩება იგი მის თანამშრომელთა და მახლობელთა სსრ-ში, ზოლო ის რის გაკეთებაც მან თავისი ცხოვრების მანძილზე მოასწრო, მუდამ საგულისხმო და ანგარიშგასაწიველი იქნება მომავალ მკვლევართათვის.

თენგიზ კაკუაშვილი

690/51

ფასი 1 მან. 30 კპპ.

ინდექსი 76197